

**კირბისი  
KIRBISI**

## NOSCE TE IPSUM

**კირიბიუი  
ოქროს საწმისი  
კრავისა**

ასერგასდღეული  
სახოგადოებრივ-პოლიტიკური  
და ლიტერატურულ-მხატვრული  
გამოცემა, N1, (5) 2008 წელი



**მთავარი რედაქტორი  
გულადი ფეტულავა**

**ნომრის  
საკონსულტაციო საბჭო:**

**რამინ აბლოთია, გონელი არახაშია, ალექსანდრე ახვლედიანი,  
ლაშა გვასალია, ვაჟა თორდია, ფრიდონ თოდუა, ნინო კანკია,  
მამუკა ლოგუა, ლევან მებონია, მანანა მიქავა, ვახტანგ მიუხეილა,  
ჯემალ ბაჩკორია**

**თამარ ტიგუა, ნინო ტურაბულიძე, ბიორგი ფარულავა, ოთარ ფაცაცია,  
ვაჟა ფიფია, თორნიკე უამათავა, ჯიმუერ უეროზია, მერაბ ჩუხუა,  
რევაზ ცაავა, ზურაბ ცხონდია, დარეჯან ცხვიტარია, იური შოჭერია,  
ჯონი ჭანია, ლონდა ხასია, ბია ხასია,  
მადონა ჯაბუა, ნინო ხარჩილავა**

**საგაზაფხულო წარმოღობა:**

**სამეგრელოში ჩამოვადი და  
საქართველო ვნახე,  
ნამდვილი საქართველო**

**ილია ჭავჭავაძე**

**ჩვეთვის ვაზრული ვნა  
ვაუზიდა**

**სანდრა-ელისაბედ რულოვსი**

სპეციალური კორესპონდენტი  
ბალტიისპირეთში

**ანა ციციანი**

ფოტოსერვისი

**ლევან ბაბუჩავა**

წიგნისმკვნი

**თენგიზ თოპაძე**

კომპიუტერული

მომსახურება:

**კობა ფატილავა**

**ლევან ჯანჯღავა**

კორექტურა

**ნანა სუფინია**

**ანონსი:**

**დიდმა ჰომეროსმა  
500 წლის უემდეგ  
აღწერა მითოსური  
ტროის ტრაგედია  
და აქილევსის რისხვას  
დაუდგა ხელთუქმნელი ძეგლი.  
ტროას სამყაროს ასახავს  
ვირგოლიუს მარონის „ენეიდა“,  
რომელმაც მთავარ გმირს, ენეასს,  
ილითნიდან გამოატანინა კოლხური  
პინატები – სამეფო რეგალიები და  
ახალ ცივილიზაციას ჩაუყარა  
საფუძველი. ოდისევსივით  
ნათელმხილველობის ჭაშია ჩაძირული  
დანტეს აღვირახსნილი  
თანამედროვეობა „ღვთაებრივ კომედიაში“.  
გოეთემ ელენე მშვენიერი უმეგზურა ფაუსტს  
მარადმშვენიერის მიუწვდომელ განზომილებად.  
„ჰალიძონები, ეპისტროფოსს ოდიოსს მოჰყვნენ,  
ვერცხლის შორეულ საბადოდან, (ს)აღიბეს  
მხრიდანო,“ გკითხულობთ „ილიადაში“ და გური  
ოტობაიაც აიეტის შეილიშეილი ოდიას  
ღვთისმოსაობით ახდენს კონტინიუმში –  
სამგანზომილებიან დროში მოძრავი სამყაროს  
სინრქონიზაციას. მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ  
ებოსი „ოდოიას“ მეორე ნაწილს**

ნომრის გამოცემას უზრუნველყოფს  
„ინდივიდუალური მეწარმე  
გულადი ფეტელავა – ჟურნალი  
ერთი ბელეტრისტი ტრიბუნა“;  
რეგისტრირებულია  
მთაწმინდის რაიონის  
საგადასადო ინსპექციაში:  
10. 05. 2001 წ. სერია:  
მ / გ 2327; 104425613.  
თბილისი, კოსტავას ქ. №14;  
ტელ.:  
895 71 91 64

**შურნალი**

**სარგბალოზ**

**სიტყვის თავისუფლების**

**საერთაშორისო**

**ნორაბიტი**

**შურნალისათვის**

**სიტყვის თავისუფლება**

**უზგნეპული**

**აუსცილებლობა**

ხელმოწერილია

დასაბუქდად –

15. III. 08;

წარმოებას

გადაეცა –

26. IV. 08.

პოლიგრაფიული

უზრუნველყოფა –

შ.პ.ს.

„საქართველოს


მაცნე“

ფასი 20 ლარი.

**ერთი  
ბელეტრისტის  
ტრიბუნა**

**პ ი რ ბ ის ი**

**სამეგრელოს  
ასერგანდღეული  
შურნალი**



**ნომრის სპონსორია სახალხო ბანკის ზუბიდის ფილიალი,  
(მმართველი – ჯიუბერ უბროზია), რომლის მმანაბრეა  
სადადიანოს მოსახლეობის 51 % +  
ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა  
„კირბისი“**



ზინასარი

აკაა ჟვანიას 130 წლისთავის გამო (ვახში ჟვანია)  
005

აფხაზეთის ტრაგედიისადმი, ანუ როგორ და რატომ მოხდა ეს ყოველივე და აწ ვითარ?!  
მთავარია სახელმწიფოებრივი აზროვნება (ნაპოლეონ მესხია)  
008

(ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილესთან  
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ბატონ ალექსანდრე ახვლედიანთან )  
013

ლეგენდა კეთილშობილ დაფნაზე  
(დაფნის ფოთლის სამეურნეო პერსპექტივებზე  
მოგვითხრობს ბიზნესმენი იური წიწერია. ფასიანი რეკლამა)  
024

მესიჯები უბატონო ნარაზენიდან  
□ □სამეგრელოს მთავარიანი სოფლის ხვალისდღეობას გვიხატავს ბატონი ბორის დომაია)  
035

ნოდარ-უმცროსი ხარნილაგას სანერგეები (ფასიანი რეკლამა)  
045

ცისკენ აფრენილი ეკლესია  
(გულგრილი თაობა. ბერი პაისი. ზედაეწერში მშენებარე წმინდა გიორგის  
სახელობის ტაძარზე გვესაუბრება შ.პ.ს. „ზედა ეწერის“ დირექტორი შერაბ თორდია)  
049

სანთელ-საკეველი თავის გზა-საგალს არ დაჰკარგავს (ილუმენია ანა)  
053

მეექვსე აგრეგატი  
(დილოგი ვერბალური ენერგეტიკის პრობლემებზე შ. პ. ს. „ენგურჰესის“  
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ ლევან შებონიასთან)  
055

ქალა (ნოველა. გაა ხუბუა)  
060

SOS! ანდაზა ბაბუის ნაჭამ ტყეძალზე, რომელიც კბილებს  
ჭრის შვილიშვილებს (სოსო ციმენტია)  
064

სამეგრელოს ამომრჩეველები მიმართავენ საქართველოს  
პრეზიდენტობის კანდიდატებს  
067

სამშენებლო კომპანია „სანი“ (ფასიანი რეკლამა)  
070

ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი (ლაშა გვასალია)  
072

კანტაბილე (მზია მატკავა)  
075

„გვიმარას“ ხელმოწერე დაბადება  
078

პოუნანა (გოგი ბუკიას მოსაგონარი)  
081

მეგობრული შესიანება მეგრულენოვანი გაზეთ „მაფშალიისა“  
და ლექსების კრებულ „მეგრული პოეზიის“ გამომცემლებს  
082

ESSAI მებრულ პოეზიაზე  
086

ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის აღმოჩენა;  
ენის წარმოშობის საიდუმლოება (მამანტი ძაძამია)  
120

სტუმრები ციდან – კაცობრიობის გამოცანა ( ხვიჩა მესხია. ფასიანი რეკლამა)  
129

ცაიშის არქეოლოგიური გათხრები (გვესაუბრება ლაშა ჯიქია)  
131

გაჭირვების ტალ-კვესი (ოლიკ ქუხილავას მოსაგონარი)  
137

სანსეი  
(გვეხიანება „კარატე -დო“-ს მწვრთნელი ლაშა შელია. ფასიანი რეკლამა)  
138

„ვარდების რეგულაციის“ სადადიანოს არქიტექტურული მწვერვალი:  
„აკვაპარკი“ (დირექტორი მანანა მიქავა. პროექტი. ფასიანი რეკლამა)  
147

მოდელი სოფია ხარნილაგა  
149

საპრეზიდენტო არჩევნები სადადიანოში (ფოტო-რეპორტაჟი)  
143

## კაკა შვანიას დაბადებიდან 130 წლისთავის გამო


1921 წლის თებერვალი. ბოლშევიკური რუსეთის XI არმია ლევანდოვსკის მეთაურობით და ორჯონიკიძის კომისრობით ბაქოდან გამოდის და თბილისს იღებს. ეს არ კმარა. საქართველო მთლიანად უნდა „გაწითლდეს“. ამიტომაც ტუაფსედან კიდევ ერთი არმია გამოეშურება აფხაზეთისა და სამეგრელოს დასალაშქრავად. ისინი სამტრედიისში უნდა შეერთდნენ და ერთიანი ძალებით „მიაცილონ“ ბათუმამდე დამხობილი საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა. მარშით გამოიარა რუსეთის ბოლშევიკურმა არმიამ აფხაზეთის დასახლებული პუნქტები. ღამ-ღამობით გადმოდიან ადიდებულ მდინარეებს: ფსოუს, გუმისთას, კოდორს, ლალიძას.

ფრთხილობენ მდინარის გადმოლახვისას. ვერ ქვეითები შედიან ფონებში, შემდეგ ზარბაზნები შეაქვთ, ბოლოს — ცხენოსნები — სამხედრო აღალთან ერთად. წინააღმდეგობას არავინ უწევს. სულ რაღაც 80-კაციანი რაზმია სასაზღვრო ჯარების სახელწოდებით აფხაზეთში, მოახსენებენ რუს გენერალს. ის მაინც ფრთხილობს. ადიდებულ მდინარე ენგურთან გადასვლის წესს არ ცვლის. ისევ ღამით და ისევ იგივე მწყობრით. პირველი რაზმი, ქვეითთა შემადგენლობით, ზურგჩანთებითა და შაშხანებით დამძიმებული, გაყინულ, აქაფებულ მდინარეში შედის. აქა-იქ მაშხალებით ანათებენ წკვარამ ღამეს. აქ მდინარე განიერია. ერთმანეთს არ უნდა მოწყდნენ ჯარისკაცები. ოც რიგად მიაპობენ ისინი წყალს. ნაპირიც გამოჩნდა. რამდენიმე გადავიდა კიდევაც ხმელეთზე და ანიშნა მეორე ნაპირს — შეგიძლიათო მძიმე ტექნიკის გამოშვება. გამოუშვეს კიდევ და... პოი, საოცრება! ელვის სისწრაფით წაეკიდა მდინარეს ცეცხლი. აღმოდებული წყალი უფრო ჩქარა წამოვიდა ჯარისკაცებისკენ მთელი მდინარის სიგანეზე ერთბაშად. გამაყრუებელი ყიჟინა... ცა ჩამოინგრა. ცივი წყალი დუღს. უზარმაზარმა, აღმოდებულმა მორებმა წალეკა თავზარდაცემული ჯარისკაცები. ნაპირზე მდგომი სალდათები ვერაფერს ხვდებიან. ისროლონ?! წყალში ხომ მათი თანამებრძოლები არიან. გახვევებულები შეკუთრებენ კაშკაშა ცეცხლის გადაადგილებას მდინარეზე, რასაც თან ერთვის შაშხანების სროლა და გნიასი! განცვიფრებულა არმიის სარდალი. რაღაც უნდა მოიფიქროს, უნდა გაიგოს, რა ხდება მეორე ნაპირზე, ვინ ისვრის, ვინ ყვირის! თვითონ მიუახლოვდა ნაპირს. ცეცხლის ახალმა ენებმა ჩაუქროლა მას და ისევ მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. შეჩერდა არმია. დაელოდნენ გათენებას.

დაათვალიერეს დანაკარგები. თითქმის მთლიანად დაღუპულა ჯარის ის ნაწილი, რომელიც წყალში იყო. ნელ-ნელა დაიწყეს ინფორმაციის შეგროვება. მათი დაღუპული ჯარისკაცების გვამები კი, მდინარეს გამოჰქონდა ნაპირზე. ორი კვირა იდგა რუსეთის ჯარი ენგურს გაღმა, ვერ გაბედა წყალში შესვლა. სამეგრელოში კი ხმა გაავარდა, კაკა შვანიამ კაციკამია ბოლშევიკები ენგურზე გაანადგურაო! დამარცხებულებმა მალე დაადგინეს, რომ კაკა შვანიას სულ რაღაც 80-კაციანი რაზმი ჰყავდა; რომ მან მდინარის გადალახვის წინა დღეს ენგურის სანაპირო ტყეებში მორები დააჭრევინა თავის ხალხს, ტივებად შეაკვრევინა და ზედ ფიჩხი დააყრევინა. სულ 80 მაშხანა ისროდა ერთდროულად იმ საბედისწერო ღამეს; 80 თავგადადებული ქართველი ღრიალებდა ფიჩხეცეცხლმოკიდებულ ტივებზე ორ-ორად განთავსებული. ორი კვირის შემდეგ გაბედეს ბოლშევიკებმა ენგურის გადმოლახვა. გაიარეს ზუგდიდი. ქალაქის გასასვლელთან რუს გენერალს კაკას სახლი აჩვენეს, ლამაზი, ფიცრული ოდა. შიგ არავინ იყო. ტყეში გახიზნულან დედა, ცოლ-შვილი. დგას რუსი გენერალი კაკა შვანიას სახლის წინ მღუმარედ. დაწვას თუ არა ეს სახლი? ამ ქვეყანაში ხომ ბოლშევიკების მტრებს მაინც არ დაეფლობებათ! თავის ოფიცერს უხმო, ჯარისკაცის დაყენება უბრძანა კაკას სახლთან. არავინ დააზიანოსო იგი და ხმამალა დასძინა: „ის ნამდვილი რუსი ოფიცერია!“ ასე დააფასა კაკას გმირობა უცხოელმა.

დიახ, კაკა შვანია რუსეთის არმიის ოფიცერი იყო, და მერე როგორი... ოთხჯერ დაიჭრა იგი პირველ მსოფლიო ომში, ხოლო 1916 წლის 20 დეკემბერს რუმინეთში ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა. 1918 წელს ტყვეობიდან დაბრუნებულ კაკა სამედიცინო კომისიამ ინვალიდად ცნო. რუსეთის ოთხი უმაღლესი ორდენით მკერდდამშვენებული და 90 პროცენტით შრომის უნარწართმეული კაკა შვანია საქართველოში დაბრუნდა. დემოკრატიულმა მთავრობამ სიხარულით მიიღო სახელოვანი ოფიცერი და აფხაზეთში განლაგებული ჯარების უფროსად დანიშნა. ეს ჯარი ის 80-კაციანი რაზმი იყო, რომლის გმირობაზე უკვე გიამბეთ. მოხდა ისე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთ-ერთი უპირველესი გმირი და გმირობა, ჩადენილი ბოლშევიკური არმიის წინააღმდეგ, ჟამთა სვლამ შთანთქა.

კაკა შვანიამ მას შემდეგ 52 წელი იცოცხლა და ისე გარდაიცვალა 1973 წელს, რომ ერთხელაც არ უამბია ვინმესთვის თავისი მხედრული



სურათზე: ბატონები — **ოთარ ფაცაცია, კაკა ჟვანია**  
(შუაში) და **გვანჯი ჩიქვანი** (იბეჭდება პირველად)

თავგადასავალი. კაკა ჟვანია — ჩემი სახელოვანი წინაპარი, ზუგდი- დის კოლორიტი, მშვენიერი მელექსე, ულამაზესი ვაჟკაცი, უებრო თამადა — პირველ მსოფლიო ომამდე 16 წელიწადი ხელმძღვანელობდა სკოლას, რომელიც ჟვანიას სკოლის სახელწოდებით იყო ცნობილი. იმ დროისათვის უჩვეულო ჰუმანურობით გამოირჩეოდა. ამის თაობაზე ლეგენდებს ავრცელებდნენ მასზე შეყვა- რებული ნამოწაფრები — აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა, პროფესორები: კოტე გრიგოლია, სურგულაძე, ვეკუა და სხვები.

ქართული ხალხური სიმღერის ჩინებულმა მცოდნემ, თავის მეგობრებთან და მოსწავლეებთან — ძუკუ ლოლუას, კირილე პაჭკორიას, რემა შელეგიას, კიწი გეგეჭკორს, ვანო ლაკერბაიას და სხვა მრავალ მუსიკალურ მოღვაწესთან ერთად, დიდი ამაგი დასდო მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციას. მათ ჯერ კიდევ 1930 წელს ზუგდიდში მოაწვეეს ხალხური სიმღერის პირველი ოლიმპიადა.

უადრესად განსწავლული, ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, მეგობ- რობდა შალვა დადიანთან, კონსტანტინე გამსახურ- დიასთან, ლეო ქიაჩელთან, ალიო მირცხულავასთან, აკაკი ხორავასთან, გულწრფელად უყვარდა ისინი და ამყობდა მათთან მეგობრობით.

ოციან წლებში ჩაის პირველი პლანტაცია გააშენა ზუგდიდში, რეგიონის ეკონომიკაზე ზრუნავდა. ამ კულტურის დანერგვისათვის კაკა ჟვანია 1969 წელს მოსკოვში ჩაიყვანეს ჩაის დღესასწაულზე.

ბაბუაჩემმა ასწავლა ზუგდიდის ფართო საზოგადოებას ჭადრაკის თამაში, ალბათ, ამიტომაც პირველი შეეგება თბილისში მოსკოვიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ნონა გაფრინდაშვილს, ლექსიც კი უძღვნა მას. თავის მეგობარ, ასევე სახელოვან მამულიშვილ გვანჯი ჩიქვანთან ერთად ბევრი სიკეთე უკეთებია ბაბუას: ბევრი წაჩხუბებული შეურიგებია, ბევრი დანგრევის პირას მისული ოჯახი აღუდგენია; ბევრი უსამართლოდ დაჩაგრულისათვის დახმარება აღმოუჩენია.

ხუთი განათლებული ვაჟიშვილი გაზარდა, ერთი- იმეორეზე უკეთესი, ხუთივე დიდებული მამულიშვილი. ბევრი დაწერილა მათზე, კიდევ ბევრია დასაწერი.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ დღემდე არ იცის ბაბუაჩემის იმდროინდელი გმირობის ამბავი, იგი მაინც დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში დღესაც. ამ სიყვარულის გამოხატულებაა საზოგადოების სურვილი, შექმნან კაკა ჟვანიას სახელობის ფონდი. დაარქვან კაკას სახელი ქუჩას, დაუდგან ქალაქში ძეგლი. ჩემი მოკრძალებული სურვილი კი, ვფიქრობ, სრულიად საქართველოს ინტერესებს ეხმიანება: გამოვაჩინოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჩადენილი გმირობა, შევისწავლოთ და გავაშუქოთ ენგურზე გამართული ბრძოლა, არ დავუკარგოთ შთამომავლობას სამშობლოს გმირული წარსულის კიდევ ერთი ფურცელი.

## აფხაზეთის ტრაგედიისადმი, ანუ როგორ და რატომ მოხდა ეს ყოველივე და აწ ვითარა?!



**ბატონი ნაპოლეონ, ნაპო მეხსია, სამურზაყანოელი კაცია, ოტობაიელი, რომლის ზურგზე გადაუგლია ადამიანურ უბედურებათა წყებას, ბირთვულს, საზოგადოებრივს. მაინც მხნედ დგას, მაინც ამაყად უმზერს ხვალისდელ დღეს. იგი საქვეყნოდ აღიარებული ნეიროქირურგია და უბადლო მეცნიერის კვალობაზე სიცოცხლეს უხანგრძლივებს ასობით ადამიანს. მაგრამ მისი მთავარი მოწოდება პოლიტიკაა. უყვარს თქმა: უხეირო ექიმი დუბავს ერთ ადამიანს, მაგრამ უხეირო პოლიტიკოსი – მთელს ქვეყნიერებასო. წინდებული სტატია ქვემოთ მითითებული ელექტრონული ვერსიიდანაა ამოღებული. განთავსების დღიდან მას 1700-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა მიმართა. ვებჰდავთ სტილური და ფრაზეოლოგიური ელ-ფერის შენარჩუნებით.**

**განსჯა პირველი:** იმპერიის ნგრევასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მოიწვა მთელი საბჭოთა სივრცე, არ შეეძლო არ შეხებოდა მცირერიცხოვანი ერების ინტერესებს. როდესაც მიმდინარეობდა სუვერენიტეტების აღლუმი ავტონომიური რესპუბლიკებისა ყოფილი იმპერიის მთელ გერიგორიაზე, აფხაზეთი ვერ დადგებოდა განზე ამ პროცესებისგან. ეს უნდა ხსომებოდათ, მაგრამ იმქამინდელ საქართველოში ამის თავი არ ჰქონდათ. ამაშია ბოროტების ფესვები! ამიგომაც უმდა განვიხილოთ სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში როგორც ხელისუფლებაში უკანონოდ მოსული ქართული მთავრობის არაშორსმჭვრეტელი და დაუფიქრებელი, თუ არ ვთქვათ დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი. ძალების განლაგება და პოლიტიკური დაპირისპირება თუნდაც აღწევდა საგანგაშო მდვარს, მაგრამ აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნება ჯერ კიდევ იყო შესაძლებლობა. მაგრამ ყველა რაღაცას ელოდა. თბილისში ელოდნენ, ხოლო აფხაზეთის ხელმძღვანელობა ელოდებოდა შემთხვევითობას და მანაც არ დააყოვნა.

ამასთან ერთად არ უნდა განვიხილოთ ყველაფერი ისე, თითქოსდა მარტო აფხაზები ან გარეშე ძალები არიან დამნაშავენი აფხაზურ ტრაგედიაში და ჩვენი თანამონაწილეობა მასში მინიმალურია. არავითარ შემთხვევაში! პირიქით, ქართული ხელმძღვანელობაა დამნაშავე იმაში, რაც მოხდა აფხაზეთში. ის არა მარტო იყო მოლოდინში! ის აკეთებდა ყველაფერს, რათა გაღრმავებულიყო აფხაზეთში პოლიტიკური დაპირისპირება და საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია და ამავე დროს არ აკეთებდა არაფერს, რათა შეეჩერებინა მომწიფებული სამხედრო კონფრონტაცია და თავიდან აეცილებინა მოვლენების ტრაგიკული განვითარება: მის მიერ არ იყო წამოყენებული არცერთი კონსტრუქციული წინადადება არც მანამდე და არც შემდგომში, რათა დარეგულირებულიყო აფხაზეთში არსებული პრობლემები. ათწლეულები ის ემხრობოდა გაქციკას: „ბავშვი ყველაფრით გაერთოს, ოღონდ არ იჭერვიულოს“. დაღვინიში, პოლიტიკური სიბეცე თუ

<http://www.svjbodnaya-gruzia.com/print.php?url=politic>

ღალატით?! როგორც ჩანს – სამივე ერთად.

**განსჯა მეორე:** ურთიერთწინააღმდეგობა და პოლიტიკური დაპირისპირება აფხაზეთში შესაძლო იყო, და უნდა ყოფილიყო დარეგულირებული მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. გრადიციული მიდგომა იყო უალტერნატივო: იყო ომის აცილების შესაძლებლობა. მაგრამ მხარეების მიერ იქნა იგნორირებული დაგროვილი პრობლემების დარეგულირების გრადიციული მიდგომის შესაძლებლობები, ხოლო საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება, რომელმაც მოახდინა მანამდე სისხლიანი გადაგრილება თბილისში, ისარგებლა რა პოლიტიკური კრიზისით და ქვეყანაში არსებული ქაოსით, თითქოსდა საგრანსპორტო კომუნიკაციების და სხვა ობიექტების დაცვის მიზნით, ნაცვლად პოლიციური რაზმებისა, ქვეყანაში არსებული ზოგადპოლიტიკური სიტუაციის არ გათვალისწინებით, ჯანსაღი ამრის საწინააღმდეგოდ განახორციელა აფხაზეთში საგანკო ფორმირებათა მარშით გადმოსვლა. რომელსაც მოჰყვა მძაფრი სისხლიანი დაპირისპირება, და გაუმართლებელი მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, ათეულობით ათასი მშვიდობიანი მცხოვრების დეპორტირება, სოფლების და ქალაქების ნგრევა, აფხაზეთის კულტურულ დაწესებულებათა განადგურება. აი, შედეგი იმ სიგიჟისა და ვანდალიზმისა.

**განსჯა მესამე:** აფხაზეთი სამხედრო კონფლიქტი საჭირო იყო ყველასათვის. ის სჭირდებოდა აფხაზეთს ხელმძღვანელობას, რამეც მან არაერთგზის ომისაღმინად განცხადა. სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში სჭირდებოდა რუსეთსაც თავისი შორსმიმავალი იმპერიული გეგმებისათვის. მაგრამ ყველაზე მეტად სჭირდებოდა იმუქამინდელ ქართულ ხელმძღვანელობას. მას იგი სჭირდებოდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების სხვა კალაპოტში გადასაყვანად. საჭირო იყო საზოგადოებრივი ყურადღების გაფანტვა თბილისში მომხდარის მიმართ. საზოგადოების ყურადღება უნდა მიმართულიყო სხვა პრობლემებზე, უფრო მნიშვნელოვანზე და ეს პრობლემა მისი არსებობის გამო უნდა გამოეგონათ, უნდა შეექმნათ. გარდაუვალ სამოქალაქო ომს უნდა მისცემოდა სხვა, ეთნიკური ელფერი. საჭირო იყო სხვა დონის პოლიტიკური კონფრონტაცია: საჭირო იყო ეთნოკონფლიქტი. ის სჭირდებოდათ

ჰაერივით. სხვა შემთხვევაში სამხედრო ხუნგა ვერ შეინარჩუნებდა სავარძლებს. სამოქალაქო ომი მას წალეკავდა! მათ ეს ესმოდათ და ელოდნენ შემთხვევას – საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწკალი და ხანძარი უბრუნველყოფილი იქნებოდა. ამის პირობები რეალურად იყო აფხაზეთში. საქართველოს ხელმძღვანელობა მიდის ამაზე იმის გამო, რომ ხალხის ნებისყოფა და ენერჯია წარმართოს სხვა მიმართულებით იმ მიზნით, რომ წარდგეს საკუთარი (თუ ის საკუთარია!) ხალხის წინაშე მესიის, მსხნელის მანტიით. ასე მოგყვება ხალხი!

კონფლიქტს აფხაზეთში აქეზებდნენ, როგორც აფხაზეთი ამბიციური ომის პარტიის ლიდერები და ადგილობრივი საზოგადოების ექსტრემისტული ნაწილი, ასევე რაც მთავარია ქართული ხუნგის ლიდერები და მათი ხელმძღვანელი – თავად ბატონი შევარდნაძე. მისი როლი განსაკუთრებული და უნიკალურია. ამ ისტორიაში ის გვევლინება განკერძოებულად.

**განსჯა მეოთხე:** საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ის გარეპოლიტიკური უწყების ყოფილი ხელმძღვანელი, საერთაშორისო რეაქციონისტური ძალების უშუალო დახმარებით და მხარდაჭერით ამზადებს და ახორციელებს საქართველოში სამხედრო გადაგრილებას. ამხობს კანონიერ ხალხის არჩეულ ხელისუფლებას და სისხლით და მახვილით მოდის ხელისუფლებაში. ის იყო საბჭოთა იმპერიის ნგრევის გასამრჯელო. იმდროინდელ საქართველოს ნაკლებად იცნობენ მსოფლიოში, მაგრამ ის მსოფლიო დემოკრატიის მთავარი არქიტექტორი შეჩვეულია ძლიერთა ამაქვეყნისა ორბიგამე ბრუნვას და კვლავ უნდა აღმეგდეს. მაგრამ როგორ? ხელისუფლებაც უნდა შეინარჩუნოს! ეს მარტივი არ არის! სიტუაცია ასეთია: დროზე ქუდზე კაცი იხმო! თან ძალიან მარტივი; არა სამოქალაქო ომი, არამედ ურთიერთეროვნული კონფლიქტი-საჭირო იყო ურთიერთეთნიკური კონფლიქტი, მაგრამ არა ლოკალიზებადი და დათრგუნული, როგორც 1989 წელს, არამედ ინტორნაციონალიზებული და ფარგლებს გარეთ გამოგანილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული, ვთქვათ ქენევის ან სხვათა მიერ. აი, მაშინ კი შეიძლება ლიბერალიზმის ლიდერების, ახალი მსოფლიო წესრიგის დამქაშების ყურადღების მიპყრობა. ხელაგ რა მდგომარეობაში ვარ?

მისხენით! მე თქვენ მაშინ დაგეხმარეთ, ჯერი თქვენზეა! ყველაფერი იყო იუველიურად გაანგარიშებული; საგანკო ლაშქრობა აფხაზეთში და მას კვლავ სადავეები ხელში აქვს! ის კვლავ ხვდება თავის მასონ მეგობრებს, ძლიერთა ამაქვეყნისა, გამოდის საერთაშორისო ფორუმებზე და მაღალი გრიბუნდანი უზიარებს შთაბეჭდილებებს, როგორ უნდა დაამარცხო საკუთარი ხალხი, როგორ გააღვიძოთ ეთნოშორისი კონფლიქტები და როგორ მოაგვარო ისინი შემდეგში და მართლაც კომედიურ გრაგელიამდე ნახევარი ნაბიჯიდაა. ხალხს რა?!.. რა შუაშია ხალხი და მისი ინტერესები?! მას ხალხისთვის არ სცალია. ამნაირებისათვის ათასობით მსხვერპლი - სტაგისტიკაა მხოლოდ და მხოლოდ. ასეთია მისი და მისნაირ ხალხთა ლოგიკა! ასეთია იმ ხალხთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ვინც აღმოჩნდა საკუთარი ავადმყოფური ამბიციების, პირადი ილუზიებისა და ავადმყოფური ფსიქიკის ტყვეობაში.

**განსჯა მეხუთე:** ამრიგად აფხაზეთში არ იყო უმნიშვნელო პრობლემები, მაგრამ აფხაზეთი არ იყო დაყენებული ბორბლებზე და აფხაზები, მთელი ერთი, მათ შორის 250000-იან ქართული მოსახლეობით ვერ შეძლებდნენ ფსოუზე მის გადაგანას. მათონ შეიძლებოდა ლაპარაკი, მათთან შესაძლო იყო მოლაპარაკება. საჭირო იყო მხოლოდ დიალოგი! ვიმეორებთ, იყო პრობლემები, მაგრამ სულ სხვა თვისების. ისინი უნდა გადაწყვეტილიყო სხვანაირი მშვიდობიანი გზით. ვიმეორებ, მშვიდობიან პოლიტიკური დიალოგის გზით, მაგრამ აქ საუბარია სხვა პრობლემებზე, იმ საბედისწერო პრობლემებზე, რომელიც ხელოვნურად შექმნა ქართულმა ხელმძღვანელობამ. მან საკმაოდ შექმნა და სტოიკურად ებრძოდა! ყოველ შემთხვევაში ვითომ სინამდვილეში ახდენდა თავის მზაკვრულ ჩანაფიქრებს— აფხაზეთის რეალიზებას. შევარდნაძეს უნდა შეენარჩუნებინა ხელისუფლება, ამისათვის უნდა დაეძრა განკები აფხაზეთში. მიზეზი იყო, არ იყო საბაბი, საბაბიც მოიძებნა:

განუკითხაობა რკინიგზაზე! შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ რკინიგზა არაფერ შუაშია. თურმე უნდა შეგვენარჩუნებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. სასაცილოა საგირალიც რომ არ იყოს!

**განსჯა მეექვსე:** ერთი შეხედვით რა არის ამაში განსაკუთრებული. მთავრობა

უფლებამოსილია თავისი შეიარაღებული ძალები გადაადგილოს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ასეთ უფლებას მას აძლევს კონსტიტუცია-ძირითადი გარანტი მართლწერივისა სახელმწიფოში. მაგრამ ერთი პირობით: მთავრობა უნდა იყოს კანონიერი და ქვეყნის კონსტიტუცია უნდა იცავდეს ყველა მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს და არა მხოლოდ მოქალაქეთა ნაწილს. იყო ყველაფერი, მაგრამ არ იყო მთავარი-არც კონსტიტუციისა და არც ხალხის მიერ არჩეული მთავრობა. იყო მხოლოდ სისხლიანი ხუნგა, რომელმაც მანამდის დაამხო კანონიერი მთავრობა და რომელმაც უკანონოდ შეაჩერა სახელმწიფოს კონსტიტუცია, უკანონო ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა სამხედრო შენაერთებს, რომლებიც იყო დაკომპლექტებული ძირითადში კრიმინალური ელემენტებით, ბანდფორმირებებით. აი, რა გომ გახლდათ აფხაზეთში საგანკო ფორმირებათა შემოყვანა არაკონსტიტუციური და არა მართლმომიერი. ეს რა თქმა უნდა იყო დანაშაულებრივი ნაბიჯი! რა თქმა უნდა იყო ღალატი!

**განსჯა მეშვიდე:** აფხაზური კონფლიქტი არ იყო ეთნოსთაშორისო და ის არ აღმოცენებულა რელიგიურ საფუძველზე. ეს იყო წმინდა პოლიტიკური კონფლიქტი! მას საფუძველად ედო გემოაღნიშნულ გარემოებათა გარდა აფხაზური ეთნიკური უმცირესობის ჰიპერგროფისებული და არა რეალური მოთხოვნები. მათი ინტერესების გათვალისწინება იყო შესაძლებელი და პრობლემაც მოგვარდებოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მხარეთა პოლიტიკური ნებისყოფა. აი, ეს კი არ იყო! ამ დეფიციტმა მიგვიყვანა სისხლიან დაპირისპირებამდე. ეს იყო საქართველოს უკანონო ხელისუფლების კონფლიქტი საკუთარ ხალხთან!

**განსჯა მერვე:** აფხაზური კონფლიქტი მზადდებოდა გულდასმით. მას წინ უძღოდა არაერთგზის სადამსჯელო ექსპედიციები სამეგრელოში კოლხების გენოციდი: ენგურს გაღმა მათ ესროდნენ, როგორც ქართველებს, გმომბა-როგორც არაქართველებს! ამაში იყო მთელი ქართული ხალხის, ერის გრაგელია! მაგრამ ეს საჭირო იყო. სადამსჯელო ექსპედიციები საჭირო იყო ჩაეხშოთ პრემიენგ გამსახურდის მომხრეების წინააღმდეგობა სამგრედიანში და აფხაზეთში,

განემტკიცებინათ ქაოსი და უმართაობა, მათ შორის რკინიგზაზეც, მაქსიმალურად შეესუსტებინათ მურგი იმისთვის, რომ მოეხდინათ საგანკო გადასროლა და ჩაეხრებინათ აფხაზეთი. ჯამში კონფლიქტის შედეგი გახდა უამრავი მსხვერპლი, სახელმწიფოს გერიგორიული მთლიანობის დარღვევა და ასობითათასი ძირძველი მოსახლეობის დეპორტაცია, საკუთარი ხალხის სულიერი და ეკოლოგიური გენოციდი, აფხაზებთან გაუცხოება. მათ და ქართველთა შორის სისხლით ნათესაური კავშირების მოშლა ნაწილობრივ, მაგრამ შევარდნაძის დახმარებით განხორციელდა რუსული პროიმპერიული ძალების ოცნება - საქართველო ქართველების გარეშე. დროებით მაგრამ! აი, მთავრი შედეგი ამ ჭკუასუსტობის და ღალატის! რის შედეგად აფხაზეთი გაველურდება, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი. უკერძო სახლებს იკავებენ სხვები, მათ შორის გადამთიელები. ადგილი აქვს რუსების გაუგონარ ექსპენსიას! მიმდინარე პროცესების გაღრმავების შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება თვითონ აფხაზეთი ეთნოსის ბედი. ისინი აღიგვებიან. ამის მაგალითი უამრავია! ამაშია მთავარი გამაფრთხილებელი შედეგი კონფლიქტისა თვითონ აფხაზებისთვისაც!

**განსჯა მეცხრე:** სადღაა გამოსავლი? გამოსავალი ერთშია: აფხაზები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ ფესვებს, ისტორიულ გამოცდილებას-ისინი არიან კოლხური კულტურის ნაწილი და მხოლოდ კოლხებთან და მთლიანად ქართველებთან ერთობაში შეძლებენ თავიანთი კულტურის თვითმყოფალობის შენარჩუნებას, როგორც ერი. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხეში დადგება ერის მომავლის პერსპექტივა. ეს უნდა ვაღიაროთ და უნდა გვახსოვდეს. წყენა, გკვირილი უნდა გადავლახოთ! ისტორიას ახსოვს უამრავი მაგალითი იმისა, რომ ერი იდგა არჩევანის წინაშე-ყოფნა არ ყოფნა“ აქ უნდა წინ წაიწიოს ჯანსაღმა გონებამ, გამჭრიახობამ, სწორმა გათვლამ! ეს ერთადერთი სწორი გზა არის კრიზისიდან გამოსასვლელად.

**განსჯა მეათე:** როგორც ქართული, ასევე აფხაზეთი მხარე უნდა დაფიქრდეს. დაფიქრდეს მასზე, რაგომ მოხდა ეს. დაფიქრდნენ და გაიხსენონ ის გადმოცემა, რაგომ წაკამათდა ორი ნადირი და რა ბედი ეწია იმ გემრიელ ხორცის ნაჭერს, როცა

სასიკვდილო ბრძოლაში დაიღალნენ და გადაწყვიტეს ცოცხალი მოესვენათ. უნდა დაფიქრდნენ იმაზეც რაა უკეთესი: რუსული დათვის მკლავებში ყოფნა თუ ძაღლთან, რომელიც იკბინება, მაგრამ მაინც ადამიანის მეგობრია! თუ მხარეებისათვის ძვირფასია თავისი ხალხის ბედი და მომავალი, მათ უნდა გამოაცხადონ მორაგორიუმი, ჩამოშორდნენ მგლების დემონსტრირებას და სამხედრო რიტორიკას. უნდა დამშვიდნენ, შეხედონ სიმართლეს თვალებში, აღიარონ შეცდომები, მისცენ მომხადრს სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება. აქედან გამომდინარე იურიდიული დასკვნებით ეს არის წინაპირობა, ეს ყველა საწყისის საწყისია. ამას არ შეუძლია არ შეანაცვლოს დაპირისპირება. ეს აამაღლებს ურთიერთგაგების და ნდობის ხარისხს, რაც უფლებას მისცემს მათ მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას. ამის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ხალხის მომავლისა და ბედზე ფიქრით. ეს შესაძლებელია მხოლოდ შეცდომების აღიარებით და მიგვევებით. სხვა გზა არ არის“

სხვა დანარჩენი –მორიგი სიგიჟეა მხარეებისათვის კიდევ უფრო მძიმე შედეგებით. არ უნდა დავივიწყოთ ეს!

**განსჯა მეთერთმეტე:** უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა მხარეს აქვს თავისი სიმართლე! თითოეულმა მხარემ უნდა აღიაროს და თავყანის სცეს მის აღმაგებულება სიმართლეს და თან უნდა ახსოვდეთ, რომ ორივე მხარის სიმართლე სხვადასხვაგვარია, და სათითაოდ არცერთი არ არის სწორი ჭეშმარიტებისა- მდინარის სხვადასხვა ნაპირებზე არ შეიძლება იყოს ორი ჭეშმარიტება! ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია და ჩვენს შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზები, როგორც ფიქრობს ზოგიერთი ვაი პოლიტიკოსი, ციდან კი არ არიან ჩამოვარდნილნი არამედ ოდითგანვე ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ ქართველებთან, ერთნი ოდნავ ჩრდილოეთით, მეორენი ოდნავ სამხრეთ მხარეს. პერიოდულად იცვლებოდა მათი ეთნიკური საზღვარი ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ და კიდევ იცხოვრებდნენ ერთად ხელი, რომ არ შეეშალათ.

**განსჯა მეთორმეტე:** აფხაზეთის ქართულ სამართლებრივი სივრცეში დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან ერთად. ეს შესაძლებელია მხოლოდ შეცდომების აღიარებით და მიგვევებით.

დიახ, მხოლოდ შეცდომების აღიარებით. ჩვენ ამიგ არაფერი დაგვაკლდება. გერმანელი ხალხის ბოდიშის მოხდა მსოფლიო ხალხთა წინასე ფაშიზმის გამო, ხომ არ შეუღახავს მათი ღირსება და მსოფლიო ავტორიტეტი პირიქით! ხო მარ მიგვებაბა გერმანული მაგალითისათვის? რაგომ არა? აფხაზური ხალხის ჩვენკენ შემობრუნება, მისი მენტალიტეტისა ეთნო-ფსიქოლოგიის გათვალისწინებით შესაძლებელია მხოლოდ სიმართლით. მხოლოდ სიმართლით და მართალი დიალოგით შესაძლოა მოიხსნას პრობლემები და დამყარდეს მშვიდობა და თანხმობა. სხვა გზა არც არის და არც არსებობს. ნუ ფიქრობთ, რომ ხალხი შეიძლება დააჩოქო. ხალხის ნების წინააღმდეგ, ხალხს მშვიდობას ვერ დააძალებს. ცდება ის ვინც განიხილავს ხალხს და აფასებს მის შესაძლებლობებს მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს გოლფასია იმისა, რომ ადამიანზე დამ ის ღირსებაზე განსჯათ მისი სიმართლის ან სხვა მონაცემებით. ჩვენს შემთხვევაში სტატისტიკა არ არის აფხაზთა მხარეს! თვითგამორკვევის უფლება ეძლევა არა ეთნოსს, არამედ ხალხს ერს და 17 % ეთნოსი არაა უფლებამოსილი მოსახლეობის დადანარჩენი ნაწილის თანხმობის გარეშე მოითხოვოს არარეალური რამ სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით ასეთი სტატისტიკა და ასეთი პროცენტული შემადგენლობა არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს უნდა ახსოვდეთ და იცოდნენ ყველამ. უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზებმა არ იციან და ესმით ეს. უპირველეს ყოვლისა განსახილველია სამურზაყანოს და სამურზაყანოელების სკითხი, რომლებიც აფხაზეთიდან დამოუკიდებლად, კოდირის ხეობისა და სამეგრელოს პროტექტორაციის ქვეშ, შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობასი. ამაზე რაგომღაც არ საუბრობენ არ არის ის არგუმენტი თუ აფხაზების ძირითადი არგუმენტია ის რომ ისინი რუსეთის რევოლიუციამდე არ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში და რაგომ არ თვლიან საქართველოს აფხაზეთის ინტერესების სამართალმემკვიდრედ, რაგომ არრ უნდა განვიხილოთ ცალკე სამურზაყანოელთა

ინტერესები ენგურიდან მოქვამდე? სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ უნდა ვკითხოთ სამურზაყანოელებს, ასევე კოდორის ხეობის მოსახლეობას. როგორ წარმოდგენიოაგ თავისი თავი ისტორიულ სამშობლოს, საქართველოს გარეშე უნდათ რუსეთში ? ეს არის საკითხავი! რაგომ არ ვკითხებიან მათ, ეთნიკურ ქართველებს და მათ გარეშე წყვეტენ მათ ბედს?! აი, რაგომ ძირძველი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებლად არ შეიძლება გადაწყვიტო აფხაზეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ბედი. ამაზე და სხვა დანარჩენზე უნდა დავფიქრდეთ ერთად, დარწმუნებული ვარ უფრო იოლად შევძლებთ ურთიერთგაგებას და მოლაპარაკებას. ჯერ უნდა გადაიდგას ერთი ნაბიჯი, შემდეგ მეორე! პარტნიორი მოიძებნება მოძრაობა და მიიღებს ორმხრივ ხასიაგს. მხოლოდ ორმხრივი მოძრაობის სწრაფვას ერთმანეთისაგან შეუძლია გამოიყვანოს პროცესი ჩიხიდან და დიალოგი გახდეს უფრო შედეგიანი და ნაყოფიერი. ასეთი გახდება ის იმ შემთხვევაში თუ რუსეთი სამშვიდობო ძალებთან ერთად დაგოვებს აფხაზეთს. სანმ ისინი აქ არიან არ იქნება დიალოგი და წინსვლა მოლაპარაკების პროცესში. ქართულ-რუსული რეგულირება საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა ქართული ხელმძღვანელობის ძალისხმევით. ამ შემთხვევასი როგორც დავრწმუნდით ნაგო არ არის მხსნელი რუსეთთან ურთიერთობის გზები ჩვენ უნდა მოვძებნოდ. ემოცია და სამხედრო რიგორიკა ამაში ვერ დაგვეხმარება, უნდა იყოს გაწონასწორებული მიდგომა. რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ეს არის უმთავრესი თუ არა გადაწყვეტი პირობა, მიზანი მისაღწევად.

**განსჯა მეცამეტე:** დიალოგი უნდა წარიმართოს არა მხოლოდ მოგადმისაღები და პრაქტიკით დამამტკიცებელ ჩარჩოებში არამედ ომიგ გახლენილ აფხაზურ სამოგადოებასგან, ისინი იცხოვრებენ ერთად მათ უნდა გადაწყვიტონ აფხაზეთის ბედი და მომავალი, ამიგომ მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ სხვებთან ერთად აფხაზეთიდან მოსახლეობის წარმოდგენლებით. პირველ რიგში მათ აქვთ უფლება ეთნიკურ აფხაზებთან ერთად აფხაზებზე. აი, რაგომ აქვს მოლაპარაკებაში მათი მონაწილეობას განსაკუთრებული აზრი





ლეგიტიმურობა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი, და ეს უნდა გაითვალისწინოთ. დეპორტირებული მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებსაც ექნება შესაბამისი ვალდებულებები შეძლებენ გაიყვანონ მოლაპარაკების პროცესი სტაგნაციის მდგომარეობიდან მხოლოდ მაშინ მიიღებს დიალოგი დინამიკურ და კონსტრუქციულ ხასიათს. ამრიგად ქართულ – აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გასაღები მდებარეობს ქართული და აფხაზური უმთავრესად აფხაზეთიდან განდევნილი ქართული მოსახლეობის ინტერესთა გადაკვეთაში, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პირობებში. მხოლოდ ასე, მხარეთა ჯანსაღ გონიერული ძალისხმევით შეიძლება გამოიყვანოს მოლაპარაკება ჩიხიდან და მოგვიყვანოს პომიციათა დაახლოებასთან და ინტერესთა დაბალანსებასთან. აი, რაზე უნდა გვესაუბრა და უნდა ვისაუბროთ მათთან. მხოლოდ ასე შევჩერებთ ერთა შორის უნდობლობის და ურთიერთდამორების პროცესს. ამრიგად, მხოლოდ დიალოგით, მხოლოდ და მხოლოდ უშუალოდ ეთნიკურ აფხაზეთთან შესაძლებელია დაბრუნდეს დევნილი ძირძველი მოსახლეობა საკუთარ ოჯახებში, ხოლო აფხაზეთი - საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში, ხოლო მის სახელმწიფოებრივ

მოწყობაზე ერთად სახელმწიფო შემადგენლობაში და კონსტიტუციურ გარანტიებზე შესაძლებელია მოლაპარაკება. ცალკე საკითხია აფხაზეთის ინტეგრაცია რუსეთის შემადგენლობაში. ეს არარეალურია! ცალმხრივად! ამაზე არაერთხელ განაცხადა მსოფლიო თანამეგობრობამ, გაერომ და მათ შორის რუსეთმაც. აფხაზეთიდან განდევნილ 400 000 ათასიან ძირძველი მოსახლეობის გარეშე არ შეიძლება აფხაზეთის ბედის გადაწყვეტა. ეს უნდა გვახსოვდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზებს ეს ყველაფერი ესმით. ვფიქრობთ, ისინი გააკეთებენ სწორ არჩევანს. ამ შემთხვევაში ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მომავალი თაობების ინტერესთა გათვალისწინებით გვმართებს გადავდგათ ერთადერთი გონიერი ნაბიჯი თვითონ მივუსხდეთ მოლაპარაკებათა მაგიდას. მხოლოდ ასე შეიძლება დაბრუნდეს აფხაზეთი ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, ქართულ სახელმწიფოებრივობაში. სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზას უნდა გვერჩიოს გონიერული და ერთადერთი სწორი გზა-მშვიდობიანი მოლაპარაკებები და კონსესუსი.

1991 წლის მოწვევის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:  
**ნ. შ. მესხია**

# მთავარია სახელმწიფოებრივი აზროვნება



— ბატონო ალექსანდრე ჩვენი ჟურნალის საახალწლო ნომერი საბრუნოდენტო არჩევნებს დაემთხვა. ჩვენ აქემდე ოთხი ნომერი გამოგვცით და ყველგან სათანადო ყურადღება მივაქციეთ ბატონ მიხეილის ფენომენს, მის დაუთოკებელ სწრაფვას საქართველოს რეალური თავისუფლებისაკენ. ჩვენ უამრავი ასპექტით განგვიხილავს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოს ორიენტაციის საკითხი: გუბაზ მუფე და ბიზანტია-ირანს შორის არჩევანი; ერეკლე II და რუსეთ-სპარსეთი. ახლაც მსგავს სიტუაციაში ვიმყოფებით: რუსეთი თუ ამერიკა, ევროპული ფასეულობები?! იქნებ ამ უმთავრესი ქვეკუთხედიდან შევდგომოდით საუბარს.

— ჩვენ ყურადღებით მივადევნებდით თვალს „კირიბის“ — იგივე ოქროს საწმისს. მიხარია, რომ თქვენი უმთავრესი პლატფორმა სახელმწიფოებრივი აზროვნებაა. ამ თვალსაზრისითაც მრავალმხრივ საინტერესოა თქვენი პერიოდიკა. ეს ზოგადად. გასული საუკუნის მიწურულს სრულიად

საქართველოსთან ერთად სამეგრელომაც მეტად დუხჭირი ცხოვრება გამოიარა. გულთან მისატანია თითოეული ავტორის მოსაზრება. ყველა ქართველს ერთი შურობუმე გვაქვს, ერთი სამშობლო და აქ პროფესიონალი თუ რიგითი მოქალაქის პოლიტიკური დასკვნები ჩვენს საწუთროზე ზედმიწევნით ემთხვევა ჩვენი გუნდის პლატფორმას, მიდგომებს. თვრამეტი წელდიწადია ნელ-ნელა ვიმართებით წელში... ქვეყნის მესვეურის პიროვნულ ღირსებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გარდაქმნებისას.

— პრობლემა იყო მითოლოგიური წარსულიდან ხალხის პირველი ქობაგი, მან იმდენი სიბრძნე ჩამოუტანა თლიმპოდან ადამიანებს დვითური ცეცხლის სახით, რომ მიწისგან გამოიქრწილი კაცობრიობა დასახლდა, დოვლათი მოამრავლა, ქალაქები ადაშენა. ამან გადარია ზეგსი და მიაჯაჭვა კიდევ უფლის საკეთებელ საქმეებში ჩარეული ტიტანი ბიტალო კლდეს.

— საქმეც ეგ არის. პიროვნების როლზე ბევრი თქმულა. დასამალი არაფერია, პიროვნებები ქმნიან ეპოქებს, რადგანაც მასები, როგორც ფუტკრები ყვავილებს, ისე ეტანებიან მართალ სიტყვას. ეს სიტყვა კი ორჯერ ორი — ოთხია. აქ გამომგონებლობა, აბსტრაქცია არაფრისმთქმელია. კარგი ჭის მოხრელისთვის ზედმეტი ბარგია თარაზო, მისი ხელის გულია ყველა სახის ინსტრუმენტი. ბედნიერია ერი, ვისაც ასეთ პოლიტიკოსს არგუნებს ბედი. ბევრის მთქმელია შუალამე ჭრაქით მიმავალი ბრმა მოხუცი, თქვენი ჟურნალის

პუბლიკაციიდან, რათა გადარეული ახალგაზრდები აქეთ არ დაეჯახონ. აქ გასაოცარი ლოგიკაა: ბრძენი ვალდებულია ნიშნები გაავლოს ზნეობრივსა და უკეთურს შორის, რათა არ მოხდეს ფასეულობათა აღრევა. თქვენი ავტორები სახელმწიფოებრიობის უქონლობას მიიჩნევენ ჩვენი სამშობლოს აქილევსის ქუსლად. ის საუბრები ათი წლის წინანდელია, მაგრამ ჩვენ დღეს უფრო მკაცრ ოპონენტებთან გვიხდება თვალის გასწორება, არგუმენტების მოშველიება. ორი პრეზიდენტისა და ოთხი მოწვევის პარლამენტის ზიგ-ზაგიანი პოლიტიკური მემკვიდრეობა გაუნაღებელი თამასუქებით გამოეცა ბატონ მიხეილს. საცერი არავის გამოადგება ღვინის ამოსღებად. არც დამტვრეული დოქი თუ ალად-ალაგ გახვრეტილი მათარა. სანამ იმ ბზარებს არ ამოგოზავ, ღვინო გაგექცევა ჭურჭლიდან. დაახლოებით ამას ჰგავდა ჩვენი ბიუჯეტი. მე პრეზიდენტის დაცვაში ვიყავი ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს და ბევრი ვიცი მისი დიაპაზონის შესახებ. უფრო განათლებული პიროვნება დღევანდელ საქართველოში ნაკლებად მეგულება. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი შარავანდედიანია და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ — ხელდასმული, ანუ გახსნილი აქვს ყველა დაბეჭდილი საიდუმლო წერილი. ჩვენი ქვეყანა ფსკერმონგრეულ ხომალდს ჰგავდა. პირველი შეტევა ამიტომაც განხორციელდა აჭარის მიმართულებით, რომელიც ფაქტობრივად არაკონტროლირებადი იყო ათწლეულების მანძილზე. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელზეც თქვენც მსჯელობთ ზემოთ, არაფრისდიდებით გალისხმობს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან ამოვარდნას. ეკონომიკური პრიორიტეტები ამა თუ იმ რეგიონისათვის,



პირველ რიგში მთლიანი ქვეყნის აღორძინებისთვისაა მოაზრებული და არა — იზოლაციისათვის, არა კარჩაკეტილობისათვის. ასე ფიქრობდა დენ სილა პინი ჩინეთში, როცა ამ გიგანტ ქვეყანას 11 ერთეულად ყოფდა. პრეზიდენტისა და მთელი ჩვენი გუნდისათვის მთავარზე მთავარი სწორი ორიენტირის პოვნა იყო, თანასწორუფლებიანი პარტნიორობა ყველასთან, რუსეთთან, ამერიკა თუ თურქეთი. ჩვენ, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში, შესაძლებლობის მესამედიტაც კი ვერ ვახერხებთ ქვეყნის ნორმალურად მართვას. თხილის ნაჭუჭისათვის, რომელზეც თქვენ იქ მსჯელობთ, ბუნებრივია, ოდესმე მოვიცლით, ახლა კი საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის კვალბაზე, მოვლენებისადმი თანადროული რეაგირება გვმართებს. სანამ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში არ აღსდგება ჩვენი იურისდიქცია, ვერანაირ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე ვიმსჯელებთ. ჩვენ, მართალია, მივალწიეთ და მივალწიეთ მომავალში წარმატებებს ქვეყნის გარკვეულ უბანზე, გარკვეულ დარგში, მაგრამ სანამ ორგანიზმი დანაწევრებულია, მასშტაბური აღმავლობის იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ. — **გვადარებდნენ კიდევ**



**ბალზაკის შაგრენის ტყავს ამავე დასახელების რომანიდან. სკულპტურაში ტორსი ჰქვია ჩვენი აღნაგობის სხეულს: მოკგეთილია თავი და კიდურები. მხოლოდ ტანი დარჩენილა და — დაუღალავად მფეთქავი გული.**

— ქვეყნის პრეზიდენტს ოპოზიცია სრულიად უსამართლოდ წამოაძახებს ხოლმე უცხოეთში მოგზაურობებს. არადა, ყველას გასაგონად ვამბობ: ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის მთლიანობის აღდგენაა-მეთქი. ამ პრობლემის გადაუჭრელად კუს ნაბიჯებით ვივლით გამუდმებით, როცა აქილევსის სიწრაფე გვმართებს. საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ ნათელი მოჰფინა ძალთა განლაგებას საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. აგორდა ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, თითქოსდა დემოკრატიის დეფიციტია ჩვენში. მქონდეს საშუალება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, გარკვეულწილად შევზღუდავდი მას-მედიის აღვირახსნილს ქმედებებს, რომელიც გეგმაზომიერადაა მართული მეზობელი ქვეყნების ინტერესებით. აქ ლომის წილი რუსეთისაა. მე უამრავი მასალის მოშველიება შემიძლია საილუსტრაციოდ, თუ რანაირ პოლიტიკას ატარებდა რუსეთი საქართველოში. გავიხსენოთ ბოროზდინი, მეფის რუსეთის მოხელე სენაკის მაზრაში. რუსეთის ხაზინა ჩვენს მითოსურ მოძმე ხალხს თურმე უპროცენტო სესხს აძლევდა ქართველი თავად-აზნაურობის გასაკოტრებლად, მათი მამულების ჩალის ფასად ხელში ჩასაგდებად. ბატონი გოგი გაჩეჩილაძის გამოკვლევებით, რუსეთს შუაგულ ომში მარტოდმარტო ათგზის, ასგზის მივუტოვებვართ მრისხანე მტრის წინაშე. ვერ მოიშალეს მათ ქედმაღლური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ჩვენც იძულებული შევიქნენით ტოტალური გენოციდის თავიდან ასაცილებლად რაღაც ქმედითი



ნაბიჯები გადაგვედგა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ამისი ნათელი დადასტურებაა წარმატებული პროექტები: დიდი აბრეშუმის გზა, ნავთობსადენები, ბაქო-ყარსის ავტობანი, რომელიც შეუფერხებლად გაგვიყვანს ევროპაში. რუსეთი გაბოროტებულია. მიხვდა — ხელიდან ეცლება კავკასია, ვინაიდან ამ სივრცეში საქართველო გზაჯვარედინია და ავტონომიებში ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმებით ცდილობს ჩვენს საბოლოო დასამარებას. მაგრამ ეს არ მოხდება ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ვინაიდან ჩვენ შორს ვართ ფერად-ფერადი ილუზიებისაგან. ხიშტითა და ჩექმებით წამოსულ მტერს ჩვენ ვარდების სროლას კი არ დაუწყებთ, არამედ უკვე შეგვწევს უნარი საკადრისი პასუხი გავცეთ ნებისმიერ გამოხდომას. დილის თერთმეტი საათია. მობილურზე მირეკავს ვილაც ნაცნობი ენგურსგადმა სოფლიდან, განმუხურიდან: რუსების ალყაშია მოქცეული საერთაშორისო ბანაკიო. ჩვენ ამ ბანაკის გამართვით თვალნათლივ გამოვავლინეთ ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ტერიტორიული მთლიანობისკენ. იგივე





ხომ არ ვინახავდით ბანაკში. დაძაბულობამ პიკს მიაღწია, რადგანაც ჩვენმა შენაერთებმა ზღვიდან დესანტი გადმოსხა და რუსი ცისფერჩაფხუტიანები ალყაში მოვაქციეთ. შევატყობინეთ ყოველივე ქვეყნის პრეზიდენტს. მანაც დაუყოვნებლად გვითხრა, რაც შეიძლება საუბარი გაწელეთო. და, აი, ყველასდა საკვირველად წინ მოუძღვის მთავრობის წარმომადგენლებს. ჩვენ თავიდან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით და საკუთარი გამბედაობის წყალობით ვაკავებდით არასასურველ სტუმარს. ახლა თავად რუსები გარბიან პოზიციიდან, სამშვიდობოს გაღწევა უნდათ, მაგრამ სააკაშვილი რომ გამოჩნდება, ყველა გაემშდებით, მტერიცა და მოყვარეც. გრძელი ნაბიჯებით მოუყვება სანიმუშოდ დაგებულ გზატკეცილს ჩვენი პრეზიდენტი. ეს სამუშაოები სენაკურმა ფირმა „არქეოპოლისმა“ შეასრულა (პრეზიდენტი **დემურ გადელია**). მსგავსი გზატკეცილი არათუ აქაურობას, დასავლეთ საქართველოს არ ახსოვს. მოდის ბატონი მიხეილი, თამამი, ბობოქარი. მოგვიანებით ოპოზიცია უკადრებელს იკადრებს: ყველაფერი შეთანხმებული იყო რუსეთის მხარესთანო, იტყვის. მე მის დაცვაში ვიყავი ოპოზიციონერობის პერიოდში და ხომ ვიცი, როგორი თავგადასდებულიცაა. ოპოზიციამ ფრთები გაშალა რუსების უკუნონო ქმედებით: მიდით, მიაწექითო, მისცეს სიგნალი. ახლა თავს იკატუნებენ. რისი აგენტურა, რისი გამცემლობაო. ქურნალისტებს ველაპარაკებით ტელეფონითო. კარგი არგუმენტი, ღმერთმანი! განსაკუთრებით ძმები გამსახურდიების დიპლომატი გაწელილ გადატრიალებაზე: ძიათასი კაცი გაყვდათ და რას უცდიდით აქამდე. აწი დაგვიანებულია, ტოო. ან ძმები ბერძენიშვილების ბობოქრობას



ნაბიჯებია გადადგმული კოლორის ხეობის მიმართულებით. რუსები პროვოკაციაზე მოდიან, არაფერს ერიდებიან საამისოდ. არ გამოდის ორ ცხენზე ჯდომა, ორი სტანდარტი. დიახ, მირეკავს: რუსების ალყაშია მოქცეული ჩვენი ბანაკიო. მთელი ადმინისტრაცია დავიძარით იქითკენ ატონ ზაზა გოროზიას მეთაურობით. განმუხურის ხიდთან სამშვიდობოები არ გვიშვებენ ჩვენს ტერიტორიაზე. საათზე მეტ ხანს გაგრძელდება მოლაპარაკება. ნელ-ნელა მივიწვევით ჩვენი ბანაკისაკენ. იქ ათობით ჯავშან-ტრანსპორტიორი და კბილებამდე შეიარაღებული ხალხია თავმოყრილი. სახეზეა სამშვიდობოების უფლების აშკარა გადამტება. როცა ბანაკის დამცველმა მცირერიცხოვანმა რაზმმა წინააღმდეგობა გაუწია ცისფერჩაფხუტიანებს, გაკოჭეს, არაადამიანურად ცემეს. კიდევ კარგი, ბანაკში უკვე დამსვენებლები არ იყვნენ. იქ მხოლოდ მომსახურე პერსონალი იყო განთავისუფლებული და ხუთი სამხედრო პირი, ვისაც ტერიტორიის დაცვა ევალებოდა. რუსებს, ცხადია, უნდოდათ გაეგოთ, რაიმე სამხედრო საიდუმლო იარაღს



დაუდგება წინ რამე დამოუკიდებელი საქართველოს აშენების გზაზე?! ერთი ჩვენს კლასიკოს მწერლებზე იყო მწყრალად, ხოლო მეორე აფხაზებს ფეშქაშად მიართმევდა დამოუკიდებლობას. ჩვენმა ხელისუფლებამ დროზე იზრუნა საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართული მოხმარებისათვის. ამისი დასტურია ზუგდიდის მერიისა და საკრებულოს შეთანხმებული საქმიანობა. დიდადაც რომ უნდოდეს რომელიმეს ხალხის ფულით გამდიდრება, ერთი მეორის დასტურის გარეშე გახვეტილ შაურიანს ვერ გახარავს. შესაბამისად პასუხისმგებლობაც ორმხრივია. მარტო დაჭერებით და ციხეში ჩასმით საქმეს ვერ გამოვასწორებთ. განიავებულ თანხას არაფერი ეშველება, მით უფრო — მოცდენილ დროს, ჩაგდებულ საქმეს. ათლარიანს ვერ ახურდავენებ თქვენი ჟურნალის რესპოდენტები. მწარე სინამდვილეა, მაგრამ ფაქტი. ან სად არის ჩაბნელებული ქუჩები, ქალაქები, სოფლები?! ელექტროენერგია, როგორც არასდროს, საბედნიეროდ რა ხანია დეფიციტური არ არის მთელს საქართველოში. თქვენებურ ტერმინს თუ მოვიშველიებ, „ამისტობას“ და „ამისტობას“ ვგულისხმობ, ჩვენ მონოლითისტები გამოვდივართ, რაც უწინარესად ქვეყნის მთლიანობას გულისხმობს. ეს მიგვაჩნია საფუძველთა საფუძველად. მასზეა აშენებული მერე ერის ფსიქიკური და ეკონომიკური მთლიანობა. პრეზიდენტმა საქართველოში ნონგრანტად გამოაცხადა გენერალი ჩობანი. იმ პირობებში, იმ სიტუაციაში რომ არა მიხეილ სააკაშვილის პიროვნული სიმამაცე, შესაძლოა ლოკალური კონფლიქტი მასშტაბურ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. მოკლედ, გადავრჩით რუსებიცა და



ქართველებიც.

**— ბატონო ალექსანდრე, აქ სადათ არაფერია, მაგრამ თბილისის მიერ ხელისუფლების მიმართ ბოლო დროს წამოყენებულ ბრალდებებს გონიერი ქართველი გულგრილად ვერ ჩაუვლის:**

- 1. თბილისური ტაღდის აგორების შედეგ რისთვის გაასვენდათ აკადემიკოსებისათვის სოლიდური გასამრჯელოს გადახდათ;**
- 2. პრეზიდენტმა ასაკობრივი საბაბით დათხოვილი ათასები მხოლოდ ახლა გაიხსენა; ქვეყნის მართვა ბიჭბუჭებს ჩაუგდო ხელში და პროფესიონალებს ჩარეცხილები უწოდათ.**
- 3. მიზანმიმართულად მოშალეს ეროვნული ფსიქიკათ. სანიმუშოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სასოწარკვეთილ ეპისტოლეებს მოიშველიებენ.**
- 4. დღეს ცხოვრების წესად იქცა ეროვნული სიმდიდრეების გახსენების პრაქტიკათ. ამ პოცესს პიპერმასშტაბურს უწოდებენ დღევანდელ საქართველოში. თბილისის მტკიცებით ჩვენი ხელისუფლება დამსგავსებია**





ჩარჩის, რომელსაც ყველაფერი აუქციონზე გააქვს გასაყიდად ბებიების საგულდაგულოდ გაუთოებული ნიფნაგებით დაწყებული, მონდომებით გაბოხილი ბაბუათა ძეგლებით დაპთავრებულით. ვაპოიბებება ინგესტორი. ვაპოქვეყნდება საპრიფატიზაციო თბიექტების ნუსხა რომელიდაცა პერიფერიულ გაზეთში და ჩალის ფასად გადაეცემა გაურკვეველი ვინაობის ინგესტორის სახალხო დოვლათით. აქ ფარული ვარიგება აშეარაა, მაგრამ მიდი და ვაბედუ ამისი ხმაშალადი ვაცხადება! ვირის აბანო სანატრული ვაგინდება კუკიის ბექობს თუ არ დურთუ თავიო! ვასხვისების ჭაფლები ზუგდიდ-ქალაქისაც მოსწვდომია ბოლო დროს. შართალია, აქ ნაკლებია თვალწარმტაცი უძრაგ-მოძრაგი ქონება, მაგრამ ცაიშის სანახებს შაინც გამოკრეს კბილი ჩინელებმა. ესეც რომ არა, დადიანის სასახლე, რომელიც წლების მანძილზე ჯიჯგნეს კომუნისტებმა — ჯერ სტალიონის ტერიტორია ჩამოაჭრეს, მერე მეოთხე სკოლის, ინდუსტრიული ტექნიკუმის. ახლა ბოტანიკურ ბაღსაც შეუტყესო. ვაყიდა ჩვენი კუთხისათვის არ

ყოფილა უცხო ხელი. ამის თაობაზე მოუთხოვენ ბორიზდინი, არქანჯელი ლამპერტი. იტალიელი მისიონერის რწმუნებით, ვინმე თავად ჭილაძეს თორმეტი მღვდელი გაუკრეჭია და ისე მოუყიდა თუქებისთვის. ქმარი ყიდა მეუღლეს, ხოლო შემოსული თანხიდან ნაწილს სირუმის საფასურად მიაშავებდა ცოლოურებს. ვასხვისების ტალდა განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების მუშაკების საკუთრებებს დაატყდა თავზე რისხვად. ყველაზე დაბალი ღობე დღეს ერის უგვირგვინო მეუფე — შემოქმედი ხალხია. ამას წინათ ვადავშალე ადგილდობრივი ვაზეთი „ზუგდიდი“ და ვაფიგე რომ „საჭადრაკო სკოლა-ნონა“, „სამხატვრო სკოლა“, „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“, არაბროფესიული (სამეარული) თეატრი „ჩხოროია“, მუსიკულარი პირველი, მეორე და „საგუნდო“ სკოლები საგადასახადო წესით რეგისტრაციაში ვატარებულან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იბადება ეჭვი, რომ არ ემსგავსება ყოველგვ ბურგაკის საკალანდოდ გამოსუქების პროცედურას?! — ჩასაფრებული კაცი ყოველთვის მანკიერს ებლაუჭება ხოლმე. არ უნდა დაინახოს კოლოსალური ძვრები, რომელიც დღითი დღე მკვიდრდება ცხოვრებაში. ჟურნალის წინა ნომრებში თქვენ საუბრობდით ვადალებილ ფაიფურის ქარხანაზე და მორჩა. სინამდვილეში რამდენი ახალი საწარმო ვაიხსნა რევიონში. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მცირე ბიზნესის აღორძინებას. ბატონი ტარიელ ქანთარია კოლორიტული ზუგდიდელი კაცია. ის სახელისუფლებო შტოშიც საქმიანობდა ერთი პერიოდი. ვაჩნია დიდი სამეურნეო მოღვაწეობის

პრაქტიკა. ადგა და მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი. მოძებნა ინვესტორი. საათივით ააწყო საკონსერვო საქმიანობა. დღეს 11 დასახელების პროდუქციას უშვებს. ჩვენთან ბიზნესმენობა მოდაშია შემოსული. ყველა წარმოება-დაწესებულების ყოფილი დირექტორი მისი კანონიერი მფლობელია ამჯერად, მაგრამ წარმოებები მაინც გაჩერებულია. მათ ხელშეკრულებით ევალეზათ საწარმოს ეტაპობრივი ამოქმედება, მუშა-ხელის გარკვეული ოდენობით დასაქმება, მაგრამ ამისი შნო და მარიფათი რომ არ მოსდგამთ, კრუხივით ასხედან პრივატიზებულ ობიექტებს. თავს ნაკლებად იწუხებენ ასეთები. ჩვენ მოგვჩერებინა ხელებში, როდის მივართმევთ გრანტებს და გრძელვადიან სესხებს, მაშინ, როცა თავად უნდა დარბოდნენ ოფლის მოდენამდე. ათობით პროექტი უნდა ჰქონდეს თითოეულს, რათა ერთმა მაინც გაამართლოს. ინტერნეტში უნდა ეძებდეს პარტნიორებს და ასე შემდეგ. ბატონ ტარიელ ქანთარისასავით ინიციატივიანი ხალხი ცოტაა დღევანდელ სამეგრელოში, მაგრამ თანდათან ვეჩვევით საერთაშორისო სტანდარტებს, საერთაშორისო მოთხოვნებს. გაიშალა თბილის ბიზნესი. ჩამკვდარი მეფუტკრეობა წელში იმართება ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ მუხურში. რეგიონში ენდემური ჭიშის მეცხოველეობის აღორძინებას მესვეურობენ ბატონები: ჯონი ფიფია და გოდერძი წურწუშია. ესტუმრეთ სოფელ ნოსირში ხარჩილავების ოჯახს და თქვენი თვალით იხილავთ თუ რა შეუძლია თურმე ხელების წააკაპიწებას! შეიხედეთ წლობით გავერანებულ ზედაეწერში. იქ აღორძინების გზაზეა დამდგარი სრულიად უსამართლოდ მოძულეებული ჩაის კულტურა. როცა თანასოფლელებს გამოლვიძება



შეატყო ჩინებულმა მამულიშვილმა, ბატონმა ვაჟა თორდიამ, ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო. უკვე გადახურულია და სადაც არის ზარსაც ააგ უფუნებენ. სტატისტიკა შორს წაგვიყვანს. ვიდრე ოპოზიციის მიერ ზემოთ წამოყენებულ ბრალდებებს გაცემდე პასუხს ერთ საწარმოსაც წარმოგიდგენთ. სენაკის რაიონში, სოფელ თეკლათში ოდესღაც ჩინებულ მეცხოველეობის კომპლექსი იყო. იმ არეულობის წლებში პარტახად იქცა განუკითხაობის გამო. დანადგარები თურქეთში გაიზიდა ჯართად. დარჩენილი ფიცარ-ფიცარ დაშალეს და შინ წაიღეს. საქონელი დაკლეს და ბაზარში გაყიდეს. აი, ამისთანა ნაცარტუტად ქცეული წარმოების აღორძინება ითავეს წლების წინათ ძმებმა მამუკა და კახა ალანიებმა. დიდი ჯაფა დაადგათ ინვესტორის მოძებნის გზაზე. თვით საქართველოს პირველი ლედი, ქალბატონი სანდრა-ელისაბედ რულოვსიცი შეაწუხეს და ჰოლანდიელების გრანტით ჩინებულ მეცხოველეობის კომპლექსს ჩაუყარეს საფუძველი. ეს წარმოება ამჟამად რძის პროდუქციის წარმოებითაა დაკავებული. მათ მიერ წარმოებულ არაყანს მეტოქეობას ვერავინ უწევს რეგიონში. ის კი არა თბილისშიც კი ჩააქვთ თავიანთი





პროდუქცია. რამდენი ერთი ჩამოვთვალო: შეიხედეთ ხარჩილაგების ოჯახში ნოსირში. მათ კივის, ხურმის, ვერცხლისფერი ნაძვის ნერგები გამოჰყავთ და გასამრჯელოც ფრიად სოლიდური აქვთ. ვინც დაუზარელია, წელში მომაგრდა სოფლად, მაგრამ ამისი დამნახავი ძალიან ცოტაა. მომავალში გაცილებით მეტის გაკეთება განგვიზრახავს: ვაპირებთ ენგურჰესის მეხუთე აგრეგატის ამოქმედებას; ხუდონ-ჰესზე სამუშაოების განახლებას; საკონსერვო ქარხნის გასრულებას ცაიში **(გურამ დადუანი)**, რომლის პროდუქციას კონკურენციას ვერ გაუწევს უცხოური ხილ-ბოსტნეული; ნავსადგურის ამოქმედებას ანაკლიაში; ბიზნეს-ცენტრის აშენებას („სანი“), თხილის ნაჭუჭის ნედლეულზე ძვირფასი ავეჯის მწარმოებელი ფაბრიკის გახსნას და ვინ მოსთვლის. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენთვის უმთავრესი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ყველა ძალისხმევა აქეთკენაა მიმართული. დანარჩენისათვის ვიცლით შეძლებისდაგვარად. ჩვენ უკვე კარგად გავერთინილი არმია გვყავს. ადრე წვევამდევლები ათასი მაქინაციით თავს არიდებდნენ ჯარში სამსახურს. დღეს ეს

პრობლემა მოხსნილია. მეტსაც გეტყვით, სამშობლოს დაცვის გრძობამ ფართო მასშტაბი შეიძინა მოსახლეობაში და რეზერვისტების გადამზადებას ვერ ავუღივართ. ჩვენი შენაერთები თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა აღჭურვილი. ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან საბრძოლო წეს-ჩვეულებებს. შენაერთებში ჩვენ შევიტანეთ ფიზიკური წრთობის ახალი ელემენტები, რაც აღმოსავლური ბრძოლის ტრადიციების ათვისებას გულისხმობს. ამ საქმეში ტოლს არავის უდებს ზუგდიდელი ენთუზიასტი ლაშა შელია. იგი „კარატე-დო“-ს ინსტრუქტორია და სრულიად უსასყიდლოდ წვრთნის ჩვენს რეგიონში განთავსებული შენაერთების ჯარისკაცებს. მაგრამ ლაშა შელიას მიზანი გაცილებით მეტია. იგი ადრეული ასაკიდან ამეცადინებს მოზარდებს კონტაქტურ კარატეში. ჩვენი თაობა მიეჩნევა გულგატეხილობას, თავდახრილ სიარულს. „ვარდების რევოლუციამ“ თავის თავზე აიღო ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური წრთობის საქმე. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, გვასწავლიან ანტიკური ხანიდან მოყოლებული. დღეს ზუგდიდელი ნორჩი კარატისტების მიღწევები არნახულია. გვყავს 12 წლის მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ კარატეში გიორგი კვარაცხელია. მწვრთნელი გახლავთ ყურაშვილი. და მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლაშა შელიას მოღვაწეობა. წლეულს სექტემბერში მათ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში სამი ჯილდო მოიპოვეს — ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. აი, ახლახან თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში სამი ოქროს მედალი აიღეს ლაშას აღზრდილებმა. თავად მწვრთნელს კი უმაღლესი კატეგორიის ტიტული მიენიჭა.

ახლა მინდა ოპოზიციის ბრალდებებს მოვუბრუნდე. ცდომილებებს უამრავს დაუძებნის ჩასაფრებული თვალი ჩვენს ოთხწლიან მოღვაწეობას. საკადრო პოლიტიკით დავიწყეთ. ჩვენ კარგად მოგვეხსენება გამოცდილი სპეციალისტების როლი ნებისმიერ საქმიანობაში, მაგრამ ახალგაზრდული ენერჯის დაწინაურებით ჩვენ ვცადეთ მეომრული სულისკვეთების დამკვიდრება ყველგან და ყველადღერში. რევოლუციურ გარდაქმნებს ენერჯია სჭირდება. ნათქვამია, ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენო. ბუნებრივია, აქ ჯონის გადახრა არაფრით ივარგებს. უამრავზე უამრავი ადამიანია ასაკობრივი მოტივაციით სამსახურიდან დათხოვილი, რომელთა გამოცდილების გაზიარება ბევრად წაადგებოდა გულანთებულ თაობას გამოცდილების შექმნის თვალსაზრისით. იყო შეცდომები განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმების გზაზე, მაგრამ ათწლეულობით დამყაყბულ ამ სისტემას სისხლის გადასხმა რომ სჭირდებოდა, ექვს არ უნდა იწვევდეს. ყველაფერს ხომ ერთბაშად ვერ გაწვდებოდა წვეთ-წვეთობით მზარდი ჩვენი ბიუჯეტი. შეიქმნა საამისო პირობები და შედეგმაც არ დააყოვნა. ყველამ ვიხილეთ პრეზიდენტის შეხვედრა ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებთან. ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ჩვენში საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. ბევრი ვილაპარაკეთ დმანისის, ვანის გათხრების მნიშვნელობაზე. გაცილებით მეტი მსჯელობის საგანია, ამას წინათ სოფელ ცაიში დასრულებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. იქიდან ამოღებულმა მასალებმა გასაოცრად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენები მითოლოგიურ



კოლხეთზე. მეტიც, უტყუარი არგუმენტები დაეძებნა ოქრომრავალი კოლხეთის არსებობას. უზუსტესი გეომეტრიული აღნაგობის სამკაულები ნათლად მეტყველებენ ჩვენი სამშობლოს დიდებით მოსილ წარსულზე. სულიერების ჩაკვლას გვაბრალდებენ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი დღე და ღამ ქართული ცივილიზაციის უპირატესობებზე ღიად ლაპარაკობს ევროპულთან შედარებით. ჩვენ ქართველები ვართ, პირველი ევროპელებიო, აცხადებს გამუდმებით. სად არის აქ ეროვნული სულისკვეთების დაკნინება?! ეროვნული მეობის ჩამქოლავ ხელისუფლებას რისთვის დასჭირდება ათასების გადაყრა მიწის წიაღში მთვლემარე ჩვენი სხივმოსილი ისტორიის გასაცოცხლებლად?! რომ არა არნახული სულისკვეთება, „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტი რეგიონში, ერთი კაფანდარა ასული ემა გოგოხია, ვერაფრით დაეტაკებოდა კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარისკაცს და ვერანაირად გამოსტაცებდა ხელიდან კინოკამერას. ეს კინოკამერა სამშვიდობოებისა იყო, ომს რომ თესავენ გამუდმებით. მათ მიერ გადაღებული ვიდეო-მასალა





„გოსდუმის“ დეპუტატები. დიახ, სააკაშვილის ფენომენი და მისი გუნდის რკინისებური ხასიათი კავკასიონის უღელტეხილივით გადაულახავ წინაღობად ასვეტებიან წინ. რუსეთს ორასი წელიწადი არ ეყო ქართველი ხალხის წინაშე ნდობის მანდატად. მან საბოლოოდ ამოწურა ეს ვადა და ამიერიდან იგი პოლიტპარტიორად აღარ გამოგვადგება. ვიყო ბატონო, კეთილმეზობლური, ეკონომიკური თანამოსაგრეები. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა კონსტრუქციულ წინადადებას, მაგრამ ნათელაშვილის მაქსიმალიზი რომელ ჩარჩოში გინდა ჩატიო?! ეს პოლიტიკოსი საკუთარი პიროვნების მეტს ვერავის ხედავს საქართველოში პრეზიდენტობის ღირსს. თურმე საკუთარი თავის მეტს ვერავის ანდობს ამ საპატიო მისიას. არადა, დაავიწყდა ოჯახაშენებულს ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ როგორ თანამშრომლობდა შევარდნაძის ხელისუფლებასთან, იურიდიულ კომიტეტს განაგებდა პარლამენტში ბოლოსდაბოლოს. ნათელაშვილის ქოლერიკულ ხასიათს ინგლისური ლეიბორისტული სტერლინგები კვებავს უხვად. ხალხს არაფერი ავიწყდება. არც ხაინძრავას აფხაზეთში მოღვაწეობაა მტკრით დაფარული. ჩვენ მათ უცხოეთის სპეცსამსახურებისგან მართულებს ვეძახით. ამას ეროვნულ ღალატს უწოდებდა პირველი ხელისუფლება. ეს გახლავთ ტიპური კონცეფცია, რომლის არსი გამოიხატება შემდეგში — **რუსეთის გარეშე წარმატება არ უწერია ჩვენს მომავალს.** ამისთანა ხალხს მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთუმეები შეარქვეს. მომიტინგეების დაშლისას იყო ცალკეული შემთხვევები, როცა



დიდად წაადგა ჩვენს პარლამენტს მათ მხილებაში მთელი მსოფლიოს წინაშე. განმუხურში აგორებულმა ინცინდენტმა სიგნალი მისცა ოპოზიციას თავისუფალი ქმედებებისკენ. საამისოდ დაიქოქა მათი რუპორი „იმედი“, ფ რ თ ე ბ ი შ ე ი ს ხ ა პატარკაციშვილმა და საექვო ვითარებაში დაგროვილმა მისმა ფულმა. რუსეთმა ძებნა მოუხსნა მანამდე კანონგარეშედ გამოცხადებულ პიროვნებას. ოპოზიციამ ისტერიკები გამართა რუსთაველზე. პარლამენტის არჩევნების ვადა დაიხვია ხელზე — პოლიტპატიმრების განთავისუფლება და სიტყვის თავისუფლება. მერე მთლად მოუკრიფავში გადავიდნენ, პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. უფრო სწორად გაამჟღავნეს ის უმთავრესი, რის გამოც ძილი ჰქონდათ გამტყდარი. რუსეთისათვის გადაულახავი ბარიერი სააკაშვილის ფენომენია. რა დამამცირებელ აქციებს არ მიმართავენ ისინი, რა პასკვილურ წერილებს არ აქვეყნებენ გაზეთებსა და ტელევიზიაში, რა დაუფარავი გესლით ილესავენ ენას



შეილახა რიგითი მოქალაქეების ადამიანური უფლებები, ხელჯობები მოხვდა მრავალს სიფათსა და კინკრიხოზე, მაგრამ როცა გადაშენებას გიქადის რუსული იმპერიის მეხუთე კოლონა, დაყრილ ქოქოლას და დაშენილ ქვას ვარდების სროლას ვერ დავუბირისპირებთ. „ვარდების რევოლუციამ“ დიდი მისია აიღო თავის თავზე — პირველ რიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შემდგომ დანარჩენი — ეკონომიკური თუ სულიერი აღმავლობები, და ამ გზაზე ჩვენი წამოჩოქება არც ისე იოლია, როგორც ეს ზოგ-ზოგებს მიუჩნევიათ. სააკაშვილმა ერთი წლით შეიმოკლა თავისი უფლებამოსილება. ასეთი რამ იშვიათად ხდება პოლიტიკაში. იგი ბევრი წინამორბედივით სავარძელს როდი შეჰკანკალებს. ძლიერი საქართველოს დამკვიდრების სახელით მოიმოქმედებს ყოველივეს. აი, ამისთანა მიდგომებს ვეძახით ჩვენ სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ეწევა. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად პრეზიდენტობის მსურველების რეკორდული რაოდენობისა (22!) მეორე ტური არ შედგება. 5 იანვარს სწორ არჩევანს გააკეთებს საქართველოს მოსახლეობა — ისევ „ვარდების რევოლუციის“ მესვეურს გამოუტყუალებს ნდობას. ჩვენ ასე გვჯერა. ჩვენ ასე გვწამს, ვინაიდან აქა ვდგვარათ და სხვანაირად აღარ ძალგვიძის.

**P. S. ნათქვამია, აღდგომა და სვალეო. ჩვენ გულწრფელად თანაგუგრობობთ გაურკვევლობაში ჩაგარდნილ ათასებს, ვექომაგებით დათხოვილ კოლეგებს, მაგრამ ერთსაც**



**შეგახსენებთ ნებისმიერ ბიროვნებას: თავისუფლება უწინარესად შეგნებული აუცილებლობაა და ამ ქვაკუთხედიდან მთავარი ფასეულობა — სახელმწიფოებრივი აზროვნება.**

**აქედან გამომდინარე 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები შეუღალაშებლად ისტორიული მომენტია ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ მიჯაჭვული ამირანის შთამომავლები ვართ. ჩვენ ჯერჯერობით ჯიშ-ჯილაგის ფიზიკური გადარჩენისთვის ზრუნვა გვპართებს. ამ გზაზე ჩრდილოელმა მეზობელმა ბევრჯერ დაგვიმტკიცა თავისი ველიკორუსული ამბიციები, ბევრჯერ შეგვატოვა ხელში მარტოდმარტო გააფთრებულ მტერს. დამდგარა ახალი აზროვნების ეტაპი. აქ ამერიკის როლი განუსაზღვრელია. „ნატოს“ ბლოკში ინტეგრაცია, ევროპული ფასეულობებისკენ ძალუმი სწრაფვა ასაზრდოებს ამ ლტოლვას და დიდია უფლის განგება!**



# ლეგენდა კათილუობილ დაფნაზე

## დაფნა

სურნელება ძველისძველი  
უქსოვება ნიავეს,  
პოეზიის ლაჟვარდ ცრემლით  
სველი დაფნის ფოთოლი.  
და თცნება მოგონებას  
იით შთაბაგებს,  
როს მეომარს შუბლს უმშვენებს  
ნელი დაფნის ფოთოლი.

ნილოსის გველს უარესი,  
მისი შხაპი იაგებს,  
უფრო მძაფრად დაწურული  
მწველი დაფნის ფოთოლი.  
და ხანჯალით ხშირად ფარულ  
მიზანს ულოლიაგებს,  
ოდეს ხედავს პოეზიას  
ნელი დაფნის ფოთოლი.

გალაკტიონი

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონულ სტრუქტურებთან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ბიზნეს-საკონსულტაციო ქსელი „საქართველო“ ქვეყნის ექვს რეგიონში: თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. ქსელი განსაკუთრებულად ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე; კლიენტებთან მისი ურთიერთობა ემყარება კვალიფიციურ სერვისს, მჭიდრო კავშირებსა და ნდობის ფაქტორს. დღესდღეობით იგი სრულიად საქართველოში აღიქმება, როგორც ორმხრივი წარმატების გარანტი. 2006 წლის 10 მარტს ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი — „ზუგდიდი კონსალტინგი“, რომლის მიზანია 3 წლის განმავლობაში მოკლე და გრძელვადიანი მიზნების თანხვედრა საბაზრო მოთხოვნებთან; წარმატებული და კონკურენტუნარიანი საკონსულტაციო ბიზნესის განვითარება საკუთარი კადრების პროფესიული ზრდით; კლიენტების მიზანმიმართული მოზიდვა და შენარჩუნება, რათა რეგიონში დამკვიდრდეს პრესტიჟული ბიზნეს-ატმოსფერო. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ისტორიული სადადიანოს ცენტრში შედგა ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და

„ზუგდიდი კონსალტინგი“ ოფისის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო საზოგადოების ფართო სექტორი: ბიზნესმენები, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საბანკო და საფინანსო სამსახურის



მუშაკები, საგადასახადო და საბაჟოს თანამშრომლები, მას-მეღია. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალური დირექტორი ამიერკავკასიაში, ბატონი **ბობ უილსონი**, ამავე დაწესებულების ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ბატონი **დევიდ გოზნი**, პროექტის განვითარების სპეციალისტი, ბატონი **რევაზ თრმოცაძე**, მცირე და საშუალო ბიზნესის





აღნიშნა, რომ „ზუგდიდი კონსალტინგმა“ თავისი არსებობის მოკლე პერიოდში კონსულტაცია გაუწია რეგიონის 500-ამდე იურიდიულსა თუ ფიზიკურ პირს; 80-ზე მეტი ტრენინგი ჩაატარა ბიზნესის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში, რომლის მონაწილეთა რაოდენობამ 1200-ს გადააჭარბა.

გადამზადდა 30 ბუხპალტერი. „ზუგდიდი კონსალტინგი“ უკვე თანამშრომლობს 20-მდე ბიზნეს-ორგანიზაციასთან და მათ წარმატებულად სთავაზობს მომსახურების წლიურ საკონსულტაციო პაკეტს.

ბატონ იური წოწერიას თქმით, ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 86 797 ლარი.

ისინი მიზნობრივ — ქალაქის ბუკლეტისა და რეგიონის ბიზნეს-მეგზურის გამოცემასთან ერთად — ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობასაც.

კერძოდ, მაცხოვრის კარის ეკლესიის გადასარჩენად გაღებულა 1750 ლარი; შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უმართავენ მეცნიერთა და შემოქმედთა კავშირს,

ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციას; ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩინენ ხოლმე სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმოკლე თანამშრომლებს და ა.შ. პრეზენტაციაზე მისასაღმებელი სიტყვა წარმოთქვა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ამიერკავკასიაში, ბატონმა ბობ უილსონმა.

საპატიო სტუმარმა დადებითად შეაფასა „ზუგდიდი კონსალტინგის“ გაწეული და მიმდინარე მუშაობა, აქვე თვალნათლივ განსაზღვრა უახლოესი მომავლის

უახლოესი მომავლის



მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი, ბატონი **დენ ბერკუშია**, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი **შოთა მაქაცარია**, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის განვითარების მენეჯერი, ბატონი **საბა სარიშვილი**, პალატის მენეჯერ-კონსულტანტი, ბატონი **მამუკა წოწერია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის პირველი ვიცე-გუბერნატორი, ბატონი **ალექსანდრე ახვლედიანი**, ამავე სამსახურის ვიცე-გუბერნატორი, ბატონი **ერეკლე ჯაფარიძე** და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.



პრეზენტაცია გახსნა ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, „ზუგდიდი კონსალტინგის“ დირექტორმა, ბატონმა **იური წოწერიამ**. მან მოკლედ ისაუბრა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი „ზუგდიდი კონსალტინგი“ და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცენტრის მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ.



მომხსენებელმა ხაზგასმით



მომხსენებელმა ხაზგასმით

პერსპექტივები თუ ამოცანები. ბატონებმა ბობ უილსონმა და იური წოწერია საზეიმო ვითარებაში გადასცეს სერთიფიკატები „ორისის“ საბუხჷ ალტრო პროგრამის პირველ კურსდამთავრებულებს. ასევე დაუვიწყარი საჩუქრები გადაეცათ საპატიო სტუმრებს, ბატონებს: ბობ უილსონს, დევიდ გოზნის, დენ ბერკეშიას. — შ.პ.ს. „ეთერზეთების“ თანამშრომლების მიერ საგულდაგულოდ მოწნული დაფნის გვირგვინები. „ზუგდიდი კონსალტინგის“ შექმნა მეტად მნიშვნელოვანია რეგიონში ბიზნესის კულტურის ასამაღლებლად. ამასთანავე კონსალტინგი მოწადინებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაცია. სტუმრებმა და მოწვეულებმა კმაყოფილება გამოთქვეს პრეზენტაციასთან დაკავშირებით. ისინი იმედის თვალით უყურებენ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კონსალტინგის მომავალ საქმიანობებს და აღტაცებას ვერ მალავენ, რომ ისტორიულ სადადიანოში ყოველი კეთილდღეობის სათავე — ჯანსაღი ბიზნესი — დღითი დღე პრესტიჟული ხდება. ჩვენი საუბარი ბიზნესის განვითარებაზე სამეგრელოში შედარებით სრულყოფილად რომ წარმოჩნდეს, ერთი ფრაგმენტის მოშველიება უცილობლად მოგვიწევს გამოსაცემად გამზადებული ექვსტომეული „სუფევიდან“. **ბატონი იური წოწერია იმხანად „ენგურ-ჰესის“ მესვეური გახლდათ და მისი დაჟინება რომ არა, ქართველი ენერგეტიკოსების გპირული რუდუნი თეთრ ლაქად დარჩებოდა დასახელებულ წიგნში. დიანაც, იური წოწერიას უნდა გუმადლოდე სრული ექვსი თვე ღონდონელი დენდივით რომ ვიცხოვრე ბატონ შუქრი ქირიას ფეშენებელურ**

**კოტეჯში საერთო ყურადღებით გარემოსილება. დაუვიწყარია ჩემთვის იმ სინამდვილესთან, იმ სახეებთან და ფერებთან შეხება:**  
 „ჯა დუდგიმე მინმირთუ დო ჩხვიჩხვეფს ფაჩუნს — თავდაყირა დგება ხე და ფესვებს ფანტავს“. **ეს ხატი სუდონის მისადგომებთან აფეთქებების მსიღველს ჩამენსიტება გონებაში. როგორც ყოველ უბირს სჩვევია სოღმე, თავდაბირველად მეც ორღობის ფენისხმას აყყვები და ენგურჰესს სამეგრელოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებულ კატასტროფას შეგარქმევ, მაგრამ შემდგომ და შემდგომ კარდინალურად შეიცვლება ჩემი დამიკოდებულება „ენგურჰესისადმი“: თვითონვე გამოვუტან განაჩენს საკუთარ ახლომხედველობას — ენერგია გვინდა, დარბაზები გაჩაჩახებული გვწადია, მაგრამ — არა საკუთარი წიაღიდან, არამედ — რაღაც აბსტრაქტული მიღმეთიდან მოვლენილით. ამის თაობაზე თანადროულია ანდაზა ერთ მეზობელ ხალხზე: მთავარია ღუდი, თორემ დვინის გაკეთებას რა უნდა, დაისხი და დალიე, დაისხი და დალიეო!**



**ჩანართი ბატონ იური წოწერიას  
სახასიათო შტრისისათვის  
ბელეტრისტული მატთანედან „სუფეგა“:  
„ენბური — ცის მდინარი“**



ტელევიზიის საგანგებო გამოშვებაა. უბედურების მათ-  
წყებელ ინფორმაციას შემზარავი ცნობები ენაცვლება.  
კვლავ ასობით ფუტე-ჭერი მოეშალათ მესტიელებს და  
ლენტეხელებს.

თოვლი. თოვლი. თოვლი.

სანამ თენგო და ომარი შინ მეგულება, ვიცი, დედას არა-  
ფერს გაუჭირვებენ. ეს მაიმედებს, ეს მანუგეშებს. არც მშო-  
ბელთან მხრებაწურულად (დაუდაფნავი!) მისვლა ეგების.

ზვავებმა მოსპო სიცოცხლითა და სიყვარულით საესე  
სოფლები. მხოლოდ სვანურ კოშკებს ვერაფერი დააკლო.  
იქნებ ეს ყოველივე ენგურის მიზეზიცაა?! აბა, რა, ცის სიახლო-  
ვეს ხელოვნური ზღვა შეეჭმენით და?!

ცნობას ცნობა მოსდევს რაჭიდან, დუშეთიდან, სამაჩაბ-  
ლოდან. ყოველ ნაბიჯზე ზარალი, ყოველ ნაბიჯზე ცრემლი,  
მშობლიურ კერასთან განშორება და უღონოდ ჩამოყრილი  
მხრები.

სტიქია ამასაც არ გვაკარებს. გადაირევა რიონი. მოსახ-  
ლეობის ევაკუაცია კი მოხერხდება, მაგრამ დოვლათს არა-  
ფერი ეშველება. ყველაფერი ჯანდაბას, ადამიანების მსხვერპლი  
რომ არ იყოს! წყალდიდობასთან ბრძოლას მამაცურად  
შეეწირება რიგითი მამედოვი.

საბჭოთა ავიაცია ხაზზეა.

სვანეთი გლოვობს.

დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილია მე-700-ე  
ანგარიში.

მთელი საქართველო თითის წვერებზე დგას: ძმა ლუკმას  
უყოფს გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმას...

და უცებ... ენგური!

თითქოს აქამდე არც მიფიქრია ძმანდაფიც მდინარეზე,  
რომელმაც ნებისთნე თუ უნებლიეთ კალაპოტი შეიცვალა,  
ზურგი შემაქცია და მეც უმადურ წუთისოფელზე გაბორო-  
ტებულმა მივივიწყე, სიყრმის მეგობარი გავწირე.

ახლა სრულიად საქართველო ენგურის უნიკალურ თა-  
ლოვან კაშხალს მისჩერებია.

— გაუძლებს კი, გაუძლებს კი?! — გორავს აღმა-დაღმა  
ჭორი.

ნუთუ წყალში ჩაგვეყრება ამდენი წლის ოფლისღვრა, ამ-

დენი წლის კატორღული შრომა?! და აი, 10 თებერვ-  
ლის „მოლოდიოჟ გრუზი“—ს მოწინავე სტატია  
„ბარა ედელფაისოგ ნასტუბიტ“. თვალს არ ვუჭერებ  
რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში დაჩხა-  
ნილ მერხზე მისვენებულს. გაოგნებული კკითხულობ  
თეთრზე შავით ნაწერს, მეორედ, მეათედ: „ნელგობი  
გორსკოი რაზბროსანის დეტსკის სჩოტის  
პალოჩეკ ნა ბერეგას დეფარსკოგო ვოდოსრანი-  
ლიშა ოსტალოს რაზრუშენაია პლოტინა.  
სპლოშნაია ბელაია სტეპ სეიჩას უ ბოდნოფია  
გორ...“ ესეც შენი მოწონებული კაშხალი! ნუთუ მო-  
ვარდნილი პელაგონი ვერაფერმა შეაკავა? ნუთუ ენ-  
გურმა შური იძია?! მაგრამ არა! არა! მეწურება გული  
მტევანივით. რას ვიფიქრებდი, ესოდენად გადამტერე-  
ბულს, მახლობლად თუ გავიხიდი ოდესმე! მართალია,  
კაშხალს იმთავითვე შევაქციე ზურგი, როგორც ენ-  
გურხესზე გამწყარლმა ადამიანმა, თვალითაც არ დავე-  
ნახვე, მაგრამ განა ცოტა მსმენია და წამიკითხავს მის  
უნიკალურობაზე?! კაშხალის ტანში ხომ სპეციალურა-  
დაა დატანებული ოთხი წყალგადამგდები სარქველი,  
რომლებიც ავტომატურად იხსნება და ერთდროულად  
ძალუმს 2400 კუბური მეტრი წყლის გატარება წამში.  
ასეთი მოცულობის ნაკადის შემოსვლა კი ენგურში  
ყოველად წარმოუდგენელია.

მაშ, რა მოხდა, რა?

იქნებ შეეშალათ ჟურნალისტებს და კაშხალის ოთ-  
ხი წყალგადამგდები სარქველიდან მოშვებული ჩანჩქე-  
რი იხილეს ვერტმფრენიდან?! რას გაუგებ პრესას!  
თუმცა ასეც რომ იყოს, რა ეშველებათ ძველი კალა-  
პოტის ზოლში დასახლებულებს?! მდინარის სანაპი-  
როზე განლაგებულ სოფლებს: რიყს, რუხს, შამგო-  
ნას, კოკს და ორსანტიას, განმუხურს, ოტობაიას ბო-  
ლოს და ბოლოს?!

უენგურობამ მართლაც გაათამამა ბარის მაცხოვ-  
რებლები. გაითავისეს მდინარის მიერ იძულებით და-  
ტოვებული ადგილები და სასოფლო-სამეურნეო სა-  
ვარგულებად გადააქციეს; მოაწყვეს მეცხოველეობის  
ფერმები. ესეც რომ არა, წყალდიდობის დროს თავისე-  
ბურად გადაირევა ხოლმე მაგანა, რომელიც ენგურის  
ძველ კალაპოტში ჩაედინება კაშხალს ქვემოთ.

მოკლედ, მივივიწყებ დედის ავადმყოფობას, მატარებ-  
ლის ბილეთს საერთაშორისო ვაგონში და ორსაათი-  
ანი ლოდინის შემდეგ რის ვაივაგაღახით ვუკავშირდები  
ჯვარზენს.

— არაფერი მაგის მსგავსი, — ბუხუნებს ელსმენი-  
დან იქაურობის თავკაცი იური წოწერია. ჩემიანების  
სოფლიდანაა, ოქტომბერიდან, თარგამულიდან, —  
რომელმა გაზეთმა დაბეჭდა, რომელმა ჭკუათმყოფელ-  
მა?! — აღწევს ჩემამდე წყნაგარეული ხმა, — ამხანაგო,  
მწერალო, როგორც ჩანს, იდილიური ცხოვრება გა-  
გიტკბა, თორემ ამისთანა ციებ-ცხელების დროს განზე  
გადგომა იქნება?! მიდი, იმ ხალხთან და ენგურხესლე-  
ბის გულისწყრომა მიაწვდინე. ენგურხესის კაშხალი  
წისკვილი ხომ არ ხგონია ზოგიერთს, წყალდიდობა  
რომ მოსრავს არჩილ სულაკაურის მშვენიერ მოთხ-  
რობაში?! თალოვანი კაშხალი ეს თითქმის საქართვე-  
ლოა ძვირფასო-თქო. ისე, სიზუსტისთვის თუ გნე-  
ბავს, ნამჭერმა იმდენი მოახერხა, ახლა ენგურზე სულ  
ცოტა შვიდ ადგილას მანაც გადაისვლება ერთი ნაპი-  
რიდან მეორეზე უხილოდ და უშიშრად. ხქენი სიკეთე  
და ეს ინფორმაცია იმ თქვენს კოლეგებს იქნებ რამენაი-

რად მიაწოდო, თან გადაეცი, ხონორარში არ გეცილები-  
ან-თქო. მადლობის მეტი რა გვეთქმის შემოხმანებისათ-  
ვის, მაგრამ სიმართლის გამო ნუ მიწყენ: დროა თვალში  
გამოიხედო, ჩვენს გვერდით დადგე, დადგე იქ, სადაც ნამ-  
დვილი ცხოვრება დღეს. შენ „სიცოცხლისმისაღებში“ მედა-  
ლიონის მხლოდ ერთი მხარე გვანახე — ალჩუ, როცა  
ენგურს იდილიური სურათებით წარმოგვიჩინე. აწი საჭი-  
როა მონეტის მეორე მხარის — თოხანის ჩვენებაც. რუსები  
როგორც იტყვიან, „უ კაუდოი პალკი დგა კანცა“.

ცხრა თვის შემდეგადა გადაწყდება ყოყმანი: ჩემი ცხოვ-  
რება ხელახლა უნდა მიუბრუნდეს ენგურს, ოღონდ არა  
კოლხეთის გაშლილ ჭალაკებში მობუზუნეს, ხაბოსპირი-  
დან რომ დამანახებს მამა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ,  
არამედ — ახალს, კაცის გენის მიერ დამორჩილებულს და  
ისევ ადამიანების სამსახურში ჩამდგარს.

ვიწრო თვალთახედვით, ენგურის ხეობის მაცხოვრებ-  
ლის პოზიციიდან, იქნებ არც კი ვცოდავთ მე და ჩემი გმი-  
რები; იქნებ ჩვენს სატყეარსა და სამდურაგს უსაფუძვლო  
არ ეთქმის, მაგრამ ზოგადკაცობრიულის თვალსაწიერი-  
დან ბრძენკაცს სასაცილოდაც არ ეყოფა საკითხებისადმი  
ჩვენებური მიდგომა-მეთქი, ვეკამათები საკუთარ თავს:

მამ, არ უნდა გათხაროს ფაუსტმა არხი?! არ უნდა და-  
არღვიოს მოხუცი ცოლ-ქმრის წალკოტის მშვენება?! არ  
უნდა მიანტოს ბედნიერება ჭაობით გაწამებულ ათასებს  
უმცირესის გაწირვის ფასად?!  
მამ, არ უნდა გასცეს იუდამ ქრისტიე. არ ეამბოროს  
რააბის ძახილით და უღვთოდ დატოვოს უფსკრულის პი-  
რას მისული კაცობრიობა?!

მამ, არ უნდა მოაწეროს გეორგიევსკის ტრაქტატს ხე-  
ლი ერეკლე II და ფიზიკური განადგურებისთვის გაიმე-  
ტოს მრავალტანჯული ქართველობა-მეთქი, რამდენიმე  
კვირას ამგვარი კითხვები მირიალებს გონებაში ძილგამ-  
ტყდარს; დაბოლოს, როგორდაც გადამძალავს ზოგადი,  
საერთო საქმე მიმიხრობს და რაღა გასაკვირია ახლა 271,5  
მეტრის სიმაღლის თალოვანი კაშხალიდან გადმოვყურებდე  
კოლხეთის ფირუზისფერ სანახებს?! ეს გაცდება, ცხადია,  
მხლოდ ნაწილობრივ თუ გადაფარავს წლების მიღმა  
განცდილს. მაშინ სრულიად ყრმა ენგურის ტალღათა  
გრაგნილებს მამია რატისა აგაღებულ სამჭედლოს შევა-  
დარებ, სადაც დახლართული კამეჩები საბერველივით  
ქმენენ დაბერილი ნესტოებიდან და მზესავით ვარვარებენ  
გაღვივებული ქურიდან მარწუხებით გამოღებულ ნაღე-  
ბი. რამხელა ზღვარია ამ განცვიფრებათა შორის?!

პირველად ჩემი გაფაციცებული თვალეები შავი ზღვის  
მიმართულებით მიაცილებს მზის სხივებით გალიციციე-  
ბულ დინებას. ამჯერად კი ამომავალი მანათობლისთვის  
მიმიპყრია მზერა. დათოვლილი მთებისა და უღურჯვის  
ტალღების მახეში გახიარულა ჩემი სული, ისეთიარად  
გახლართულა ამ ჯადოსნურ აბლაბუდაში, ვეჭვობ მისგან  
თავდაღწევა გამიიოლდეს და მეც უნებლიეთ ხელს ვიწვდი  
ენგურისკენ და მედიმება, სევდიანად მედიმება აქამდე გარ-  
დახდილ მცირე ომზე, რომელსაც „ეთნოგრაფიული ხასი-  
ათის რომანილა მოხვდა“, იური წოწერისა სიტყვებით.

მოშვებულა ერთი წყალგადამდები სარქველი.

ცისფერი ბურუსით იფარება ხეობა.

ჩანჩქერის თავზე შარავანდელივით იბადება თვალის-  
მიმტაცებელი ცისარტყლა და იური წოწერიაც სინანუ-  
ლით მიმხელს:

— რიონისა და რეგიონის სხვა მდინარეების სიურ-  
პროზებით შეფიქრანებულები, ენგურის ყოველ წამომა-  
ტებაზე წყალს ხელად ვიშორებთ თავიდან. არადა, ეს



უნიკალური მარაგი იქნებოდა მომდევნო თვეებისთვის,  
როცა საგრძნობლად იკლებს წყლის დონე. ადრე გაზა-  
ფხულზე ბუნება ისევ აჭირვეულდება, ამიტომაც ვამჯობი-  
ნებთ წყალსაცავი მზადყოფნაში ვიქონიოთ. აღნიშნული  
ლონისძიებანი უფრო გამოუცდელივითაც მოგვსდის,  
თორემ ჩვენ გაისად ყოველი წვეთის დაზოგვა უფრო  
გემართებს, ვინემ განიავება.

მე ახლა ცხადღვ მესმის აქამდე ჩემგან და ჩემი გმირე-  
ბისგან შერისხული თალოვანი კაშხალის მნიშვნელობა,  
თუ როგორი მართვადი გამხდარა ენგური და ამით გარ-  
კვეულნობით თავიდან აგვიცილებია არათუ მომცრო,  
თვით გონებისთვის მოუსაზრებელი კატასტროფაც კი.

— როცა ენგურხესის კომპლექსი სრული სიმძლავრით  
ამოქმედდება, — განაგრძობს იური წოწერია, — როცა  
მწყობრში ჩადგება ხუდონხესის, ტობარისა და ფარის  
ხიდროელექტროსადგურები, ენგურის ხეობაში წყლის სა-  
ერთო ტევადობა მილიონობით კუბურ მეტრს მიაღწევს  
და „მოლოდიოჟ გრუზიი“-ს ფურცლებზე გაპარული  
შეცდომის შესაძლებლობა საერთოდ მოიხსენება დღის  
წესრიგიდან. სამაგიეროდ საშუალება მოგვეცემა საათში  
10-11 მილიარდი კილოვატი ენერგია ვაწარმოოთ. ამხანა-  
გო, მწერალო, „ენგურხესი“ ეს მორიგი საოცრებაა  
„ვეფხის ტყაოსნისა“ და სვეტიცხოვლის შემდეგ.


ვგრძნობ უჩვეულო თვისებრივ გადასხვაფერებას;  
ვგრძნობ როგორ უთმობს ადგილს ძველი ახალს. ვგრძნობ,  
როგორ დაგორდება სული თვალუწვდენელი ციკაბოე-  
ბიდან სიტყვა „ენგური“. ვიცი ეს უხილავი ზვავი ასე იო-  
ლად არ ჩამომთავრდება, მაგრამ რაც მთავარია, დაიძრა  
და მეც ვაგრძელებ აღმასელას ხუდონის მიმართულებით.

— ბატონო იური, პაპაჩევი ბიქტორის გადმოცემით, ჩვენ თაბაკონელები ვყოფილვართ, მარტვილის რაიონიდან. მისი პატარაობის პერიოდში ზუგდიდში ჩამოსახლებულან და თარგამულში დაბრუნდნენ. თქვენს სოფელს დღეს თქტომბერი ჰქვია, მაგრამ თარგამული გაცილებით ესთეტიკურია და საკრალურიც. მისივე რწმუნებით ჩვენი წინაპრები გერანის კულტურის წარმოებას მისდევდნენ თურმე სადადიანოში. ასე რომ კოლეგები გვეთქმის. თქვენი ბიზნეს-ინტერესები უკვე ნაწილობრივ ცნობილია მკითხველისათვის, მაგრამ უფრო ხელშესახების, გაცილებით შთაბეჭდავის გაგება გვსურს.

— უპირველესად დავიწყებ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და „ზუგდიდი კონსალტინგზე“ საუბრით. ექვს რეგიონში დაფუძნდა იგი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. ეს გახლავთ კორპორაციული მეწარმეთა გამაერთიანებელი ბიზნეს-ორგანიზაცია, რაც შეიძლება მაღალი ბრენდისა და იმიჯის მქონე, ყველაზე უძველესი, ბიზნეს-საერთაშორისო ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, როგორც საქართველოს, ასევე დამოუკიდებელი რაიონული ორგანიზაციები გაერთიანებულია საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის სივრცეში. ასევე შავი ზღვისპირეთის სავაჭრო-სამრეწველო სტრუქტურებში. ჩვენი უმთავრესი მიზანი გახლავთ რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოვლენა, ეკონომიკაში მისი მაქსიმალური გამოყენება, მეწარმეობის განვითარება და ეკონომიკის აღორძინება. ჩვენი უმთავრესი საზრუნავია ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ერთმანეთთან დაკავშირება, ორმხრივი ინტერესის სინთეზის შექმნა. აგრეთვე ჩვენი განსაკუთრებული სტრატეგიაა სამამულო რესურსული პოტენციალი — უძვირფასესი ნედლეული გავყიდოთ არა ნედლეულის, არამედ — პროდუქციის



სახით, რათა მივიღოთ მაქსიმალური უკუგება. ჩვენი პრიორიტეტები მთლიანად მოიცავს აგროსექტორს. მას გააჩნია თავისი წრიული, კომპლექსური ბიზნეს-საქმიანობის საშუალება, ნიადაგის დამუშავებით დაწყებული, აგროპროდუქტების წარმოებით, მისი გადამუშავებითა და მზა პროდუქციის გამოშვებით, მარკეტინგი და რა თქმა უნდა ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე გასვლით ჩვენი მაღალი იმიჯის ხარისხოვანი პროდუქტის ადგილის დასამკვიდრებლად. ამ მიზნების მისაღწევად კი არსებობს სტრატეგია, მეთოდები, ფორმები. ეს გახლავთ პერიოდული გამოცემები, როგორც რეგიონის, ისე რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენს პროდუქციაზე. დღეს ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებულია ბიზნესში. მიუხედავად საინტერნეტო ქსელის თუ თანამედროვე კომუნიკაციების სიმრავლისა, ბეჭდური პროდუქცია განსაკუთრებულია. ამიტომაც გადავწყვიტეთ გამოგვეცა მაღალპოლიგრაფიული კულტურით გამორჩეული გზისმკვლევე ბიზნესმენებისა და ტურისტებისათვის. (შემდგენელი — ბატონი რევაზ ცაბაგა, რედ.) საერთო ძალისხმევით ამ საქმეს ჩინებულად გავართვით თავი — ახლა ჩვენს ხელთ არის ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალი სამეგრელოს შესახებ, სადაც შეძლებისდაგვარად ასახულია მისი ღირსშესანიშნაობანი, ასახულია რესურსულ-პოტენციური პრიორიტეტები ბიზნეს-სივრცეში. თამამად ვიტყვადი, რომ ფრიალ მაპროვიცირებელი დოკუმენტია,





მისიამ ამიერკავკასიაში მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გაითვალისწინოს ჩვენი გამოცდილება, ფუნქციები პარტნიორულ მეწარმეებთან და საგრანტო პროექტით დაფუნქცია კიდევ ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი „ზუგდიდი კონსალტინგი“.

**— ამის თაობაზე ზემოთ სათანადოდ დაკვალიანებული პეიონგული. ასლა უფრო თანადროული ბიზნესის ესეტიკაზე საუბარი მგონია. ინფორმაციის როლზეც ვიმსჯელებ ნაწილობრივ. იგივე ითქმის ბიზნეს-სიერცეზე, რაც ფაქტობრივად მსჭვალავს ინფორმაციის შინაარს. თქვენს მიერ დასტამბული უუნაღლის აგტორებთან ერთად დასახელებული ბატონი ტარიელ ქანთარია, მაგრამ ჩემდა საკვირველად მის ბიზნესურ მოღვაწეობაზე ფრჩხილისოდენა ინფორმაცია ვერსად მოვიძიე. ბატონი ტარიელი II სასუბის პროექტის უშვებს მცირე საწარმოთი, რაც ძალზე ცოტამ თუ უწყის სადადიანთში. კლასიკური ანდაზის სიტუაციაა: მჭედელს დანა არ მქონდათ. სამეგრელოს რეგიონში უამრავ მეწარმეს გიცნობ, რომლებიც სიამოვნებით განათავსებდნენ ინფორმაციას**

რომელმაც თანაბრად უნდა დაინტერესოს, როგორც ადგილობრივი, ისე — ტურისტად თუ მეწარმედ ჩამოსული სტუმრები. ტურისტი რატომღაც გართობის ცნებაასთანაა გაიგივებული, მაგრამ ბევრ შემთხვევაში დათვალერება, ხიბლი შემდგომში ბიზნეს-ინტერესის გაღვიძების საწინდარი ხდება. ჟურნალი სამეგრეო — ქართულ-რუსულ-ინგლისური. სასიხარულოა, რომ ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო პალატის მონიტორინგის, ანუ შესწავლისა და შეფასების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სარეთაშორისო განვითარების



**პრესტიჟული პუბლიკაციის ფურცლებზე:**

— უწინარესად თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ჩვენ წელიწადზე მეტია ვფუნქციონირებთ, რათა მეწარმეები აღვკურვოთ ბიზნეს-საქმიანობის თანამედროვე დონით, მაგრამ ძველი მენტალიტეტი ვერაფრით მოვიშალეთ. არადა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პირველი რაც არის, ბიზნეს-მენეჯმენტი და მარკეტინგული კვლევებია. ბაზრის მოძიების ურთულესი პროცესი მისი შედეგებით. ეს ყველაფერი ნაკლებად ეხება ბატონ ტარიელ ქანთარას, ვინაიდან იგი გამუდმებულ ძიებაშია, ვერცხლისწყალივით ტრიალებს და არც ჩვენგან აკლია მორალური თუ ეკონომიკური მხარდაჭერა. იგი უწინარესად წარმატებულია თავისი ხალასი პროდუქციით. ასევე ჩვენი სისხლხორცეული მიზანია ძველი ტექნოლოგიების, დარგების შეწონასწორება ახალთან,

კულტურები, არსებობს მეცხოველეობა, შემოდის კივი, ფეიხოა, ტემპადგანვითარებადი თხილი, მაგრამ მე, როგორც დაფნის ბიზნესში დაკავებული პიროვნება, მაინც ერთ-ერთ პრიორიტეტად მივიჩნევდი და მივიჩნევ ყველაზე საიმედოს, ყველაზე ერთგულს, ყველაზე ამტანს და გამტანს თავისი საშემოსავლო პოტენციით — დაფნას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, დასავლეთ საქართველოში ზოგადად. იმიტომ რომ იგი არის ნებისმიერი ბუნებრივი პირობების დროს ერთგული კულტურა, რომელიც, ყოველწლიურად გლახს აძლევს ოჯახის საბიუჯეტო შეცვებაში ძალიან დიდ შემოსავალს. მით უმეტეს, როცა დღეს მის ფოთოლზე დამზადებულმა ეთეროვანმა ზეთმა მსოფლიო ბაზარზე ავტორიტეტთან ერთად ძალიან დაიფასა თავი.

**— ბატონო იური, დაფნის კულტურით კოლხეთში ყველაზე უფრო სობის რაიონია ცნობილი. იქ მკებ კემულარიებს აქვთ მსგავსი ტიპის საწარმო.**

— სამეგრელოში, სობში არის კემულარიების საწარმო, რომელიც ტრადიციულად ეწევა დაფნის დამზადებას, მის დაწნევა-დაფასებას. განსხვავებით ამისა, რაც მე გამაჩნია, საქართველოში ერთადერთი ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი საწარმო და ორიენტირებულია, როგორც ჭარბრესურსიანი დაფნისა და ევკალიპტის რეგიონი. უკვე ათი წელიწადია ჩვენ ევროპის ბაზარს ვაწვდით დაფნის ეთეროვან ზეთებს და გვაქვს მზარდი მოთხოვნები. რახან ჩემს საწარმოს შევხებით, იგი უნარჩენო ნედლეულზეა ორიენტირებული. ეს გახლავთ დაფნის წარმოება, დაფასობა-დაწნევა, ხოლო არაკონდინციური დაფნიდან, ანუ ანარჩენებიდან მაღალფასოვანი ეთეროვანი ზეთის წარმოება. სწორედ ამ ტექნოლოგიურმა პროცესმა მოხიბლა ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით. მან თავისი პროექტით განახორციელა ჩვენი ეთერზეთების ქარხნის რეკონსტრუქცია, გაფართოება, ტექნიკური ხაზების სრულყოფა კომუნიკაციების აღდგენით, ასე რომ: დღეს ჩვენ უკვე გვაქვს წარმოების სრულყოფილი ციკლი.

ტრადიციულის შენარჩუნება და ახლის ათვისება. უნდა გითხრათ პრიორიტეტებზე. ეს გახლავთ ჩაის შენარჩუნება იმდენი დოზირებით, იმ რაოდენობით, რომ მან მონაწილეობა მიიღოს კვლავინდებურად ჩვენი კუთხის, ზოგადად სრულიად საქართველოს ეკონომიკურ კარადაში. ზოგიერთი სპეციალისტისა და ჩინოვიკის სკეპტიციზმის მიუხედავად ჩაის კულტურა კვლავაც იტყვის თავის სიტყვას ეროვნული სიმდიდრის დაგროვების პროცესში. მართალია, არსებობს მარცვლეული



— თქვენ თითქმის ყველაფერს ეხებით დაფნის ფოთოლზე, ბატონო იური, და მაინც უამრავი საინტერესო ფაქტი განზე გვჩვენებთ: მაგალითად, დაფნის გვირგვინზე სიტყვას არ პრავთ, თანაც ზუგდიდელი კაცი. ამბობენ, მისი გვირგვინით ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ ნონა გაფრინდაშვილის თბილისის აერობორტში სადადიანოს დელეგაცია დასვედრია კაკა ჟვანიას მეთაურობით. გალაკტიონის სტრატეგიები მახსენდება: „ნელი დაფნის ფოთლი“. პოეზიისა და ორთაბრძლების რჩეულთ დაფნის გვირგვინებით შეამკობდნენ ხოლმე: შერაკლეს, იულიუს კეისარს, ალიგვიერს, გაგარინს, გაფრინდაშვილს...

— როდესაც უმაღლესი სტუმრები მივიღეთ ჩვენი საწარმოს პრეზენტაციაზე, ხედავთ აქ მათ ამსახველ ფოტოებს, ეს ბოზ უილსონი გახლავთ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების მისიის გენერალური დირექტორი ამიერკავკასიაში, სწორედ ამ გვირგვინით დავასაჩუქრეთ. წარუშლელი იყო რეაქცია. კინალამ გადაირია. ჩვენ გვაქვს წინადადება მთავრობისა და ხელისუფლებასადმი, რომ ტრადიციად დამკვირდეს თითოეული ეროვნული მნიშვნელობის პიროვნების დაფნის გვირგვინით დაჯილდოება. ჩვენ ამ დაფნის გვირგვინებს უსასყიდლოდ დავამზადებთ მათთვის. ჩვენი საწარმოს პრეზენტაციაზე ყველა დიდი სტუმარი ამნაირი გვირგვინით დასაჩუქრდა. სხვათა შორის რამდენიმე წლის წინათ გაჩენილმა პრობლემამ განადგურების საშიშროება შეუქმნა დაფნას.

— მაინც რა პრობლემაზეა საუბარი?

— მოგახსენებთ. 2-3 წელიწადია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველომ დამოუკიდებლად გადადგა ნაბიჯები, როგორც სხვა პროდუქცია! ნელნელის გასაღებისათვის, ისე დაფნის ფოთლისა და მასზე დამზადებული ეთეროვანი ზეთის გატანაზე ევროპისა და მსოფლიოს ბაზარზე. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა საქართველოს ეთერზეთების კონცერნი, შემავალი სოფლის მეურნეობის სამინისტროში. თავის მხრივ, ფუნქციონირებდა საკავშირო კონცერნიც, მაგრამ ინფორმაციის სიმწირე მაინც შეინიშნებოდა. ახლა მე ვეწევი აქტიურ პროპაგანდას დაფნის ინდუსტრიის განვითარებაზე, რომელსაც იზიარებს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატ-

ონი პეტრე ცისკარიშვილი. ეს ახალგაზრდა კაცი ძალიან პროგრესულად მსჯელობს ყველა დარგის განვითარების ოპტიმალურ პერსპექტივებზე, მათ შორის ჩვენს რეგიონში. მან სწორად დაინახა დაფნის ინდუსტრიის განვითარების საუკეთესო საშუალებები და აუცილებლობა, ეკონომიკის განვითარებაში მონაწილე აქტიური რესურსებით და მისგან დამზადებული პროდუქციით. მე მეწარმე ვარ და ჩემს დარგს ყოველთვის გავუწევ პროპაგანდას, მაგრამ ამას მარტო ჩემი მოსალოდნელი შედეგებისა და მიღწევადი მიზნები-ბისათვის როდი ვაკეთებ. გეუბნებით, რომ დარგი, რომელიც გამუდმებული ფასდაკლებებისა და დაბალი ღირებულების გამო, დაკნინებული იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ, ნელ-ნელა წელში იმართება. თქვენ წარმოიდგინეთ, კილოგრამი დაფნა გახურე-ბული სეზონის დროს, როცა ჭარბი რესურსია, დოლ-არზე დაბლა არ ჩამოსულა. გეხსოვებათ, კომუნისტების პერიოდში რამდენჯერ აიწ-დაიწია მისმა ფასმა, ამ სუბიექტურმა ზიგ-ზაგებმა საწადელს მიაღწია — კეძო მესაკუთრეს სურვილი ჩაუკლა და ამოა-ძირკვნა დაფნა, მის ადგილას თხილი გააშენეს განუ-კითხავად. ახლა თხილმანამ მოიცვა დასავლეთ საქარ-თველო. ამას ემატება სადღეისო კვირმანია და ვინ მოთვლის. „მანია“ ნებისმიერი დამღუპველია, მით უფრო — აგროსექტორში. სოფელი ოტობაია თხილის სამშობლოა და ამ კულტურას მეტოქე არა ჰყავს თქვენთან, მაგრამ ყველა ფარ-თობზე მისი მექანიკური გავრცელება გაუმართლებელია უცილობლად. იქაც არის უეჭველად ნიადაგობრივი სხვა-ბები. ოქტომბერი კი, ჰო, თარგამული, ნიადაგით მოზაიკურად არის მისადაგებული თხილის განვითარებას. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მასობრივად აჩეხეს დაფნა და მივიღეთ რა? საერთო სიღუბლი. თხილი სპეციფიკური კულტურაა და ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყრათ მის განაშენიანებას. მე მგონი ცოტა ნაადრევად მოუვიდა სამეგრელოს მოსახლე-ობას დაფნასთან გაბრძოლება და თხილით ჩანაცვლება. ამიტომ ჩვენ გლეხებს კონსულტაციასაც ვუწვეთ შეგნებულად, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ვიყენებთ, სათანადო რეკომენდაციებსაც ვაწვდით. გამოდის ამერიკელების მიერ დაფინანსებული აგრონომიული დარგის ჟურნალი „აგროინფო“, სადაც ყველა პრიორიტეტია წარმოდგენილი, დაწყებული დამუშავებიდან, მისი მოვლა-პატრონობით დამთავრებული. ჩემი ღრმა რწმენით, იქ, სადაც არაფერი ხარობს, და თქვენ



ასხენით ხობი, კირქვიანი ადგილი, ქვაზე ამოდის დაფნა, და არაჩვეულებრივ, უნიკალურ პროდუქციას იძლევა. მსოფ-ლიოში არსებობს უამრავი, 300-ზე მეტი სხვადასხვა სახის დაფნის კულტურა. არ გაინტერესებს მანც რა ღირსებით გამოირჩევა ადგილობრივი? ჩვენს დაფნას კეთილშობილი დაფნა ჰქვია, „ლაგრა ბლაგაროდნაია“ რუსულად. განა ჩვენ რაიმე კომპოზიტს ვუკეთებთ ფოთოლს ან მის ზეთს?! ან რომელი ჰქვიათ- მყოფელი გაბატონებ ქიმიურ ჩარევას?! ეს არის ნატურალური, რომელიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, კოსმეტიკასა და კვების მრეწველობაში. ახლა გამოიკვთა დაფნის რაფინირებული, მეორედ გაწმენდილი, ვაკუუმირებული ზეთის გამოყენება არომათერაპიაში. ეს გამოცდილია უკვე ამერიკაში. ჩვენი ორივე პროდუქცია — პირველადი და მათი სტანდარტებით გამოშვებული, გაიზავნა ამერიკაში და მათი ლაბორატორიისგან ძალზე დიდი შეფასება დაიმსახურა.

— **ისტორიიდან ცნობილია ჩვენი გელური დაფნა შქერი, მისი ყვავილის მათრობელა თაფლი. ამნაირი საკვებით გაუმასპინძლდნენ ჩვენი წინაპრები მომხდურ ბერძნებს, ანტიკურ ხანაში, დაათურეს მისით და ერთიანად ამოუყუეს.**

— შქერზე განვითარებულია სხვადასხვა ჯიშის დაფნა. ძალიან კარგად ხარობს იმერეთში. გეგმაზომიერად გაშენებულ პლანტაციებში შემოტანილი ნერგებით სპეციალურად გამოყვანილია თავისი მახასიათებლებით დაფნის უნიკალური ჯიში. არის დაფნის ჯიშებთან მიდგომა, რომლის მიხედვით, იგი აუცილებლად უნდა იჭერდეს ევროსტანდარტებს ზომებში,

სიგრძე-სიფართოესა (8-10— 4-5 სმ.) და ფერში. მაგრამ ასეთი დაფნა გამიზნულია დაფნაოვებისათვის, სუპერ-მარკეტინგების მეშვეობით გასაყიდად, სადიასახლისო სამზარეულოში გამოყენებადი ნედლეული, მაგრამ, როგორც მეწარმეს, მე პარალელურად მჭირდება არასტანდარტული ფორმატის დაფნაც, რომლის შემდგენლობაში გაცილებით მეტია ეთერული ზეთის შემცველობა. არის დაფნა იუგოსლავიაში, თურქეთში, მაგრამ ჩვენს ნედლეულზე წარმოებული ზეთი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, განსხვავდებოდა ხარისხით და აქედან გამომდინარე — ფასითაც. მიზეზი ერთადერთია — მისი უნიკალური წარმომავლობა — კეთილშობილება. არანაკლებ საინტერესოა დაფნის დეკორატიული სახე. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, იტყვიან. საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს რალაც ძალად გამოყვანილი ჯიშები. არადა, დავაკვირდეთ ძველ ეზოებს, ლამაზად გაკრეჭილ ცოცხალ ღობეებს. მათ თვალთვალს ხომ არაფერი ჯობია. აი, ამ დანიშნულებითაც მე ვურჩევდი ჩვენი რაიონის, ქალაქისა და რეგიონის სპეციალურ სამსახურებს მაქსიმალურად ჩაერთოთ იგი პარკებისა და სკვერების განაშენიანებაში. საბედნიეროდ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გლახობას არ ჰქონდა საშუალება გამოეყენებინა ისეთი საწამლავი, რომელიც შემდგომ ასახვას ჰპოვებდა გასატანი პროდუქციის შემოწმების დროს. ხშირად მოდიან ჩემთან უცხოელები, განსაკუთრებით

ამერიკელი ექსპერტები, რათა შეამოწმონ სად უნდა შევიძინო გამოსაშვები პროდუქციისათვის ნედლეული. ისინი ერთ რამეში მყარად დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივი დაფნა აქა-იქ დაავადებულია რალაც მწერებისგან, მაგრამ არა — ქიმიურად. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტორია. ჩვენს კეთილშობილ დაფნას დღეს დაზიანებულ აქვს გარეგნული იერსახე, თუმცა უასშველო არაფერია. ისინი ხალისით გვთავაზობენ რეცეპტებს, რომელიც ევროპის, მსოფლიო სანედლეულო ბაზრისათვის მისაღებია. გარდა ამისა, ისეთი კომპანიისათვის, როგორც ჩემია, წელიწადში დაფნის 3000 ტონა ნედლი მასა სჭირდება, როგორც დაფნაოვება-დაწმენვისათვის, ისე — ზეთის გამოსაშვებად, ალბათ, ძნელი იქნება კერძო სექტორიდან ერთგვაროვანი ნედლეულის მიღება. ამიტომ თუ გინდა მსოფლიო ბაზარზე გახვიდე, ჩვენ გვაქვს ვებ-გვერდი, ელ-ფოსტა, გაგვაჩნია საინფორმაციო ქსელი, რომლითაც ცნობენ ჩვენს კომპანიას და ჩვენი უამრავი პოტენციური პარტნიორი გვეკითხება: გვაქვს თუ არა სანედლეულო ბაზა. მოკლედ, ნებისმიერ წარმოებაში ორი ძირითადი ფაქტორია წამყვანი: **პირველი** — ხარისხი, თვითონ ნედლეული და **მეორე** — ნედლეულის გადამუშავება. წარმოება ყველა მახასიათებლით ეფექტურია, როცა საკუთარი სანედლეულო ბაზა გაგაჩნია. ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ცდილობ მოგება ბოლოს კი არ გამოიჭირო, არამედ — ნედლეულის დამზადებისთანავე მისი უდანაკარგო წარმოებით: ეს გახლავთ პლანტაციის მოვლა-პატრონობა, ნედლეულის უნარჩუნო გადამუშავება და შემდგომში — პროდუქციის სახით რეალიზაცია. თუ ამ პროცესს წარმატებულად მართავ, ესე იგი ნამდვილი ბიზნესმენი ხარ, დაახლოებით ისეთი, როგორც ეს კეთილშობილ დაფნას ეკადრება.





**მისიზმები უბატონო  
ნარაზენიდან**

**ჩვენი ჟურნალის მკითხველებს  
ესაუბრება თემი ნარაზენის მკვიდრი, ახლო წარსულსა  
თუ დღესდღეობით პრინციპული საზოგადოებრივი  
მოდგაწვობით გამოჩენილი პიროვნება,  
ბატონი ბორის ლომაია**

საქართველოში რამდენიმე კუთხეზე იტყვიან უბატონოს — ქიზიყსა და სვანეთზე. საბედნიეროდ ორივე მხარე მომივლია თავის დროზე. ორივეგან მინებებია უშურველად შემოთავაზებული ჭერი, კერია, პურ-ღვინო. ყოველივე ამის თაობაზე გამოწვლილვით მიწერია სხვაგან, და აქ სიტყვის გაგრძელება უადგილოა, მაგრამ ერთი უბატონო საადამიანო ჩვენი სინამდვილიდან აქამდე მიცდის თვინიერი მიმტევებლობით — **სოფელი ნარაზენი** და აქ მეტის დახანება ნამდვილად აღარ ძალმიძს. ნარაზენის ეტიმოლოგიური შინაარსი არ მოიცავს რაიმე საკრალურ სიბრძნეს, იგი თავისი აგებულებით „ზედაზენის“ ეკვივალენტურია, სადაც მთავარი აქცენტი „ზენზე“ მოდის, ზეგანზე, ვაკე ადგილზე, ეტიმოლოგიურად ნარაზენი ამაღლებულ-ტაფობს ნიშნავს. ჩემი ერგასხუთწლიანი სიცოცხლე სავესეა აურაცხელი უჩვეულობით, რომელსაც შემთხვევით ვედარაფრით დაარქმევ, მით უფრო — ბოლოდროინდელი მოვლენების ანალიზის შემდეგ. ყოველივე მაღალი ღმერთისაგან დასაზღვრული მგონია და ამ გადასახედიდან ვეხმიანები უბატონო ნარაზენის ერთ-ერთ მეციხოვნეს, ბატონ ბორის ლომაიას უკომპრომისო წუთისოფელს. ჩვენი ნამუსიანი ნაცნობობა ოთხმოციანი წლებიდან იწყება. იმ ხანად მე ნომენკლატურული მივლინებებით ვირჩენდი თავს და სინდისი იოტისოდენადაც არ მქეჯნიდა ლიტერატურული ხალტურებით საზრდოობის გამო. მისარგებლია მწერალთა კავშირის შემოქმედებითი მივლინებით,

რომლის მიზანი იყო ხუთწლედის მხარდამხარ შთამბეჭდავი ადამიანების ლიტერატურული გამოკვერვა. მისარგებლია საქართველოს ალკკ ცკ-ის ფინანსური წყალობებით, რომელიც დამკვერელურ სულისკვეთებებს აქეზებდა. ამას ზედ დაერთო პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელიც მაღალმხატვრული ნაწარმოების გამოვლენას ისახავდა მიზნად. მეც ვისარგებლე სიტუაციით და ბატონ სერგო რიგვაკას ნდობა მოვიპოვე მიმზიდველად შედგენილი გეგმა-პროექტით. გამიფორმეს შემოქმედებითი მივლინება ზუგდიდის რაიონში. ლამის წელიწადს მიხდიდნენ საკმაოდ სოლიდურ თანხას შეკვეთილი რომანის გასრულების საბაბით. ბატონ ტიტე მალაშხიას №62 „პეტეუში“ მეძინა. თავს მეხვია წერწეტი გოგონების ამაღლა. ფურცლების გადათეთრებაში შემაშველებდნენ ხელს. ვსაზრდოობდი უფასოდ ყუათიანი რაციონით. იმ ხანად ბატონი ბორისი სამეცნიერო-მეთოდური ცენტრს მესვეურებდა სისტემაში. ჩემს სამივლინებო ხარჯებს, დიხაჯ, ის განაგებდა. თავდაპირველად მომთხოვა მატარებლის ბილეთები, სასტუმროს ქვითრები და ა.შ. მაგრამ მსგავსი რეკვიზიტების უქონლობით რომ ავიწურე და დავალიანებისგან თავის დაღწევა გამიძნელდა, მოძებნა იურიდიულად მყარი არგუმენტები: — შემოქმედებითი მივლინება სხვანაირ მიდგომებს საჭიროებსო, — გაამართლა ჩემი დაუდევრობა და საქმე გამიიოლა. მივლინების თანხას უკვე ზუგდიდში ვიღებდი ყოველთვიურად.

ბუნებრივია, 10—11 თვეში რანაირად გამოვაცხოვდები სქელტანიან რომანს პროფესიული ორიენტაციით დაინტერესებულ ახალგაზრდობაზე, მაგრამ „სიცოცხლისმიწის“ დაბადებას ეს მივლინება რომ დაედო საფუძვლად, აშკარაზე აშკარაა. ბატონი ბორის ლომაია, მუდამ ომხიანი, როხროხა, წელგამართული კაცის რეპუტაციით დადიოდა სადადიანოში და ერთობ ამაზრზენია ჩემთვის ბოლო დროს მის გარშემო წარმოქმნილი წკმუტუნ-წკავეწკავი, რომელსაც ნიადაგ ჩასაფრებელი „ასავალ დასავალი“ დაქოქავს ორლობე-შარა, თუმცა ნათქვამია, ძალი კუფს, ქარავანი მიდისო და მავანთა ზოილური პუბლიკაციები რაღა ჩემი განსაქიქებელია. ჩემთვის სხვა რამ გახლავთ ნიშანდობლივი — ბატონი ბორისი ყოველთვის ინიციატივიან პიროვნებად მესახებოდა იმ წლებშიც კი, როცა მისი ოპონენტი მიშა ლომაია ერთობ გამორჩეული ადამიანური მხარდაჭერით მანებივრებდა. მე ბატონების: საშა ეგუტას, ჯოტო გუგუჩიას, ოთარ ფაცაცას მომეტებული ყურადღებით ვიყავი გარემოსილი ნიადაგ და მიშა ლომიას თანადგომასაც ეს მომენტი განაპირობებდა. მსმენია მათ შორის წამოჭრილ უთანხმოებებზე, რომელიც უწინარესად მართვის, ხელმძღვანელობის სტილს და საქმიანობის ნიუანსებს შეეხებოდა, ამასთან პირველობის ეროვნულ სინდრომსაც ითავსებდა უცილობლად. ნარაზენი ხომ შეუდარებელია ზუგდიდის რაიონში. ტრადიციურად დარჩეულია თუ გაუწევეს მას მეტოქეობას მამულიშვილობის ასპექტით, და არაფერია გასაკვირი, რომ ეს ორი სოფელი, უფრო სწორედ თემი, ეს ორი ტანდემი გადაარჩენს სადადიანოს ნამუსს ოთხმოცდაათიან წლებში. „მხედრიონის“ თავნებობის პერიოდში მე დარჩეულ ბიჭებთან დავიარები იარაღის საშოვნელად. მაშინ მხოლოდ თამაზ ხუფენიას გააჩნია ავტომატი გადაბმული მჭიდებით. სხვები — ყორშიები, კოდუები, თოდუები, აბსანძეები, ბიგვაკები, სხვანი და სხვანი ორლულიანი თოფები აპირებენ მომხდურის მოგერიებას. ამაო გამოდგება ჯავშანტრანსპორტიორების შესაჩერებლად ხიდების აფეთქებები. შეუფერხებლად გადმოლახავს კბილებამდე შეიარაღებული კრიმინალების ხროვა მდინარეებს, არხებს, შლაგბაუმებს და ღრიანცელებით მოედება მთელს სამეგრელოს. დარჩეულების შემართება იმ პერიოდში უმაგალითოა. მაშინ 27 ოჯახი გადაიბუგება იქ მსახვრალი ხელით ქედუხროლობის გასაქარწყლებლად. ისტორიულად დარჩელის სიახლოვეს გამართულა დიდი სისხლისმღვრელი შეტაკება სამეგრელოს სახალხო ლაშქარსა — „უტუს ანტლერიასა“ და ომერ ფაშას ასკერებს შორის. სადადიანოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე წარუძღვება იმ ლაშქარს ნალიმასკენ და გაერთიანებული ძალით კუდიტ ქვას ვასროლინებთ დუშმანს. მაგრამ თვისტომს ვერ გავუმკლავდებით

დარჩელში, ვინაიდან მოყვასის ქურქში შემძვრალმა მტერმა უკეთ იცოდა ჩვენი ავანჩავანი, ჩვენი ბუნება, ჩვენი ხასიათი — რომ მოძმეს ძნელად თუ გავიმეტებთ სასიკვდილოდ, თუნდაც უკადრებელს ჩადიოდეს. აი, ნარაზენში კი განსხვავებული სცენარით წარიმართება ყოველივე. ზუგდიდში ალაფი ალაფს მისდევდა დედაქალაქის მიმართულებით. ჩამოდიოდნენ ჯაბახანა ჟიგულებით და „მერსედესებით“ ბრუნდებოდნენ უკან. ჩამოდიოდნენ ოთხი ავტომობილით და ორასით უბრუნდებოდნენ თბილისს. უნიტაზებს აცლიდნენ ბარძაყებიდან მოქალაქეებს. ოთახში დამონტაჟებული ძვირფასი კარადები რომ ვერ გაიტანეს ბინებიდან, დაღეწეს ავტომატის კონდახებით. ქურდს სამშობლო არ გააჩნიაო, თქმულა. ამ საბედისწერო თემას მე რომანიც კი მივუძღვენი „როკის“ სახელწოდებით, რომლის მთავარი გმირი თითქოს დადგება ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, მაგრამ მომენტი აღმოჩნდება ეს პატროფილია, იმპულსი, ვინაიდან დამნაშავეთა სამყარო საშუალებას არ მისცემს მამულიშვილურ გზაზე შემოხეტებულ პიროვნებას შეუფერხებლად აკეთებინოს ერის საქმე და ისევ მავნებლობის ჭაობში ჩაეშვება. განაბი, ავტორიტეტი, „კანონიერი ქურდის“ სინონიმი და საქმის დიდი ცოდნით ვცადე დამეხატა ამ კატეგორიის ხალხის გადაგვარება, გაუფასურება, დევალვაცია მესამე რომანში. ქურდული ფსიქოლოგიის ხალხი მხოლოდ ჩიჩნეთში მოახერხებს საშვილიშვილო საქმის გასრულებას, როცა დანაღმულ ველზე 27 ავტორიტეტი რიგ-რიგობით გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს უმწეო შთამომავლობისთვის უსაფრთხო ბილიკის გასკვალავად. ასეთი რამ მართლაც იშვიათობაა. ამ ფენომენს შეიძლება დავუწყვილოთ გადი ლომიას საქციელიც, როცა სამეგრელოში მოღვარცოფებული „მხედრიონის“ შეკავებას საკუთარი მკერდითლა შეძლებს. აქ ჰერაკლეს მკერდი გაგვასხენდება უნებლიეთ, როცა ავციას თავლების გაწმენდას მოიგუნებებს, არხებს გათხრის და წყალს მიუშვებს საჭინობებში, თავად სხეულით აფარება იმ წუნწუნ-დარდუბალას, ამაზრზენ ნაკადს კედელს გაანგრევენებს და უფსკრულში დანთქავს საუკუნოდ. დიახ, გადი ლომიას წყალობაა ნარაზენი, მისი მიმდებარე სოფლები გაუგონარ ძარცვა-გლეჯას რომ გადაურჩება. ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, როგორ, რა ვითარებაში, ვისთან და რომელთან შედგება საუბრები ნარაზენის ხელშეუხებლობის თაობაზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — გადი ლომიას ავტორიტეტმა მთელი სოფელი იხსნა დამამცირებელი გაწეწვისაგან. სამეგრელოში სასიძობად ჩამოსულ ხალხს აქეთვე არც კი გამოუხედავს, და გასაკვირია, განა ბატონი ბორისი ჯაბა იოსელიანის საფლავიდან ამოღებით რომ იქადნება დღესაც. ეს ყველაფერი უესტი უფრო მგონია, თორემ ხომ ცასავით ნათელია,



იმ ჯაბასთან საერთო ენის გამოუნახავად, „მხედრიონის“ შეკავება თვით დარჩელებსაც არ გამოუვიდათ ჩანგრეული ხიდებით თუ შლაგბაუმებით. ნარაზენელებზე მე ადრეც მომიმართავს კალმისტარი. მაშინ ჩემი ნარკვევის „ნალის შეჭამალის“ გმირი, მისი მკვიდრი, ბატონი თემურ თოდუა გახლდათ, გადი ლომიას ძმანაფიცი, და სულის თანაზიარი, მასავით უდრეკელი და ქედუხრელი ივანეი — მოვარდნილმა წყალმა რომ წაიღო კოლომეტრნახევარი გზა და უმოკლეს დროში, თითქმის უარაფრო სოფელმა თვალის დახამხამებაში აღადგინა საერთო ძალისხმევით. საფიქრალი უამრავი მქონდა ინტერვიუსათვის ლომიებისაკენ დაძრულს. ბატონ ბორისის ოჯახის მიგნება არ გამჭირვებია. იქ მამაპაპისეული სახლის გვერდით ფეშენებელური კოტეჯიც აღმართულა, მაგრამ მაინც ხის სახლში ვამჯობინებთ განმარტოებას. ავუხსნი ბატონ ბორისს ჩემი ინტერვიუს მიზანსწრაფულობას — ნარაზენში მივიწყებული, მიგდებული მიწების ათვისება რომ უთავებიათ. ზოგან თხილის პლანტაციები გაშენებულა 100, 200 ჰექტარზე. სხვაგან კივის კულტურას ანაყოფიერებენ 1000 ჰექტარზე. ჩაცვიბულ

მუკუზანს მომართმევს. კალმასით მიმასპინძლდება. ალვასავით ავარდნილ შვილიშვილებთან ერთად დაუჭერია სოფლის მდინარეში. ინტერვიუზეც დამთანხმდება, ცხადია, და სამომავლო თანამშრომლობის კონტურებიც გაიხაზება. მე ხომ განათლების მინისტრი მისი ვაჟიშვილის რეფორმებს ზოგადკაცობრიული ფასეულობების სიმადლიდან ვანალიზებ საუნივერსიტეტო გარდაქმნების წარმოჩენისას. თერგდალეულების ისტორიულ პერიოდთან ვაიგივებ მათ გამოსვლას ცხოვრების ასპარეზზე. ვადასტურებ ეროვნული რეკვიზიტების ერთგვარ შერბილებას პლანეტარული ცნობიერების სასარგებლოდ. ვადასტურებ ჩინეთის დიდი კედლის ანაქრონიზმს, დრომოჭმულობას, რომელი ნაგებობა ერთადერთიღა მოჩანს თურმე მთვარის სიშორიდან, ვინაიდან კომპიუტერის ათასწლეულმა არნახული გასაქანი მიანიჭა ადამიანის უნარების დედამიწისეულ ცნობიერებას, რომელმაც ძალუმ გვიბიძგა ქრისტეს ფასდაუღებელი XI ცნებისაკენ — **გაყვარდეს მტერი შენი**, რომელმაც აშკარად წარმოშვა ვაჟა-ფშაველას სტრიქონების გაცხადების რეალობა: **„რაც იმ ერთ დამეს მომხდარა, შაუნახია პაერსა“**, ანუ ყოველი ჩვენი ქმედება, თითოეული ჩვენი ნაღვაწი წარმოჩენილია სამომავლოდ მატერიალურ სიდიდედ, ეთერულ სივრცეში წარუშლელ ხატად აღბეჭდილ განზომილებად და რამდენიმე ათწლეულის თუ საუკუნის შემდეგ კაცობრიობას ჭეშმარიტად მიეცემა მისი წაკითხვის საშუალება, რუდუნებით გაშიფრულ შუამდინარეთულ თიხის ფირფიტების მსგავსად. აღმოჩნდება რომ ბატონი ბორისი იმ წარმატებული ბიზნესმენის თანამოსგრეა, ვინც დიდ

მამულიშვილურ საქმეს წარმართავს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში; ვინც ჩვენი სარედაქციო საბჭოს წევრია დაუსწრებლად და მიზეზთა გამო შეხვედრა დღემდე ვეღარაფრით მოგვიხერხებია. სწორედ ბატონი გურამ დადუანი ხელმძღვანელობს ნარაზენში, ხეცერაში კივის, თხილის პლანტაციების გაშენებას გავერანებულ ფართობებზე. მიწის მოცდენის გამო საქვეყნო ზარალი — თავისთავად, ეკალ-ბარდად ქცეული ჩინარები, უნასებისა და ტურების საკრებულო ადგილი ადამიანის სამსახურში ჩამდგარა კვლავინდებურად. ყველაფერს დაუშუალოთ „ასავალ დასავალის“ პასკვილური პუბლიკაცია, რომელშიც დაუმსახურებლად ნასროლ ტალახს გამწარებული იგერიებს ჩვენი პოტენციური რესპოდენტი. დილის მატარებელს დავემგზავრებო ზუგდიდისკენ. ადგილი სამი დღით ადრე 31-ე შემირჩევია მგზავრებით გადაჭედულ ვაგონში. აქ მოხერხებული მაგიდაა და პროფესიული მუშაობისათვის უკეთეს სიხალვათეს ვერც ინატრებ. ქალბატონების ჭორიკანაობის ამბავი არახალია. ეტყობა ამათ სვანური ლექსისაგან განსხვავებით ჭერაც არ დადგომიათ სულისშემგზავრელი წუთი —

**„ამაზე უფრო საკვირველს გხედავ, უჩუმრად სხედან დედაკაცები“.** ფქვავენ და ღერღვენი მთისას, ბარისას. ვისი სახე არ გაიღვებს ამ ვერბალურ მოზაიკაში — ზოგ მანდილოსან პარლამენტარს მკრეხელურ ანონიმურ წერილს ამოუშვიშვლებენ ლექსადწყობილს. სხვას ფეხბურთის გუნდს დააშლევინებენ. ბატონ ბორისის ოჯახსაც ესტუმრება ზეპირი ინფორმაციების გატყუარჭული მეტყველება. — აბა, რა გევონა შენ?! გამოუსწორებელი კონგრესმენია თურმე, — ამტყიცებს ფაშფაშა. კონგრესმენი ამათ ენაზე იეღოველს ნიშნავს. — მაშ, რა იქნებოდა, მეუღლე ჰყოლია ებრაელი. იმიტომაც გადასდით თავზე ყველაფერი, ბანკი, ინვესტიციები, კრედიტები. ფერზე არ ეტყობათ, ნახე როგორი წითურები არიან?! აქ კი ყელში მომავწვება აქამდისაც გვარიანად წამოყვინჩილებული ბოლმის ბურთი. განგმირავ მზერას ვესვრი ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ნურას უკაცრავად, თითქოს რწყილებია, ან სულაც უმტყვენეულო ქინქლი გვიანი შემოდგომისა. ეშმაკობას ვიხმარ. დავაძრობ აკრედიტაციის ბარათებს, სახელმწიფო კანცელარიისას, პარლამენტისას, ტუზებივით გავშლი მაგიდაზე. შემდეგ ვიშვიშვლებ „პანასონიკის“ ფირმის ჩამწერს, გავაჩხაკუნებ კასეტას რამდენიმეჯის. „Даи, даи“, შევუმოწმებ ფხიანობას. დავაჭერ ღილაკს და წითელ შუქზე შევაცურებ მათ აღერლილ მადას საუბრისას. — კი, მაგრამ ცხადები, როდის აქეთ გამხდარან ურიები?! ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, ჟურნალისთვის გამომადგება. ცივი წყალი გადაეხმება აქამდე ჩვენს ენაფხანია ქალბატონებს, მოკუშავენ პირებს, მომუწავენ ტუჩებს და წვრილ-წვრილი თვალებით მიაჩერდებიან

გივი ბერიკაშვილის „იუმორინას“ ტელევიზორის მოლიფლიფე ეკრანზე. აი, რანაირი სიტუაციები უსწრებს ჩვენს მართონულ საუბარს ბატონო ბორის.

**ჩანართი:**  
ს. ფ. №15 ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქ. გენადი ნადარაიას (მცხ. ზუგდიდის რ-ნი, ს. ნარაზენი) ახსნა-განმარტება  
გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2007 წლის 11-17 ივნისის ნომერში ჯაბა ხუბუას წერილის გამო მივიჩნევ, რომ ჯაბა ხუბუას ხელმოწერით დაბეჭდილი სტატია „კახა ლომიას მამა შევივიდეს ოჯახში“ ცილისმწამებლურია, ხოლო მისი ავტორ-შემკვეთები უნდა გაირიცხონ საზოგადოებიდან. მე ბატონ ბორისის ახლო მეზობელი და თანამოაზრე გახლავართ. სამარცხენოა, რომ მისი მეზობელი სულისკვეთება გაზეთში დაფანდია „ანონიმშიკობამდე“.  
„მხედრიონელებმა“ მას დაუცხრილეს სახლი, დააყაჩაღეს და წაართვეს ავტომანქანა, არაერთხელ გადაქექეს მეურნეობის დოკუმენტაცია, შეკოწიწებული დოკუმენტებით მოხსნეს მეურნეობის დირექტორობიდან, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე 3-ჯერ ჩასვეს ზუგდიდის ციხეში. მიზანი ერთი იყო — ნარაზენიდან, ზუგდიდიდან გაეძევებინათ ხელისუფლებისათვის უხერხული პიროვნება. მიუხედავად დევნისა, ბორის ლომიამ წარბი არ შეიხარა, მიაღწია 3-ჯერ დაპატიმრების უკანონობის იურიდიულ შეფასებას, გატაცებული სამსახურებრივი ავტომანქანის ამოღებას სოფ. ლამისყანიდან (კასპის რაიონი), სამსახურში აღდგენას განაცდურის გადახდევინებით (ს.ფ. №13), ასევე 1998 წელს ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებას, გლეხებისათვის კუთვნილი მიწების გადაცემას, საქართველოს პარლამენტისა და სასამართლო ინსტანციებში 5-ჯერ განხილვის შემდეგ (ს. ფ. №№ 14, 4, 5), მოვალედ, მივიჩნევ სასამართლოს მოვასხენო ერთი შემთხვევის შესახებ, რომლის მომსწრე მე ვავხდი. საბოლოოდ უზენაეს სასამართლოში მიწის საქმის მოგების შემდეგ ბატონი ბორისი თანასოფლელებთან ერთად ავტობუსით ბრუნდებოდა. ნარაზენის მიწაზე როცა დავდგი ფეხი, მან მანქანა გააჩერა, გადმოვიდა, ემთხვია ნარაზენის მიწას და დალოცა შემდეგი სიტყვებით: **„ჩემო ჯივრებო! დამილოცნია თქვენთვის ეს მადლიანი მიწა, სასიკეთოდ მოგახმართო იგი!“** ეს იყო 2000 წლის 23 სექტემბერს. ბატონი ბორისი ჩინებული ორატორი, დაუღეგარი ენერჯის, ფანტაზიის პიროვნება გახლავთ, ჩაის ეკონომიკის გამოჩენილი ექსპერტი. მე სულ მის გვერდით ვიდექი და კარგად მახსოვს თუ როგორ მიაღწია მან ბატონ მიხეილ სააკაშვილის და ბატონ ზურაბ ჟვანიას ჩამოყვანას ნარაზენში



მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნისას ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მიაღწია ჩაის აღორძინებისათვის 7 მილიონი ლარის გამოყოფას. ბორისის სახლში ჯაბა იოსელიანი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. მოკლედ, ბატონი ბორისი ნარაზენისათვის აღიარებული, თავდადებული კაცია. მისი ავტორიტეტის ნიმუშია ქველმოქმედებით სოფელში მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობისათვის თანხების მიძიება; ზუგდიდი — ნარაზენი — ძვ. ხიბულა — ახ. ხიბულა — ზუბის 24-კილომეტრიანი გზის თითქმის დამთავრებული მოასფალტება. ჩვენს ქვეყანაში რელიგიური აღმსარებლობის კონსტიტუციური თავისუფლება ლეგიტიმურს ხდის იელოველობას, მაგრამ სასაცილოა ბორის ლომიას იელოველობა. იგი სულით და ხორციით მართლმადიდებელია. ამის დასტურია სანახევროდ აშენებული ნარაზენის მართლმადიდებლური ეკლესია. ბატონი ბორისი მისაბაძია პიროვნულადაც. მასთან რჩევისათვის სისტემატიურად მოდიან ნაცნობ-მეზობლები. წესით პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გაზეთის წარმომადგენელი სოფლის თავკაცთან, დეპუტატთან უნდა ცდილობდეს შეხვედრას. ამ შემთხვევაში უფალი ჯაბა ხუბუა არც ცდილა ბატონ ბორისთან, ან ხალხის რჩეულ გოდერძი თოდუასთან შეხვედრას. იგი ყოფილ გამგებელ ზამორ ჯანჭლავას ეწვია. ფერი ფერსაო!



(იმხანად ოპოზიციის ლიდერები იშვიათად სტუმრობდნენ სოფლებს).  
 მაქვს პატივი საქალაქო სასამართლოს წარუდგინო ბატონ ზურაბ ჟვანიას წერილის ტექსტი: **„ქვირფასო ბატონო ბორის, დიდი ინტერესით გაგვცანი თქვენს წერილს და მადლობას გიხდით მხარდაჭერისათვის. თქვენსავით ავტორიტეტული და გამოცდილი ადამიანების თანადგომა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. სიამოვნებით ვიდეუ თქვენს მიწვევას სოფელ ნარაზენში წინასაარჩევნო შესვედრის თაობაზე, სადაც სხვა პრობლემებთან ერთად კონკრეტულად ვისაუბრებთ წერილში დასმულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა მოგვარება, ვფიქრობ, მეტად აქტუალური და საშურიცაა. რაც შეეხება ჩაის კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს და დარგის შექმნაში განვითარების პერსპექტივებს, ის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენს საარჩევნო პროგრამაში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და თანადგომისათვის. საუკეთესო სურვილებით, ზ. ჟვანია“.**



ბარემ აქვე დავძენ, რომ

**გ. ნადარაია,  
 2007 წლის 11 ივლისი,  
 ს. ნარაზენი.**

ნარაზენის თემის სინამდვილიდან ვილაპარაკოთ. აქაური მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო ათწლეულების წინათ იყო ჩაი, ციტრუსი, თხილი და მარცვლეული კულტურები. მესაქონლეობის განვითარების მხრივ ნარაზენს არ გააჩნია

მოხერხებული ადგილ-მდებარეობა. ჩაის პლანტაციებმა მოსპო საძოვრები და ახლა, როცა ჩაის ბაზარი წართმეულია, მომსპარი, სახალხო მეურნეობის სხვა დარგები გაჩაჩანაკებული, ტუნგოს, კორდატას კულტურა უსარგებლო რეკვიზიტად აყუდია ფერდობ და ფერდობ; რაჟამს ქობულეთში მოშლილია ტუნგოს ნაყოფის ზეთსახდელი ქარხანა, მაინც რა აუცილებლობამ მიგვიყვანა თხილისა და კივის კულტურების გაშენებამდე. თუ ისევ ბუშია?! იგივე მოდის მისამართით ფეხის აყლა. აკი, თავის დროზე ჩვენ გამოვიარეთ დაფნის ბუში, „მეიერისა“ და „მამფორისა“ ლიმონების ბუში, გამოვიარეთ კომპლექსომანიის ბუში. რა არ ცვაღეთ, რას არ მივედ-მოვედეთ?! მაინც ცარიელ-ტარიელნი ვართ, უარაფროები, ბოგანონი, პრაღეტარები, გაღლეტილები — მარტივად. როგორია თქვენეული ხედეა?! რანაირად მივედით ჩვენ თხილისა და კივის კულტურების გაშენების აუცილებლობამდე?! ერთი ენდემური ჯიშია, ადილობრივ პირობებს შეგუებული, მეორე — უცხო. სად არის აქ შუალედი, სად არის მართლზომიერი ხსნა?! სად არის დაუნჯებული გონება, რომელიც დღითი დღე ქრება მხრებიდან, უთაო მხედრებს ვემსგავსებით მაინ რიდის შემოქმედებიდან.

სანამ საუბარს ვაგვმლიდეთ, ბატონო ბორის, რამდენიმე ურთიერთგანმსაზღვრელ რეალობას შეგახსენებთ ბევრისმცოდნეს.

**პირველი ორაგულება.** ამ სახეობის თევზების გუნდი ოკეანეში ბინადრობს, მაგრამ ქვირითს მშობლიური მდინარეების სათავეებში ყრიან, ტაფობისათვის აბსოლუტურად უსაფრთხრო ადგილია. გადმოლახავს თევზების ქარავანი ათასობით კილომეტრს. მიფართხალევენ თავთხელებში, კუდს შეატრიალებენ პროპელიორივით და ჩანჩქერებს აღმა მიჰყვებიან, ლოდებზე ეჩიქვებათ დამდოვრებული სხეული. მაინც ეწევიან საწადელს. მაინც მიანიჭებენ სიცოცხლეს თავიანთ ჯიშ-ჯილაგს, რათა ჯანსაღ შთამომავლობას დაუდონ სათავე.

ეს გენეტიკური კოდია, შთამომავლობის ყვილი. სხვანაირად სრული გაბედითებაა, ზედმიწევნითი იავარქმნა.

**მეორე ტარკოკის ფილმია — „ანდრეი რიბლოვი“.** ამ კინოლენტის ერთ-ერთ ნაწილს — „ზარები“ ჰქვია. მონგოლ-თათართა ბატონობის ბოლო წლებია. რუსეთი დაღლილია მათი ორსაუკუნოვანი ბატონობით. გაიბრძოლებენ უკანასკნელად და გადაიგდებენ კიდევ მონობის ჯაჭვს. ახლა ეკლესიაა ასაღორძინებელი. საჩინბოდ ქცეულ ტაძარს განაახლებენ, მაგრამ ზარი არ გააჩნიათ, დაღეწილია. მისი ჩამოსხმის მესაიდუმლე მტერს შეკვდომია. მემკვიდრე დარჩენია იმ ოსტატს და აი, ეს ყმაწვილი ითავეს კიდევ ზარის ჩამოდნობას. გასრულდება შრომატევადი საქმე, გუგუნებს ზარი და ყრმა ტირის ხალხისგან მომორებით — გაირკვევა, რომ მან ზარის

ჩამოდნობისა არაფერი იცოდა, ყველაფერი ხალხმა მოამოქმედა თურმე, ბიჭი უბრალოდ საქმეს გაუძღვა და საზოგადოება თავად გაასრულეებს საკუთარ წიაღში კოდირებულ საქმეს.

**მესამე თხმელება, მურყანი.**

დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი სამეგრელოში ეს მცენარეა გაბატონებული ყველგან და დაფუძნების მოსუნე ხელმოკლე კაცი წაბლის ხის ოდას ვერაფრით წამოჭიმავს, ვერც — მუხისას, თხმელას უნდა დასჯერდეს. მაგრამ თხმელის ფიცარი მდარე საშენი მასალაა, ადრე იჩრჩილება, ადრე ლპება ავდართან ჭიდილში. რა ქნას ახლა მეურნე კაცმა?! როგორ აუშენოს ქესეტამ შთამომავლობას საშვილიშვილო სახლი?! და აქ სამყაროსეული სიბრძნე გაამარჯვებინებს წინააღმდეგობასთან ჭიდილში. აგვისტოში მოჭრილ თხმელას წყალში დაძირავენ ორ-სამ წელიწადს, რათა ბუნებით შექმნილი ჭარბტენიანობა გამოიფერთხოს ორგანიზმიდან. ამის შემდეგ ასეთი თხმელის ხე მუხაზე ძლიერი ხდება, ძელქვასავით ქედუხრელი. შორი გზით შემოგუარე საქმელს, ბატონო ბორის, მაგრამ სხვანაირად როგორ დამენახვებინა ჩემი სატკივრები, ჩემი საწადელი?! ათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია უქმად აგდია წლობით. კაციშვილი არ არის მისკენ გამხედავი. მოიშალა მეცხოველეობის კომპლექსები. მეკამეჩეობა ძრომდეა დაყვანილი. შეიმუსრა ენდემური ჯიშები. ვმართავთ ბაზრობებს ჩხოუმის მისადგომებთან, ვაჩხრიალებთ თხილს სეზონიდან სეზონამდე და მორჩა.

აი, ამ სიტუაციიდან გამოსავალს თქვენისთანა გონებანათელი პრაქტიკოსისაგან ველი, ვისთვისაც თეორია დიდი ხნის წინათ გათავსებულა ზიგ ზაგიან საწუთროში ხეტიალისას.

მოხდება იმგვარად, რომ ნარაზენში მშენებარე ხარების სასწაულმოქმედ ეკლესიაში, მე, გური ოტობაია, ავუნთებ პირველ სანთელს ჩემს გადი ლომაიას, ჩემს ბუხუნა მიშა ლომაიას, ახლახან ცად ავლენილ მოხოს ჩემსას, თოდუას, ეკლესიის ნათელი ხომ განუზომელია, რომელიც თავის დროზე ყველას შეგვიმყუდროვებს უსაყვდუროდ!

მომაკითხავენ ნარაზენელები გოროზ სასომხეთის ტუფის ქვის ლოდებთან გარინდებულს.

თავდაპირველ მასპინძლობას თამაზ ბერიშვილი დაიჩემებს, მაგრამ მე მალევედვე ლომაიებისკენ დაველირები. ბატონი ბორისი ნარდის გაქანებულ ჭახაჭუხშია მახა თოდუასთან. მეორე თანამოსაგრე თოდუა უნაბის ხეზე გადასულა და იქ კრეფს მუშის ხელებით დამჭკნარკანიან ნაყოფს.

ნარდს აშლიან მასპინძლები, იმისდა მიუხედავად ანგარიში 4:5-ია თოდუა ბიჭის სასარგებლოდ.

სახელდახელოდ იშლება მამაკაცური სუფრა — სალათი, ყვლი, ძეხვი, პური, ხასხასა ღვინო და კეთილი გული.

ბატონი ბორისი ძველებური შემართულებითაა. სამოცდაათს მიტანებულა, მაგრამ არანაირი უკანდახევა. იქნება ომი?! ოთხი თოფის პატრონია,



გაუკეთა ჯაბას და მის ბიჭებს, მაგრამ სოფელს ჯავშანვით გადაეფარა.

მეორე ჩვენი თემურ თოდუაა, ივანიჩი. ათწლეულის წინათ ნარაზენის ცენტრალური გზის მონაკვეთი მან, ერთადერთმა, აღადგინა ორგანიზატორული თვალსაზრისით და ამაგი სხვას მიაწერა რომელიღაცა ჟურნალისტმა. საერთოდ ნარაზენს პრესის ხალხი არ სწყალობს.

— რატომ, ხომ დაიბეჭდა თემურზე ვრცელი სტატია „საქართველოს რესპუბლიკაში?!“

— არ წამიკითხავს, სავალალოდ.

— რა, შენც პრეზიდენტი ხომ არა ხარ, — წაეოხუნჯება კვლავ თოდუას ბიჭი მახა.

— მე ვიყავი თავიდან ჟურნალისტი, ფილოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე. მამაჩემის წყალობით რუსულს სრულფასოვნად დავეუფლე. ოთხი წიგნი გამომიცია, მათ შორის რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის საკავშირო მნიშვნელობით. — ახლა იკადრებენ დასერიოზულებას სუფრის წევრები.

— მე მეშაყრებით თქვე ცინგლიანებო?! რომელი ერთი წაგიყოლიეთ „ასავალ დასავალში“ როცა მათრის?! მარტო მივედი და იქ დახვედრილებს 25 ათას ლარსაც შევაწერდი, მაგრამ მინისტრი შვილის მამა ვარ და თავი შევიკავე. მოკლედ, იმას გეუბნებით, რომ იმ საპატიო დაფაზე აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი ამოიტვიფრება წარუშლელად. 10 ათასი ლარად ღირებული აპარატურა გვისახსოვრა. აი, კაცი!

აი, ჩვენებურების პირველ მოსარჩელე!

იმ დაფაზე ამოიტვიფრება ბატონ გურამ დადუანის გვარ-სახელიც. ჩვენი სასახლო სიძეა. თავიდან მოკრძალებით მოვიპატიყეთ. შევთავაზეთ წინადადებები, საიდან, რით დაგვეწყა. ვილაცამ, ეკლესიაო, თქვა და თვალის დაუხამხამებლად



ტყვიას ტყვიაში აჩენს. წარმოდგენილი მაქვს ახლა „ასავალ დასავალის“ ოცდაათიოდე თანამშრომელი სხვა წვეულ კოლეგებთან, როგორც დღეში ეყოლება დაუპატიჟებელ სტუმარს; წარმოდგენილი მაქვს მათი თითების ტკაცატკუცი და შეშუშუნებები მერეხივით მოხეტქილი სტიქიის წინაშე. ჩვენი საუბრები უსისტემოა.

ჯერ სადღეგრძელოების თანამიმდევრობით მივხეტებებით. იცინიან ბატონ გურამ დადუანთან დასაქმებული ბიჭები. განსაკუთრებით ნარდში დაწინაურებული მახა ყოჩაღობს. ყველაფერში მჭობნის გიორგვიჩიო, ქილიკობს, აი, ყანა დათესა და ჯერ კოკორიც არ ამოუყრიაო.



— კაცი ისეთ დროს უნდა ჩამოვიდეს სოფელში, როცა ძალ-ღონე ერჩის, აბა ჩამოწერილები ვის რაში სჭირია, ჭამა-სმა და გვიშტები რომ არ შეუძლია (ვგონებ მიგვიხდით „გვიშტების“ ნიუანსებს), ეგდოს თავისთვისო. აი, სულ მალე საპატიო სტენდს გავმართავთ და სათითაოდ ავამაღლებთ იქ იმ პიროვნებებს, რომელთაც სოფლს დიდი ამაგი დასდეს. პირველი ჩვენი გადი ლომია იქნება. მან ერთადერთმა შეძლო ცოფიანი „მხედრიონის“ ამაყი მკერდით შეჩერება. არ ვიცი რა ჯადო



21 ათასი დოლარი დადო. ვნახავთ დილით ერეგნის ტუფის სახერხ დანადგარს, სულ მისი შექმნილია. უკვე დამზადებული აქვს ხარების სახელობის ეკლესიისათვის ჩუქურთმებიანი კაკლის ხის კარები. მისი წყალობაა ასტრახანში ზარები რომ ჩამოისხმება. სხვა მრავალი რამ შემოგვაშველა. მეუფე გერასიმეს მიერ კურთხეული ჩვენი ეკლესია ახლა მშენებლობის შუა ფაზაშია. იგი ნარაზენის ყველაზე მაღალ ნიშნულზე აღიმართება — ვგონებ 264 მეტრია ზღვის დონიდან. იქ სტელაც არის აღმართული ეროვნულ დროშასთან ერთად. მალე ბეტონი ჩაისხმება და წავა სიმბაღლეში. სოფლის ცენტრში შემოსულ სტუმარს პირველ რიგში ეკლესია უნდა შეეგებოს სათნოების სიმბოლოდ. აი, კდემამოსილება რომ მოაკლდა ჩვენს ცხოვრებას, იმიტომაც ჩავცვივდით ამისთანა დღეში. ჩემს ვაჟს ამათ კანალიზაციის კაცი დაუძახეს, მერე და, ვის?! ადამიანს, რომელმაც თბილისის მე-9-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჰიდრომექანიზაციის დაეუფლა, მოსკოვში გააგრძელა სწავლა და იქ საკანდიდატო დისერტაცია საარაკოდ დაიცვა. უცხო ენები ისწავლა. ესენი იაფფასიანი ტრიუკებით ცდილობენ ხალხის დაბრმავებას. მართალია, პრეზიდენტს არ უნდა წამოცდენოდა „ქართულ პრესას არ ვკითხულობო“, მაგრამ მან იქვე ბრძანა: „ქართულ სინამდვილეს დაიჭესტებით ვეცნობი და ვკითხულობ უცხოურ პრესასო“. მას არ დააცალეს აზრის დასრულება, ანუ შინაურ საქმეებზე ინფორმირებული ვარ უკიდურესად დაწნეხილი ინფორმაციით, ხოლო უცხოურ მას-მედიას თავად ვეცნობი მსგავსი სამსახურის უქონლობის გამო. აბა, აიღოს ახლა 200 ყვითელი გაზეთი კაცმა და მთელი დღე-ღამე მათში ჩხირკედლობას შეაღოს?! პრეზიდენტის უმთავრესი მიზანი საქართველოს გაერთიანებაა. მთელი ძალისხმევით ამ პროცესშია ჩართული, ამ ურთიერთობებში. მიმდინარეობს უჩინარი ომი საქართველოს გამთლიანებისათვის, „ნატოსკენ“ სწრაფვა, თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და პრიორიტეტი ამ ვექტორს ემსახურება. მეტსაც გეტყვით, მე „სახალხო ფრონტის“ წევრი ვიყავი ეროვნული მოძრაობის დებიუტში და ახლა, სადაც ზვიადის ბიუსტია ზუგდიდში, იქ ჩვენ ლენინის ძეგლი წავაყირავებთ ბულდოზერით. ამის გამო ფეხები ვერავინ მოგვჭამა. მე ვიყავი პირველი ინციტორი ზუნდიდის ქალაქისა და რაიონის გაერთიანების, ჯერ კიდევ პარტკომობის პერიოდში, რაიკომის მეორე მდივანი გახლდით და ბუნტარობას მაშინაც ვახერხებდი. ამ ორ-ორმა უწყბამ, ორმა საგადასახადომ, ორმა მილიციამ და პროკურატურამ, ამ ტყუპ-ტყუპმა სტრუქტურებმა გამოხრა ისედაც დაქვეყნებული ჩვენი ბიუჯეტი. სახალხო კრებას ვიწვევ ამის თაობაზე. ამ დროს დარბაზში ორ ავტომატს აკაკანებენ ჩემს დასაშინებლად. მაგიდის ქვეშ როდი შეგძვრები ზოგიერთივით! წამოვდგები,

გამოვალ სცენაზე და ომახიანად ვიტყვი შეკრებილებში: მოდით, ხალხო, კენჭი ვუყაროთ ზუგდიდის რაიონის ერთიანობას-მეთქი. ჩემი წინადადება ასი პროცენტით გავა. შემდეგ ბატონი ნოდარ ჭითანავას მეშვეობით ხალხის გადაწყვეტილებას მივუგზავნი ბატონ ზვიად გამსახურდიას. ისიც დათანხმებულია თითქოს, მაგრამ შემხიანებია ვინმე მანდილოსანი და უთქვამს: თუკი დაგვჭირდება ზუგდიდს ორად კი არა ოთხდაც გაეყოფეთო. ჩვენი უძღურების მთავარი სათავე ქვეყნის ერთიანობის უქონლობაა. ჩვენ გვიჭირს მონოლითის აშენება. აი, ამ პრობლემას ებრძვის ბატონი მიხეილი და დიდი ბედენა 200 ყვითელი გაზეთის კითხვაში თუ არ ათენ-აღამებს. აქ მე ალტერნატივას ვერ ვხედავ. დადუანის ბიჭები გაიკრიფებიან უნაბის ნადავლით. დილის ცხრა საათზე ეკლესიასთან შეხვედრას დავთქვამთ. ავალაგებთ სუფრას. მეც შევეშველები ზომიერად. სახე უღაჟღაჟებს ბატონ ბორისს. უხარია ჩემთან მუსაიფი. ნარაზენელებთან წლების მანძილზე უღალატო ურთიერთობამ სრული ნდობით აღმჭურვა მის წინაშე. კვლავ ბატონ გურამ დადუანის გარშემო ვსაუბრობთ. 12 ჭრილობა მიუღია აფხაზეთის ომში. ამჟამად „US Basalt Technlgy Grup Inc“-ის პრეზიდენტი. ჰქონია აგრეთვე მეორე ფირმა — „დანი“. ტარიელიც რქმევია ამ უნიკალურ კაცს ოფიციალურ სახელად, მაგრამ ყველა გურამით იცნობს. ბაზალტი გასაოცარი თვისების მანდილოა თურმე, ტექნოლოგიური გადამამუშავების საფუძველზე მისგან ტყვიანობათარ, ძალზე მოხერხებულ და მჩატე ჟილეტებს ამზადებენ. ნეტავ სრიულიად საქართველოსთვისაც მოახერხებდეს ერთი უშველებელი ჟილეტის შეკერვასო. ბაზალტისაგან სხვა სამეურნეო დანიშნულების პროდუქციასაც აწარმოებენ თურმე, მაგრამ ამ პიროვნების ნამდვილი სახე სოფლის მეურნეობის პრობლემებით გატაცებაა. მეუღლე ჩვენებური ჰყოლია, ქვარცხავების ქალი. ორი შვილის მამაა. სოხუმის სიახლოვეს, ვარჩესთან ცხოვრობდა ბერიას დროს დიდი სვანეთიდან ჩამოვაცებული. ჩამოიყვანეს ერთხელ ბატონი გურამი ნარაზენში, დაათვალიერებინეს მისი თვალწარმტაცი სანახები, მოხიბლეს, მონუსხეს აქაურობის პირველყოფილი მშვენებით და ერთიანად შეძრულ კაცს ხეცერის მეჩაიეობის მეურნეობაში 400 ჰექტარი გაოხრებული ჩაის ნარგავები შეაძენინეს. აი, საქმეც აქედან წარიმართა მეტი ენერგიულობით. ამჟამად დასახელებულ ალაგას 90 ჰექტარზეა გაშენებული კივი, ფეიხოა და თხილი. ნერგები ძირითადად ნოსირიდანაა მოტანილი, ხარჩილავების ოჯახიდან. — ვარ ნამყოფი მათთან, — ვიტყვი უცაბედად, — ვიცნობ ბატონ ნოდარს. — ახ, ჯოლორიისთანაც მოასწარი კაცო, მისვლა?!



გადამრევ პირდაპირ! როგორ ახერხებ ამდენს?! დიდი უბედურება შემთხვევია. თერთმეტი წელიწადი მოუხდია პატიმრობაში. მერედა, იცი რისი გულისთვის? ვალი მართებია ვილაც ბედნიერს მისი. მიუკითხავს აწურულს. შვილის საფლავის გასაკეთებლად მჭირდებაო, უთქვამს, მორიდებით. იმას ენა გადმოუღია, ნამთვრალევი ყიამყრალია ზოგი, მივაიმასქნე იმ შენს საფლავსო, დაუყრანტალეებია და რეკა თურმე თავში ნაჯახის ყუა. მე უარესს ვიზამდი. ჩემს შვილს სიტყვა „ბავშვის“ წარმოთქმა შეეშალა ერთ სატელევიზიო გამოსვლაში და ამის გამო კინალამ ჯვარს აცვეს. არ შევარჩინე იმ ენამყრალეებს შვილის გაბიბრუება. ხარჩილავების მიერ გამოყვანილმა ნეგებმა ასი პროცენტით გაიხარეს. სხვები

გაგვიხმა სანახევროდ. სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადება უტოპიად მიაჩნია მრავალ ბიზნესმენს ჩვენს პირობებში. თუმცა პრეზიდენტმა ხომ გააშენა განმუხურში საერთაშორისო ბანაკი. ამით მთელს ქვეყნიერებას დაანახა თავისი ძალისხმევა. იბუტურეს, იყაყანეს ზოგიერთებმა, მაგრამ იქაურობას თითი ვერავინ დააკარა. აკი, ვამბობდი მისთვის მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის მთლიანობაა-მეთქი და არა 200 გაზეთის ჩაბუღებულება. დაქუცმაცებული ქვეყანა ვერ განახორციელებს სრულფასოვანი სახელმწიფოს ფუნქციებს. ათასი ხვრელიდან მოძვრება კონტრაბანდა, ბიუჯეტს ვერ ართმევ თავს. აი, თურქული პროდუქციის შეზღუდვის მიზნით ცაიშის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი შეიძინა ბატონმა გურამ დადუანმა, სადაც თერმული წყლებია, 96 °-ს აღემატება მისი ტემპერატურა. იქ ჩინელებიც ჩამოლაგდნენ. ისინი კანონის ძალით მოქმედებენ, ღობეები ააშლევინეს მოსახლეობას. ჩვენი გურამი, ბატონი ტარიელი, სულ სხვა ბუნებისაა, მიმტევებელი, ეროვნული ხასიათის. იმის გარშემო ჩვენ ვაპირებთ სასათბურე კომპლექსის გაშენებას, სადაც 100 ათასი ტონა ხილ-ბოსტნეულის მოწვევას ვვარაუდობთ. აი, ამ აქტის შემდეგ გაუჭირდებათ ახლა გალაღებულ ჩვენს კონკურენტებს. ჯერ ერთი, განუბაჟებლად შემოაქვთ პესტიციდებით გაჭყპილი პროდუქცია. მერე და გაზზე გამოყვანილი ბოსტნეული რა უნდა იყოს! ჰოდა, ჩაესვენება დასავლეთ საქართველოში არაეკოლოგიური საქონელის გულავი. ამასთან ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქციით ჩვენ ვაპირებთ



ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხნის ათვისებას. 350 მუშახელი დასაქმდება აქ. დიას, სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადება რისკიანი საქმეა. რისკი არ აკლია ჩვენს გურამს. ბატონ ტარიელს წარმატებული ბიზნესმენი ძმა ჰყავს მოსკოვში. გაუგია პუტინს ჩვენი წამოწყებული სექტორების შესახებ და ანგარიშები გაუყენა. ამიტომაც ზოგიერთი მუშახელის დროებით დათხოვნა მოგვიწია, მაგრამ ყველაფერი მალე განახლდება. გურამი სქურის ხეობაშიც შევიდა. უნიკალური „ლუგელას“ ჩამოსხმა მისი ხელ შეწყობითაა. მოკლედ, თავგანწირვის გარეშე ჩვენ ვერაფრით წავიწვევით წინ. პრეზიდენტი ხომ სწირავს თავს საგარეო პოლიტიკის მოგვარებისათვის. ქვეყნის შიგნით გურამისნაირი ხალხია საჭირო. მთელი ცხოვრება ზვიადის მომხრე ვიყავი. ბატონი გოგი გაჩეჩილაძე ჰყავდა მრჩეველად. ეთქვა ერთხელ, იყავით თქვენ ხომეინივით იდეოლოგიური ლიდერი, პრემიერად ბატონი ედუარდი ჩამოვიყვანოთო.. არაფრით ქნა თურმე. — თუ არ აქნევინეს. — რა მნიშვნელობა აქვს. ვხხრიკეთ, ვხხრიკეთ და გამოვხხრიკეთ კაი ჩიტი! ახლა ათასი პრობლემაა მოსაგვარებელი. მიხსენებია ოთხი თოფი მაქვს-მეთქი, ტყვიას ტყვიაში ვაჭენ, მაგრამ მშვიდობიანად მოგვარებულ საქმეს არაფერი ჯობია. აი, კარგი ლექსი აქვს ნიშნიანიძეს, აფხაზეთში ქორი წიწილს რომ მოიტაცებდაო, ჰყვება ერთი ფუნქციონერი და გაიჭედება, დაავიწყდება სტრიქონი, ჰაუ, ჰაუ-მეთქი, მივაშველებ აქედან, ამირიზება, გუდა-ნაბადს აიკრავს. ჯაბას საფლავის ხელყოფა რომ ვახსენე და გუგეშაშვილი აიფოფრება მამალი ინდაურით, მე თუ ვერ შევძლებ ამას, მომავალი თაობები იზამენ. არ შერჩა ავკაცობა ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძეს, ერთის ძეგლმა იმდენი კვერცხი შემოითქვლიფა, მთელს საბურთალოს გამოაძღობდა ტაფამწვარით, ხოლო მეორე ჩამოასრიალეს მთაწმინდიდან... სახელი ღვინოს ჰგავს, იბუყბუყებს მაჭარი, იგიჟმაყებს, მერე დაწყნარდება, თუ ნამუსიანია, დაწდევდება, აკამკამდება, არადა, უჟმურს, დაძმარებულს არაფერი ეშველება, საარყე ქვაბში უკრა უნდა თავი. გვესტუმრება მზიანი სისხამი უბატონო ნარაზენში. გავეთამაშებით წლინახვერის ნაგაზს. ეკლესიისკენ დავეშვებით. რომ მეგონა სანთლის

პირველი ამგზნები ვარ ნარაზენში-მეთქი, მანახებს უამრავ შერუჯულ, სანთლით გაგლეხილ ადგილს დაუსრულებელი ეკლესიის ქონგურებთან. მოსწავლეებს აქ შემოსვლა უხარიათ თურმე და ამიტომაც გაჩნდა სასურსათო მაღაზიაში ჩამოქნილი სანთლები. მანახებენ 18 მეტრის ჭას. განსაკუთრებული წყალია თურმე. დაადგამენ გვიმს და ბევრი ისარგებლებს მისით. გალავანიცაა შემოსავლები ეკლესიის ტერიტორიისათვის. საღვთო ადგილი მიუკარებელი უნდა იყოს პირუტყვისაგან. დამატარებს სოფლის ცენტრში. მანახებს მისი მოგვარე ოპონენტის ფირნიშს. მანახებს მისი დამსმენი კოლეგის ნააკაცარს — გადაჭრილ ნაძვის ხეებს, რომლებიც სახლში გააქანა გაურკვეველი დანიშნულებისათვის. მანახებს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას გამოგზავნილ აპარატურას. მანახებს მეტალოპლასტმასით აფერადებულ სკოლის ფანჯრებს. წითელი ავტობუსი შეუძენია გაერთიანებული სკოლის მოსწავლეებისათვის, ორასი-სამასი მეტრია სკოლამდე, მაგრამ ბავშვებს უხარიათ ახალ ავტობუსში ჩაჯდომა და ფეხს არ იცვლიან მის გამოჩენამდე. კიდე უამრავია მოსასწრები, კიდე უამრავია გასაკეთებელი. გავიმეორებ ორავულეზე შეთხზული დოკუმენტური ფილმის ფინალს, ოკეანიდან მშობლიური მდინარის სათავეებისაკენ დაძრული თევზები რამდენ წინალობას გადალახავენ, რამდენ თავთხელში იფართხალებენ, რამდენ ჩანჩქერს აედევნებიან, მაინც ეწვივან საწადელს, მაინც უსაფრთხო ალაგას დაყრიან ქვირითს და გამოჩეკავენ ლიფსიტებს. მერე მშვიდად, თავდაჯერებულად დაიხოცებიან უკლებლივ. პირველი საზრდოც მშობლებია ახალგამოჩეკილი თაობისათვის, რათა კვლავ დაეშვან ოკეანისკენ, კვლავ იდგაფუნონ მრისხანე ტალღების გრეხილებში და ასე მარადის, და ასე მიწყვი. ნიავეით ამჩატდება ბუმბერაზი კაცი. გაირინდება. ვგრძნობ რომ შვილიშვილები გაუელვებს თვალწინ, სამი ახმახი ვაჟი და ერთიც — ცქნაფა ასული. ბიჭებთან ხომ უთევზავია პაპას. ხომ გამმასპინძლებია მისით პირველ სტუმრიანობისას. მომწუსხეო, მეტყვის და მოჭუტულად გაუსწორებს თვალებს ამობრდღვილებულ მანათობელს.



**ნოდარ-უმბროსი  
ხარჩილაგას სანერბეები**

დედაქალაქიდან მომავალი სანამ სენაკის შემოსასვლელ ხიდს გამოცდებოდე, არის იქ ერთი კოპწია სოფელი — ნოსირი. სირიელი მამები ლოცულობდნენ ამ მიდამოებშიო, იტყვის უხუცესი ხალხი, თუმცა ისტორიული ფოლიანტების უქონელს, მიჭირს დაბეჭითებით რისიმე მტკიცება. ჩემი მიზანი გაცილებით მარტივია — რეალურში დავინახო წარსულის სილუეტი და აქედან ვცადო მისი მონუმენტური სხეულის აღდგენა. ამასთან, სოფელ ორსანტიაში, ბესელიებისას ყოფნის დროს შემეიტყვია ჯოდორია ხარჩილაგას შესახებ.

— კვიის ნამდვილი მეურნეობის ნახვა თუ გინდა, ხარჩილაგებს ესტუმრე ნოსირშიო, — უთქვამს ბატონ რემიკოს. — ნერგები მისგან შემოძენია წლების წინათ. აი, ნამდვილი მეურნე ხალხი! — მოუჭრია და თვალი თვალში გაუსწორებია დამაჯერებლობის საწინდრად.

კოლორიტული ადამიანების მაძებარს ხარჩილაგების გვარის რამდენიმე პიროვნება შემხვედრია სადადიანოში: თანამოკალმე ჩემი ვახტანგი ობუჯიდან. დღესაც მიჰრიალებს ყურში მისი სტრიქონები:

**„უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავი,  
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით,  
შუბზე ამაგეს და დროშასავით  
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.  
ვის გაჰყვა ჩამი ერთგული ძაღლი,  
ან ვის უნათებს ცოლი მზიანეთს?!  
ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს,  
ვისი ურეში მიაჭრიალეს.“**

**ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,  
დევის ტყავივით ტანს რომ მესვია,  
მტრის გუთნისდედა, აღბათ, მარაბდას  
სნაგს და ჩემი ძე მისი მესრუა.  
სამარადისო სხვამ დაიტოვა,  
მე მტერიან ბინდში უნდა ვიარო,  
ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი, —  
უფლისგან დამე სახეტილოდ.  
ჩემი ფიალა აწ ვინ დასცალოს,  
ნორჩი ვენახი ვინ გაამიხართს,  
ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ,  
რით გავითენო, რით დავიღამო.  
ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი,  
ან ვის უნათებს ცოლი მზიანეთს?!  
ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს,  
ვისი ურეში მიაჭრიალეს.“**

ესტუმრებივარ გულიკოს ხარჩილაგას საცხოვრისს წალენჯიხის რაიონში, ბევრისთვის გაუმართავს ხელი მოსკოველ ბიზნესმენს. ჟურნალ „აიას“ მფარველობდა წლების მანძილზე. აშენებდა ეკლესიებს. პატრონობდა გზებს და მრავალ უპოვარ ადამიანს. მისაუბრია ელსმენით შეუდარებელ მის ასულთან, ნინოსთან. აბსტრაქტული კინოლენტის მთავარ გმირად დამისახავს პროვინციის ლარტაფებში ჩარჩენილს.

ბოლოს და ბოლოს თანაკლასელი მყავდა, ვალერი, რომელსაც ფოცხვერით ვერაფრით მოიხელთებდი ჭიდაობისას. პოეტური სტრიქონები მიმიძღვნია მამამისი ჭიჭასთვის:

**ჭიჭა ხარჩილა**

ჭიჭა გვარო ხარჩილა რე,  
 ჭიჭკეფიშა ნარჩილა რე,  
 გვერფეჟ ჯიბეთ გილაქუნსუ,  
 მენცარიში ნარჩინა რე.  
 არკვანეფს დო ჭკუდის თოლუნს,  
 ჟამილე ჩქიჩქის ფურკით ლოლუნს,  
 თიშე სახელით პატონანა,  
 ბალანეფსუ ჩქინე გოხოლუნს.  
 მითინს ვოულე დარსქინალი,  
 რე ღურელიშე მარწკინალი,  
 კათა თეშე აფე ეზიმილი  
 ცინდა ვარე მაძინალი.  
 თეშე მახალსუ მუ რე უხუ,  
 ღურელიეფიშე ფერი უღუ,  
 ღურელს ეთეშე გოითინუნსუ,  
 ითამე სო რდუ დღასუ პუხუ.  
 შხუ ორდას დო ჭიფე ორდას,  
 ქუდოუჭყანს ფერიშე მორთას,  
 გოხოკუნს დო თეშე გასქვამენს,  
 მინჯეს ოშქურე ვამწოდორთას.  
 ვართე ქისა აფე ონკალარი,  
 ვართე ოცალარე-ომბარალი,  
 ჭიჭას ირფელე დონწყილე აფუ,  
 ხვალე ართე ულე ონგარალი, —  
 შხვა საქმეშა ვაგნართინე,  
 უკახლეთუ ვამკართინე,  
 ღურელს ირფელს ქუთინუნს დო  
 თიშა სახელე ვაგათინე.

**ჭიჭა ხარჩილაშა**

ჭიჭა გვარად ხარჩილა,  
 თურმე ტყვილა გარჯილა,  
 ვინ ბნედისგან განკურნა,  
 ვინ — ჭლექს გადაარჩინა.  
 უბით დაჰყავს გველეითი,  
 შეძრა ცა და ხმელეთი,  
 ანცებს იმის ხსენებაზე  
 მოსდით ელეთ-მელეთი.  
 იცის მკვდრების ბუნება,  
 იცის მკვდრების ცდუნება,  
 მკვდარს ცოცხალზე ნაკლებად  
 როდი ეფუფუნება.  
 აპატიე სათიბო,  
 შენც ჭევილო ნატიფო,  
 კოჭლი მოკვდა? გამართავს,  
 ვითომ კოჭლი სად იყო.  
 ასე ზაფხულ-ზამთარი,  
 საქმისათვის მზად არი,  
 კუზიანი მოგიკვდა?  
 მოვა, კუზი სად არი!  
 თუ გინდ მსხვილი გამოდგეს,  
 უტრიალებს სამ-ორ დღეს,  
 დააწვრილებს, გაპარსავს,  
 შიშობენ არ წამოდგეს.  
 ზოგს წამწამებს უგრძელებს,  
 ზოგსაც ღაწვებს უწრფელებს,  
 როცა ღამეს უთენებს,  
 ხურჩილებს და ხუნწელებს;  
 როცა ღამეს უთენებს,  
 კარგთა სულელებს უხსენებს,  
 მაგრამ გატეხილ სახელს  
 ვეღარაფრით უმრთელებს.



ამნაირად სრულდება ჩემი პოეტური სტრიქონები მოხმობილ ლექსში. სახელი. შეუბღალავი სახელი. აი, ზოგადკაცობრიული მორალის მთავარი საჯილდაო ქვა! მაგრამ ეს ყველაფერი წლების წინათ ჩავლილი რეალობებია. ახლა კი, აგერ, ხარჩილავების კერიას მივსდგომივარ ნოსირში. ოჯახში უფროსი თაობის ხალხი დამხვდება. შვილიშვილები სკოლიდან არ დაბრუნებულან ჭერეთ. ზაზაც სანერგეში ტრიალებს თურმე. გულლიად გამიმასპინძლდებიან. გამოვეცნაურებით. ჯოდორია ხარჩილა ვარკინის ფერია, ძვალკანა. გავუმხელ ჩემეულ მიზანს.

— კეთილი, — მეტყვის უშურველად, — ოღონდ ფოტოზე მე ნუ გამომაჩენ, წავიდა ზიმზიმის დრო. მეხამუშება ამნაირი თავპატიჟი. ზემოთ მოხმობილ ლექსს ვიტყვი საყვლაოდ. ესეც ვერ მოგვიტანს რაიმე შევებას. უფრო მოეძალება სევდა. მერე გავაცნობიერებ თოკისა და ჩამოხ-



რჩობილის ოჯახზე თქმულ ანდაზას. თურმე კაცი შემოკვდომია ჩვენს ჯოღორიას. რუსთავის კოლონიაში რუხგენ ხასაიას და გადი ლომაიას გვერდით მოუხდია სასჯელი. კიდეც რამდენიმე ფრაზა და გასაოცრად გარდაისახება მოყვამული კაცი. დასახელებულთაგან ერთი მამიდაშვილის მეშულღე იყო, სიძე, ხოლო მეორე — სტუდენტობის მეგობარი. მეველესთან შელაპარაკებას მოჰყოლია ყოველივე. ფულის დაბრუნება შეუხსენებია მორიდებით, შვილის წლისთავი მოახლოვდა, საფლავი მაქვს დასასრულებელიო. ის უბედურე კი ნაღვინევი ყოფილა და საფლავიანად შეუკურთხებია ჯოღორიასთვის. იფეთქა თურმე მამობრივმა სიამაყემ და ყუით გაუქანა ნაჯახი.

ამით ამოიწურება ჩვენი საუბარი თალხ ფერებზე. ფართოფარფლიან ცილინდრს დაიხურავს და სხარტი მოძრაობით გამიძღვება წინ.

ხარჩილავების სამოსახლოს ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. ვენახი. აუზი. ბოსელი. სასიმინდეები. ტალავერი და ტალავერი. მის წიადში შესულს ნოტიო ჩრდილი დაგეფინება, გნებავთ ქვეყანა ხვატისგან იწვოდეს.

თავდაპირველად შვილიშვილები მოგვაკითხავენ მეურნეობის თვალთვალთ გართულვებს. სოფიკო უფროსია, ნოდარი — ნაბოლარა. მოგვაკითხავენ და დამარღვული ბაბუაც უმცროსებს გადააბარებს ჩემს ცნობისწადილს.

— კივი ნესტის მოყვარული მცენარეა, — დიდი აგრონომივით მიხსნის ბიჭუნა, — ჩვენ მერამდენე წელიწადია მისი ნერგები გამოგვყავს. აქაური ხარჩილავები ნერგების გამოყვანით ვართ ცნობილი. ადამიანი რასაც მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს. მაინც ბაზარზე ვართ დამოკიდებული. მსურველი ბევრია, მაგრამ ყველას კი არ აქვს საშუალება დიდი რაოდენობით შეიძინოს. არც ჩვენ გავატანთ ვინმეს ნაჯაფარს მუქთად. ჩვენი ნერგები წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება გადაირგოს, ვინაიდან პატარა ბუდეებშია ჩათესილი და იქვე აღმოცენებული. გადატანისას ფესვების სისტემა არ უზიანდება. თან ხარჩილავების მამულის მიწა მიაქვათ, და ამიტომაც ხარობს ყველგან ასი პროცენტით.

— რამ გამოიწვია მაინც კივის ასეთი ბუმი?

— ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. ხილადაც კარგია, დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ვიტამინებს.

— ნაყოფიერებით როგორია?

— ეს მალაიზის მცენარეა. „კივი“ ჩიტის სახელია, რომელიც მის ნაყოფს ეტანება. აი, მაგალითად, როგორც ლელეს — მოლალური.

— მეღვლევისაც ეძახის დიდი კონსტანტინე.

— ეგენი ჯერ არ წამიკითხავენ. „დიდოსტატის მარჯვენას“ გავდივართ ახლა, თუმცა მეღვლევა არსად შემხვედრია. თავად მცენარეს სახელი არ ვიცი. ბევრი ვეძებ ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგრამ — უშედეგოდ. აი, მიყიდინ კომპიუტერს, მერე ინტერნეტში მოვძებნი საჭირო ინფორმაციას.

— ინგლისურს გასწავლიან?

— სოფო მჯობნის, მაგრამ გაქცეულ ჩილდრენს მეც მოვებრუნებ.

— ჩვენს სუბტროპიკულ ჰავას როგორ ეგუება კივი?

— მშვენივრად, მაგრამ ნაყოფი, მაგალითად, ირანში გაცილებით მსხვილია თურმე, იმიტომ რომ შხამ-ქიმიკატებს უკეთებენ. ამასთან ხდება გადარჩევაც. უცხოეთში ორჯერ-სამჯერ ძვირი ღირებულა კივი. მამამ მოიარა თურქეთი, სხვა ქვეყნებშიც იყო. ჯერ ჩემი გასტროლებისათვის ვერავინ მოიცალა. გავიზრდები და ეგეც





**იშვიათი ნერგების: კივის, ფეიხოს, ციტრუსების, ხურმის, ფერფლისფერი ნაძვის და სხვათა შექენის მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: 899 18 65 07.**



არ იქნება პრობლემა. აგერ, მამიკოც მოგრიალდა. სანერგეში მეგონა და გაზზე წასულა. ერიპა, პურის ფქვილი და შაქარი მოუტანია. მივეშველო. ტონაზე მეტი ყურძენი გვაჩუქა ბატონ გურამ დადუანმა. მეორე დღეა კოლოს ბზულიმა ყურთასმენა წაიღო.

— კახეთში თუ ხარ ნამყოფი?

— საქართველოში ბევრგან. მინახავს კახელების საწნახელი, რაჭველების ლორი და ხვანჭკარა. იმერლების ღვინო მჩატეაო, იტყვიან, მაგრამ ჩვენ, მეგრელები, მჩატე ღვინოს უფრო ვეტანებით. სხვათა შორის ღვინო კივისგანაც გამოდის. — დიდი მსმელივით მელაპარაკება ღლაპი. ერთიანად მომნუსხა. გადავინაცვლებთ მოშორებით განთავსებული სანერგეებისკენ და გაცემა მერე დამეუფლება. საჭეს თავად უზის. მამა შუაში მოკალათებულა, მე — სარკმელთან.

— ნარაზენში ძალიან კარგია პირობებია კივისთვის,

— იხელთებს დროს ზაზა ხარჩილავა, — თავად გურამზე თუ ვიტყვით, რაც ფული იშოვა, სულ სოფლის მეურნეობაში ჩაღო. დღეს ძალიან ცოტა აბანდებს ფულს სოფლის მეურნეობაში. გურამი შეყვარებულია მიწაზე, პაერზე. გურამივით, რომ მოექცეს კაცი ბუნებას, საქართველო საარაკოდ აყვავდება. ხალხი იპარავს და უცხოეთში მიაქვს, გურამმა კი ჯაგნარი გააკაფა და კივის პლანტაციები გააშენა. ადამიანს, როდესაც ბუნება უყვარს, კაციც უყვარს, კაცობრიობაც.

— ფინანსურად როგორია, კივი?

— რა თქმა უნდა უფულოდ არაფერი ხდება. ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთს გავუგოთ. ნარაზენში ჩვენი ნერგების ნაწილია მხოლოდ. სხვებისგანაც შეიძინეს. ვერცხლისფერი ნაძვი ჩვენი სიამაყაა. ძალიან კარგად ეგუება ყველანაირ პირობებს. ქალაქის გამწვანებაში გამოიყენება ძირითადად. ჰაერიდან ისრუტავს ტყვიის შემცველობას, რომელიც კიბოს აჩენს. მაგრამ ძალიან ნელა იზრდება. მე რომ კაცმა მკითხოს, მთელს ნოსირში გზის პირებზე ამ ნაძვს დავრგავდი.

— კაკლის ხე არ ჯობია?

— კაკალი ჩვენთან კერკეტი იცის. — ჩაგვერთვება ნოდარ-უმცროსი, — ქვაზე უნდა დარგო, მთავარი ფესვი სიღრმეში რომ არ გაიქცეს. მერედა, მარადმწვანე ფერი თვალს უხარია. აქ ძირითადად ხურმის ნერგებია. ხურმა ლარით იზრდება, ამის ჩირს არაფერი შეედრება. ბებიას გახმობილი ჩირი რბილია და ტკბილი. ხურმას საზამთროდაც ვინახავთ ხოლმე. ბაბუა საარყდ ჩაყრის რეზერვუარში ხის უროებით დაჩეჩვილს.

— დაუზარელი ბაღანაა, მამა ენაცვალოს, — მეტყვის შებინდებულზე ოჯახს გამომშვიდობებულს ზაზა ხარჩილავა. — ჩემზე უკეთესად იცის რომელ ფართობში რამდენი ნერგია ჩაყრილი. ფულის ყადრს მიეჩვია ჩემგან განსხვავებით. კომპიუტერისთვის აგროვებს. დიდი ხნის ნაყიდი ექნებოდა, მაგრამ ოჯახის საჭიროებამ მოითხოვა და გვასესხა გაისამდე. მაინც ბევრია გასავალი. მყავს კლიენტები და ნაყოფი თვითონ მიაქვთ. რახან მეურნეობას მივსდევთ, ნათესავ-მეგობარს ჰგონია, ფული თავზე გადავვლის. ხელს გაუმართავ და დაიკარგებიან. ზურგს შეაქცევ და ისედაც დაგემდურებიან. ჩვენი ბანკირი ეგ არის და კიდეც — მამაჩემი ჯოლორია. თევზები მოვამრავლეთ აუზში. გვესტუმრე ამხანაგებიანად, ნახე როგორ მოიქნის სასროლი ბადე. სკისკენ მიუწევს გული. ხომ ცეროდენაა და ტექნიკაში გაიწაფა. აგერ, ავტოსადგურიც. აქვე მივაყენებ მანქანას, ასე უკეთესად აჩერებენ მარშრუტები.

# ციხე აფრინილი ეკლესია

(მასალები წიგნისათვის: „ქართული ციხე ნოსტალგია“)

## ბერი ბაიში (ათონელი)

(ამონარიდი წიგნიდან: „შეიცან ჟამი,“  
შემდგენელ-გამომცემლები: დავით ჯინჭარაძე,  
მიხეილ თოფურია, ნიკოლოზ დარდაგანიძე.  
დაიბეჭდა „თბილავიამშენის“ სტამბაში, თბ., 2006.)

## გულგრილი თაობა

— რისი ხმა ისმის?  
 — თვითმფრინავია, გერონდა.  
 — დახურე ფანჯარა, თორემ შეიძლება აქაც შემოფრინდეს! მსოფლიო შეიშალა! ყველაფერი გაიხრწნა: ოჯახი, განათლება, სახელმწიფო სამსახური.  
 — ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ასეთ მდგომარეობაში მივდით?  
 — ხაზი მინდა გავუსვა იმას, თუ სადამდე მივიდა გულგრილობა. მაგალითად, სკოლაში ღიაა ფანჯარა და კედელს ეხეთქება, კლასში ძნელად მოიძებნება ბავშვი, რომელიც ფანჯარას დახურავს. ყველა ისე ჩაუვლის გვერდს, თითქოს არაფერი ხდება... გულგრილობა! ერთმა ოფიცერმა, რომელსაც საწვავი ზეთების საწყობი ებარა, შემომჩივლა: ვერ მიპოვია ჭარისკაცი, რომელსაც საწყობს ჩავბარებ და ის კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის დავალებასო.

ღვთისადმი გულგრილობას ყველაფრისადმი გულგრილობისა და ნგრევისკენ მიყვარო. ღვთის რწმენა უდიდესი საქმეა. ადამიანი, უპირველესად, ღმერთს ემსახურება, შემდეგ უყვარს მისი მშობლები, სახლი, ნათესავები, სამსახური, სოფელი, სამშობლო. ვისაც ღმერთი და თავისი ოჯახი არ უყვარს, მას არავინ უყვარს. ბუნებრივია, მას არც სამშობლო უყვარს, სამშობლო ხომ დიდი ოჯახია. შემდეგ, ანგარიშს არ უწევს არც მშობლებს, არც ოჯახს, არც სამშობლოს. სწორედ ამის მიღწევა სურთ დღევანდელი მოუწესრიგებელი ცხოვრებით.

ადამიანი უნდა ჩაწვდეს სიკეთის არსს, შეიგრძნოს მისი აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი აირევა. სცადე ვინმე ძალით გაგზავნო ომში, ის ყველანაირად ეცდება იქიდან გამოიქცეს. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს რა ბოროტების მოტანა შეუძლია მტერს და საკუთარი ნებით ჩაწერება მოხალისეებში.

აღრე ჩემს სამშობლოში, ფარასაში, ამბობდნენ: „ნუ გადადებ ხვალისთვის საქმეს. გემრიელი საქმელი შეინახე — იქნებ სტუმარი გეწვიოს“. დღეს ასე ფიქრობენ: „საქმე მოიცდის, ხვალ ვინმე გამოჩნდება და მოგვეხმარება, გემრიელი საქმელი კი ჯობია დღეს მივირთვათ“. ადამიანთა უმრავლესობა დღეს საკუთარ თავზე ფიქრობს, ის ჩაქეტილია საკუთარ „მე“-ში. ამიტომაც მისთვის მთავარი უფალი კი არ არის, არამედ საკუთარი „მე“. ასეთი ადამიანი იმ სივრცის მიღმა რჩება, სადაც ღმერთია.





ადამიანი უნდა განმტკიცდეს რწმენაში, მაშინ მისთვის უცხო აღარ იქნება მოყვასისა და ყველაფერ დანარჩენზეც ზრუნვა. თუ მისი გონება არ არის უფალთან, არ მუშაობს მისი გულიც ამიტომ მას არ უყვარს არც ქრისტი, არც მოყვასი, არც არაფერი გარშემო.

ერთხელ ჩემთან მოვიდა სულით ხორცამდე ათეისტი. ილაპარაკა სხვადასხვა საგნებზე და ბოლოს გამომიცხადა, ხატმებრძოლი ვარო. დაიწყო იმით, რომ არაფერი სწამდა და ხატმებრძოლობამდეც კი მივიდა! იგი დადებითად აფასებდა მსოფლიოს დღევანდელ მდგომარეობას. ცხარე კამათი გაიმართა: „კარგი ბატონო, — ვეუბნები, — რას ჰგავს ეს? — მოსამართლეებს ბრალდებულის გასამართლების ეშინიათ, ხალხს საჩივარი შეაქვს დამნაშავეებზე, მაგრამ შემდეგ მოსარჩლეს ემუქრებიან და ისიც იძულებულია საჩივარი უკან წაიღოს... თუ შენ ეს მდგომარეობა მოგწონს, შენც დამნაშავე ხარ!“



— გერონდა, არ გეშინიათ, ასე რომ საუბრობთ?

— რისი უნდა მეშინოდეს? ჩემი საფლავი უკვე გაფთხარე. გათხრილი რომ არ მქონოდა, ვინერვიულებდი, რომ ვიღაც სხვა უნდა შეწუხებულიყო ამისათვის. ახლა კი საფლავი მზადაა და მხოლოდ მცირედი მიწის დაყრაც საკმარისი იქნება...

ვიცნობ კიდევ ერთ უღმრთოსა და ღვთისმგმობელს, რომელმაც ტელევიზიით მკრეხელურად ილაპარაკა ქრისტესა და ღვთისმშობელზე. ეკლესია კი დუმს და არ განაყენებს ასეთ ღვთისმებრძოლებს.

— თუ ასეთებს განაყენებენ ეკლესიიდან, მიხვდებიან ისინი რა დააშავეს?

— ყოველ შემთხვევაში, გამოჩნდება ეკლესიის პოზიცია.

— დუმილი ასეთი რამის აღიარების ნიშანია?

— დიახ. დაწერეს მკრეხელურად ღვთისმშობელზე და ყველა დუმდა. ვეუბნები: „ვერ ხედავთ რას წერს?“ „ეჰ! — მპასუხობს ერთი, — რას იზამ, მასთან ვერაფერს გააწყობ“. ანუ მხილების ყველას ეშინია.

— მაგრამ რა აშინებთ, გერონდა?

— ეშინია, მისი სახელი არ გახმაურდეს, მის შესახებ რამე არ დაწერონ და ამიტომაც ითმენს ღვთისმშობლის გმობას! ნუ დაველოდებით, სანამ სხვა ამოიყვანს გველს ხვრელიდან. ეს სიყვარულის ნაკლებობის ნიშანია. ადამიანი იწყებს გათვლას, ვისთან უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა, რომ არ შერცხვეს, ან არ დასცინონ. ის დუმს თავისი გულგრილობის გამო, ეშინია საყოველთაო მსჯელობის საგნად არ იქცეს. უმრავლესობა სრულიად გულგრილია ყველაფრისადმი. ახლა თითქოს რაღაც იცვლება, მაგრამ დიდი ხანია არავის არაფერი დაუწერია.



— ანუ ჩვენ ხმამაღლა უნდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია?

— საჭიროა გონიერება. ზოგჯერ არ არის საჭირო ხმამაღლა თქმა, ზოგჯერ კი მოშურნეობით უნდა ვაღიაროთ ჩვენი სარწმუნოება. ამ მძიმე დროში ყველა ჩვენგანმა უნდა აკეთოს ის, რაც შეუძლია. ხოლო რაც არ შეუძლია, ღმერთს მიანდოს. ამგვარად ჩვენი სინდისი თავისუფალი იქნება, რადგან ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. თუ ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით ურჯულოებას, ჩვენი წინაპრები საფლავებიდან აღსდგებიან. მათ ათასგვარი ტანჯვა დაითმინეს თავიანთი მამულისათვის. რას ვაკეთებთ ჩვენ მისთვის? მართლმადიდებელ ელადას, მის წმინდანებსა და



გმირებს თვით ბერძნები ებრძვიან. ჩვენ კი ვდუმვართ! და ეს საშიშია!

თუ ქრისტიანები არ გახდებიან აღმსარებლები, არ შეეწინააღმდეგებიან ბოროტებას, უღმერთო ადამიანები უფრო გათავებდებიან. ახლანდელი ქრისტიანები არ არიან მებრძოლნი. პირველი ქრისტიანები ძლიერნი იყვნენ, მათ მსოფლიო შეცვალეს. ქრისტე ჯვარს ეცვა, რათა ჩვენ აღვედგინეთ, ჩვენ კი გულგრილნი ვართ! თუ ეკლესია დუმს, რათა სახელმწიფოს მმართველებთან კონფლიქტს განერიდოს, თუ მიტროპოლიტები დუმან ყველასთან კარგი ურთიერთობისა და ჰუმანიტარული დახმარების დაკარგვის შიშით, თუ მთაწმინდელებიც დუმან, რომ ეკონომიური დახმარება არ შეუწყვიტონ, მაშინ ვინდა უნდა ილაპარაკოს.

წლები გადის, და რა რთული წლები! სირთულეები ჯერ არ დასრულებულა. თუ ვინმე მტკიცედ არ დგას, როგორ მოიქცევა რთულ სიტუაციაში? დმერთს არ შეუქმნია უუნარო ადამიანი. უფრო კეთილსინდისიერი უნდა გავხდეთ და შევძლებთ გაუძლოთ განსაცდელს. მე ხედავ რა გველის მომავალში, ამიტომაც განვიციდი.

იცით, რას ითმენენ ქრისტიანები სხვა ქვეყნებში? რუსეთის კატორღებში იცით რა სიძნელეებია? ალბანეთში ხალხი შიმშილობს. განადგურდა ეკლესიამონასტრები. ხალხს სახელებიც კი შეუცვალეს, რომ ქრისტიანული სახელები არ გაიგონონ. იცით, როგორ იტანჯებიან მართლმადიდებელნი ამერიკაში? სადაც მართლმადიდებლური სამყარო არ არის, იმ ადგილის მკვიდრნი საათობით მგზავრობენ მატარებლით, რომ ღვთისმსახურებას დაესწონ. იმისთვის რომ რჩევა მიიღონ სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, წმ. მთაზე მიდიან. ამიტომ უმადურობაა საბერძნეთში ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ.

— გერონდა, იქნებ ზოგიერთის გულგრილობა უცოდინრობითაა გამოწვეული?

— რომელ უცოდინრობაზეა საუბარი! ერთმა ფილოლოგმა ხალკიდიკიდან (საბერძნეთი) არ იცოდა, სად იყო წმ. მთა. ვილაც გერმანელმა მასწავლებელმა მოუთხრო მას ათონის მთის შესახებ და ისინი ერთად მოვიდნენ აქ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი პროტესტანტი იყო, კარგად იცოდა, თუ რამდენი მონასტერი იყო წმინდა მთაზე და სად რომელი წმინდა ნაწილი ინახებოდა. ამგვარ უცოდინრობას გამართლება არა აქვს. ხალკიდიკის სხვა მკვიდრს ამერიკელმა ურჩია ათონის მთაზე მოსვლა. წარმოგიდგენიათ? — ამერიკელმა!.. ერთხელაც ფლორინიდან (ჩრდილო-დასავლეთ საბერძნეთი) ჩემთან ერთი კაცი მოვიდა. ვუთხარი, რომ ფლორინს კარგი მიტროპოლიტი ჰყავდა, მან კი მკითხა, რომელ გუნდში თამაშობსო. ის იყო შემოილი ფეხბურთით, რომ სხვა არაფერი ახსოვდა, საკუთარ მიტროპოლიტსაც არ იცნობს. კანდიოტის (ფლორინის მიტროპოლიტი) ყველა იცნობს. რა გამართლება აქვს ამგვარ უცოდინრობას.

უვიცობას გამართლება არა აქვს.

მხოლოდ გონებრივად არასრულფასოვან ადამიანს ან პატარა ბავშვს ეპატიება უცოდინრობა. თუმცა, დღეს პატარა ბავშვებიც ყველაფერს იოლად ითვისებენ. ასე რომ, თუ ადამიანს სურვილი აქვს, არსებობს მრავალი საშუალება იმისათვის რომ ჭეშმარიტება შეიცნოს.





### ფრთავი, ფრთავი გვინდა...

გულგრილობა და გულშემატკივრობა, ინდიფერენტიზმი და მამულიშვილობა. ეს პრობლემები სანაპრიოთი ტრიალებს დღევანდელ საქართველოშიც, მაგრამ „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი, სასკელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ვაჟა თორდია ის პიროვნება გახლავთ, ვისთვისაც ყოველი ზოგადკაცობრიული ფასეულობა ყოველგვარი იკვებება ძალუმაღ. ზედაეწერში ეკლესია არასდროს ყოფილა. ძველებს ახსოვთ სის ტოტზე ჩამოკიდებული ზარი. ეგ იყო და ეგ.

წმინდა გიორგის სასკელობის ამ ჩინებულ ტაძარს ზედაეწერში საფუძველი 2002 წლის აღდგომის დღეს ჩაეყარა ბატონ პანტიკო (ვაჟა) თორდიას თაოსნობით. მშენებლობა 2003 წელს დაიწყო, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის საჯილდაო ქვად იქცა ბატონ ვაჟა თორდიას (შ.პ.ს. „ზედა ეწერის“ დირექტორი) მესვეურებით. ეკლესიაში ჩატარებულია ძირითადი სამუშაოები. დღეისთვის სურებისთვის საჭირო ყველა ატრიბუტიკა — ზარები, ჭაღი, სატეხი, ანალოგია... შეკვეთილია მოსკოვის ოლქის ქ. სოფრინოში და დღე დღეზე კლოდება მუფე გერასიმეს კურთხევას.

ზედაეწერელების ეკლესია ამჟამად ეკლარის ქვისგან, სამრეკლო — მეტეხის წითელი აგურით. ეკლესიის მშენებლობა მოგვევლინა საერთო გამოცოცხლების პირველ სტიმულად სოფელში, რომლის თემა 500 კომლისგან შედგება.

ბატონი პანტიკო წარმოშობით ზედაეწერელია, ამ სოფლის შვილი, მრავალი სასიკეთო საქმის მოთავე, როგორც რესპუბლიკის, ისე რაიონული თუ სოფლის მასშტაბით. ამგვარი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის ჟურნალ „კირიბიშმა“ იგი მეორე ათასწლეულის საქართველოს პირველ ადამიანად დაასახელა.

მიღწეულს არ კმარობს უმეტესო ქველმოქმედი. ჩაფიქრებულია ზედაეწერში მეურნეობის ცენტრალური შემოსავლების რეკონსტრუქცია; მიმდინარეობს საუბრები სოფელში სასულიერო სემინარიის გახსნაზე. ამასთან მზად არის დააფინანსოს სოფლის წიაღში აღმოცენებული ნებისმიერი საინტერესო პროექტი, ინიციატივა.

ბატონი პანტიკო დიდ ყურადღებას უთმობს კულტურის აღორძინებას რეგიონში — უშუალოდ მისი ფინანსური მხარდაჭერით შეკეთდა და გადაიხურა შალვა დადიანის სასკელობის ზუგდიდის დრამატული თეატრი.

დაბოლოს, ერთსაც ვაუწყებთ გულისხმიერ მკითხველს, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია მწერალი გური ოტობაია ვრცელტანიან წიგნს დასტრიალებს ქართული ავიაციის პატრიარქზე, ბატონ ვაჟა თორდიაზე. სათაურით: „მარშალი ცის ნოსტალგია“. ეს თხზულება სულ სხვა რანგში წარმოაჩენს პროტოქართულ ცივილიზაციას, სადაც მეგრული ლექსისა არ იყოს; ბუბა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, სვინა-სვინა მურიცხეფი, — და დო ჯიმა ჩქიმი.



## სანთელ-საპეველი თავის გზა-სავალს არ დაჰკარბავს



იღუმენია ანა მონაზვნების ამალით შემოგვხდა დედათა მონასტრის გზაზე. გივი შენგელიამ ეს ეს არის ეკლესიის მისასვლელის გზის მოშანდაკების დავალება დაუნაწილა თავის ხალხს. ტენდერში გაიმარჯვა და ექვსი თვის უხელფასო თანამშრომლებმა გაიხარეს. აქ ანტიმონაპოლიური სამსახური არ არსებობს და ყველა სამუშაოს ხობსა თუ სამეგრელოში ერთი ფირმა აღასრულებს. ბიტუმის მარაგი იმათ აქვთ და ამდენად კონკურენციას ვერავენ უწყევს. გივიმ დამათვალეირებინა თავიანთი ოფისი. ბლოკების საამქრო გაახლებიათ. საშენი მასალა თავზესაყრელი აქვთ, ტექნიკაც საკმარისზე მეტი გააჩნიათ, მაგრამ უსახსრობის წყალობით თვიდან თვემდე არიან პირში ჩალაგ ამოვლებულები. ხობის მარიამ ღვთისმშობლის დედათა მონასტრის აქვს თავისი ისტორია და თავისი სიწმინდეები, რომელიც ბოლო დროს შიდა საეკლესიო კინკლაობის საგანი გამხდარა. ტრადიციულად მარიამ ღვთისმშობლის კვართი მისი კუთვნილებაა. მართალია, ამ კვართს ჰყავს უფრო შორეული მებატრონე, მაგრამ გუბაზ მეფისა და ცოტნე დადიანის სამშობლო მარიამ ღვთისმშობლის კვართის მებატრონედაა მიჩნეული, რომელსაც საგანძური ხელიდან გამოცლია და აქ სამართლიანობის აღდგენა ნამდვილად ეროვნული ფასეულობის მნიშვნელობის ქმედებაა.

იღუმენია ანას ნაკლებად ემახსოვრება ჩემი თვალხატულა ანი, რომელიც ჯერ კიდევ ახტაჯანობის პერიოდიდან მანდილით შუბლწაკრული კედელ კედელ დაივილიდა მის ხავსმოდებულ გალავნებს. განსაკუთრებით ჟამშეპარული კირქვის ალერსი იპყრობდა მის სულს. ჩუქურთმების ალერსით დნებოდა. რას ვიფიქრებდი ეს სალოცავი მისი სახატე რომ შეიქმნებოდა. ვიცოდი ხობის მონასტრის უმთავრეს სიწმინდეზე — მარიამ ღვთისმშობლის ყოვლისშემძლე კვართზე და გვისაუბრია მის შესახებ ბავშვის უშრეტე ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად.

— კვართი რაა მამი? მეტყოდა ცუგრუმელა. ავუხსნიდი, თანამედროვე ქართულზე მოვუთარგმნიდი ამ სიტყვას — კაბა.

— ნამდვილად მაირიამს ეცვა, მამი?

— ისტორია ამტკიცებს ამას.

— მერე და რა იქნა, სად ინახება?! იქ რომ არ კიდეა.

— ახლა ზუგდიდშია მამი, მუზეუმში პატრონობენ, რომ არ შეილახოს, ნესტმა და ობმა რომ არ გააფუჭოს.

— მაცივარში ინახავენ?

— არის სპეციალური ყუთი და იქ ინახავენ. მერე და რატომ არ დაუბრუნებენ ხობის ეკლესიას? მუზეუმში რა უნდა წმინდანის სამოსელს. უკვე ბრძენი ქალივით მსჯელობდა ჩემი ასული. მოგვიანებით მის დღიურში გაჩნდება ფრაზა „ბედნიერად ვიგრძნობ თავს, თუკი გარდაცვალების შემდეგ ხობის დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალვას ველირსები.“ თავზარდამცემია ჩემთვის ამ სტრიქონების წაკითხვა უბედურებათა გრიგალების შემდეგ. თითქოს წინასწარ ნაგრძნობი ჰქონდა ჩემს ასულს, აკი, მარიამ ღვთისმშობლის დღეებში აღესრულა კიდევ — ოც აგვისტოს და ოცდაოთხში მივბარეთ სამუდამო სასუფეველს .

ყველაფრის გათვალისწინებით ხობის მონასტრის სიწმინდეების კუთვნილ ალაგას დაბრუნებამ ჩემთვის გაცილებით მეტი საკრალურობა შეიძინა, ვიდრე ათწლეულობის წინათ, როცა ზერელე აღტკინებით აღვიქთამდი ამ ამბავს.



ილუმენია ანა საშუალო ტანისა, წყობილი სახისა და მობოხებული ხმის პიროვნებაა, რომლის თითოეულ სიტყვას უტყუარობის ბეჭედი აზის წარუშლელ დამდად. იგი არაფრად დაგიდევს სამღვდელოების ჩინ-მედლებს, მომთხონი და კატეგორიულია მისი ტონი. ჯერ ბატონ გივი შენგელიასთან მოისტუმრა გზის მშენებლობის ნიუანსები. სავალის კიდემდე მისდია მშენებარე გზას, ფეხსაცმლის ჭვინტით მოუხაზა სანამდე უნდა გაფართოებულიყო, ტროტუარს რამდენი დამობოდა, ბორდიური სად აღმართულიყო. ანახა ეკლესიის ეზოში განთავსებული შენობის მისასვლელი, სად უნდა ყოფილიყო ბაქანი და მანქანებს უკეთ რომ მისვლდოდათ მიწა მაგდენი უნდა მოჭრილიყო. ყველაფერი შპს „შარას,, დამფუძნებელ-მეპატრონესთვის ზედმეტ ხარჯებთან გახლდათ დაკავშირებული, ამას თურმე არც სმეტა ითვალისწინებდა, მაგრამ ბატონი გივი ყველაფერზე თავს დელიკატურად უქნევდა.



მოგვიანებით მოიცალა ჩემთვის. მობილური გამორთო და ნახევარი საათით დაადუმა მისი ბაგე. მთიბავ სტიქაროსანს ჟურნალების მოტანა დაავალა. დარეჯან კვარაცხელიას შეუსრულებია ეს ჩინებული გამოცემა. დაინტერესდა ჩემი მართლმადიდებლური მადლით, რომელ ეკლესიას ვწყალობ, ვინ არის ჩემი მოძღვარი. დავუსახელე ერთიცა და მეორეც. თანაც დავსძინე:

— გული განსაკუთრებით ხობის მონასტრისკენ მომიწევს-მეთქი.

— გაძარცვული ეკლესიისკენ?! — გამომცდელად შემომხედა ილუმენია ანამ. სხვათა შორის იცით შვილო ჩემო, გიორგი, ეს სახელი ჩემი ნათლობისაა, უკვე მოვასწარი ამ ინფორმაციის გაცემაც, — კონსტანტინოპოლი მაშინ დაიქცა, როცა ყველა სიწმინდის იქ თავმოყრა განიზრახეს. დიახ, სწორედ ამისთანა მკრეხელური ქმედებისაგან აღიგავა პირისაგან მიწისა. იგივე ბედი ეწევა ყველას, ვინაც სხვის სიწმინდეებს დაელირება, სხვისი სიწმინდეებით განუზრახავს საკუთარი უბადრუკი სახელის განდიდება.



— სიწმინდეებს გააჩნიათ თავიანთი აურა, — შევებედავ.

— საქმეც ეგ არის. ნებისმიერ სიწმინდეს გააჩნია თავისი ველი, თავისი ძალმოსილება. ეს ველი სხვაგან, სხვა ალაგას უარყოფით ენერგიად გარდაიქმნება და იმიტომაც დაინგრა კონსტანტინოპოლი, მისმა ბჭეებმა ვერ ზიდეს ესოდენი ცოდვის კირთები. ჩვენ არავისთან შეთვდივართ კონფრონტაციაში, ჩვენ მოვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას, ისევ და ისევ საქართველოს საკეთილდღეოდ. საქმე რომ მარტო მარიამ ღვთისმშობლის კვართს თუ ვლაქერნის ხატს ეხებოდეს, კიდევ არა გვიშავდა რა, მაგრამ რაკი ერთი და ორი პრაქტიკა დაინერგა, სიწმინდეების მიტაცება კანონიკურად იქცა ჩვენი სინამდვილისათვის.



ხმას ვერ ვიღებ. ვერც ჩემს გასაჭირს ვამხელ. ისმის გრეიდერის ძრავის მძლავრი ხმიანება. მოშორებით სივილი გააქვს სტიქაროსანის ცელს. მამა ლომიას მეხუთე შვილი შესძენია. მისი ლოცვა სადაც არის დასრულდება. მშობლების ჩაქცეულ სამარეს მისჩერებია ხობელი სატყოს ყოფილი თანამშრომელი. მოუსვენრობა ეტყობა ბატონ გივი შენგელიას. მოშანდაკებულ გზას მოუყვებიან მექორწილენი. ერთ-ერთი წყვილის დასურათებას მოვასწრებ. მეორე ამაღა მანქანების კოლონით ჩაგვივლის. ვერავინ დაუშლის მათ ამ აღმართზე, ამ ვიწრო ფეხსაცმლებით ქვადორღში ამოღწევას. ილუმენია ანა თავად პოულობს გამოსავალს, გამორთულ მობილურს დამუხტავს. ნომრების აკრეფას მიეძალება. მონაზვნებს ხელით მოუხმობს. სარიტუალო თადარიგს იჭერს. მისახვედრებელია რომ გულშიამწვდომი საუბარი ამოწურულა. ხელზე ამბორით დავემშვიდობებით რკინისებური ხასიათის ადამიანს, და უეცრად თავში გამოიღვებს დათა თუთაშხიას ეფემია, მისი მენტორული კილო მთვარის ღვთაების რაინდისადმი. დაღმართზე მოზომილი ნაბიჯებით ვეშვებით. შორს მრავლისმომსწრე ხობისწყალი ილანდება თაკარა ზაფხულის მობანავე მრევლით გახალისებული.



# მეექვსე აბრეგატი

**1978 წლის 5 ნოემბერს დაბა საბურთალოსი, ენგურჭესის მიწისქვეშა სადგურის სამანქანო დარბაზში ჩაერთვება I აგრეგატი და საქართველოს მიიღებს ენგურჭესის პირველ ელექტროენერგიას 260 ათასი კილოვატსაათის ოდენობით..**

**1978 წლის 15 დეკემბერს, ანუ პირველი აგრეგატის ამუშავების მე-40-ე დღეს ენგურჭესის მიწისქვეშა პიდროელექტროსადგურის II აგრეგატი ამოქმედდება და მისი სიმძლავრე მიაღწევს 520 ათას კილოვატსაათს.**

**1978 წლის 30 დეკემბერს, ზუსტად 15 დღის შემდეგ, ექსპლუატაციაში შევა ენგურჭესის III აგრეგატი და უკვე მისი სიმძლავრე გაუტოლდება 780 ათას კილოვატსაათს ენერგიას.**

**1979 წლის 15 დეკემბერს ლამის წლისთავზე მწყობრში ჩააყანებენ ენგურჭესის მიწისქვეშა სადგურის IV აგრეგატს და ელექტრო ენერგიის გამომუშავება 1040 ათას კილოვატსაათამდე გაიზრდება.**

**1980 წლის 6 ნოემბერს ამუშავდება ენგურჭესის მიწისქვეშა სადგურის V აგრეგატი და უკვე მისი სიმძლავრე განიზომება 1300.0 ათასი კილოვატსაათით, ანუ როგორც ენერგეტიკოსები იტყვიან სოლმე, დადგმული სიმძლავრით. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს VI აგრეგატი,**



**როცა იგი პრაქტიკულად განთავსებული არ არის ენგურჭესის მიწისქვეშა სადგურის დარბაზში?! მთელი საიდუმლოებაც აქ არის. სანამ ახლა უშუალოდ აქ გაცხადებული თავსატეხის პასუხი შემოგვითავაზებია, ჯერ იქნებ თვალი გადავავლოთ თავად VI აგრეგატის შექმნის პერიპეტეებს დროსა და სივრცეში და მერე უფრო ხელშეხანებად ჩამოვყალიბებთ ჩვენს სათქმელს ბატონ ლეონ მებონიასთან.**

გასაოცარი და ლამის დაუჯერებელი მომენტები დავაფიქსირებ მაიას ტომში აღმოჩენილ ფირფიტა ცოლკინს, „ენგურჭესის“ მიწისქვეშა სადგურსა და პოემა „ლოლიას“ შორის. პირველი ორი, ცხადია, ჩემგან დამოუკიდებლად დაპრექტდა ათასწლეულების თუ ათწლეულების მიღმა, მაგრამ თავად ამ პოემის კოორდინატებიც მისდა უნებურად რომ წარმართა აწგაცხადებული განზომილებებით? უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მაიას ცივილიზაცია, კანიბალური აცკეტების რასა, აღიგვება მიწის პირისაგან, მაგრამ გადარჩება მხოლოდ და მხოლოდ მატრიცა, ლოგოსი ამ ცივილიზაციის წარმართველ ძალად, რომელთაც კაციჭამიობამდე დაიფხანეს ციური სხეულების თაყვანისცემა, მზის კულტი ბოლოდაბოლს და ემსხვერპლებიან კიდევ ამ გონდასშულობას პროპორციით  $12\ 000\ 000:400=0$ . ეს ხომ პარადოქსულია. ოთხასმა ავაზაკმა კეტი რომ აიღოს და დილიდან საღამომდე ურახუნს თავში 12 მილიონს, თითოეულს ხელის 30 000 მოქნევა მოუწევს და კიდურის ამდენივე უკუქცევა. გადარჩა ცოლკინი. გადარჩა დედამიწისეული ცოდნა სამყაროს აგებულების შესახებ, რომელსაც ხულიო არგუელისი მაია პირველს მიაწერს, ცად რომ ამალღდება დედამიწის სინქრონიზაციის შემდეგ; რომელიც გენის სტრუქტურაა და სამყაროს მიკროსქემა, მოდელი.

ჩემთვის მეტნაკლებად ცნობილია ენგურჰესის დამპროექტებელი ხალხის ვინაობა, რომელთაც მის ენერგეტიკულ სიმძლავრეს ყველასთვის უჩინარი ეზოტერიკული მნიშვნელობა მიანიჭეს, არაორდინალური გაქანების ინჟინრები — ირაკლი ამირეჯიბი, ალექსანდრე ლოსაბერიძე და სანდრო მენაბდე — სწორედ მათი ინტელექტის წყალობით შექმნილია ენგურჰესის ენერგეტიკულ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხუთმოქმედებიანი ტრაგედია, იგივე პენტაგრამა, დაბა საბერიოს მიწისქვეშეთში, მაგრამ ამავდროულად ცხადია ისიც, რომ მათ მაინცდამაინც „26“ აიღეს საწყის ელემენტად, გაორმაგებული 13; „26“, რომლის შესატყვისია ცის თაღის სრული მობრუნება. ეზოტერიკულად თუ ვიმსჯელებთ, ენგურჰესის დადგმული სიმძლავრე 1 300 000 კილოვატი, ცის თაღის 5 სრული შემობრუნების ტოლფარდია და ზედმიწევნით აცხადებს დაფარული ცოდნის რანგს, დონეს. ეზოტერიკული, საკრალური სიდიდე ცოლკინში მიიღწევა 13 + 7 X 13, რაც ტოლია 260-ის. მსგავსი დამოკიდებულებაა ჰომეროსის „ილიადა“-ში, სადაც 13 000 ტროელს 130 000 ბერძენი ებრძვის.

ალორძინების ეპოქის უდიდესი პოეტი დანტე ალიგიერი „ღვთაებრივ კომედიას“ წერს 130 სტრიქონიანი თავებით, და მათი რაოდენობა ელემენტარული არითმეტიკით 13 ათასია. ენგურჰესში ეს სიმბოლიკა მიღწეულია  $260 \times 5 = 1300$ . იგივე მიმართებაა პოემა „ოდოიაშიც“, სადაც თითოეული თავის სტრიქონების რაოდენობა 2600 და საბოლოო ჯამში უდრის  $13000 = (260 \times 10) \times 5$ . არა, ბატონებო, ამისთანა დამთხვევები ნაკლებად იცის სამყაროში.

დაიღუპა მაიას ცივილიზაცია, მაგრამ ავგაროზივით გადარჩა ცოლკინი, რომლის საძირკველზე აღმოცენდა დღევანდელი სამხრეთამერიკული სახელმწიფოები — ჩილე, კოლუმბია.

მშობლიურ ფლორენციაში გაიხიზნა რომში სიკვდილის განაჩენგამოტანილი დანტე, რათა ლათინური ენის ბატონობის პირობებში მშობლიურ იტალიკურზე აეყდრებინა კაცობრიობის უდიდესი სულიერი დრამა და თანამდროვეთაგან დაფნის გვირგვინით შემკულიყო სიცოცხლეშივე.

განადურდა ქართულ-აფხაზური თანაარსებობა, მაგრამ გადარჩა ენგურჰესი და დარწმუნებული ვარ კვლავაც ენგურჰესი აალორძინებს ახალ, სრულიად განსხვავებულ ქართულ-აფხაზური ერთობლივი სახელმწიფოს გულისძგერას.

დაემხო გური ოტობაიას პიროვნული იდილია, ზიგ-ზაგიანი ბელეტრისტიკითა და რომანობაით, მაგრამ, დიახაც, დედის დარწმუნებული აკვნიდან შეთვისებული „ჰოუნანათი“ აღსდგება ფერფლიდან მისი დახანძრული სული და მაინც რა უნდა იყოს საბერიოს მიწისქვეშეთში არარსებული VI აგრევატი, სათაურშივე რომ გამოვიტანეთ ბურუსით მოცული სათქმელის გზის მაჩვენებლად?!

**კაზმული სიტყვიერების დაძლეული და გადასაჭრელი პრობლემები**

— თეორიას მხოლოდ უბირი გაურბის, ბეცი. ესთეტიკის პრობლემები ხელისგულზეა დალაგებული არისტოტელეს, ჰორაციუსის, პეგელის ნაშრომებში და მაინც ერთ ასპექტზე მსჯელობა თანადროულად მიგვაჩნია, კონკრეტულად კი მკითხველის დასწრების ეფექტის საკითხი თხზულებაში. ფსიქოლოგებს შეუნიშნავთ, რომ მკითხველის თანაგრძნობა გმირის სულიერი ძვრებისადმი გაცილებით შთამბეჭდავია, როცა ეს ჯოჯოხეთი უშუალოდ მისი შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს; მწერლისეული ჩარევებით კი არ იხატება, არამედ თავად პერსონაჟის თვითგვემიდანაა არეკლილი. ავტორის უმთავრესი საფიქრალი ამ გზაზე ყოველთვის იყო, არის და იქნება დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობის პრობლემა. არისტოტელე ამიტომაც ანიჭებს უპირატესობას ტრაგედიას პოემასთან შედარებით, ვინაიდან ტრაგედია გაცილებით სხმული ნაწარმოებია. ჰომეროსს ამ მიმართებით უამრავი პრობლემის გადაჭრა მოუხდა. მან პირველმა მოახერხა სივრცისა და დროის დამორჩილება გმირის სულიერი მღელვარების გარშემო. ბრმა აედმა მარადუჭკნობ „ილიადაში“ ყველაფერი აქილეისის რისხვას დაუქვემდებარა და არა — უშუალოდ ტროის ორომტრიალის ჩვენებას.

**— გამოდის რომ დანარჩენი მწერლები ტყუილად აწვალდნენ კალამს, როცა ლამის ნატურალისტურად ქმნიდნენ სხვადასხვა თემების ამსახველ ბატალიურ სცენებს არსებული სინამდვილის გადმოსაცემად.**

— სრული სიმართლეა, ბატონო ლევან, თქვენ გაცილებით მეტი იცით ლიტერატურის თეორიაზე, ვინემ ჩვენმა თავმომწონე მწერლებმა. ამ ასპექტით ჰომეროსთან ახლოსაც ვერ მივლენ მისი უმცროსი თანამოკალმენი — სერვანტესი, ტოლსტოი, გამსახურდია, განსაკუთრებით „ომსა და მშვიდობას“ და „დავით აღმაშენებელს“ ვგულისხმობ. ჰომეროსთან პოემის მასალა მოწოდებულია დისკოს პრინციპით; ეს გახლავთ წრიული აზროვნება. ნაწარმოები დაყოფილია 24 ნაწილად, სადაც I თავს XXIV შეესაბამება, II-ს — XXIII და ა.შ. ანუ ჰომეროსმა პირველმა მოახერხა კაზმული სიტყვიერების ფორმულის დონეზე აყვანა და ფუჭი მეცადინეობაა მსოფლიოს ასი საუკეთესო მწერლის გამოსავლენად შეკრებილი გახეთქილების მუშაკობა, როცა ისინი პლანეტის № 1 მწერლად სერვანტესს შერაცხავენ ლამის ერთხმად, ხოლო ჰომეროსი ათეულში ძლივს ხვდება. დიახაც, ერთადერთი ჰომეროსი მოახერხებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის დაურევებას, ადგილის, დროისა და მოქმედების მონოლითურობის გადაწყვეტას, მაგრამ მისი დამოკიდებულება გმირისადმი დამკვირვებლურია, მიკროსკოპით მისჩერებია იგი აქილეისის რისხვის მიზეზებს და



უხალთუნებად ალაგებს პასაჟებს, ფრაგმენტებს ერთმთლიანის გადმოსაცემად. დანტემდე ეპიკური გმირისადმი დამოკიდებულება მკითხველსა და მოქმედ პირს შორის კვლავაც ავტორია უშამავალი. მხოლოდ რენესანსი, მხოლოდ მისი ალამდარი ალიგეირი მოახერხებს ამ ბარიერის დაძლევას და პიროვნულ პრიზმაში გარდატეხს გარემომცველ სამყაროს, გნებავთ, ქრისტიანულ სამფენოვან გარსში მოქცეულს (ჯოჯოხეთი, სალხინობელი, სამოთხე). მეცხრამეტე, განსაკუთრებით **XX** საუკუნე წყურვილით გათანგული აქლემის მსგავსად დაეწაფება ამ ლიტერატურულ მიდგომებს, მაგრამ „ილიადას“ ადევნატური ნაწარმოების შექმნა ჯერხანობით ვერავის მოუხერხდება. აყალიბებენ გმირის სულიერ ძვრებზე დოქტრინებს უზნაძეები, ფროიდები, შტაინერები, თუმცა დღესდღეობით კვლავაც ხელთა გვაქვს ჯოისის რებუსული კომენტარები შექსპირის „ჰამლეტსა“ და ჰომეროსის „ოდისეაზე“, სადაც შვილი თავგადაკლული დაეძებს მშობელ მამას. უილიამ ფოლკნერი რამდენადმე დააწვდევს „ულისესეულ“ აშლილობებს, თუმცა გრანდიოზული, მონუმენტური სულიერება ძველებურად იგვიანებს. ეპიკური დამოკიდებულება სამყაროსადმი, პოეზიის ინსტრუმენტებით ასახული სინამდვილე და მწერლის გარედან შემოტანილი საზრისი და მედიუმის ვითარება, გარდახდილია. ახლა მიმდინარეობს პროცესი ზედმეტი პერსონაჟის ამოსაგდებად მკითხველსა და გმირს შორის, ანუ საბოლოოდ უნდა აორთქლდეს მთხრობელის ნატურა და ეს ფუნქცია უშუალოდ გმირს უნდა გადაელოცოს, რათა დასწრების უკეთესი ეფექტი მივიღოთ. „ხმაურისა და მძვინვარების“ დამოკიდებულება ობიექტური რეალობისადმი ამას ცხადად ადასტურებს. მასში სუბიექტური პერსონაჟის გვერდით ობიექტურიც იხატება განსხვავების წარმოსაჩენად. ეს მწერლის ხელწერაა შინაგანის წარუშლელიობისა და გარეგანის მომაკვდინებელი ერთფეროვნების შესაღარებლად. ჩვენ, კვენტინ ქომპსონის შინაგანი მღელვარებით შეძრულს, ავტორი დაუნდობლად გადაგვისვრის ჯეისონის საყველპურო ცხოვრების მშორში და ამერიიდან ვერაფრით ვეღვეთ გმირისეულ მონოლოგებს, ზედმიწევნით გააზრებულთ თუ მისდა უნებურად


ქვეცნობიერს. კაზმული სიტყვიერება ახლა ამ მოურჩენელ დილემასაა შეჭიდებული. კინემატოგრაფი თანდათან ამკვიდრებს გარდახდილი სინამდვილის გადმოცემის მეთოდებსა და საშუალებებს პარალელური მონტაჟით, შავ-თეთრი კადრებით და სხვ. ბუნებრივია, „ბათა ქექიას“ გმირისეული თხრობის სტილი ვერაფრით გადაწყვეტდა ამ საკითხს; ვერც ზურიკელას ხბოსავით კუნტრუშობები და ველარც ოთარ ჭილაძის ენერგიული თხრობა თუ ოთარ ჩხეიძის ფრაზის მაგიას ჩაბლაუჭებული პროზა. ახლებს ხომ კონცეფცია საერთოდ არ გააჩნიათ. ისინი თავპირისმტვრევით გამოგობენენ სახელდახელო პურეულს. ეგ არის და ეგ. არ გააჩნია სერიოზული პლატფორმა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს, ვინაიდან ჯიუტი უმეცრებით არ გაუცნობიერებია თეორიული მემკვიდრეობა და სალოსის სიკერპით განზე მოისვრის ახალი ეპოქის მოთხოვნებს, მით უფრო, როცა ინფორმაციულმა ნაკადმა წარღვნასავით გადაუარა მონუმენტურ მიდგომებს თემისადმი. უპირატესობა მიანიჭა იაპონურ ლაკონიზმს ხელოვნებაში (ხაიკუ, ტანკა), აკუტაგავას მომჭირნე სტილს განცდათა დასინთეზებისას. ეს არქიტექტონიკური მოთხოვნები, თუმცა გმირი კვლავაც უღიმღამოა, თითებიდან გამოწოვილი, ან სულაც ნიველირებულია, ეპოქის არაადეკვატური ქუჩური ვნებათაღელვიდან შემოხეტებულა და არამც და არამც — დოქტორ ფაუსტუსის ყიდის, ათასი ფილოსოფიით და კონფესიით გონებაარეული, აურაცხელი პლასტიკა და ინფორმაციული ნაკადით გაჭრებული, ჩინეთის დიდი კედლით გათიშული დანარჩენი მსოფლიოსაგან, ნაწილისა და მთელის გახლეჩის პროდუქტი, საზოგადოებისა და ინდივიდის გათიშვის საგანი. გლობალიზაციისა და პატრიოტიზმის უკომპრომისო ცივმა ომმა, ადვილად მოსალოდნელია, უფრო მცხუნვარე ბატალიები წარმოშვას ხვალ-ზევ მასშტაბური ტერორიზმის პერსპექტივით, როცა ვინმე ჭკუადათესლილის ხელში წყალბადის ბომბი აჭყვინტინდებოდესა დასაკლავი გოჭივით. აი, ეს სივრცეები და რეალობები განზე მოუტოვებია ჩვენეულ სიტყვაკაზმულობას, ანუ დანარჩენი მსოფლიოს ლიტერატურულ ხელგარჯილობებს. ამას მიუთითებს ვინმე მეორლობე თურქ მწერალ ორხან პამუკისადმი ამას წინათ მიბოძებული ნობელის პრემიაც. დიახ, გლობალური შიმშილია ფასეული თხზულების შექმნის თემშარაზე, ვინაიდან უგულვებლყოფილია თეორიის ტრადიციები და გაცნობიერებული არ არის თანამედროვე მსოფლიოს ფსიქოლოგიური ვითარება. ამისთანა მდგომარეობაში, რამდენიც უნდა შემოგვთავაზოს მორჩილადმე ბელეტრისტული პესტიციდები რვეულების სახით თუ ბულაქმე და სხვათა გამოწმენდილი იწილობიწილო, სრული ხელმოცარვები მოგვევლინება შედეგად, რომლის

უმთავრესი მიზეზი ტრადიციის ნიველირებაა. გარემომცველი სამყაროსადმი სინთეზურმა დამოკიდებულებამ კულმინაციას 2900-2800 წლის წინათ მიაღწია „ილიადას“ სახით და დანტე ალიგიერამდე იგი ზვავის სისწრაფით მიექანებოდა უგემოვნების უფსკრულისაკენ. დანტემ მოახერხა სუბიექტურად ექცია გარემომცველი სამყარო, საკუთარ მეობაში აღმოეცენებინა ზადი და სრულყოფილი. მაგრამ შემდგომ და შემდგომ კვლავაც გაგრძელდა ლაბორატორიული დაკვირვებანი ასახვის ობიექტისადმი. რაც შეეხება სადღეისო პროცესებს, ხომ იოტისოდენად არ ახლავს დრამა. იგი გამოწურულია ვნებებისაგან, ზერელე სიუჟეტურ რგოლებსა და ფაბულურ კვანძებს ეპოტინება, როცა ოკეანეთა გრიალი ნემსის წვეროზე დასატევი. ამ მოთხოვნებისაკენ პროზის მოუხეშავი სხეულით ველარ ივლის კაზმული სიტყვიერება. კვლავაც ფორმულასავით ტევადი პოეზიის უმართსამართი ამოტივტივდება თვალსაწიერზე ადრე თუ გვიან, ოღონდ არა მთხრობელის უძვლო ენით დამათრახებელი, არამედ ისევ გმირის სულიერ ძვრებში აფეთქებული, ისევ პერსონაჟის ინდივიდუალურ გარსში მოთუშული და ახალი ხელწერის დამსაზღვრავი. აბსურდულია მეტრის პოზიციიდან მსოფლიოს ლიტერატურული პროცესების შეფასება, მით უფრო — თანამედროვეის, როცა იუნესკოს მონაცემებით ყოველწლიურად ათასობით რომანი ქვეყნდება და იქიდან მხროლოდ თითო-ორილას თუ მიაღწევს მზერას. იქნებ ვინმე გენიოსს უკვე გადაწყვეტილიც ჰქონდეს ჩვენეული პრეტენზიები თანამედროვე კაზმული სიტყვიერებისადმი, მაგრამ ამგვარი ვითარებაც პრობლემას ვერ მოხსნის, რამეთუ საზოგადოება გუშინდლის ნასუფრალით იცოხნება, მეორად ძველმანებში გაუყრია ბარძაყები და ლიტერატურული ცხოვრება მსოფლიო დუღილში ვერაფრით იგრძნობს თავს არათუ ზვიგენების, უბრალო ლიფსიტას მდგომარეობაში, ენობრივი ბარიერების გამო. ეს შლაგბაუმები ზოგიერთებისათვის თუნდაც რომ არ არსებობდეს, არ კმარა მოცემული სიციცხლე, გნებავთ მათუსალას ხანსვიანობა, თვალის დახამხამებაში აგყრის იარაღს სისხლსავსე წამების დამცინცლავეი ქამი, იგივე ცხოვრება, წუთისოფელი, საწუთრო რომ ჰქვია სახელად. ეპიკური მიმართება გმირისადმი გადაზრდილია სუბიექტურ მთხრობელობაში, ანუ ამოგდებულია მკითხველსა და გმირს შორის ეკალივით აღმოცენებული მწერალი-კომენტატორი. პერსონაჟი ახლა თავად ეტიკტიკება მისი სულიერი ძვრების მოდარაჟე მომხმარებელს, მაგრამ სავალალოდ კვლავინდებურად ნაკლებად შეინიშნება ჰომეროსივით განსწავლული ხელოვანი, რომელიც ბრმა აედივით შეადუღაბებდა კაცობრიულ ყოფიერებას, ერთ პიროვანებაში, ერთ ცნობიერში, ერთ ჭირთათმენაში.



**„შეიძლება ბევრი რამ ნახოს ადამიანმა და მეტნაკლებად სრული წარმოდგენა მაინც იქონიოს მასზე წიგნებით, კინოფილმებით, უურნალ-გაზეთებით თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით, მაგრამ ენგურპესის წარმოდგენა შეუძლებელია. ის უნდა ნახო, უნდა ნახო და განიცადო. არ ვიცი რას უნდა შეადარო ეს გრანდიოზული მშენებლობა. აქ ალბათ, ყველა შედარება სუსტი იქნება და არაზუსტი. ენგურპესი — ენგურპესია. თვითონ იგი გამოდგება შედარებისათვის: ენგურპესივით უნიკალური, ენგურპესივით დიადი, ენგურესივით შთაბეჭდავი, ენგურპესივით თანამედროვე, ენგურპესივით საოცარი...“**  
(პაატა ნა ცვლიშვილი).

**ბოლიტიკური მოსაზრებით კი ენგურპესს ჩვენ გაიგივებთ გრანდიოზულ სურჯინთან, რომელიც თანაბრად აუტივითავს აფსაზურ-ქართულ თანაცხოვრებას საუკუნეების მანძილზე. ენგურპესი თავისი არსით ქართული სახელმწიფოებრიობის მიკრომოდელია — თანაქმედების ნიმუში. წიგნის ავტორებს: ოთარ აკიშბაიას და ნუგზარ სართანიას, დიდძალი მუშაობა გაუწევიათ ენგურპესის ბიოგრაფიის გადმოსაცემად. ამ მეტად საჭირო თხზულების რედაქტორია ბატონი ჯემალ შონია. „ენგურპესი“ მრავალ საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის, როგორც ენერგეტიკით დაინტერესებულ პირებს, ისე — რიგით ადამიანებსაც.**



**ბატონი გია ხუბუა დაბადებულია 1952 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. ზუგდიდის მე-8-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გია პროფესიით ენერგეტიკოსია. ამჟამად მუშაობს ენგურჰესის ტექნიკურ დირექტორად. გია ხუბუას ენერგეტიკული სიტყვის მადლი ყმაწვილობიდან მოსდგამს. იგი წლების მანძილზე სისტემატიურად ბეჭდავდა ნოველებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. დღემდე გამოცემული აქვს ნოველების ორი კრებული: „ხმა ნაბიჯებისა“ (1992), „ბოროტების ბუმერანგი“ (1997). პოლიგრაფიულად მიმზიდველი „ბოქლომი“ დასტამბულია გამომცემლობა „ზანის“ მიერ. რედაქტორია ჯერალ შონია. მხატვრობა ეკუთვნის ზაურ ნანავას და მზია დედანაშვილს.**

„წიგნის გმირები ჩვენი თანამედროვენი არიან. — ვკითხულობთ ანოტაციაში, — თითქოს ყოველი მათგანი ადრეც ნაცნობია, ჩვენთან ერთად ცხოვრობს და მოქმედებს, ისე ბუნებრივად და უშუალოდ გვიხატავს სინამდვილეს მწერალი. გია ხუბუა ამას ასერხებს მოზომილი თქმით, გმირთა ხასიათების ზუსტი გადმოცემით, სიუჟეტის ძალდაუტანებელი და ამასთან, მოულოდნელი განვითარებით. ბუნებრივია, მკითხველმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ გულთბილად მიიღო გია ხუბუას აქამდე გამოცემული წიგნები.“

**თხზულებაში 55 ნოველაა შეტანილი. ეს ციფრი**

სიმბოლურია — ზუსტად წლეულს ბატონ გიას 55 წელი შეუსრულდა. ენგურჰესი, XX საუკუნის საქართველოს არქიტექტურული საოცრება, და სიტყვის ჯადო-თილისმა ასულდგმულებს მის ყოფიერებას.

გია ხუბუას შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ხასიათების მძაფრი შეგრძობა. მასთან ფრაზა მოქნილია, ხატოვანი და ზომიერი ემოციით დატვირთული. სიუჟეტური ქარგის მშენებლობისას გამოკიდებული არ არის უცნაურობებს, პროკრუსტეს სარეცლებს. ამ თვალთახედვით მისი ნოველები რამდენადმე ენათესავება ჯოისის „დუბლინელებს“. მაგალითისათვის, „ბოქლომის“ კითხვისას რაღაც განსაკუთრებული მოვლენის გაუნელებელი სურვილი გინდება, მაგრამ მწერალი განგებ არ გადაღუნავს ჯოისს, ხელოვნურად არ იწვევს კოშმარულს თუ თავსატეხს. იუმორული შტრიხებით იქერწება ბესა სამუშიას სახე ამავე სახელწოდების ნოველაში. თავმოყვარეა კოლხი მასპინძელი. სტუმრებმა იმდენი ღვინო დანთქეს, ფსკერი გამოცარიელებია ქვევრებს. თხოვნაც სასირცხვილოდ ეჩვენება, შელახავს მის წელგამართულობას და აქ საშველი ცეცხლია. თღონდ ქესეტობა არ დაბრალებს, თღონდ ხელმოკლეობაში არ ამხილონ და მზადაა ნაჯაფარი მარანი ხანძარს მისცეს, გადაბუგოს. განსაკუთრებული მის შემოქმედებაში უცილობლად „ქალა“ გასლავთ. აქ მწერალი ცრემლნარევი ირონიით ილაშქრებს არასრულფასოვნების კომპლექსის წინააღმდეგ. იგი სამაგალითო პროფესიონალიზმს ამჟღავნებს ამ ნაწარმოებში, კვალიფიციური მედიკოსის თვალსაწიერიდან გვიხატავს ბუნებით დაჩაგრული ანანას სულიერ გრადაციას. ეს ნოველა რაღაც ასპექტით მოგვაგონებს გოგოლის „შინელს“, როცა პატარა ადამიანის წუთისოფლით გასრესილი მეობა მაჯახეა დახვეული, და ამავედროულად ესმიანება კაფკას ფანტასმაგორიასაც — „წერილი აკადემიას“. მომაჯადოებელია მწერლის პოზიცია: როგორც ქრისტესთვის არ არსებობს უსარგებლო ნივთი, მაცხოვარი ძაღლის ლეშიც კი პოულობს ლამაზად დაკრეჭილ კბილებს, ისე ბელეტრისტი ძალდაუტანებლად აქანდაკებს სიგონჯის სინდრომით შეპყრობილ ინდივიდუუმს, რომელიც ცაბათივით მზად არის სიკვდილით დათრგუნოს სიკვდილი, საკუთარი ზადით მოსრას კაცობრიული სიმასინჯე საყოველთაო მშვენიერების დასამკვიდრებლად.

დიდი შენაძენია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის გია ხუბუას ერგასეული ნოველა და გულწრფელად ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ შემოქმედების ნარ-ეკლიან, მაგრამ სანეტარო გზაზე.

## ბია ხუბუა

### ქალა

(ნოველა)



ოთუთუნეს წმინდა სასაფლაოზე არცთუ დიდი ხნის წინათ კიდევ ერთი ბორცვი გაჩნდა. მის ქვეშ ანანას, როგორც შემდგომ სრულიად შემთხვევით გახმაურდა, უთავო ანუ თავმოკვეთილმა ნეშტმა განისვენა. გარდაცვლილს ახლობელი ან მეგობარი არ ჰყოლია და იგი მეზობლებისა და შორეული ნათესავების ვიწრო წრემ მიაბარა მიწას. დასაფლავების დღეს ადრე გაზაფხულის სუსხიანი ქარი გაშმაგებით აფრიალებდა ფანჯატურზე მიმაგრებულ ოქროსფერ-არშიან შავ ლენტს, თითქოს ვერ შერიგებოდა მასზე წარწერილს — „დავსტირით მარად დაუვიწყარ ანანას“ — სინამდვილესთან შეუსაბამობას.

იმ მცირეოდენი სიბრაულისაგან, საწყალი, უიღბლოდ მოსული კაცის ამქვეყნიდან წასვლამ რომ აღძრა ნაცნობთა გულეში, მეორე დღესვე აღარაფერი დარჩა. ეს, უპირველეს ყოვლისა, საფლავს დაეტყო. არათუ პორტრეტის მარმარილოს ქვით, ხის უბრალო ჯვართაც არავის აღუნიშნავს იგი. როგორც კი დათბა, ბალახი და ძეძვი მოეძალა; შემოუკავებელი, მოუვლელი, სარეველამორეული, საცაა შამბნარში ჩაიკარგა მთლიანად.

თითქოსდა, სამუდამოდ უნდა გამქრალიყო ანანას ხსოვნა მიწისპირიდან, მაგრამ მისმა სახელმა და უკვე თითქმის წაშლილმა სახემ გასულ თვეში მოულოდნელად ამოყვინთა დავიწყების ტბის ფსკერიდან და ლამის მთელი ქალაქი აალაპარაკა; აალაპარაკა და რამდენიმე დღით მოუკლა გართობის წყურვილი.

ქალაქში დარჩეული სავსებით სარწმუნო ხმები ანანას თავის გასაოცარ და ფრიად გამართობელ ხვედრზე მკითხველისათვის ბოლომდე გასაგები რომ იყოს, აუცილებელია ორიოდ სიტყვა ითქვას აწ განსვენებულის გარეგნობის ერთ თავისებურებაზე, რამაც განმსაზღვრელი და, როგორც ქვემოთ ვინახავთ, საბედისწერო როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

საქმე ის გახლავთ, რომ ანანას მეტად უცნაური ფორმის, ყოველგვარ სიმეტრიულობას მოკლებული, უხეიროზე უხეიროდ გამოჩორკნილი თავი ჰქონდა. ზუსტად არავინ იცის, როგორ და რა ასაკიდან გაიცნობიერა ანანამ საკუთარი სიმახინჯე, — სარკეში მოკრა თვალი პირველად თუ ფოტოსურათზე შენიშნა; ან, სანამ თვითონ აღიქვა, ვილაცამ უთხრა, შესაძლოა, დასცინა კიდევ. უფრო სავარაუდოა, რომ დასცინეს. ეს, ალბათ, ბავშვობაში, საკმაოდ ადრეულ ასაკში

მოხდებოდა. ასეა თუ ისე, ერთ ავადსამახოვრო დღეს ანანა საშინელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა: თანატოლების მრგვალი, კოხტა თავებისაგან განსხვავებით, მას დიდი, ნესვივით წაგრძელებული, გასაოცრად უშნო თავი დამხობოდა კისერზე. დაქანებული შუბლი გვერდებიდან უთანაბროდ შექყლეტოდა, კეფა ცალ მხარეს გაბრტყლებოდა, მეორე მხარეს დიდი ბურცობით დამშვენებოდა; ბურცობი იმხელა გახლდათ, იფიქრებდით, მეორე თავია, ოდნავ განუვითარებელიო; თხემზეც ისეთივე ფორმის, ოღონდ შედარებით პატარა ბურცობი ამოზრდოდა გვერდულად. ერთი სიტყვით, თავი კი არა, ეს იყო რაღაც საშინელება, რომელიც ნებისმიერ პატრონს, ცხოვრებაში ბევრ უსიამოვნებას მოუტანდა უსათუოდ, ხოლო მეტისმეტად მგრძობიარე ანანასთვის იგი სულაც პირადი ტრაგედიის მიზეზი გახდა; იმ დღიდან მოყოლებული, რაც მწარე სინამდვილე გააცნობიერა, ანანამ სამუდამოდ მიიკერა არასრულფასოვნების იარლიყი. შეძრწუნებულმა იმდენად მტკივნეულად განიცადა თავისი ფიზიკური ნაკლი, რომ ტემპერატურამ აუწვია და კარგა ხნით ლოგინად ჩავარდა.

ექიმების დახმარებით ფეხზე წამოდგარს წარმოუდგენლად შეცვლოდა გამომეტყველება. გრძელწამწამება, ლამაზ თვლებში ბავშვისათვის შეუფერებელი სევდა ჩასდგომოდა, მთელს სახეზე წარუშლელი დარდი ეხატა. მის სულსაც ღრმა კვალი დამწინეოდა, შინაგანად გაღიზიანებული, გულჩათხრობილი, განკერძოებული გახდა, რაც ნასიცხობით ვერ აიხსნებოდა. და ასე დარჩა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

სკოლაში ანანა ჩინებულად სწავლობდა და ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოწაფედაც მიიჩნევდნენ, არანორმალური მოყვანილობის ქალას მისი ტვინისათვის არაფერი ევნო. გაკვეთილებს ერთი მოსმენით ითვისებდა, მსჯელობის უნართაც გამოირჩეოდა, მაგრამ პედაგოგების თქმით, „აუტანლად პასიური“ იყო, ხელაწეული ან თავისი სურვილით კამათში მონაწილე იშვიათად თუ უნახავს ვინმეს. ბავშვებთან თამაშში ჩართულს გაახსენდებოდა თუ არა თავისი სიმახინჯე, მაშინვე დამნაშავესავით გადგებოდა განზე. დეფორმირებულ ქალას იგი ყველაზე დიდ უბედურებად მიიჩნევდა, ოღონდ ასეთი თავი არ ჰქონოდა და სიამოვნებით დათანხმდებოდა სიკოჭლეზე ან ბრუციანობაზე.

სკოლას მკაცრი, მომთხონენი დირექტორი ჰყავდა.

მას აღზრდის საკუთარი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული, რისგან იოტისოდენა გადახრაც სასტიკად იკრძალებოდა. ამ კონცეფციის ერთ-ერთი პრინციპი ის გახლდათ, რომ ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა დაეყვანათ თმის სიგძე „დირექტორის თმის დონემდე“, ესე იგი, ნულზე გადაეპარსათ. ანანას წამება სადალაქოდან იწყებოდა. პროვინციული ქალაქების დალაქები გამორჩეულად ოხუნჯი ხალხი რომაა, ცნობილია, მაგრამ თვით ამ დაწესებულებას, ეტყობა, აქვს განსაკუთრებული ხიბლი, რომელიც ყველაზე გაუცინარ კილიენტსაც, ფეხს შემოდგამს თუ არა, ანგლობის ხასიათზე აყენებს, თითქოს გასაპარს-გასაკრეჭად კი არა, ხუმრობაში ენის გასავარჯიშებლად მოდიან ოჯახ-აშენებულები!

იჭდა ანანა სადალაქოში კისერზე მიტკლისპირ-სახოც შემოჭერილი, ლოყებშეფაკლული, ყურის ნიჟარებზე ცეცხლწაკიდებული და საპარსი მანქანის ზუზუნში კრიჭაშეკრული უსმენდა თავისი ბედოვლათი გოგრის გარშემო ატეხილ კვიმატიტყვობას; უსმენდა და ტირილს აღარაფერი უკლდა.

სკოლაში უარესი დღე ელოდა. ყოველ გაპარსვაზე ბავშვები თითქოს ხელახლა აღმოუჩნდნენ „შტომპოლს“. გოგონებსაც აუცილებლად უნდა „აეღოთ სიფთა“, ისე არ მოასვენებდნენ. თუკი ვინმე გაემოესარჩლებოდა მასხრად აგდებულს, კიდევ უფრო შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ერთხელ იგი აქვითიენებული და სიცხიანი დაბრუნდა შინ. სკოლაში სამედიცინო შემოწმება ჩატარდა. საკლასო ოთახში ვიღაც ორი თეთრხალათიანი ქალი შემოვიდა. ერთი მხედველობას, ხოლო მეორე ხერხემლის სისწორეს უსინჯავდა მოსწავლეებს. იმ მეორემ, ანანას მერხს რომ გაუსწორდა, ხმამაღლა წამოიძახა:

— შეხედეთ, შეხედეთ ამ ბავშვის კეფას!

კლასში სიცილი-ხარხარი გაისმა.

ჭარხალივით გაწითლებული, სიმწრის ოფლში გახვითქული ანანა დაფასთან გაიყვანეს, წელზევით გააშიშვლეს და წალმა უკუღმა აბრუნეს. ტანზე რომ მაინცდამაინც საინტერესო ვერაფერი უნახეს, ისევ თავზე გადაიტანეს ყურადღება. მერე თეთრხალათიანი ქალები რიგრიგობით ლანძღავდნენ უბნის ექიმს, ანანას მშობლებს და აკვანს. პირველად მაშინ გაიგო ანანამ, რომ მისი უბედურების მიზეზი იყო რაჭიტი — საშინელი დაავადება! „რაჭიტი“ — ო, რა საშიშად ჟღერდა ეს სიტყვა!

რამდენიმე დღის შემდეგ ზეპირად იცოდა:

„რაჭიტი წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან rhachis, რაც ნიშნავს ხერხემალს. რაჭიტი არის ბავშვის ორგანიზმის დაავადება, რომელიც ვითარდება კალციუმის და ფოფორის ცვლის დარღვევის შედეგად. პირველად აღწერა ინგლისელმა ექიმმა ფრენსის გლინსონმა 1650 წელს. რაჭიტის ძირითადი მიზეზი ვიტამინის ნაკლებობაა. ავადმყოფობის ნიშნები ვლინდება 2-3 თვის ასაკში. თანდათან ვითარდება ჩონჩხის მკაფიო ცვლილებები: კეფის დარბილება და გაბრტყლება, დიდი და მცირე ყოფილიბანდის კიდების დარბილება, დიდი ყოფილიბანდის მოგვიანებით დახურვა, თავის ასიმეტრია. შემდგომ, ძვლოვანი

ქსოვილის ჭარბად განვითარების გამო მკაფიოდ იკვეთება შუბლისა და თხემის ბორცვები, თავი ზოგიერთ შემთხვევაში უცნაურ ფორმას იღებს. ძვლების დეფორმაცია რჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

მეცხრე კლასში იყო ანანა, როცა სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა. მან თავგადახოტრილი მოსწავლეების დანახვაზე სასტიკად გაილაშქრა ამგვარი „ვითომდა სპარტანული, სინამდვილეში კი ბარბაროსული“ აღზრდის წინააღმდეგ, რითაც ერთბაშად მოიგო აღსაზრდელთა გული. ახალ დირექტორს წინამორბედით კინკრისოზელა შერჩე ნოდა ორიოდ ღერი ღინღლისმაგვარი თმა, მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი ერთობ მოწყალედ უყურებდა ბიჭების მოღურ ვარცხნილობებს. მოშვებულმა ხშირმა თმამ ანანას შეუდარებლად გაულამაზა თავი, თუმცა ამანაც ვერ მოუტანა შვება. დღენიადაგ ახსოვდა, როგორი ფორმის საგანძურს მალავდა ქორჩორქვეშ. მისი ყოველი კვადრატული მილიმეტრი თითებით უთვალავჯერ ჰქონდა გასინჯული. ზოგჯერ გაკვეთილზე საკუთარ ქალას გამოხაზავდა რომელიღაც სიბრტყეში. ძილშიაც არ ასვენებდა სიმახინჯის განცდა — სიზმრებშიც ქალა უტრიალებდა თვალწინ, ყოველ ღამეულ მოლანდებაში მისი გოგრა უნდა გამოჩხერილიყო უსათუოდ. იშვიათად, ძალზე იშვიათად ტკბილ ზმანებასაც ნახულობდა — რაღაც სასწაულით თავს ვითომ იდეალური მოყვანილობა მიეღო! ზეიმობდა ანანა მაშინ, ტუჩებზე ბედნიერების ღიმი დასთამაშებდა, მაგრამ ხანმოკლე ნეტარებას გაღვიძებისთანავე მწარე გულგატეხა მოსდევდა.

სქელი, დამყოლი თმა, ასე თუ ისე, ერთგვარად ამსუბუქებდა ანანას მდგომარეობას. ამიტომაც ერთხელ, სარკეში თავისი გარეგნობის მორიგი კრიტიკული თვალყურებისას, შუბლის კუთხეებში სიჭაჩლის პირველი სიმპტომები რომ შენიშნა, — თავზარი დაეცა. როგორი შიშით ელოდა ამ დღეს! ანგარიშში უცემლად აიღო სავარცხელი და ფრთხილად გადაისვა. თვრამეტი ღერი თმა გამოჰყოლოდა სავარცხელს. ანანას გულის ძარღვი ჩასწყდა, ნაღვლის ტალღები მოედო მთელ გულ გვამში. რამდენიმე წუთს უაზროდ მისჩერებოდა სარკეს. მერე თვალებში ცეცხლი გაუკრთა, უეცრად შეეცვალა გამომეტყველება. გაშმაგებით დაივარცხნა თმა და სინათლეზე შეამოწმა. სავარცხელი თმით იყო სახვე. ამან უფრო გაახელა, იმ მომენტში უჩვეულოდ მრისხანედ გამოიყურებოდა.

ანანამ, უკვე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტმა, გადაწყვიტა შებრძოლებოდა ბუნების მუხანათობას და ქალაქის რამდენიმე ექიმბაში მოინახულა. ერთმა მუხანანის ფაშფაშა ქალმა, სრულიად გაუგებარ სტილში და ძალზე უგემოვნოდ მორთულ-მოკაზმულმა, ადვილად დააჭერა იგი, რომ შერჩენილ თმას სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნებდა. სხვებისგან გამორჩევით, ექიმბაში თმის ამოყვანას არ ჰპირდებოდა, ამიტომ უფრო სანდო ჩანდა. წლინახევრის განმავლობაში ანანა ყოველ ღამე ისვამდა თავზე რაღაც საზიზღარ სითხეს, ნივრის, სპირტის, ქაფურისა და თოხლო კვერცხის სუნი რომ უდიოდა. შემ-

დეგ თავს პირსახოცით მაგრად იხვევდა და აქო-თებული წვებოდა დასაძინებლად. თავდაპირველად ეჩვენებოდა, წამალი მშველსო, თითქოს აღარ სცვიოდა თმა, მაგრამ მალე დარწმუნდა, — ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ეფექტი იყო! შუბლი თანდათან უგანერდებოდა და უმაღლდებოდა, კეფა ყველაზე თვალშისაცემ ადგილას ამოუტიტვლდა. ხანდახან ეჭვიც გაჰკარავდა კლანჭებს, წამალი რომ არ მესმარა, იქნებ ასე უმოწყალოდ არ გავმელოტებულყავიო.


ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და ახლა უშუალოდ ქალაზე მიიტანა იერიში. ხელისგულს აჭერდა ამოწეულ ადგილებს, მერე რაღაც აკუსტიკური წერტილები შეარჩია, თითებს იკაკუნებდა თავზე საათობით. შემდგომ მეთოდი დახვეწა და თითები რეზინის დრეკადი ჩაქუჩით შეცვალა. სამსახურში ზოგჯერ სახაზავსაც აირაკუნებდა ბურცობზე. ერთი სიტყვით, მედგრად იბრძოდა სილამაზისათვის, თუმცა უშედეგოდ...

მივადექით ანანას თავგადასავლის ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთს, როდესაც, პოეტის სიტყვებს თუ მოვიშველებთ, მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი. უკვე უმცროს ინსტრუმენტორად მუშაობის რამდენიმე წლის სტაჟი ჰქონდა, პირველი და უკანასკნელი სიყვარული რომ ეწვია. რას არ ეცადა, გულის კარი რაც არ ჰგმანა, მაინც ვერ გაეჭვა ამურის ნატყორცნ ისარს. ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს, თითქოს სურს მათი ჯვარცმა უეჭველი და გარდუვალი გახადოსო, მამაზეციერი უაღრესად დახვეწილ გემოვნებას დაანათლავს ხოლმე. ანანას რჩეული — ქალაქის უმშვენიერესი ქალიშვილი — კარგ ქართულ ოჯახში აღზრდილი ზნეკეთილი არსება გახლდათ, მაგრამ თავისი ახალი თავფანისცემლის ვინაობა რომ გაუგია, სიცილით ისე გადაფიჩინებულა, ძლივს მოუსულიერებიათ. მოზღვავებული სიყვარულით საბოლოოდ განადგურებულმა ანანამ მარტობისათვის დაბადებულად ჩააგდო თავი, სამსახური მიატოვა და მთლად კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იჯდა შინ წიგნებთან დამეგობრებული, უკიდურესი აუცილებლობისას თუ გამოვიდოდა გარეთ. ქალაქში ყველამ იცოდა ანეკდოტები აქაური მექუდეებისა და ანანას თავის ურთიერთობაზე, ცნობით კი ცოტა ვინმე თუ იცნობდა. მეზობლები თავისებურ ადამიანად მიიჩნევდნენ, ზოგჯერ მის სულიერ ავადმყოფობაზეც ჩურჩულდებდნენ.

ასეთი თვალსაზრისი უფრო განმტკიცდა, როცა საქალაქო გაზეთში ანანას მიერ საბავშვო ფონდისათვის თხუთმეტი ათასი მანეთის გადაცემის ცნობა გამოქვეყნდა. როგორც გაზეთი იუწყებოდა, „ფული ჩაირიცხა მიზნობრივი დანიშნულებით“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ქალაქის ყველა ჩვილ ბავშვზე უფასოდ გაიცემოდა **D** ვიტამინი, აგრეთვე — ვიტამინიზებული თევზის ქონი იმპორტული წარმოებისა.

ანანა მშობლების დანატოვარი მცირე დანახოვით ცხოვრობდა, თუ საიდან აღმოაჩნდა ღარიბ კაცს იმ დროისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი თანხა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ერთ საღამოს ანანას ინტელიგენტური იერის მქონე ორი მამაკაცი ესტუმრა. მათ სამედიცინო ინსტიტუტის



თანამშრომლებად წარმოადგინეს თავი და საკმაოდ მიკიბულ-მოკიბულად ილაპარაკეს იმაზე, რომ მათთან, პათოლოგიური ანატომიის კათედრასთან, იქმნებოდა პათოლოგიურ ჩონჩხთა კაბინეტ-ლაბორატორია; რომ ამ საქმეში შეგნებული ადამიანების თანადგომა სჭირდებოდათ; რომ ანანას შეეძლო დიდი დახმარება გაეწია მათთვის და სხვა გრძელი მოიარებისა და ბოდიშების შემდეგ ისინი უშუალოდ საქმეზე გადავიდნენ: კათედრას სურდა შეეძინა ანანას თავის ქალა, რა თქმა უნდა, მისი სიკვდილის შემდეგ და მზად იყო სამისოდ წინასწარ გადაეხადა თხუთმეტი ათასი მანეთი.

— თანხმობა თქვენი მხრიდან, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ მხარეზე, ფრიად კეთილშობილური საქმე იქნება. იგი ხელს შეუწყობს კვალიფიციური ექიმების აღზრდას, ამდენად, დიდ სამსახურს გაუწევს ერის კეთილდღეობას! — შთამბეჭობლად წარმოთქვეს სტუმრებმა და მოკრძალებული სახით დაელოდნენ პასუხს.

ისინი მედიცინასთან დაკავშირებულ კომერციულ გარიგებაში ახალბედები როდი იყვნენ, კარგად იცოდნენ: მსგავს შემოთავაზებაზე ორნაირი პასუხი არსებობს — ერთნი თავდაპირველად ცივ უარზე არიან და შეურაცხყოფილი ადამიანის სახეს იღებენ, სულიც რომ მისდიოდეთ ფულზე, მაინც; მეორენი მოსაფიქრებლად დროს მოითხოვენ და პასუხს აჭიანურებენ. ამიტომ, როცა ანანამ იმწუთასვე მშვიდად განაცხადა, თანახმა ვარო, გაკვირვებულმა მედიკოსებმა ერთმანეთს გადახედეს.

სათანადო ხელშეკრულება იმავე საღამოს გაფორმდა. სამედიცინო ინსტიტუტი, ანანას კატეგორიული მოთხოვნის თანახმად, კისრულობდა გარეგნის საიდუმლოდ შენახვას. სტუმრები დიდის ამბით

გამოემშვიდობნენ მასპინძელს და გახარებულნი წავიდნენ. მათი აზრით, ეს შენთანხმება მნიშვნელობით აღემატებოდა ბოლო დროს ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას — ქალაქის ერთადერთი გოლიათის, ორმეტრონახევრიანი აყლაყულა ქეროს ჩონჩხის შექმნას.

— გენიოსები ვართ, რა ეგ ზემპლარი ვიგდეთ ხელთ!

— აბა!

— როგორ ფიქრობ, რატომ დავგვთანხმდა ასე სწრაფად?

— რა ვიცი... ფულის კაცსაც არა ჰგავს...

— საწყალმა, ალბათ, იფიქრა, ამ საშინელ თავს სიკვდილის შემდეგ მაინც მოვიშორებო!

— მართლა რა ბუტკასავით თავი აბია!

— ჰა-ჰა-ჰა! მასეთი არაფერი მინახავს!

— ხა-ხა-ხა!

და პათოლოგიური ანატომიის კათედრის თანამშრომლები დიდხანს ხარხარებდნენ გზაში.

რამდენიმე წელიწადს ელოდა ორღესული სამედიცინო ნაჯახი ანანას კისერს, ხოლო პათოლოგიურ ჩონჩხთა კაბინეტ-ლაბორატორია — უნიკალური თავის ქალას, რომელსაც შესამჩნევად უნდა შემესუბუქებინა ლექტორებისა და სტუდენტებისათვის რაქიტის შესახებ მასალის გადაცემათვის; ელოდა სამედიცინო ინსტიტუტის ბუხალტერიაც, თხუთმეტი ათასი მანეთი ხომ „ჰაერში ეკიდა!“

იმ წლებში ანანას ცხოვრების წესი ოდნავადაც არ შეუცვლია. დრო კითხვასა და ქალზე ფიქრში გაჰყავდა. ისევ ისე იკაკუნებდა თავზე რეზინის ჩაქუნს, რაც ჩვეულებად გადაქცეოდა. ხანდახან იაფფასიან, გაჩეჩილ თმიან პარიკს გაიკეთებდა თავზე და კლოუნს ემსგავსებოდა.

ერთ დღით, წიგნების ქექვისას, ანანა ცისფერყდიან თხელ წიგნს წააწყდა, რომელიც ინდოელ იოგთა მოძღვრებას შეეხებოდა. წიგნის გარეკანზე უცნაურ პოზაში მჯდომი შიშველი კაცი ეხატა, ანოტაციაში კი ეწერა: „იოგა, რომლის საფუძველი თვითშეგონება და რწმენაა, სასწაულებს ახდენს, მას შეუძლია ძვლის სტრუქტურაც კი შეცვალოს“. იმავე ხანებში რომელიღაცა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ჟურნალში ასეთი რამეც ამოიკითხა: „სიმეტრია არ არის მშვენიერების აუცილებელი ატრიბუტი“. ამ მოსაზრებას წერილის ავტორი შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ქალის სახეზე ერთადერთი ხალი უფრო ლამაზია ორ ან მეტ სიმეტრიულად განლაგებულ ხალზე. ამასთან ობოლი ხალი ხშირად უფრო ბადებს სილამაზის შეგრძნებას, თუ იგი უსიმეტრიოდ ზის სახეზე“. ანანა ამან ჩააფიქრა და სარკესთან მიიყვანა, პარიკმოხდილი რამდენიმე წუთს აკვირდებოდა ანარეკლს, სადაც მოპირდაპირე კედელზე გაკრული კინოვარსკვლავის პორტრეტიც ჩანდა. ანანამ ჟურნალი შორს მოისროლა და ისევ ცისფერყდიანი წიგნისკენ მიმართა იმედსხვიანი მხერა.

ერთ მშვენიერ დღეს მარტოობით გამოფიტული, დაუძლურებული ანანა სამედიცინო ინსტიტუტის

ექსპერიმენტულ კლინიკაში დააწვინეს. მალე ზეწარში გახვეული მისი გვამი მორგში ჩაიტანეს, ხოლო გარდაცვალებიდან მესამე დღეს თუთიის ჰერმეტიკულ კუბოში მოთავსებული ნეშტი მეზობლებმა წაასვენეს. სამედიცინო ექსპერტიზის თანდართული დასკვნა სასტიკად კრძალავდა გვამის დათვალიერებას, როგორც გარემომყოფთა ჯანმრთელობისათვის საშიშ ქმედებას.

გაიარა კიდევ ერთმა კვირამ. ზუსტად იმ დღეს, როცა საბრალო ანანას ნეშტი ოთუთუნეს სასაფლაოს ნესტიანმა მიწამ მიიბარა, პათოლოგიურ ჩონჩხთა კაბინეტ-ლაბორატორიაში მომცრო კონტეინერი შეიტანეს, დაახლოებით ნახევარი კუბური მეტრის მოცულობისა. მასზე კბილებდაკრეჭილი ქალა და საინვენტარიზაციო ნომერი — 888 — იყო გამოსახული. შიგ ბამბით კიდებამოვსებული ქაღალდის ყუთი აღმოჩნდა, რომლის შუაგულში ანანას ქალა იდო. ექსპონატი მოწიწებით ამოიღეს და სადემონსტრაციო დგარზე დაამაგრეს. დგარი ნელა დაატრიალეს თუ არა, იქ მყოფ ყველა პათოლოგანატომს განცვიფრება დაეუფლა: ქალა მრგვალი იყო! იგი არაფრით განირჩეოდა ტიპურ ქალათაგან. შეიძლება ითქვას, მათზე სიმპათიურადაც კი გამოიყურებოდა.

ამ ამბავმა კათედრის ხელმძღვანელობისა და საფინანსო ორგანოების ყურამდე მიიღწია. საქმე სასკანდალო აღმოჩნდა. ჩვეულებრივ ქალაში გადახდილი იყო თხუთმეტი ათასი მანეთი, როცა პრეისკურანტი მისი ფასი შვიდ მანეთს და ორმოცდაათ კაპიკს არ აღემატებოდა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მთელი ორი თვე იმუშავა და გამოწვლილვით შეისწავლა საქმე. კომისიის დასკვნით, ქალას დამუშავებისას აღრევა გამორიცხული იყო, რადგან იმ პერიოდში კლინიკაში ერთადერთი ადამიანი გარდაიცვალა და ერთადერთი ქალა დამუშავდა. ამდენად, მომხდარში ბრალი დაედო კათედრის ჩვენთვის ცნობილ თანამშრომლებს „ანთროპომეტრიის უგულვებელყოფისა და ნიმუშის არასწორი შერჩევისათვის“. მათ გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და დაეკისრათ ზარალის ანაზღაურება ხელფასიდან თანდათანობით გადახდით. დასჯილნი, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებოდნენ კომისიის გადაწყვეტილებას, მიანევდნენ, რომ მოხდა რაღაც დიდ გაუგებრობა, მაგრამ თავი ველარაფრით გაიმართლეს. მათდა საბედნიეროდ, იღბლიანი შემთხვევის წყალობით, ხელფასიდან პროცენტების დარიცხვამდე საქმე არ მისულა. სრულიად მოულოდნელად სამედიცინო ინსტიტუტმა ზარალის ნაცვლად დიდი ხეირი ნახა ხსენებულ ქალაში. სწორედ მაშინ დაირღვა ხელშეკრულების პირობა და გახმაურდა აქ მოთხრობილი ამბავი. როგორც ამბობდნენ, ანანას თავის ქალის შესაძენად ფული არ დაუშურებია საზღვარგარეთის ერთ-ერთ მუზეუმს, რომლის ექსპოზიციაში თურმე უიშვიათეს, აბსოლუტურად სიმეტრიულ საგნებს ეთმობა ადგილი.

## SOS! ანღაზა ბაბუნის ნაჭამ ტყეებზე, რომელიც კბილებს ჭრის უფილიფილებს



ღვარცოფულმა წყალდიდობებმა და სტიქიურმა უბედურობებმა, რომლებმაც მოიცვეს დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონები, აღინიშნა ადამიანთა მსხვერპლი, სერიოზული ზიანი მიაყენა, როგორც ეკონომიკურად, ისე — მატერიალურად და ფიზიკურად ადგილობრივ, ლოკალურ მოსახლეობას. ამას ზედ დაემატა 2005 წლის 6 სექტემბერს ენგურჰესის წყალსაცავისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული „ტექტონიკური ბიძგები“ (Taktunik Avter Osellotion). მიწის ქანების რყევითი პროცესი აღნიშნულ ტერიტორიაზე აღწევდა და 4-დან 5 ბალის იდენტური იყო რისტერის შკალით; სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის ეპიცენტრი სავარაუდოდ ხოკოს ტერიტორია აღმოჩნდა, სადაც ენგურჰესის მაღლივი კაშხალის წყალსაცავი მდებარეობს 1 10 0 000 000 მ<sup>3</sup> მოცულობით. ფილტრაციული წყლების არსებობა წყალსაცავში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი-ორად იწვევს მიწისძვრის გაძლიერებას. ასე მაგალითად, ქალაქი თბილისი განლაგებულია მდინარე მტკვრის ფილტრირებულ წყალზე ქვედა ფენებში და სეისმურად აქტიურს ხდის ტექტონიკური მიწის რყევების პროცესში და აქტიურია სეისმურად. სეისმურად აქტიური წყალსაცავი და მისი მიმდებარე ტერიტორია, კაშხალის ტანი გათვალისწინებულია 9-ბალიან ნაგებობად. კაშხალის ტანის დასაშვები აჩქარება მის ნებისმიერ ნაწილში 0,04 მ/წმ<sup>2</sup>-ია, ბოლო მიწის ძვრის შემოქმედების შედეგად 0.017 მ/წმ<sup>2</sup> აჩქარების იდენტური, რაც ჩვეულებრივ რეჟიმადაა მიჩნეული.

არაორდინალური იყო წყალსაცავის კიდებზე,

დაარსებული შლამური ნალექები. გორების დაშლის შედეგად მისმა კონცენტრაციამ თითქმის ყველა საკეტ ფართან (stopiog), რამაც ფარების გახსნა მნიშვნელოვნად გაართულა, შესამჩნევი ცვლილებების გარეშე.

აქამდე მოქმედი სეისმური სადგურები ჩქვალერში, ჭალესა და ბეჩოში პარალიზებული, იზოლირებული და ლიკვიდირებული აღმოჩნდა „სადისტრიბუციო კომპანიების“ (distribution compani) მიერ. მხოლოდ ბეჩომ დააფიქსირა ფიზიკური რყევები, რომელთანაც საკომუნიკაციო კავშირი არ არსებობდა.

ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე ფუნქციონირებდა 7-5 სესიმურად გამართული სადგური.

რაც გინდ თანამედროვე დონეზე აღჭურვილი, ტექნიკურად გამართული კომპიუტერული დანადგარი განათავსო იალბუზზე, „სასარგებლო მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ეკვივალენტია,“ თუ აპარატი მულტივიდენის წყაროსთან არ მიერთდება.

მიწისძვრის შედეგად ნაპრალების კვეთის გადიდებისთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მე-6 პორიზონტის მარცხენა ნაპირზე, პიიზომეტრებში წნევა დაეცა საგრძნობლად, რაც მაინცდამაინც საგანგაშო არ არის.

მოსალოდნელია რეალური საფრთხე და საშიშროება პრაქტიკულად, პირობითად ხოკოს ქედის 1,5-2 კილომეტრიან ზოლზე, სადაც ხოკოს საკონტროლო პუნქტია განლაგებული, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროს მიდამოებში.

მიწისძვრის პროცესი გადაღულულ ნედლ ჯოხს ჰგავს, რომელიც მაქსიმალურად შეფოთების მიდამოებში ნელ-ნელა ტყდება — მკვეთრი დეფორმაციის შედეგად

შექმნილი პროცესით მთავრდება (finished crich prosses). 1,5 და 2 კმ ზოლზე თვითმხილველების აზრით, სადაც ენგურისა და მაგანის ხეობები მაქსიმალურად არის დაახლოებული, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ორად გაიყო, ნაპრაღის სიგანე 150-იდან 200 მეტრს შეადგენდა. კაკი და ტოჩი მანების საკარმიდამო ნაკვეთი 600 X 800 ფართობი, დაიძრა მაგანას ხეობის მიმართულებით. ლეფიეს მხარეს, ამ ადგილას, წყაროს წყალი დაახლოებით 20 მეტრის შემდეგ იკარგება გრუნტში გაურკვეველი იმართულებით.

ამ მონაკვეთზე გზატკეცილის ნაწილი 85 სმ-ით გასკდა და ნაპრაღი გაჩნდა ჯვარ-ხაიშის მაგისტრალზე. კაშხლის წყალსაცავის მიმართულებით, მის საპირისპიროდ ლეფიეს მიდამოებში მაგანას სანაპიროზე მიწის დიდი ნაწილი ჩაეშვა მეწყრული წესით მწყემსი ჟორჟი ქარდავას ფარეხთან.

წყალსაცავის ზედა ნაწილში ინტენსიურმა აფეთქებებმა, თაბაშირის მოპოვების მიზნით დიდი ოდენობის ღრმულები და ბზარები გაჩნდა, სადაც იგორ ფიფიას ფარეხია განთავსებული.

ლტოლილების მიერ ხე-ტყის უმოწყალოდ გაჩეხვამ ხოკოს ქედის ორივე მხარეს, აქაოდა ეს ტერიტორია მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დაგვაყენა. ამას ემატება წაბლისა და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეების ავადმყოფობა, მასობრივი გამერქანება. დამატებით საგანგაშოა წყლის ჭაღვების გაჩენა, გარე ფილტრაციის შედეგად მაგანის სანაპიროს ქვედა ნაწილში, სადაც წყლის სიმალღე წყალსაცავში მაქსიმალურია, 511, 5 ნიშნულს აღწევს.

თავდაპირველად ენგურჰესის ელექტროსადგური, მისი კაშხალი გაანგარიშებული იყო ტოტალური ქვაკლდოვანი მასივისათვის. გრავიტაციული და მექანიკური ზემოქმედება 11 000000000 მ<sup>3</sup> წყლისა ფსკერსა და კიდეებზე განისაზღვრება წნევის ზოგადი ფორმულით — 27, 1 ტ: მ<sup>2</sup>, სრული ჯამური წნევა 11 000000000 კმ: მ<sup>2</sup>. ამგვარი კუთრი წონა თიხანარევი, სუფოზური, მიწიანი, ღორღიანი მასივის ხვედრითი წონა ნაკლებია 100 %-ზე. ეს კი ნიშნავს ადგილი აქვს გარე ფილტრაციას და ქანების ფიზიკურ და ქიმიურ დაშლას, რომელსაც სუფოზური პროცესი ეწოდება.

პრაქტიკულად ენგური და მაგანა, ჩხალთისა და ეგრისის ქედის მთა-გორიანი ადგილების მდინარეებია (ღვარცოფული, შმაგი და უკუღმართი, რაც ჩემმა ოჯახმა საკუთარ თავზე გამოსცადა 1983 წლის 19 ივლისს).

ენგურჰესის წყალსაცავი თავისი უზარმაზარი მასით, მაგანის ხეობასთან შედარებით კოლოსალურია. სხვაობა შეადგენს 210-350 მ. თუ სასწორის ერთ მხარეს დავდებთ ყველაფერს, ხოლო მეორე მხარეს არაფერს, რეალურია ყველაფერი გადასწონის არაფერს.

კლდოვანი გრუნტის სიმკვრივე მეტია წყლის სიმკვრივეზე, წყლის სიმკვრივე მეტია სუფოზური ნაწილის სიმკვრივეზე, წყალი მაქსიმალურად აღწევს სუფოზურ, არამდგრად მასიურ გრუნტში.

ჩვენთვის გაურკვეველია თუ რა მდგომარეობაში დატოვა ბოლო მიწისძვრამ „ლენდსლაიდური“ მცოცავი ქანები „ხოკოს ქედის“ ორივე ნაპირი ტექტონიკურმა ავთერ-რხევებმა. მშენებლობის პროცესში ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებდა 75 სეისმური სადგური. მათ





შორის ყველა მოქმედი იყო. ახლა თითქმის არცერთი მოქმედებს, რაც შემაშფოთებულა უცილობლად.

არაფერს ელოდა 45 წლის შემდეგ კატასტროფას ვაიონტში, ალპებზე, მაგრამ ხომ მოხდა; არც — ინდოეთსა და სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ ესეც გარდახდილია მწარე გაკვეთილად.

ზემოთ გვითქვამს, მანიების ყოფილ საკარმიდამო ნაკვეთზე, მთავარი გზის მხარეს ფერდობის ზედაპირზე ჩამოედინება წყარო, რომელიც შემდეგ იკარგება. რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?! ხოვოს ქედის ორივე მხარეს ხომ არ არის ვაკანსიური ცარიელი ვაკუუმური სივრცე? ხომ არ არის სტალაქტიდური და სტალაგმიტური მღვიმეები? ქედის ორივე მხარეს წყალსაცავისა და მის საპირისპიროდ მაგანის ლეფიეს მხარეს მიწის მასივები ნელ-ნელა მიცოცავს წყალსაცავისა და მაგანის მხარის ნაპირებისკენ. ყველაფერი ეს დროის ხანგრძლივ შუალედში მიმდინარეობს ეპიზოდურად. ნათქვამია: „ბაბუის მიერ ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს კბილები მოსჭრაო“.

დაუნჯებული გონებით თუ გავაანალიზებთ ყველაფერს, არსებობს ენგურის ხეობის მაგანის ხეობაში გადასაცვლების რეალური საფრთხე.

რომ არ გავხედოთ კარზე მომდგარი უბედურების თანამონაწილენი, საჭიროდ მიმაჩნია კარდინალური ღონისძიებების გატარება რამდენიმე მიმართულებით. უწინარესად აუცილებელია არსე ბულ ტერიტორიაზე სრული მონიტორინგის დაწყება!!! ამასთან, მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა:

– წყალსაცავის მარცხენა მხარეს, საგზაო მაგისტრალის გასწვრივ, აღდგენილ იქნას ნიველირებული პირველი საწყისი მდგომარეობა, როგორც ეს იყო საფიჩის დროს, ცოცვისა და სხლეტის კოეფიციენტის დასადგენად;

– ჯვარის „მაგანა“-ს ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდეს ციფრული სეისმური დანადგარი ქვესადგურის მუდმივი დენის შიდაპოშ-სასურების სარჯზე;

– წყალსაცავის მოსალოდნელი ღუნდსლაიდური დატოვების ადგილზე, იგორ ფიფიას ფარუსთან, დამონტაჟდეს თანამედროვე ციფრული აპარატი კაშხალის შიდა მოშასურების მუდმივი დენით;

– დირექციის მიერ უზუსტად დადგენილ პერიმეტრსა და პარამეტრში სასტიკად აიკრძალოს სე-ტყის გაუგონარი გაჩენვა;

– დაჩქარდეს წყალსაცავის ნაპირთან არსებული საკონტროლო გვირაბის ჩამონგრევის თბიქტური მიზნები;

– შესწავლილ იქნას თაბაშირის ყოფილ კარიერებში ხანგრძლივი აფეთქებების შედეგად ნაპრალებისა და ბზარების დიაგნოზები, ცემენტაციისა და გამგრეების საკითხები;

– დაუყოფნებლივ მოხდეს კაშხალის ტანში პიზომეტრების აღდგენა-დამონტაჟება;

– ენგურპესის ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე დაცვის პოლიციამ აკრძალოს წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის თუ ნებისმიერი ფარმის განდალური ქმედება სე-ტყის განჩანაგების თვალსაზრისით, ვინაიდან ტყე-მაღ-ბაბუა-შვილიშვილის ანდაზა კარზე მოგვადგა.

სოსო ციმიტია,

შ.პ.ს. „ენგურპესის“ მიწის ქანების რყეებისა და მეწყერული მოვლენების უფროსი ლაბორანტი.

05.12. 2007 წ.

## საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელოვანი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს

### ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ, საქართველოს მეჩაიეობა საუკუნუნებანების ისტორიას ითვლის. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ჩაი დაახლოებით 76 000 ჰექტარზე იყო გაშენებული. იკრიფებოდა 400 000 ტონა ნედლეული, რაც 100 000 ტონა მზა პროდუქციას უტოლდება და მსოფლიოში ჩაის წარმოების 8 პროცენტს შეადგენდა.

შარშანდელი მონაცემებით საქართველოში დაახლოებით მოიკრიფა 24 000 ტონა ნედლეული და წარმოებულ იქნა მხოლოდ 6 000 ტონა პროდუქცია.

ანალოგიურად შემცირდა ჩაის წარმოება სამეგრელოს მხარესა და ზუგდიდის რაიონშიც, მაშინ, როცა იგი ეკონომიკის წარმართველი დარგი და მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო იყო.

ზუგდიდის რაიონისათვის სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ შეუცვლელი და წამყვანი დარგია მეჩაიეობა. ამიტომ მისი პერსპექტიული პლანტაციების შენარჩუნება, რეაბილიტაცია და დარგის აღორძინება აუცილებელია ათეულ ათასობით ადამიანის დასაქმების, მათი სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით.

მეჩაიეობის დარგის აღორძინებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ადრე განხორციელებული ღონისძიებები, როგორცაა: ბიუჯეტიდან თანხების (ტენდერის სახით) გამოყოფა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა საკმარისი არ აღმოჩნდა. წლების განმავლობაში ჩაის პლანტაციებში თითქმის არ ტარდება აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები, რის გამო მწყობრიდან გამოდის მოსავლიანი ჩაის პლანტაციები და ეკალ-ბარდით იფარება. სპონსორები, მოიჯარეები და მეპატრონეები უსახსრობის გამო თითქმის არაფერს აკეთებენ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისა და დარგის აღორძინებისათვის, არაფერი კეთდება ჩაის ფაბრიკების გადაიარაღების მიზნითაც.

თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ მეჩაიეობაში მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება მაინც შეიძლება, რისთვისაც აუცილებელია:

1. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოხატოს სახელმწიფო პოზიცია ჩაის კულტურის მიმართ და იგი პრიორიტეტულ დარგად აღიაროს.

2. მთავრობის განკარგულებით ჩატარდეს ჩაის პლანტაციების აღწერა-ინვენტარიზაცია. დადგინდეს პერსპექტიული და არაპერსპექტიული პლანტაციები. გაუვარგისებული არაპერსპექტიული ფართობებიდან



ჩამოიწეროს ჩაის პლანტაციები (ქონება), ხოლო მის ქვეშ დაკავებული მიწის ფართობები გაიყიდოს და ნიადაგების სრულყოფილად ათვისების შემდეგ გამოყენებულ იქნას ჩაის, თხილის, კივის და სხვა ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურებისათვის. პერსპექტიულ ჩაის პლანტაციებში კი ჩატარდეს რეაბილიტაციის სამუშაოები იმ მიზნით, რომ შემდგომში ამ პლანტაციებიდან მოიკრიფოს მხოლოდ მაღალხარისხიანი ნედლეული და გამოშვებულ იქნას მსოფლიო ბაზის კონკურენციის მქონე პროდუქცია.

3. მთავრობამ ჩაის მწარმოებელ და გადამამუშავებელ მრეწველობას გაუწიოს დახმარება გამოშვებული მაღალხარისხიანი ჩაის პროდუქციის რეალიზაციის მიზნით სათანადო ბაზრის მოძიების საქმეში. პარალელურად განახორციელოს ღონისძიება ქვეყნის მოსახლეობის, ჯარის ნაწილების და სასჯელმისჯილთა დაწესებულებების სამამულო ჩაის პროდუქციით მომარაგებისათვის, შიდა ბაზრის დაცვის მიზნით; აიკრძალოს, ან შეიზღუდოს საზღვარგარეთიდან ჩაის პროდუქციის იმპორტი, მასზე საბაჟო გადასახადების გადიდებით, როგორც ამისი პრაქტიკა თუნდაც მეზობელ თურქეთშია.

ბატონო მიხეილ, ჩაის დარგის აღორძინებას იმედით ელოდებიან ამ დარგში ადრე მომუშავე ადამიანები. მას ნამდვილად გააჩნია სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

იმედია, ჩაის დარგის რეაბილიტაცია ასახვას ჰპოვებს თქვენს საარჩევნო პროგრამაში. ამით თქვენ მრავალათასიან მეჩაიეთა გულებს მოიგებთ და ადეკვატურ ნდობასაც დაიმსახურებთ.

(15 ხელმოწერა)

### ბატონ მიხეილ სააკაშვილს

მომართავთ თქვენი კეთილმოსურნე მოქალაქეები ქ. ზუგდიდიდან. კანდიდატურაში თუ არ ჩამოგვართმევთ, გვინდა გირჩიოთ, რომ თქვენს საარჩევნო პროგრამაში შეიტანოთ ერთი საკითხი:

თქვენს საარჩევნო პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა ადამიანთა დაფასებას. დღევანდელ პირობებში ეს უმთავრესი პრობლემაა ქვეყნისათვის. ასეთ ვითარებაში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, რამდენიმე მილიონი ლარის საწარმოო ფონდი ბარბაროსულად ნადგურდება. ამ ფონდის ამოქმედებით სულ ცოტა 600-700 ათასი ახალგაზრდა დასაქმდება, კარგ ანაზღაურებასაც მიიღებენ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს სულ ცოტა 150-200 მილიონი ლარი შეემატება.

საკითხი ეხება ჩაის კულტურას. ჩაის ავტორიტეტი შელახა არასწორმა სამეურნეო პოლიტიკამ. მოსკოვი საქართველოდან მოითხოვდა 100 ათას და მეტ ტონა ჩაის. რესპუბლიკაში არსებული ჩაის პლანტაციები ამის საშუალებას არ იძლეოდა. ფაქტობრივად ჩაი კი არ იკრიფებოდა, არამედ — იხვლებოდა. ასეთი ნედლეულით ხარისხოვანი ჩაის წარმოება შეუძლებელია. საქართველოს ჩაის წარმოების პოტენციალი იყო არა 100 ათასი ტონა, არამედ მისი ნახევარი. დამოუკიდებელ საქართველოში ქართული ჩაის საქმე ჩააბარეს პაწაწინა, თანაც სულ სხვა მიმართულების გერმანულ ფირმას „მარტინ ბაუერს“. რატომ შემოიყვანეს მაინცდამაინც ერთი ფირმა, ცალკე საუბრის თემაა. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ წერტილი დაესვა ქართულ ჩაის. ჯერ იყო და ეკონომიკის სფეროს კურატორ, ყოფილ ვიცე-პრემიერ ბასილიას გაგონება არ უნდოდა ქართულ ჩაიზე. სამწუხაროდ ამავე პოზიციაზე იდგა პრემიერ-მინისტრი ნოლაიდელიც.

დღეს პრაქტიკულად ქართული ჩაი საქართველოში არ იშოვება. ის ჩაი, რასაც გვასმევენ, არაფრით ჯობია ქართულს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზუგდიდში (ალბათ, სხვაგანაც) აზერბაიჯანული ჩაია გაყიდვაში (აზერბაიჯანი ჩაის მხოლოდ ერთ, ლენქორანის რაიონში აწარმოებს რაღაც 1500-3000 ჰექტარზე. მისი სასარგებლო მაჩვენებელი ძალზე დაბალია).

საქართველოს შეუძლია 50-ათასამდე კონკურენტუნარიანი ჩაი აწარმოოს (პერსპექტივაში, რადგან ძნელი სათქმელია თუ რა დღეშია ჩაის პლანტაციები ან რამდენი ჰექტარი ამოძირკვეს და გადაწვეს). რაც შეეხება წარმოებული ჩაის რეალიზაციას, პირველ რიგში ჩაით უნდა გავაჯეროთ ჩვენი ბაზარი. საქართველოს სჭირდება არა 5-ათასი ტონა, არამედ — 8-10 ათასი ტონა. (თუ ვინმე ამ ციფრს ეჭვის თვალთ შეხედავს, დავარწმუნებთ, რომ 3-4 ათასი ტონა მაქინატორებს ე.წ. „ლევო“ გზით გაჰქონდათ).

ქართული ჩაის, განსაკუთრებით მწვანე ჩაის, დიდი მომხმარებელი იყო (და ახლაც იქნება): ყოფილი სსრ კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკა, ფაქტობრივად 50 მილიონი მომხმარებელი. ჩაის იმპორტი დღესაც

წარმატებულად შეიძლება უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, პოლონეთში, ეს კი სრულიად საკმარისია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის.

ჩვენ გვაქვს უნიკალური ნიადაგ-კლიმატური პირობების ორი ზონა — სადაც ხარობს ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი, დაფნაც და თხილიც. თხილი ვერ შეცვლის ჩაის. ჩაის დიდი უპირატესობა აქვს თხილთან, რენტაბელურობის, ასევე დასაქმების თვალსაზრისით. თხილთან შედარებით ჰექტარ ჩაის გაცილებით მეტი შემოსავლის მომტანია და ის თითქმის 9-10 თვეს ასაქმებს ადამიანს. ჩაის წარმოების აღორძინება დიდ სიკეთეს მოუტანს ხალხსაც და სახელმწიფოსაც.

(51 ხელმოწერა)

### ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ, თითქმის 10 წელი იარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალმა. თქვენ ამ სასწავლებელში ბრძანდებოდით 1998 წელს. შეხვდით ორი წლის ფეხადგმულ სასწავლებელს. შეხვდით სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს. გამოხატეთ თქვენი კმაყოფილება მისით, რაც ნახეთ. უფრო მეტიც, მთავრობის სხდომაზე დასვით საკითხი, რომ დახმარება სჭირდება ამ სასწავლებელს, ან უნდა დაუბრუნოთ მათი შენობა, ან უნდა მოუნახოთ სხვა გამოსავალი. (ჩვენი, 7 ათას კვადრატული ფართის 4-სართულიანი შენობა, ეკავა და დღესაც უკავია 1998 წელს გალიდან მეორედ გამოდევნილ მოსახლეობას).

მიმდინარე წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო ნორმალური სასწავლო ბაზა, მაგრამ არც უნივერსიტეტი მოგვცა და აღარც — ინსტიტუტი. მეორეჯერ ხდება სამეგრელოში უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტის გაუქმება. (პირველად 1952-1953 წლებში ე.წ. „მეგრელიზაციის“ პროცესს შეეწირა). ამჯერად რას შეეწირა უცნობია. ჩვენს მუზეუმში ახლაც გამოკრულია პლაკატი, სადაც წერია: „ახალციხე და ზუგდიდი უნდა გახდნენ საუნივერსიტეტო ქალაქები“. ეს თქვენი სიტყვებია.

სულითა და გულით მივესალმებით ახალციხის უნივერსიტეტის დაფუძნებას, მაგრამ ჩვენ? ჩვენ რა დავაშავეთ?! საქართველოს მრავალი რეგიონიდან მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეა უმაღლესი სასწავლებლის გარეშე დარჩენილი.

ბატონო მიხეილ, ჩვენი რეგიონის მოსახლეობა გრძნობს და ხედავს რამდენი სიკეთე გაკეთდა და კეთდება. თითქმის 15 წლის მანძილზე არ გაკეთებულა, რაც 3 წელიწადში გაკეთდა. ჩვენც სიკეთეს სიკეთით ვუპასუხებთ, როგორც ეს აქამდე გვჩვეოდა.

(25 ხელმოწერა)

## ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ, თქვენი ენერჯული მსვლელობა საქართველოს პრეზიდენტობისაკენ გასაოცარ ძალას გვანიჭებს თითოეულ მოქალაქეს. მთავარი მონაპოვარი თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში მაინც პროდუსაველური ორიენტაცია გვეტანა; სისხლ-ხორცი ლაზებისკენ ჩვენმა განუხრელმა ლტოლვამ გადარია ჩრდილოეთის პარტოკრატია. ამაზე უკეთესი, ამაზე უზუსტესი სვლა პოლიტიკურ სარბიელზე შეუძლებელი იყო მრავალი ასპეტქით ჩიხში შესული ჩვენი ქვეყნისათვის.

შესაშურია თქვენი საარჩევნო სადღეისო პროგრამაც — „საქართველო სიღარიბის გარეშე“. ახლაც აფთიაქარის სასწორზეა აწონილი ძირითადი მიმართულებები — სოციალიზაცია, განუხრელი სოციალიზაცია!


ყოველივე ამის შემდეგ ერთსაც შემოგებდავთ საპრეზიდენტო არჩევნების „ხუთქიდეში“ ჩართულს: „ვარდების რევოლუციის“ სულსკვეთება შთაბერეთ ჩვენ სამშენებლო პროექტ — „აკვა-პარკს“, რომელიც ზუგდიდელი პატარებისთვისაა გათვლილი. ბავშვების მომავალზე ზრუნვა ხომ თქვენი მოღვაწეობის მამოძრავებელი ძარღვია!

„აკვა-პარკის“ შენობა ხუთსართულიანია, იშვიათი არქიტექტურული გემოვნებით შესრულებული. მასში განთავსდება რამდენიმე საცურაო აუზი, ბავშვთა და დედათა კაბინეტები, პატარების რეაბილიტაციის დარბაზები, აღიჭურვება თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი ინვენტარით, აპარატურით. პროექტი „აკვაპარკი“ უზრუნველყოფილია ფინანსურად, ყველაფერს საკუთარი სახსრებით ვაშენებთ (2.5 მლნ. აშშ დოლარი). იგი მოწონებულია მხარის გუბერნატორის, ბატონ ზაზა გოროზიას მიერ; ასევე დადებითი სიტყვიერი თანხმობა გვაქვს ქალაქის მერისაგან, ბატონ ალექსანდრე ქობალასგან. ადგილიც შერჩეულია. შესწავლილია მრავალი სამსახურის მიერ მდინარე ჩხოუშის მიმდებარე ტერიტორია. უკვე გაწეული გვაქვს გარკვეული ხარჯები და მაინც ჯერ-ჯერობით საქმე ადგილიდან ვერ იძვრის, ვერაფრით ვახერხებთ მიწის პრივატიზაციას და აქედან გამომდინარე — მუშაობის დაწყებას.

თქვენი კეთილი ნების შემთხვევაში, დარწმუნებული ვართ „აკვა-პარკი“ სულ რაღაც წელიწადში აიდგამს ფეხს და თქვენს ერთგულ სადადიანოს კიდევ ერთი ვარდისფერი ობიექტი შეემატება მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ.

ულრმესი პატივისცემით,  
გამარჯვების სურვილებით,  
პროექტ „აკვა-პარკის“ დირექტორი

**მანანა შიშავა**



# რეკლამა



„ჩვენ მაშინაც გაშენებდით, როცა სხვები ანგრევდნენ, როცა ირგვლივ განუკითხაობა იყო და არავინ ზრუნავდა ქალაქის იერსახეზე“, – ამბობს სამშენებლო კომპანია „სანის“ დირექტორი, ძველი ენგურპესელი, ბატონი სერგო გვარამია. „სანელები“ ქალაქის ცენტრში, ს. კედიასა და კ. გამსახურდიას ქუჩების გადაკვეთაზე ათსართულიან ფეშენებელურ სახლს აშენებენ ზუგდიდელთათვის.

# სანი

სამშენებლო კომპანია „სანი“, როგორც იურიდიული წარმონაქმნი სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადია არსებობს, მაგრამ მან უკვე სრულიად სამართლიანად მოიპოვა მხარეში უმეტესო მშენებლის სახელი. ორგანიზაცია ძირითადად დაკომპლექტებულია ენგურპისა და ქ. ზუგდიდის გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, რომელთაც ისინი შინაურულად „კამანდასაც“ ეძახიან. სწორედ ამ კამანდის მაღალი ინჟინერული გამოცდილება და ინტელექტი ესაფუძვლება „სანელების“ არნახულ წარმატებებს.

რესპუბლიკის გზათა მშენებლების დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შეფასებით: „მე განმაცვიფრა „სანის“ მშენებლების მაღალმა ინჟინერულმა დონემ. ასეთ კოლექტივს იშვიათად შეხვდებით საქართველოში“, – ბრძანა მან ზუგდიდი-ანაკლიის გზის მშენებლობის დათვალიერებისას.

ორგანიზაციის ძირითადი დატვირთვა 2000 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება დღემდე: სანიმუშოდ დაამთავრა ზუგდიდი-ანაკლიის 35 კილომეტრის გზის მშენებლობა. წლის ბოლომდე გაასრულებენ ჩხორთოწყუ-მარტვილის გზის ბოლო 5 და 4 კილომეტრის მონაკვეთებს. მიმდინარე წელს დაიწყეს და სადაც არის დაამთავრებენ 17 ქუჩის რეკონსტრუქციას ქ. ზუგდიდში. 4 ქუჩის რეკონსტრუქცია განხორციელდა ჩხორთოწყუში, რომელმაც ვაკეკუთილში ბილა ქაჯაქის იერსახე. მშენებლობა ყველა უბანზე განიხრევა მაღალი ხარისხითა და დაჯგუფილი ნორმატიული ვადების დაცვით.

მიმდინარე წლის მარტის თვეში რესპუბლიკის მთავრობის განმუხურში შეუდგნენ მდინარის კალაპოტის შეცვლას, რათა დასახლებული, „საახალაიაოდ“ ცნობილი უბანი. 2006 წელს ბუნებრივად შეცვლამ წყალდიდობის დროს წაღება 3 კომლის ფართობებით. რომ არა „სანელების“ ენერგიული ჩარევა მდინარე წლებელს ვაცილებით მეტს, სულ ცოტა 30 მოსახლეს გააუბედურებდა. მშენებლობის დამთავრება ვეცვება იწვევდა ზოგ ურწმუნოში, მაგრამ მათდა სასიქადულოდ კოლექტივმა 50 დღის განმავლობაში შეასრულა 100 000 ლარზე მეტის სამუშაოები ენგურის კალაპოტში. აშენდა 1300 კუბური მეტრის მოცულობის გაბიონი, რომელმაც სოფელს სამუდამოდ გადაუწყვიტა სტიქიის საშიშროება.

სამშენებლო კომპანია „სანმა“ წლებულს დაიწყო ქალაქში კომერციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. პირველი ობიექტი, რომელიც მშენებლობის სტადიაშია, 77-ბინიანია, 10-სართულიანი. კორპუსის სადარბაზოები აღჭურვილია იმპორტული ლიფტებით. გააჩნია საკუთარი გათბობის ქსელი და გამოყენებულია თანამედროვე მასალები თუ კონსტრუქციები, სახლს ექნება კეთილმოწყობილი ეზო ბავშვების სათამაშო ინვენტარით. სარდაფში დაპროექტებულია ავტოფარენი 40 ავტომანქანაზე.

ორგანიზაციის პერსპექტივის გათვალისწინებით 2007 წელს „სანელებს“ შექმნილი აქვთ 20 პექტარზე მეტი ფართის ქვეშისა და ზრეშის კარიერები სოფლებში: განმუხურში, კოკსა და შამგონაში. შეიძინეს რამდენიმე ერთეული ტექნიკა გერმანიიდან, მათ შორის 40 ტონის თვითმცლელეები, 10 კუბმეტრის ბეტონშიდი მიქსერი. შესყიდვის ფაზაშია სხვა მრავალი საგზაო სპეც-ტექნიკა. ორგანიზაციას გააჩნია ძლიერი საწარმოო კომპინატი, სადაც ფუნქციონირებს ბეტონისა და ასფალტის ქარხნები, ქვის სამსხვრევი სააპქრო. მშენებლობის პროცესშია ბლოკის, მინის ქარხნისა და სხვა დანიშნულების ობიექტები: სამოქალაქო, საწარმოო თუ საგზაო, რაც ზუგდიდ-ქალაქის აღმშენებლობის უტყუარი გარანტიაა.

სამშენებლო კომპანია „სანის“ კამანდა შეკრული კოლექტივია. აქ არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, მაღალი და დაბალი თანამდებობა. თითოეული ადამიანი ფუნქციონირებს საქმიანობის თავთავის უბანზე, დირექტორი – ბატონი სერგო გვარამიაა ეს, არქიტექტორი – დავით ჯოლოტუა, კონსტრუქტორი – დემნა ჭილაძე (თბილისი), ინჟინერები: ფელიქს იზორია, სოსო კვიციანი, გენო აბულაძე, ბიძინა ციპენტია, ვალერი, ზურაბ და ლევთერ გვარამიები, მამუკა ყურაშვილი, ვალტერ სინარულია თუ დავით ბელქანია.

„სანი“ ზუგდიდ-ქალაქში მართლაც უაღტერნატივო სამშენებლო კომპანიაა.

## ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი



უფლის საჩუქარს უფრო ჰგავდა ყოველივე, ვიდრე კაცთაგან ხელქმნილ საოცრებას. ნანახმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა: განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხოზის“ (პრეზიდენტი — გოდერძი ბუკია) მიერ გამართულმა ხოზის

III საერთაშორისო ფესტივალმა — „სიმღერა სამეგრელოზე“ მსოფლიო მეგრულად აამღერა.


სიყვარულისა და სიხარულის, ცამდე აწვართული გახარების მზე მცხუნვარებდა კოლხეთში. ღურღულა მანათობლის ქვეშ ნარნარჰანგობდნენ: „ჰარირა“, „სი ქოულუ ბატა“, „ვაგიცორქო მა“, „ჩელა“, „ვარადო“, „ოდოია“, „ცირა“, „ბალის ვორდი“ და კიდევ მრავალი ნიმუში მეგრული სიმღერისა. თითქოსდა დუმდა კოლხეთს მიყურადებული სამყარო და მითაჟამიდან გამონანავებული ბგერადები სულსა და შინაგანობაში ამწვერვალდნენ უკვდავებას შემარადისებულ საოცრებებს მეგრელთა.

ცა იყო ცაზე ბევრად მაღალი, მზე იყო მზეზე უფრო მცხუნვარე, სულს ეცვა „ჩელას“ თეთრი სამოსი და „ჰარირას“ ჰანგი — მძვინვარე... ყველაფერი იცინოდა და ბრღლვილებდა, გახარება დანანავებდა ეზო-ეზო, კარდაკარ, ყველაფერს ეზეიმებოდა, ყველას უყვარდა და გულის დღე იდგა ხობში.

\*\*\*

ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ 2003 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ფესტივალი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ქართული ხალხური მუსიკალური საგანძურის მოძიება-აღდგენასა და პოპულარიზაციას.

ფესტივალზე, სამეგრელოს უნიკალურ ფოლკლორთან ერთად, დიდი ადგილი დაეთმო თანამედროვე ქართულ ესტრადას. ზურაბ სოტკილავას საიუბილეო სადამო კი, თუ შეიძლება ითქვას, გახლდათ ნამდვილი საოპერო მოუ. დისკოთეკის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ და მოესმინათ



ირაკლი ფირცხალავას, დათო ხუჯაძის, ჯგუფ „დიანამტისა“ და ესტრადის სხვა პოპულარული მომღერლებისათვის. ფესტივალი 2 ივნისს, 14 საათზე სამეგრელოს ფოლკლორის 7 უნიკალური გამოკვლევისა და 9 აუდიო-კომპაქტდისკის წარდგენით გაიხსნა. საზოგადოებას წარედგინა „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები — სამეგრელო“-ს სამტომეულის გადამუშავებული ვარიანტი და ამ სერიის მე-4 ტომი, ასევე ვლადიმერ გეგეჭკორის „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი“, ანზორ ერქომაიშვილის წიგნი „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში“ (კატალოგი), ზურაბ სოტკილავას ბრწყინვალედ გამოცემული საიუბილეო ბუკლეტი, ჩინებულად დასტამბული ლექსების წიგნი „მეგრული პოეზია“ და ფესტივალის აღმანახი. ფესტივალის მონაწილეებმა ასევე იხილეს, ხელახლა გამოცემული კომპაქტდისკი „ჰარირა“, მეგრული სიმღერების სხვა შედეგებიც.

ამავე დღეს, 16 საათზე ხობის ცენტრში გაიხსნა მეგრული სიმღერის პატრიარქის ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერების მუზეუმი — „სამეგრელო“, სადაც გამოიფინა უნიკალური ექსპონატები, მოეწყო ხმის ჩამწერი სტუდია.

საღამოს 20 საათზე ხეთის თეატრონში ფოლკლორული გუნდების კონცერტზე საქართველოს, კანადის, ნორვეგიის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთის და სხვა ქვეყნების ფოლკლორულმა გუნდებმა და ანსამბლებმა შეასრულეს სიმღერები უნიკალური მეგრული სასიმღერო საგანძურიდან.

3 ივნისს ძირითადი ღონისძიება ზურაბ სოტკილავას საიუბილეო საღამო გახლდათ, რომელიც 16 საათზე ხობის თეატრში შედგა. დიდ ხელოვანთან ერთად სცენაზე იმღერეს ელენე ობრაზცოვამ, მაყალა ქასრაშვილმა, პაატა ბურჭულაძემ და მსოფლიოში აღიარებულმა სხვა ოსტატებმა.

იუბილართან ერთად მეგრული სიმღერა შეასრულა საქართველოს პირველმა ლედიმ, ქალბატონმა სანდრა -ელისაბედ რულოვსმა. საღამოს სხვა ღონისძიებებში სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.



20 საათზე ხეთის თეატრონმა გალაკონცერტს უმასპინძლა, სადაც ქართული ესტრადის ცნობილი სახეების მიერ შესრულდა სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დაწერილი და კონკურსით შერჩეული ახალი სიმღერები.

21 საათზე ხობის სტადიონზე ახალგაზრდებისათვის უცხოეთში მოღვაწე ქართველმა საესტრადო ვარსკვლავებმა დისკოთეკა გამართეს და ... უფლის საჩუქარს უფრო ჰგავდა ყოველივე, ვიდრე ხელნაქმნის კაცისას. ლამაზ დღესასწაულს აკლდა

ამ ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ყველა სტუმრისთვის უშურველი მასპინძელი, ნიჭიერებით გამორჩეული პუბლიცისტი და კეთილგულოვანი კოლხი — გოგი ბუკია. ეს დღეები ულამაზეს მოგონებად შევა ხობის ისტორიაში. ამასთან ხობელები და არა მარტო ისინი, პანთეონისათვის ვერ ელევან ამ დაუვიწყარ წუთებს და სჯერათ — ეს დიდებული საქმე მომავალში უფრო ფრთაშესხმით ალივლივდება კოლხეთის ცაზე! უამრავი ადამიანის სახელით მადლობას ვუხდით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ გოდერძი ბუკიას, ჩვენი რაიონის მკვიდრს, ბიზნესმენს ბატონ მერაბ ჭოჭუას, ბიზნესმენს ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, ქართული კულტურის დაჯიჯგულ ჰყონს — ბერმუხა ანზორ ერქომაიშვილს, ამ ღონისძიების ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, ბატონ ზურაბ ერქვანიას, ყველას, ყველას, სტუმრებს, მასპინძლებს. უდიდეს მადლობას ვწირავთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს და გვჯერა — უფლის შეწევნით ორ წელიწადში კვლავ იმცხუნვარებს კოლხური მზე და კვლავ იქნება ცა ცაზე მაღალი, იქ, ღვთისმშობლის კვარტის მფლობელი მონასტრის სამყაროში, ჩვენს ლამაზ ხობში! მრავალჯამიერ!

**ლავა ბასალია**

## კანტაბილე

ჩვენი ქალაქის მხატვრული ცხოვრება მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესოა, მაგრამ კლასიკური მუსიკის საღამო, რომელიც ახლახან ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ჩატარდა — გამორჩეული. დიდი ხნის პაუზის შემდეგ კვლავ გვეწვია ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ყოველთვის ნიჭიერი მუსიკოსებით იყო დაკომპლექტებული და თავისი არსებობის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიუღწევია. ორკესტრის დირექტორი გახლავთ ნიჭიერი მუსიკოსი და ორგანიზატორი დიმიტრი იამანიძე. სწორედ მისი საქმიანი თუ ადამიანური ურთიერთობის შედეგია, რომ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად იგი იწვევდა მსოფლიოში ცნობილ მუსიკოს-შემსრულებლებს: ელისო ვისრალაძეს, ლექსო თორაძეს, ლიანა ისაკაძეს, ვლადიმერ ვიარდოს... ასევე უნიჭიერეს დირიჟორებს: ოდისეი დიმიტრიადის, ვახტანგ ჟორდანიას, ვერონიკა დუდაროვას, ვახტანგ მაჭავარიანს, იგორ ოისტრახს... ზუგდიდელებს გვახსოვს მათი კონცერტები ჩვენს ქალაქშიც. ამჯერად კი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი გახლდათ ნიჭიერი მუსიკოსი რევაზ ჭავჭავაძე, ხოლო სოლისტი — თელავის საერთაშორისო კონკურსის „ქება ვაზისა“ ლაურეატი, პიანისტი ნონა კანკია, კონცერტის სპონსორები იყვნენ: კომპანია „არგონათის“ — პრეზიდენტი, ბატონი როლანდ

ფიფია, სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალი, — მმართველი ბატონი ჯიმშერ შეროზია, კარდიოლოგიური ცენტრი — კლინიკა „გული“ — დირექტორი, ბატონი ლევან ბეჭვაია, ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა, — პრეზიდენტი, ბატონი იური წოწერია. ნონა — ჩვენ მას ლამზირასაც ვეძახით, გახლავთ ზუგდიდის I სამუსიკო სკოლის აღზრდილი, ნიჭიერი პედაგოგის, იზოლდა კეიდიას კლასი. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქალაქ ფოთის სამუსიკო სასწავლებელში. ქართული საფორტეპიანო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სამუსიკო სასწავლებლებთან ერთად, ქალაქ ფოთის სამუსიკო სასწავლებელმა დიდი საქმე გააკეთა ნიჭიერი მუსიკოსების ფორმირების თვალსაზრისით. ამ მხრივ, აღსანიშნავია ზუგდიდის I სამუსიკო სკოლისა და ფოთის სამუსიკო სასწავლებლის ათეული წლების



მანძილზე შემოქმედებითი და პროფესიული ურთიერთობები. ხელოვანისთვის არ არსებობს უფრო დიდი რამ, — ვიდრე აღიარება და პოპულარობა. ბედნიერ და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ქალბატონი როზა ჩაფიძე — ნიჭიერი მუსიკოსი და პედაგოგი — ათეული წლების მანძილზე ფოთის სასწავლებლის ხელმძღვანელი. — სწორედ მისი აღზრდილია ნონა კანკია, რომელიც ასე ამბობს:

**„ჩემს სიყვარულს მუსიკისადმი უნდა გუმადლოდუ როზა მასწავლებელს, ვინაიდან მან მომცა ბიძგი და „მაიჰულა“ ყველაზე მეტად შემყვარებოდა ჩემი სპეციალობა. აღბათ, ბედნიერებაა, როცა გყავს ადამიანი, ვისიც გჯერა, ვინც თავისი საქმის ცოდნით, ამ საქმისადმი დამოკიდებულებით შენთვის სამაგალითია...“**

საკონცერტო პროგრამა ითვალისწინებდა ჟანრული მრავალფეროვნების პრინციპს. შესრულდა სხვადასხვა ეპოქისა და სტილის თხზულებები. კონცერტის პირველ განყოფილებაში სოლისტმა საინტერესოდ შეასრულა: ბეთჰოვენის — თხზ. 2, სონატა № 3; შოპენის 2 ეტიუდი — თხზ. 10, №12 და თხზ. 25, №24; რევაზ ლალიძის რონდო-ტოკატა და საკუთარი ნაწარმოები „კანტაბილე“, რომელიც მიუძღვნა მამის, ფრიდონ კანკიას ხსოვნას. ბატონი ფრიდონი პროფესიით ეკონომისტი გახლდათ, ამასთან — მრავალმხრივი ნიჭისა და მისწრაფების ადამიანი. არაჩვეულებრივი მამა, რომელმაც პრაქტიკულად განსაზღვრა შვილების გზა ხელოვნებაში, კერძოდ — მუსიკაში. ბატონი ფრიდონი იყო „კოლხოლოგი“ და ჩამოაყალიბა კიდევ ეს საზოგადოება. სწავლობდა სამეგრელოს ისტორიას. გამოცემული აქვს მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ლექსების კრებული „ოხაჩქუე“ მეგრულ ენაზე. აი, როგორ ჟღერს ერთ-ერთი კაფია ამ თხზულებიდან:

**მარგალურც ჯიმაღეფი  
„წე“-ს მიშუცუნუა,  
ჩქიმადა მითინც ვადაგურუ,  
რაგადი დო სხუნუა,  
აბაშარეფს მარგალურს  
მალას ქუდფოგურუა,  
გალარეფს მარგალურით  
იშო ქიმკვოლურუა.**

**წენდიხარ დო ჩხოროწყეულეფს  
ხუჯშა გილეფხუნუა,  
ზუგიდარეფს საჩიარო  
ხასლას ალეფხუნუა,  
მარგულურიშ ურჩქინჯ მარგალს  
ოსქის მითგონხუნუა.**



ბატონ ფრიდონს ჰყავდა საინტერესო მეგობრები — მათ შორის მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსი, დირიჟორი ვახტანგ ჟორდანიას და ასევე მსოფლიოში აღიარებული კინოვარსკვლავი ნუგზარ შარია.

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ფრიდონ კანკიას ხსოვნას. კონცერტის II განყოფილებაში შესრულდა ს. რახმანინოვის მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, — ულამაზესი და ურთულესი პარტიტურა სტილისტური და ემოციური კონტრასტებით. ამბობენ — მუსიკა რელიგიის ნაწილია, რომ მხოლოდ მუსიკას შეუძლია

მოაწესრიგოს ქაოსი... დროებით მაინც დაგვაფიქვოს სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემები. და კიდევ მუსიკა ღმერთების ენაა. ძნელია ჩვეულებრივი სიტყვებით ისაუბრო მასზე. მუსიკას უნდა მოუსმინო. აი, როგორ ძერწავს ნონა კანკიას მუსიკალურ პორტრეტს მისი მასწავლებელი, ქალბატონი როზა ჩაფიძე:

**„ასობით მოსწავლეს გაუგვია ჩემს სელში, მაგრამ ლამზირაზე უკეთესი არ მყოლია. ის უფლის გაჩენილია ნამდვილად. ყოველივეს აქ წარმოდგენილი რთულზე ურთულესი პროგრამაც მოწმობს. მე ზღაპარში მგონია თავი. საშემსრულებლო ხელთვნება დასაფასებელია, დასაფასებელია საკუთარი ხელწერის გამოვლენა ამ სფეროში და მაინც მიმაჩნია მისი „კანტაბილე“ მთელი საღამოს**



**მწვერვალია. წყნარი, სევდიანი მულოდია სულის შეშქრელია რაღაც არაპიწიერი მშვენიერებისაკენ ღტოლვით. ლამზირა გულით მღერის, გულით აზროვნებს. ის შინაგანი აისბურგებითაა სავსე, რომელმაც შესაძლოა ნიაგარივით იხუვლოს მსმენელთა დასატყვევებლად“.**

დიდხანს არ დამცხრალა მუსიკალური ხელოვნების თაყვანისმცემელთა აღფრთოვანება, რომელთა შორის გახლდათ ქალბატონ ნონას უჭკვიანესი ვაჟი, ასევე I სამუსიკო სკოლის აღზრდილი ლუკა ახვლედიანი — მამასთან, ალექსთან ერთად. ღმერთმა გვიმრავლოს ადამიანები, რომელთა ხელოვნებაც სულიერად აგვამაღლებს და გრძნობებს გაგვიფაქიზებს!

**მზია მატაგვა**


ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.





**„გვიმარას“ ხელშეორე დაბადება**

ზუგდიდში გახლდით ამას წინათ. არის იქ ერთი ჩინებული ყმაწვილი, ლოტბარი ბესო ჭითანავა. კაი ხანია ვმეგობრობთ. დიდ საქმეებს აკეთებს. ჩვენი ბავშვები ჩაიყვანა საფრანგეთში. მერე იქაურებს რამდენიმე ათეული ჩვენი ხალხური სიმღერა დაასწავლა. ფრანგული აითვისა საამისოდ. ხოდა, ეს ყმაწვილკაცი მკლავს გამომდებს მერიასთან და მეუბნება: იქნებ ათიოდე წუთი დამითმო! ოცი იყოს-მეთქი. დავუყვებით რუსთაველის პროსპექტს. იქ, თომა ლოლუას რესტორანთან პატარა სტუდია ხქონია. შემოიღვება შიგნით. ფორტეპიანოს ხუფს ახდის და ყოვლად შეუმზადებელი ჩემს „გვიმარას“ არ დაუკრავს, კაცო! ის ჟრუანტელი დღემდე არ მომცილებია. სპილოს როდი დაუბიჯებია ჩემთვის ყურებზე. გიტარასაც ვაჩხაკუნებ აქა-იქ მოყვარულის დონეზე. საკუთარ ლექსებსაც ვახმინებ ზოგჯერ ხალხური ნიმუშების მხარდამხარ, მაგრამ ბესო ჭითანავასეული ვერსია მართლაც მოულოდნელია. თითქოს სრულიად საქართველოს ინტონაცია შეუკრებია ოჯახაშენებულს, თვით აფხაზურის ამქრობით. მორჩება სიმღერას და მომაჩერდება თვალეში. გაოგნებული ვუყურებ. სიტყვა ვერ დამიძრავს. მერე ჩავუხვევთ სადღაც და გამოვტყვრებით გვარიანად. იქიდან მოყოლებული მრავალ ნიუანსს შეიძენს „გვიმარა“ — დაიხვეწება, დაწვევდება, ბოლოს პროფესიონალი მუსიკოსის, ქალბატონ ნონა კანკიას ხელშიც გაივლის და მთლად კლასიკურ სიმალეებს ეზიარება.



**ბვიმარა ბვიმარა**

ოხვამერ ჯა რდი, მარა  
დეჩინიო, გვიმარა?  
ვეკანგარა ირიათო  
თი თუთა დო თი მარას,  
ოხვამერ ჯა რდი, მარა  
დეჩინიო, გვიმარა?!

ჩელაია ნირსი ცაშე მირაცვალუ,  
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,  
გოლვაფირთ, გოლვაფირთ, ირო ფალუ,  
კურხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ  
ოხვამერ ჯა რდი, მარა  
დეჩინიო, გვიმარა?!

კირიბიშის გეჭარუდუ სქან ნინაშა,  
მუჭო თკო თნდლულესკო ფულანდი,  
ითამ კურხი გეიდგუმუდკო ტინტილაშა,  
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!  
კირიბიშის გეჭარუდუ სქანობურთ,  
ორქო ქვიშაშ კორობუაშ წესეფი,  
გიკურცხინე, გიკურცხინე გოლვაფირთ,  
სი მუნაფას გიწილოხუნს მესეფი!  
ოხვამერ ჯა რდი, მარა  
დეჩინიო, გვიმარა?

ბირგულ მუშენ გიდირკუ,  
მარგალურიშ მარჩქილეს,  
ქარწყექ – ხავაქ ქიდირქუ,  
ფსუა გეკოვარჩხილე!  
ქიგიშინი ხიოლი,  
რე მუმულიშ ციონი,  
მობალუნა ქირთნი,  
უზისხირე, გვიმარა!

ნჭყოლირ გური მუჭო ვემკისქილადე,  
ღურა თელათ მუჭო ვემკიზვილატე,  
კოლხიდაშე ლანდი ქუდოსქილადე,  
უზისხირე, გვიმარა!

ჩელაია ნირსი ცაშე მირაცვალუ,  
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,  
გოლვაფირთ, გოლვაფირთ, ირო ფალუ,  
კურხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.

ოხვამერ ჯა რდი, მარა  
დეჩინიო, გვიმარა?  
გიკურცხინე, გოლვაფირთ,  
ვარა გიმორჯგინანა!  
ქიგიშინი თი მარა,  
ქარწყექ, მუსხის გიღვარა,  
გემწოდირთი, გემწოჟვენგი,  
გემწოსოფი, გვიმარა!

1978

ვით სულს ესატკივარა,  
ვით გულს ესამიმიარა,  
სად დახკარგე ის სიმაღლე,  
სალოცავო, გვიმარა?!  
ვინც ცამ დაგაწინარა,  
თქვი, რამ დაგამძინარა,  
სად გუგუნებს ის გრიგალი,  
საით წაგამდინარა,  
სალოცავი ხე იყავი,  
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,  
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწინია,  
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,  
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.  
სალოცავი ხე იყავი,  
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენს ენაზე ქუნდა თქროს საწმისი,  
თუ რარივად გამთედნოთ ფოლადი,  
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,  
როს ურჩხულის მოკარებით თრთოლავდი.  
იმ საწმისზე ჩამანთულა შენებურად,  
თქრო-ქვიშის მოპოვების წესებიც,  
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა  
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,  
სალოცავი ხე იყავი,  
დაჩიავდი, გვიმარა?!

მუსლი რისთვის გელუნვის,  
კოლხურ ხანგის გამგონეს?!  
შენ, რომელიც გეყუდნის,  
იმ ქარებში ჩამკონე!  
გაიხსენე ხარება,  
დილების გამყარება,  
ვიკმარისოთ მთქნარება,  
უსულგულო, გვიმარა!

ჭრილობიდან სისხლი მოგდის ტბორებად?  
ძველ დიდების ლანდილა იზმორება?!  
კვდობა ისეგ ყოფნით აიშორება,  
უსულგულო, გვიმარა!  
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,  
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწინია,  
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,  
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.

ვინც ცამ დაგაწინარა,  
თქვი, რამ დაგამძინარა?!  
გაიღვიძე, შემოგველე,  
თორემ გამოგვივა რა!  
ვით სულს ესატკივარა,  
ვით სულს ესამიმიარა,  
წამოდექი, წამოფრინდი,  
წამოხეთქე, გვიმარა!

1990

# გვირგვინი

მეფის სვეტილი ვერ მოვიდა  
მეფის მეფის მესობიანი  
ღვთა მესობიანი

The image shows a handwritten musical score for a piece titled "გვირგვინი" (Crown). The score is written on four systems of staves, each system consisting of a treble and bass clef staff joined by a brace. The key signature is two sharps (F# and C#), and the time signature is 3/4. The first system includes a 3-measure rest in the bass staff. The second system has a 3-measure rest in the treble staff. The third system has a 3-measure rest in the treble staff. The fourth system starts with a common time signature (C) and a 3-measure rest in the treble staff, then changes back to 3/4 time. The music features various rhythmic patterns, including eighth and sixteenth notes, and rests. There are some handwritten annotations and a small "TOKAC" logo in the bottom right corner of the fourth system.

(ფრაგმენტი)



უკიდურესად ყირმიზი, უკიდურესად ქართველი, უკიდურესად კოლხი, უკიდურესად მჭევრმეტყველი, გუბაზის დროინდელი ფარტაზის კვალობაზე, უკიდურესად ჩემი გოგი. მშვიდობიანი სოხუმის დღეებს ვინსენებ. მე ვინმე გოლუმბის მტრედებს ვუტრიალებ. — ბრეზენტის მოსასხამიან ნაოფიცრალს, რომელიც სიბერის მიდასებულ წუთებს ცისიერი ჩიტების მოვლა-პატრონობით იხანგრძლივებს. აქ ამესვეტება მოულოდნელ ნატურასავით ჩვენი გოგი, გოგი ბუკია. ზღვის სანაპიროსკენ დავეშვებით, სადაც დამსვენებლების სიმრავლეა და ქვიშაში მოხარშული ყავის მძაფრი სურნელი.

საიდანღაც ლული გამოიჩინება, ხორბლის არაყიც დაიდებს პატივს... სოსოსი, — მოწუწუნიკი კონსტანტინესებურად.

გასაოცარი მეხსიერების პატრონია. მაკითხებს ლექსებს. დახარბებული სმენით გამოირჩევა.

მერე გავუტევე ბიძაჩემისკენ — პაატა ფეტელავასკენ. იგი საბავშვო ტურიზმის მესვეურია აფხაზეთში და იქაური იდილით გვარიანად მოვიჯერებთ გულს.

ვგონებ მეოთხე კურსელი ვარ, პრაქტიკანტი. მომდევნო დღესაც გაიკვანძება ჩვენი ბილიკები.

ახლა ჟურნალისტი რამაზ კუპრავა — ოლიონორა და ძმები კალანდიების წვერგაბებლილი შუალა რენე შემოემატება ამ ამქარს. პოეზია, ხემსი და ცეცხლოვანი წყალი. უკვე თავად გახლავთ სუფრის სადავეების სრული მექარავენი. მაგნიტივით მიუზიდავს ჩემი სტრიქონები. უცდომელი ინტონაციით გადმოსცემს ტაყებს. სცენის ბევრ ოსტატს შემურდება მისი შეუდარებელი ტემბრი და სუნთქვის წონასწორობა. თითქოს ამ საქმისათვის არის დაბადებული. შემდგომ დავეკარგებით ერთმანეთს კვირებით, თვეებით, წლებით. უნივერსიტეტის დასკვნითი შტუდირება მაინც ზოოპარკის კიდესთან მიკოსებულ ლუღსანაში მთავრდება, ან კიდევ — ზემელურ „ობ ლემ-ში“. ამიერიდან მისი ზეპირი პოეზიის ანთოლოგია გაცილებით ტევადია, დახვეწილი და უკიდურესად ესთე

ტიკური: ვაჟა, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, ედგარ ალან პოს „ჟორანი“... მხოლოდ ფასეული, მხოლოდ ობოლი მარგალიტით ხელიხელ საგომანებელი.

ფოთოლოცვენას ფოთოლოცვენა მიედევნება.

აწ მძიმე წყალწყვის ხომალდია, სათანადო ნაპირი რომ არ გააჩნია. ტანმჯიმე ლაინერია ჩვენი მინიატურის გმირი, ასაფრენი ბილიკები გადახზულ მინდვრებად რომ შემოსალტვია.

კარდიოლოგიურ პრობლემებს მიმინოსავით შემართული გაუძალიანდება და კუდიტ ქვას ასროლინებს. მისთვის უჩვეულო წესრიგის არტახებში მოექცევა — ძირს ნარკოტიკი და ალკოჰოლი! გაუმარჯოს პოეზიას!

რედუტ-კალეში განვმარტოვდებით ერთხელ.

გავისხენებთ აჭაურ თვითნაბად კუნძულს ხობის წყლის შესართავთან, რომლის ტერიტორიას ტერმინალის ბრჭყვი-ალა ნავთობსაცავები ჩაენაცვლება. ვსხედვართ დანით აჭრელებულ მერხზე. ზღვაურისათვის მიგვიშვერია შუბლი. ლივლივებს პირთამდე ალიფლიფებული მდინარე. გარინდელია. ჩამავალ მზეს მისჩერებია მზისფერი კაცი. მერმე მომიტრიალდება თვინიერი მზერით.

— იცი, გური — მეტყვის ჩვეული შემპარავი ხმით — შენ გაგიმართლა, ძმაო, შენ მიაგენი მეგრული სულის უმთავრეს ძარღვს. ეს განუზომელი სევდაა საუკუნეების მანძილზე უჩუმრად რომ მოჟონავს ჩვენი არსებიდან. ერთ ფრაზაში ეტევა ყოველივე — პოუნანა ჰქვია ამას და, აგერ, ამ მდინარის ტანივით მოთენთილი კამკამით უერთდება დედა სამშობლოს. არაფერს ვაჭარბებ. შენ ნამდვილად მიაგენი ამ საგანძურს. მდიდარი გეტქმის გონიერი კაცის თვალსაწიერიდან, თუმცა კი დალაყუნებ ნიავეით ქესტა. პოუნანა ატომური ენერჯისაა, ბიჭო! შეეშვი ყველაფერს. აგერ ჩირგვებთან მკუთავ შაშვს ხომ ხედავ, რითაა ვითომ როკფელერზე ღარბი?! მოიღერე ყლი და მინებდი უზენაეს ხმას. ეს ერთგვარი ბედისწერაც არის ჭირიმე. ჩემს გოდერძის უნდოდა მეგრული ლექსების წიგნის გამოცემა. მეც შემოიჩინე რამდენიმეგზის, მაგრამ საორლობო ყოფამ ყოველთვის ხელიდან დამისხლტომა. ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ეს ყულევი, ეს ტერმინალი, ეს დევნილობა, ეს ყოველდღიური რუტინა, ზედმეტი ბარგია პოუნანასათვის, ზეციერმა რომ მიგვანიშნა. რას აპირებ ახლა? მოვა მანქანა, თუ აქვე გაათევ ღამეს?

— მანქანა არის, — ძლივს ამოვღერღავ ერთანად მონუსხული, — შენ თუ წერ რამეს?! ან იქნებ საგულდაგულოდ გვიმალავ?! —

— ვინ იცის გური, ვინ იცის! ჩემისთანა კაცის ცხოვრება ერთი კამკამა პოუნანაა, გნებავს ღარბი გიწოდებია მინდვრის ყვაილებით დაზნექილი, ან კიდევ — ვარსკვლავების მარადიული ციმციმი თავად უმეტოქო იმანუელ კანტსაც რომ აცვიფრებს და ზნეობრივი კანონები — საწუთროს მეტი სიმძაფრით მოქანდაკე. აგერ, შენი ბატია ჯულუხიძე (ზაზა კირთაძე). ე, ბიჭო, სად გარბიხარ?! არის უამრავი დაუსრულებელი განცდა — „ჩქამ ქიანაში მაფშალია, მზგამ ქიანაში გაფურნა“. კიდევ რამდენი სტრიქონი ფარფატებს აქ, — გულთან მიიღებს ხელს, ოცნებაში ორაგულივით აფუყვები ხობის წყლის მდინარებას და ჟამგამძლე ქვირითივით მოვამრავლებ ხვალ იქნება თუ ზეგ.


მეგობრის უკანასკნელ დღეებში გამოვა პოლიგრაფიულად სრულყოფილი „მეგრული პოეზია“, შეუდარებელი ქველმოქმედი ძმის, გოდერძი ბუკიას ხელდასხმით. უბრალოდ გოგი ვერ მოასწრებს ხელის შევლებას, რომელსაც ათწლეულებია უჩინარი სვეტივით მიაშენებდა ცისკენ — მარადიული სამყაროს გულთმისან მესაიდუმლედ.



ქართველური ენების (ქართულ, სვანურ, მეგრულ-ლაზურ) თავისებურებებზე ჩვენ ქვემოთ სათანადოდ ვისაუბრებთ, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, შეუძლებელია საზოგადოების ყურადღება არ მიიპყროს. ჩვენ თავის დროზე ცალსახად მივუთითეთ მეგრულენოვან გაზეთ „მაჭირხოლის“ (მერცხალი) რედაქტორს, ბატონ ნარო კოლხარს (ნარიმან იაშალაშვილი). ახლაც იგივეს გამოვრება გვიწევს ბატონების: რამაზ კუპრავეს თუ „მეგრული პოეზიის“ გამომცემელი დასის მისამართითაც. მეგრულენოვანი გაზეთი „მაფშალია“ (ბულბული) 12-გვერდიანია. მისი ქრონომეტრაჟი ორთვეურია. პერიოდიკა პოეტების და მწერლების ორგანოდ აცხადებს თავისთავს. პრემბულად წამძღვარებულია დევიზი:

**„გაკვირტულიყავი, გაფურჩქნილიყავი“.**  
 სარედაქციო მიმართვის სანაცვლოდ შემოთავაზებულია გრიგოლ რობაქიძის რომელიღაცა სიტყვის ფრაგმენტი, რომლის თანახმად მწერალი იმის მომხრეც გახლავთ, რომ მეგრული მწერლობა აყვავდეს. ეგერ არ არის პროვანსული ფრანგულის გვერდით?! ამით ქართული არაფერს წააგებს, პირიქით მოიგებს კიდევო. იგი შეიძლება საყოველთაოდ გადაიქცეს ქართულისათვის. სვანურზეც იგივე ითქმისო. (რობაქიძის სულის მოგვიტევენს, ალბათ, ფრაზის მეგრულიდან გადმოქართულების გამო).

პირველსავე გვერდზე განთავსებულია ნიჭიერებით დატენილი პოეტის, დანიელ ფიფიას, სტრიქონები პოემიდან: „ბულათია“. გაზეთში სოლიდურადაა წარმოდგენილი პოეტები: ლაშა გახარია, ალიო ქობალია, რინოს კვარაცხელია, რამაზ კუპრავე. დაბეჭდილია ერნესტ ჰემინგუეის ნოველა „ინდიელების სოფელი“. ხბოს კუნტრუშისმაგვარი მგონია გ. ქარჩავას ინფორმაციული ლიფსიტები. მთავარი სულისკვეთება მაინც რედაქტორის (ბ-ნ რამაზ კუპრავე) მიმართვა-წერილსა — „ოსურპატონეფი დო პატონეფი“ და ესეშია ჩაქსოვილი — „კოლხური (მეგრული) ენა კოლხური ენა, კოლხური ქართულის უფროსი ძმა-ენაა“. დასახელებული პუბლიკაცია გაზეთის 3 გვერდზეა განთავსებული და ჩვენი საუბარიც ფაქტობრივად მის გარშემო გაიშლება. ავტორი ორიგინალურად იშველიებს ნიკო მარის, აკად. სერგი ჯიქიას, შალვა ნუცუბიძის და პროფ. აკაკი ურუშაძის ერთობლივ კონცეფციას იმის თაობაზე, რომ ეტიმოლოგია „სამეგრელო“ მომდინარეობს „არგ“ ძირიდან, მისგან იწარმოება „არაგვი“, „არგვეთა“, „ენგური“ და ა.შ. აკად. თამაზ გამყრელიძის კაპიტალური ნაშრომითაც იგივე დასტურდება. ავტორს ყოველივე თამამად დაასკვნევენებს, რომ იქნებ პირინეის არაგუია და არაგო (ლუი არაგონი) აქედან წარმოსდგებაო. ავტორს აქამდე გამოჰყოლია



პოქე მურმან ლებანიძის წამოძახებული სტროქონი-სამსალა ქართული ლექსის მიჯლარკ-მოჯღვრკვის თაობაზე. ბ-ნ რ. კუპრაავა დაურიდალია დასკვნებისას, როცა ქართულის შემნახავ და გადამრჩენელ ენად მის უფროს ძმა-ენას, კოლხურს, მეგრულს ასახელებს. ღია კარების მტვრევა კოლხური ტოპონიმების ძიება, არა მხოლოდ დასავლეთ, თვით — აღმოსავლეთ საქართველოშიც. ებრაელებმაც დიდხანს მალეს თავიანთი ბიბლიური წიგნების წარომავლობა, მთლად ორიგინალურად წარმოგვიჩენდნენ მას ლამის 26 საუკუნე, მაგრამ, აი, გაითხარა შუამდინარეთის დიხავ უძებები და დაიწყეს თიხის ფირფიტებმა ლაღადისი: თურმე ყველაფრის სათავე უშუმერია, შავთმიანთა მოღვმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთში დამკვიდრებულან (კავკასიიდან თუ ინდის აუზიდან). ჰოდა, თვალსა და ხელს შუა გაირკვა, ებრაელ ხალხს ჯერ აქედურ ენაზე უთარგმნია წარღვნის მითოლოგია, შემდგომ — ბაბილონურზე, ბოლოს სემიტურად აუმეტყველებია ეს პასაჟები და ცივი წყალი გადაესხმება „დაბადების“ ორიგინალობას. მაგრამ ამ მეტამორფოზისათვის, ამ მწიგნობრობისთვისაც უდიდესი მადლობა უნდა შევწიროთ მათ. აქ სულაც არ კნინდება ებრაელი ხალხის როლი. მკვდრეთით აღსდგა უშუმერთა გენიალურობის

მისტერია და თანაც ებრაელი მოგვების მიერ ჩაწერილი ბიბლიური სიუჟეტებით. ვთქვათ და ნოეს კილოზის პარამეტრებით მივიღეთ დედამიწაზე მომხდარი კატასტროფის სურათი, როცა 12-10 ათასი წლის წინათ ჩვენს პლანეტას ასტეროიდი დაცემია, 38° გადაუხრია მისი ღერძი და სულ რაღაც ერთი ბრუნით გაახანგრძლივებულა დღე-ღამის რაოდენობა წელიწადში, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ყოველივეთი იმისი დამტკიცება გვწადია, რომ იესოს ქრისტეს თქმულისამებრ:

#### **არარაი დარჩეს დაფარულ.**

ისტორიული სინამდვილისათვის თვალში ნაცრის შეყრაა ლეონტი მროველის ჩმახები ქართველური ტომების გენეოლოგიის თაობაზე, თითქოს ჩვენი ეთნარქი ქართლოსია, რომლის უფროსი ძმა ჰაოსი და ა.შ. ეს ხომ ისტორიული კულდაზიკობაა! სადღაა არიან ქართლოსი და ჰაოსი, როცა კოლხი ტომები ზეობდნენ ჩვენს ერამდე ოთხი ათასი წლის წინათ?! ისტორია არაფერს დაკარგავს, იოტისოდენასაც. მოდის ახალი ტექნოლოგიები და ფრჩხილიდანა ექსპონატითაც თავისუფლად დადგინდება გიგანტი იმპერიების კონტურები. ჩვენ სხვა რამ გვადარდებს, სხვა რამ მოითხოვს დაფიქრებას და კოლექტიურ სამსჯავროზე გამოტანას, როგორც ეს მოხდა 15 საუკუნის წინათ, გუბაზ მეფის ვერაგული მკვლელობის დროს.

როგორ, რანაირად მოვექცეთ ქართველურ ენებში წარმოქმნილ სიტუაციას, როცა ერთდროულად გვაქვს ერთი სამწერლობო (საკუთრივ ქართული) და სამი შინაურობაში სახმარი ენა — სვანური (300 000 მომხმარებელი), მეგრული — (1 მილიონი მომხმარებელი) და ლაზური — (3-4 მილიონი მომხმარებელი). რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ ერის მამებმა, ფარტახებმა და აიეტებმა, რომ ეს დაქსაქული ეთნოფსიქიკა გავამრთლიანოთ?!

სალიტერატურო ქართული მუშაობს ფერეიდანში. საკმარისია ქართული ანბანის შეტანა მათ ცნობიერებაში, რომ ისინი დედაქართულზე მწიგნობრობას დაიწყებენ. მაგრამ როგორ მოვექცეთ ამ დედა ქართულს ლაზების მიმართებაში, როცა მათ აბსოლუტურად არ ესმით მისი, როცა ისინი ქართულ ეთნოსთან ურთიერთობის მეგრული ენით ამჯობინებენ — მეგრული და ლაზური 60-70 პროცენტით ენათესავენ ერთმანეთს. დაშორების მკვეთრი ხაზებია სვანურში, როგორც ქართულის ისე მეგრულ-ლაზურის მისამართით. რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?! სალიტერატურო ქართულს 40-50 პროცენტამდე ნასესხობები კვებავს უცხოური ლექსიკიდან — სპარსულიდან, თურქულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან,



რომაულიდან, რუსულიდან, სომხურიდან და ა.შ. სად არის გამოსავალი?! ამ სიტუაციის დაძლევის საუკეთესო სახსარ-ლონედ მე ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის შექმნა დავასახელებ თავის დროზე, სადაც მაგალითად, სალიტერატურო „სამშობლოს“, „მამულის“ სინონიმებად ერთ ბუდეში განვითავებ სვანური „ლარდა“, ლაზური „დობადონა“ და მეგრული „ოდებადე“, „ობადიში“, „შურობუმუ“.

ამნაირი ლექსიკონის შექმნით ჩვენ ერთი-ორად გავაიოლებდით საქმეს, გავაიოლებდით ლაზების ქართის ტომის ხალხთან დაკონტაქტებას, ფერეიდნელების დალაპარაკებას ლაზებთან, დანარჩენი ხომ ისედაც გვემუსაიფება ერთურთს დედაქართულით?!

პოეზია ენის მოტორია, ენის სული და გული, ამიტომაც მისი წარმოება მეგრულად, სვანურად, ლაზურად, საჭირო და ეროვნულ საქმედ მიმაჩნია, როგორც ქართულის გამაჯანსაღებელ-გამაძლიერებელი საშუალება. არაფერია დასამალი, რომ სალიტერატურო ქართული III-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა მეგრული ენის საფუძველზე, ქართების მეტყველების გრამატიზაციის მეშვეობით. ამას უსწრებდა ქუჯისა და ფარნავაზის კოალიცია, რომელმაც ქრისტემდე 284 წელს გამოაქვეყნა ქართული ასომთავრული. სულაც არ არის გამორიცხული, რომ იგი რამდენადმე ჩამოჰგავდეს შუმერულ თიხის ფირფიტებზე წარწერილ წარღვნის მითოლოგიას, რომელიც ებრაელი მწიგნობრების მეშვეობით შემოსულა ჩვენში.

არ არის გამორიცხული, რომ ქართული ასომთავრული კარგად დავიწყებული კოლხური კირბებია, კირიბიშები! აკი, კორიბანტები კალიგრაფებად იწოდებიან ბერძნულ წყაროებში; ქართულები აკურთხებდნენ ფარაონებს ტახტისმტეებად, აღასრულებდნენ საკრალურ წეს-ჩვეულებებს, ხოლო კოლხიტები

აპათიოსნებდნენ მათ ნეშტებს სამუდამო სასუფევლისათვის მუმიების სახით.

განა შემთხვევით მოუხრიდა ქედს ფარნავაზ მეფეს ქუჯი, ქართის, ქართულების წარმომადგენელს, ანუ ხელდასხმულების დესპანს, ვისაც გამოქვაბულში განძეული უხილავს, ანუ დაფარულ ცოდნას დაწაფებია. ეს განდობილთათვის უზენასეთან ზიარებაა, ცაბაოთთან წილისყრა.

ანუ III-X საუკუნეებში უკვე მოხდა ქართველი ერის, საქართველოს ფორმირება, რამაც მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსნით“ დაიჭუბა. ახლა, როგორ გინდა ამ პროცესის უკან მობრუნება?! დღეს ჰომეროსს ახალ ბერძნულზე კითხულობს ელინელი. ძველბერძნული მოკვდა, წიგნიერი ენაა. მისი რესტავრაცია არანაირ ძალ-ღონეს ხელეწიფება უკვე. იგივე ითქმის ლატინურზე. მანაც გენეზისი განიცადა და იტალიურში განსულიერდა. ქართულმა გამოიარა სვანურ-მეგრული პლასტების პერიოდი და ფორმირდა სახელმწიფო ენად.

ვინც სერიოზულად ფიქრობს, რომ მეგრულ ენაზე ამეტყველებდა სრულიად საქართველო, აბსურდია, უტოპია. ჩვენ ლაზური, მეგრული, გვკირდება და დავგვირდება მომავალშიც ქართული ენის ასაფხიანებლად, განსაწმენდად, დასაწმენდად. მეგრული მეტყველების დავანება, შენაკადება ქართულში არანაირად მოასწავებს მის გაქრობას. ნაწილის არსებობა მთელში არ ნიშნავს ნაწილის იავარქნას. შესაძლოა იგი საზოგადოდ არ ბრწყინავდეს, არ ელვარებდეს, მაგრამ აშენებდეს მამულიშვილურ გაღავნებს. სახელმწიფოებრივად მომართული ადამიანი სხვანაირად ვერც მოიაზრებს. ამიტომაც მივუტყვე მე შეძახილები სულხან-საბას, აკაკის, ლებანიძეს სახელმწიფოებრივი პოზიციიდან. სალექსო ფორმების არსებობა ამ ენებში უზალთუნებად შემოაღწევს ზოგადეროვნულ ცნობიერებაში. ამისთვისაც გამოვცემ აქამდე ლექსების ორენოვან



წიგნს — მეგრული ტექსტებითა და პოეტური თუ ბჭკარედული ქართული თარგმანითურთ. სხვანაირად გამალიზიანებელია მეგრული პოეზია დანარჩენი საქართველოსათვის. კაცობრიობის მომავალს ვერავინ დასაზღვრავს III ათასწლეულის მიწურულისთვის, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით ერთი დომინანტური ენა რომ იქნება მთელს მსოფლიოში, ამას მტკიცებები არ სჭირდება. რომელ სკალაზე აღმოჩნდება ამ პერიოდში ქართველური ენები?! ეყოფათ კი მათ ძალისხმევა არსებობისთვის ბრძოლაში თავის გადასარჩენად?! რა შემთხვევაში შეიძლება პოზიციები დათმოს ქართულმა რომელიმე ქართველური ენის წინაშე?! აქ საკითხი მარტივად დგას. სანამ ქართულ საზოგადოებას ხელთ არ აღმოაჩნდება „ვეფხისტყაოსანზე“ მაღალმხატვრული ნაწარმოები, ქართულ ენას პირველობას ვერავინ წაართმევს. საკმარისი იყო მეტი პოეტური აღმაფრენა დაბერტყვოდა ვაჟას, ერთ, მონოლითურ სხეულად შეეკრა თავისი შემოქმედება მინდიას გარშემო, რომ მთელი საქართველო ფშავურ კილო-კავზე აუზნდებოდა. ფშაველა ვერ გადაევიდა რუსთაველის დაძლეულ ესთეტიკურ თამასას და ვაგრძელებთ კიდევ მისი ფსიქოლოგიით ცხოვრებას. სხვანაირად წარიმართა ვირგილიუსისა და დანტეს ბედი, როცა ალიგიერმა ფლორენციულ დიალექტზე აახმოვანა „ღვთაებრივი კომედიის“ ბნელხვეულები და გადაწონა ენასის საგა. საკმარისია ქართულ სინამდვილეში დაიბადოს ახალი გენიოსი, გნებავთ — სვანურ ენაზე, გნებავთ — მეგრულ-ლაზურზე, რომ მომავლაში

საგრძობლად გადაისინჯება დღეს დომინანტური ქართულის პოზიციები. ამ მიმართებით მისასაღმებელია მცდელობები ორიგინალური ნაწარმოების შექმნის თვალსაწიერით და არა — ერნესტების თუ სხვათა თარგმნაზე კბილებიდან ოფლის მოდენა. არის სხვა ნიუანსებიც, რომელთა ფრჩხილების გახსნას აქ არ შევუდგები, მაგრამ გაცხადების ღირსია ერთი ფაქტიც — ჩინებულად დასტამბული „მეგრული პოეზია“. მის გამომცემელ ხალხს მე წიგნის სათაურად „ჰოუნანა“ შევთავაზე, მაგრამ მათ „მეგრული პოეზია“ ინებეს და აღასრულეს კიდევ. ისინი ორიგინალების დაბეჭდვით შემოიფარგლნენ. ჩემეული პოზიცია ბჭკარედული თარგმანების თანხლების თაობაზე არ გათვალისწინებულა. წიგნი დაიწყო დანიელ ფიფიას „ბორჯით“ და დასრულდა „გვიმარათი“. ამისთვის მაღლობის მეტი არაფერი მეტქმის. აქვე აღმოჩნდა, რომ მაინც და მაინც ჩემი ლექსები გამოიტენა კომპიუტერული ლაფსუსებით. კორექტურა სხვა ნიმუშებშიცაა გაპარული, მაგრამ შეცდომების გასწორების ფურცელი მარტო ჩემს ლექსებს აახლეს. „მაფშალია“ საერთოდ არ ცნობს პოეტ გური ოტობაიას, რომელმაც პირველმა გამოსცა მეგრული ლექსების წიგნი „გვიმარა“ (1976 წ.), თუმცა მონამორჩილი თქვენი ტაბიძის ღვთაებრივ ინტუიციას უფრო ენდობა მომავლის მსაჯულად, სადაც ზოდვიითაა დაფორმატებული უტყუარი ცნება: **„როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“.**

## ESSAY პროტოქართულ სულიერებაზე

სამეგრელოში ჩამოვყალიბდი და საქართველო  
ვინახე, ნამდვილი საქართველო  
ილია ჭავჭავაძე

ჩემთვის მებრული ენა გეზვიდია  
სანდრა-ელისაბედ რულოვსი

შვიდი სამოთხეა ეზოტერიკულად, სამისა და ოთხის ერთიანობა, ქალისა და კაცის მთლიანობა, სამკუთხედისა და ოთხკუთხედის შეთანაწყობა, იგივე სახელი, ოჯახი, პირამიდა, იგივე „დიდი დათვის თანავარსკვლავედი“; შვიდი ლაზარეა იოანე-ზოსიმეს „ქებაის“ შესაბამისად, ენა დაწუნებული, ტომი დაკნინებული, ხალხი მიძინებული და მთვლემარე, პროტოქართველობა ზოგადად, პრომეთე პოეტური ალეგორიით, რომელიც ოდესმე მოიკრებს სასიცოცხლო ძალებს და კვლავაც აღსდგება მკვდრეთით კაცობრიობის განკითხვის — განწმენდის მისიით. და გასაკვირი არაფერია, თუ უზენაეს ცაბაოთს კოლხეთში, საქართველოში, იბერთა მხარეს გულთმისანი რძალი მოევლინებინოს საღმრთო აღთქმულობათა განსასრულებლად.

ნათქვამია, წიგნებს თავიანთი ბედი აქვთო. ეს ხატოვანი ფრაზა ზედმიწევნით ესადაგება მეგრულ ხალხურ პოეზიას, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული დასახელების თხზულება ჯერ კიდევ ფოლკლორული მასალის დონეზეა შეკონილი, რომელიც უცდის გადმოქართულებას და ფართო მკითხველს.

გასაოცარი ლირიზმი, რომელიც მასში თავმოყრილი ლექსებისთვისაა დამახასიათებელი, ზედმიწევნით აღბეჭდილა კოლხურ ჰანგებში. ისინი მართლაც აჯადოებენ ადამიანებს შეუღარებელი უშუალოდით, მაგრამ თავად სიტყვები, სიმღერის ცნობიერება, სიმღერის დედააზრი უცხოა მრავალთათვის, ამიტომაც — კონკრეტული შინაარსისგან დაცლილი. მსმენელს მხოლოდ მელოდიად რჩება, რამდენადაც მასში გაცხადებულია ჭეშმარიტი ხელოვნება — დაურვებელია ფორმა, ხოლო ნაკლოვანება უწინარესად ლექსის თარგმანსთან დაკავშირებული ბარიერებია.

მეგრულ ხალხურ პოეზიას ვერა და ვერ გამოუჩნდა ისეთი სვეტურთხეული ჭირისუფალი, როგორიც ბატონი დავით წერედიანი გახლავთ სვანური ლექსისთვის, ორიგინალის ადეკვატურად რომ აჟღერებს სიფრიფანა სტრიქონებს. არადა, მართლაც საცოდაობაა — ჭვეყანა, სადაც მთარგმნელობითი საქმიანობა

ზენიტზეა აყვანილი, აქა-იქ ლამის რომ ჩრდილაეს სიტყვაკაზმული მწერლობის დედნებს; ჭვეყანა, სადაც ბრეგაძისეული, ჩხენკელისეული, აჯიაშვილისეული, ნიშნიანიძისეული, მედულაშვილისეული თარგმანებით ხელახალი სული შთაბერვია ბერძნულ, ინდურ, ებრაულ, ინგლისურ, სპარსულ საგალობლებს, იაჟუჟუნასავით ხელთუქმნელი მეგრული ლირიკა მივიწყებულია, მოთმინებით ელის მაჯაშიდა შემტყვებარს, ზოგადეროვნულ, სათაყვანებელ ქართულზე რომ გააცოცხლებს დღეს თუ ხვალ-ზეგ.

თქმა იმისა, რომ მეგრული პოეზიის გადმოქართულება არ უცდიათ კალმის ოსტატებსო, სწორი არ იქნება, რადგანაც სხვადასხვა დროს, მეტნაკლები პოეტური აღმაფრენით მოხერხებულა ზოგი ნიმუშის თარგმნა. საყურადღებოა ბატონების: ხუტა ბერულავას, ნოდარ ჯალაღონიას, მურმან ჯგუბურიას ამაგი ამ მიმართებით, მაგრამ ისინი უპირველესად პოეტები ბრძანდებიან, და ამდენად, მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშებს საშენ მასალად იყენებენ კოლორიტის, განწყობილების შესაქმნელად. მათ პოეტურ კრებულებში წარმოდგენილი „კოლხური მოტივები“ ფართო მკითხველთათვის აღიქმება, როგორც ორიგინალური შემოქმედება, და არა — ხალხური. ესეც რომ არა, სათარგმნი ლექსების მიმართ მათი დამოკიდებულება, რამდენადმე თავისუფალია. პირველწყარო აქ საფუძველია ახალი ინტონაციებისთვის, ახალი ბგერწერისთვის, თუმცა დიდი გოეთესი არ იყოს, პოეზიის თარგმნა მთვარის შუქის ლარნაკში დამწყდევის მცდელობაა — ვარდი, რომელიც მინის ხუფქვეშ მოთავსებულა, გზიბლავს და სურნელს არ გამოსცემს.

უსათუოდ შექმნის ღირსია მეგრული ხალხური პოეზიის შედევრების ბათუ დანელიასეული თარგმანები, რომელიც კრებულ „ეგრისში“ გამოქვეყნდა 1986 წელს, მაგრამ მასში დაბეჭდილი რამდენიმე თვალსაჩინო ნიმუში მხოლოდ პრელუდიაა, ალბათ, ამ მართლაცდა ხალას გრძნობათა ოკეანის წარმოჩინების გზაზე:

**სოფგორია**

მელე-მოლე გვალა რენ ჯ დო  
შქას ეშმურცუ წკონდა წყარი,  
თე წყარიში ოშუმუშა,  
ხოჯ გილურცუ დიდი ქამი.  
ჭითა ჩხომი გილანჩურუნც,  
ჭალე პიცე მიკირთუ,  
ხოჯის კუდელც ქოჟგერგონცგნ,  
ხოჯი ჭითათ გინირთუ,  
ხოჯს გორუნცუ ხოჯგორია,  
გილურცუ დო გილენგარს.  
ნირსის მეთხოზ ჭითა ხოჯი,  
წიფურცუ ქალეფს მიოგანს,  
ირემიში ქაშ ლობერს  
მიორე დო მიონგარს.

**ხარიძებნია**

მილელავს წყალი მთებს შუა  
და ცივზე ცივი არი,  
და წყურვილს იკლავს იმ წყლითა  
დიდრქებიანი ხარი.  
ამ წყალში თევზი დაცურავს  
თევზი წითელი არი,  
ხარს კუდიტ გაუდგაფუნებს  
და გაწითლდება ხარი.  
ხარს ველარ იცნობს პატრონი,  
თევზი გაჰყვება ჩქერებს,  
ხარს ეძებს ხარიძებნია,  
ეძებს და ტირის მერე.  
ნისლს მისდევს ხარი წითელი,  
რქებს უჯახუნებს წიფლებს,  
ირმის რქის ლობეს მიაღვა  
და ცას ბლავილით იკლებს.

მეგრული ხალხური პოეზიის სათავეებს კოლხეთის მითიური დიდებით მოსილ ხანასთან მივყავართ უცილობლად, სადაც მზე, მთვარე და ვარსკვლავები უკვდავი ღვთაებებია:

ბუა დიდა რე ჩქიმი,  
თუთა — მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი, —  
და დო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,  
მთვარე — მამაჩემი,  
გაბადრული ვარსკვლავები —  
და და ძმაა ჩემი.

ამბობს მეგრელი მელექსე და როდესაც იგი ტოლფასად აისახება სალიტერატურო ენაზე, გამონათდება სრულიად საქართველოსთ ვის — უკვე პირველწყაროს ასავალ-დასავალი არც გახსენდება.

ბედნიერია ხევსურული, ფშავური პოეზია, რადგანაც დედაქართულის მეზობლობაში მორაკრაკებენ ისინი. „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისაო“, — იტყვის ერთი... „ბოლოს სთქვეს, ჟამი გავა-ლის, კარ განიღების თავადო,“ — ბრძანებს მეორე და გულიც აღმაფრენით ძგერს. ანდა რაოდენი სიხარული მოგეძალება „ირინოლას“, „თამბის“, „ბილბას“ პოეტურ სიმაღლეებს ზიარებულს?!

**თამბი**

— საით მიდინარ თეთრო თამბი?  
— მთაში მივდივარ სანადიროდ.  
— მთაში ვეფხვია, თეთრო თამბი,  
ბევრი წასულა, ვერ მოსულა.  
არ დაიშალა თეთრმა თამბიმ,  
შიში გულში არ გაიტარა:  
— მკლავი რად მინდა მოუღლედი,  
მშვილდი რად მინდა მოუხრელი,  
ხმალი რად მინდა ჯაფარდნისა,  
ასალმთვართობას გაჭედილი...  
ცისა და მიწის შესაყართან,  
დღისა და ღამის შესაყართან,  
მზისა და მთვარის შესაყართან  
თამბი და ვეფხვი შეიყარნენ...  
ტორი ჩამოჰკრა ზოლიანმა,  
ჯაჭვ-აბჯარი ჩამთახნია.  
— ტანი რად მინდა მოხატული,  
თუკი ნახტომი ამიცდება!  
მაშინ გახელდა თეთრი თამბი,  
ხმალი დაჰკრა, მძიმედ დადრიკა.

ვეფხვის ზმორება სასიკვდილო  
მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...  
— ფიცხი ყოფილხარ ზოლიანო,  
მოყმე ყოფილხარ უშიშარი,  
მე ავთვალდი რისთვის მეგონე,  
მონატული ტანი გქონია,  
ეკლიანი რისთვის მეგონე,  
ატლასივით ბეწვი გქონია,  
მოუქნელი რისთვის მეგონე  
ელვასავით ტორი გქონია.  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
მამაჩემი შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ალაღი ძმა შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ღვიძლი შეგლი შემომკვდომოდა,  
ნეტავი შენ არ მომეკალი,  
ან შენთან ერთად მოვმკვდარიყავ.

ეს ლექსი უნებურად ორ ბალადას გაგვას  
სენებს ქართული ხალხური პოეზიიდან — მოყმე-  
ვეფხვისას თუ ყივჩაღის ვნებათაღელ- ვას მუხრან  
ნის გზის სამძლვართან:

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემა პირშიშველაძა,  
შიბნ გაიარნა კლდისანი.  
მოინადირნა, დალაზნა,  
ბილიკნი ჭიუხისანი,  
შამახდეს კლდისა თავზედა  
ხორთნი ჯიხვებისანი,  
ჯიხვსა თოფ დახკრა ბუხრენსა,  
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.  
შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა,  
დრონ იყენენ შუაღმისანი.  
ვეფხვი რო წამოუფრინდა,  
თვალნი არისხნა ხთისანი.  
შიბნეს ვეფხვი, მოყმე,  
მაშინ დაიდრნეს მიწანი,  
კლდეები ჩამაინგრივნეს,  
შტონ დაილეწნეს ტყისანი,  
დრო აღარ დარსჩა მოყმესა,  
ხანნი რომ ჰქონდეს ცდისანი.  
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,  
ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი,  
გაზით გაართვნა კალთანი,  
ჯაჭვისა, ჯავშანისანი.  
მოყმემაც ხელში იყარნა,  
გადანი თავის ხმლისანი,  
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,  
დრონ იყენენ წაქცევისანი.  
ვეფხვი კლდეთ გადაუკიდა,  
ჩამოაწითნა ქვიშანი.  
თავად კლდის თავზე შემოწვა  
მოყმე სულამაძინარი,  
ქვიშას მიძლებავს წითლადა

სისხლი ზედ ჩამამდინარი.  
ვინ ეტყვის მაგის დედასა,  
კარს უსხდეს ქადაგ-მკითხავნი,—  
„უერთოდ კი არ იხარჯნეს  
ჩვენ მონადირის ისარნი!“  
იარებოდა დედაი  
ტირილით, თვალცრემლიანი:  
„ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია  
გაჯაფრებული, ტიალი,  
ჩემს შვილს — ხმლით, იმას — ტოტითა  
დღე დაუღამდათ მზიანი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,  
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,  
იმათ დახოცეს ერთურთი,  
არ დარჩეს სინცხვილიანი“—  
ტირილით წყლულებს უხვევდა  
ვეფხვის კლანჭითა დაჭრილსა,—  
„შვილო, არ მოჰკვდი, შენ გმინავ,  
დაქანცული ხარ ჯაფითა,  
ეს შენი ჯაჭვის კალთები  
ტიალმა როგორ დაფლითა?  
შენც იმის საფერ ყოფილხარ,  
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.  
არც იმან მოგცა მეტი დრო,  
აღარც შენ დააცალია,  
ველარც შენ დაიფარიე  
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,  
ველარცა ვეფხვმა ტოტები,  
— ხმალმა დაკუწა ძვალთა.  
მაგის მეტს აღარ გიტირებ,  
შენ არ ხარ სატირალია.  
ლაშქარში, მეკობარშია  
არ იყავ საწუნარია!  
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,  
ეგეც სამარის კარია,  
ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდე  
ვეფხვებთან მეომარია“.  
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი  
ელანდებოდა მძინარსა,  
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს  
ტანზეით აჰყრის რკინასა,  
ხან კიდევ იმისი შვილი  
ვეფხვს გადაავლეგს ყირასა.  
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,  
გამაელვიძის მტირალსა.  
ხან იფიქრებდა, უდედოდ  
გაზდა ვინა თქვა შვილისა,  
იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა სტირისა,  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიძარ უთხრა ჭირისა,  
ისიც მიაშობს ამბებსა,  
მეც უთხრა ჩემი შვილისა,  
იმასაც ბრალი ექნების  
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

არანაკლებ შთამბეჭდავითა უცხოტომელ ხიზანთან ქართველი კაცის დამოკიდებულება:

**ჩაბი უაფოაფაფაითი მივლინებანი  
სააუოალოუი  
გოგლაოობით იფყაბა**

ოცი წლის შემდეგ ვუბრუნდები ჩემი სულიერი მამის — ილია ჭავჭავაძის ყვარლის მთებს; ორაგულის გასულსწრაფებით ვუბრუნდები აუმიღვრეველ კახეთს — ქართველი კაცის ქცევის ბარომეტრს შინ თუ გარეთ, ჭირსა თუ ლხინში და მაინც ჩემი შემოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაობით იწყება: გაგაძეების სამასი წლის აკვნისკენ, მირზაანში, ფიროსმანის ფერების ოაზისისკენ, ხორნაბუჯის ცათამბჯენი ციტადელისკენ, ელიას პემვისტოლა ტბისკენ, შირაქის ზამთრის საძოვრების ვრცეულობისკენ, სადაც კავკასიური ნაგაზებით გარემოცული ორლულიანით გამოვენთები ხოლმე ლილისფერ კურდღლებს; მე იქ გოგოს შემადღევენი — უბატონო ქიზიყის დედოფალს; მე იქ, ლაგოდების ნაკრძალში, თუშური ქუდით მისვამს ნამუსიანი რქაწითელი; მე იქ, „ზავოტობაზე“, ძმადნაფიცი თემურ ჩალაბაშვილი მისხენებია და სრული კვირა დაუტყვევებიათ ჯაგარა კახელებს; მე იქ, ბატონი ლადო მრელაშვილის იყალთოელი ბიჭები შემომფეთებთან ღობე-ყორეში მომავლის იმედად; მე იქ დიდი ნიკო ყოჩიაშვილის ალაზნის ველის სიხასხასეს მოვუნუსხივარ და კამბეჩოვანის მოთენთილობა გადამდებია; მე იქ, სულიკო პავლიაშვილის კაკაბეთში, მთისხელა ქვევრების ბუყბუყისათვის მიმიყურადებია დიდდა ანას თითისტარის მოუსვენრობის ფონზე; და მაინც, ნამდვილ საქართველოსკენ ჩემი შემობრუნება, ბავშვივით მიხარია, გოგლაობით რომ იწყება. ადრეც მიფიქრია გიორგი ლეონიძის ფენომენზე. მისი ფერწერული სულის მდულარებას განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს თენგიზ აბულაძის „ნატურის ხე“. დიახ, ფერწერულია, სკულპტურასავით ნაძერწი გიორგი ლეონიძის პოეტური ხედვა, ბალადათა მიმართება ლექსის მშენებლობისას და მაინც „ყივჩაღის პაემანი“ განსხვავებულია, ღვთაებრივ რემინისცენციათა ბაჯალლო პირმშო. ჭეშმარიტი ხელოვანის თხზულებას ოდეს ასევე მაღალი რანგის კინემატოგრაფის ხელი შეეხება, მყისვე გაყოველთაედება აქამდისაც გენიალური ქმნილება. ასე იყო აკუტაგავასა და კუროსავას თანამშრომლობა „უსიერ ტყეშითა“ და „რასომინით“; ასეთი გახლდათ ჭაბუა ამირეჯიბისა და გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ტანდემურობა „დათა თუთაშხიათი“; ასეთი გამოდგება გიორგი ლეონიძისა და თენგიზ აბულაძის დაბნატყვება „ნატურის ხეთი“.

მე, აი, ახლახან, გუშინ თუ გუშინწინ, დავძობილემბივარ მსცოვან სტილისტს, აწ ნეტარხსენებულ დიმიტრი გულისაშვილს, რომელსაც თავის დროზე „ნატურის ხე“ ურედაქტორებია. სიტყვათმშენებლობის მეტრს მრავალი იდუმალემა გაუზიარებია ჩემთვის ვერბალურ ცდომილებათა ასალაგმავად და მაინც მეასედ, მეათასედ „ყივჩაღის პაემანს“ ვუკირკიტებ, ყივჩაღის ათასწლოვან აღსარებას, ყივჩაღის სულის შემადრწუნებელ მედიტაციას:

ხივჩაღის პაემანი

**... ერთი მეც გადავუქნიე,  
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...  
მუხრანული**

**ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,  
ყაბარდოს ველი გადაიარა,  
ისეც აღვსდები!  
მუხრანის ბოლოს  
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.  
ქსანზედ, არაგვზედ ისეც ჰყვავიან  
ხოდაბუნები თავთუნებისა,  
შენი ტურებიც ისე ტკბილია,  
როგორც ბადაგი დადუღებისა.  
ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო  
როცა ზაფხული რუსთაველისა,  
ნეტამც ბადაგი არ დამეღია  
და იმ დღეს ხმალი არ ამეღესა!  
ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,  
შემოვამტყვერე ვზები ტრიალი,  
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,  
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!  
მაგრამ თვითონაც დაილეწება,  
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,  
მუხარადიან შენს ქმარს შემოვსვდი,  
თავი შუაზე გადამიჩენსა!  
მოდე, მომხვიე ხელი ჭრილობას,  
ვეღარა ვხედავ, სისხლით ვიცლები...  
როგორც საძროხე ქვებს თხშივარი,  
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.  
მოდე!  
გეძახი ათას წლის მერე,  
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;  
გარდის ფურცლობის ნიშანი არი  
და დრო ახალი პაემანისა!..**

ეს ლექსი 1928 წლით თარიღდება. ამ დროისათვის უკვე არსებობს ყივჩაღის თემატიკაზე „მუხრანული“, ოდეს ცოლ-ქმარს გადამთიელი აეტორლიალება — დავით მეფისგან წვეული დამხმარე ძალა:

გუხრანული

**შემოქყარა ყიფილი  
სამძღვარს მუხრანის გზისასა,  
პური მთხოვა და ვაჭმიე  
გურჩევი თავთუნისასა,  
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე  
გურჩევი ხოხობისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმიე  
გურჩევი ბადაგისასა,  
წყალი მთხოვა და ვასმიე  
გურჩევი წყაროს წყლისასა,  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც  
მიმყავდა სიდედრისასა.  
ანკი ცოლს როგორ მივეცემდი  
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.  
ხელი მოჰხვია, აკოცა,  
მოზინა ნაწინავს თმისასა.  
შესტირა საბრალო ქალმა:  
„გაი ცოლს ცუდის ყმისასა“,  
მეც გულმა ვედარ გამიძლო,  
მოგზიდე ვადას ხმლისასა,  
უმაღვე იმან დამასწრო,  
ელვასა ჰგვანდა ცისასა.  
მაგრამ დაუცთა მუხანათს,  
გენაცვლე მადლსა ღვთისასა,  
ახლა მე შემოგუქნივე,  
გენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.  
გაგჭერი ცხენი და კაცი,  
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,  
არ იყო ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელის მზისასა.  
აქეთ მე გაგდები, იქით ის,  
ქალი წავიდა სხვისასა.**

წყალს მოითხოვს და დაამწყურვალებენ; პურს მოითხოვს და დააპურებენ; ღვინოს მოითხოვს და ასმევენ; ქალს მოითხოვს და აქ გაუბედითდება სურვილების ქორთო თავზედს. ან კი ცოლს როგორ დაუთმობდა ვაჟკაცი თავნება მოძალადეს?

ხალხური ლექსით ქართველი ფალავანი ფლეგმა გამოდის, ურემი შეშით ძლივს რომ გათარანდება. სანამ ყიფილი გიშრის თმაში არ წვდება მის ღედაკაცს და თანამეცხედრის ტუჩებს არ დაუკოცნის, გული ვეღარ აუხანძრდება;

ჰოდა, რაჟამს დიაცი შესძახებს: „გაი, ცოლს ცუდის ქმრისასაო“, აღენტება ქართველი მამრი, გასჭრის კაცსა და ცხენს □და არა პირიქით, როგორც ეს დედანშია — ცხენს და კაცს), ხმლის წვერს ქვიშას უწვდენს; აქეთ ქართველი მხედარი კვდება, იქით — მოხდომილი ყიფილი, ქალი კი წავა სხვისას □და არა ძმისას, როგორც ამას ქართველი ქალის რეპუტაციის გადასარჩენად ვაშალა შინებთ ხოლმე ზოგ რედაქციაში). დიახ, წავა სხვი-

სას, ვინაიდან დახარბებული ყიფილიცა და მეპატრონე ქმარიც, ორივე უღირსია მისი გოროზი კდემამოსილებისა.

დიდი გიორგი ლეონიძის ეპიკურ სულს ველარაფრით შეეხებოდა აკუტაგავას ჩინებული ნოველა — „უსიერ ტყეში“, მით უფრო — კუროსავას „რასომინი“, რომელმაც ლამის გადაატრიალა კაზმული სიტყვიერება ობიექტური რეალიზმის უფლებელყოფის თვალსაზრისით. ეს თემა არსებულთან შედარებით მეტ სივრცეს მოითხოვს და აქ ოდენ ვიტყვოდი იმას, რომ „მუხრანულითა“ და „ყიფილის პაემანით“ დანახულია მოვლენის მრავალპრიზმული გადმოცემის პერსპექტივა. ნოველა „უსიერ ტყეში“ ჩვენი შემთხვევის იდენტურია.

ულრანში ცხენზე ამხედრებული ცოლი მიჰყავს სამურაის □მეფის ჯარისკაცი), რომელიც კოლიზიის თვისებისამებრ ყაჩაღს შემოეფეთება. დიახაც, ქალის ნიადაგზე გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და გაკოჭილი სამურაის თვალწინ ყაჩაღი ნამუსს ახდის ავაზასავით მოხელთებულ დედაკაცს. მაგრამ მთავარი ფასეულობა აქ დატრიალებული სცენისა, სხვა გახლავთ, ვინაიდან არაორდინალურია გარდახდილი ამბის მოწოდების წახნაგები სასამართლოზე: ყაჩაღი, დედაკაცი, სიტუაციას შესწრებული გლეხი თუ თავად სამურაის სული, ლამის ურთიერთ გამომრიცხავად გადმოსცემენ აწ გარდასულ კონკრეტულ სინამდვილეს.

საქმე ის არის, რომ ამ მიკრო-ტრაგედიის თითოეული პერსონაჟი თავის სასარგებლოდ ასურათხატებს ვითარებას, როგორც ეს ბიბლიის კარიბჭიდან გვეუწყება: რა დროს ხეცნობადის ნაყოფნაჰამ ადამს უფალი გამოეცხადება, ეს უკანასკნელი ევას გადააბრალებს ცდუნებას, ხოლო თავად ქალი — ძირს დანარცხებულ სათანაელს, ეშმაკულ ძალას.

ქეშმარიტად, თითოეული სუბიექტურად, მიკერძოებით აპროექტებს სინამდვილეში ობიექტურად მომხდარ ამბავს.

ქალის თქმით, როდესაც გაკოჭილი ქმრის წინაშე ნამუსსახდელია იგი, მამაკაცებს შესთავაზებს ორთაბრძოლაში გაარკვიონ უპირატესობა: ვინც გამარჯვებული დარჩება, შეურაცხყოფილი ქალიც იმას გაჰყვება ცოლად და თავდაჯერებული მტკიცებით, დიახაც, ყაჩაღს შემოკვდომია მოძალადისგან ვერდამცავი მეუღლე;

ყაჩაღის მონათხრობით სამურაის მკვლეელი ბუნებაში არ იძებნება, რადგანაც დიაცმა წუთიერი გამარჯვებული მოძალადე ამჯობინა საუკუნო თანამეცხედრეს. ყაჩაღი წიხლისკვრით მიაგდებს ქალს ბამბუკის კოჭებთან, ბორკილს შეუხსნის მეტოქეს და თავისუფლებას მიანიჭებს;

ხოლო სამურაის მონაყოლით, დედაკაცის მოღალატური საქციელის შემხედვარე, თვითონვე მოისწრაფებს სიცოცხლეს;

არის მეოთხე მთხრობელი, უსიერში გატრუნული გლეხი, ვითომცდა ობიექტური სინამდვილის

დამადასტურებელი განზომილება, თუმცაღა მას სა-  
მურაის ცოლის დანა აღმოაჩნდება კუროსავას „რა-  
სომინის“ მიხედვით და აქაც განქარდება სიწრფე-  
ლის მომენტი.

როგორც ჩანს, პოეტური სიდიადის წყალობით  
თუ იგივე უფლის ძალისხმევით, დამოუკიდებლად  
მისულან ლეონიძე და აკუტაგავა ლამის თანაზო-  
მიერ მსოფლგანცდამდე: **შეუძლებელია ზედმი-  
წვენიით მართალი იყოს მოვლენის მხოლოდ  
ერთი მხარე და მეორეს იოტისოდენადაც არ  
მოუპოვებოდეს ზეციურთან პირის გასამარ-  
თლებელი მოტივაციები.**

ქართველი მხედარი გულგრილია თავისი ქალ-  
ბატონის მშვენიერებისადმი, ვინაიდან მეპატრონეა,  
მფლობელი, საგანძურის სრული ხელმწიფე, ამი-  
ტომაც ჭირს მისი აფეთქება, ამძვინვარება, როცა  
ყვიჩალი დანატრებულია ამ წყაროს, მშვიერი და  
მწყურვალა ბადაგივით ნეტარი მღვდრის სიშო-  
რე-მიუწვდომლობით.

დასასრულ, კვლავაც ავმჩატდები ყმაწვილუ-  
რი გახელებით, კვლავაც ოცი წლის წინანდელი  
სიფიცხით მივეახლები სულიერი მამის — დიდი  
ილიას საუფლოს — ჩემს აუმღვრეველ კახეთს, ჩვე-  
ნი ურყევობისა და ძელქვასავით უდრეკლობის გა-  
რანტს დროსა და სივრცეში; და მაინც, ჩემი შე-  
მოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაო-  
ბით იწყება.

ბილევა

**ამბავი არის გასაკვირი,  
დიდი ხეები უვლიან ფერხულს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
დასკირობენ თევზები მინდვრად.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ძაღვალ ხეებზე შემსხდარან მწყერები.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ყარაულობენ კატები ერბოს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
თხას მისდგომია პატყლისთვის ცხვარი.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.**

**ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ჩიტი-ჩიორა იტაცებს თრბებს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მდინარე აღმა მიედინება.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
მზე დასაგლეითთ ამოდის ცაზე.  
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,  
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.**

მეგრული ხელთუქმნელი ლირიკა კი სავალა-  
ლოდ დედაქართულისთვის დახურულია

.ვაი, შური, საყვარელი,  
ღურა მუში მამარდა რე,  
რინაშე ნება ქორდასჯ ნი,  
ქიანა მუში მაფართა რე.

ვაი, სულე, სანატრელო,  
ჩემთვის სიკვდილია ნანა,  
ყოფნის უფლება რომ იყოს,  
რა ვრცელია ეს ქვეყანა?!

დაიკვნესებს მეგრული კაცი და ენობრივი ბარიე-  
რის გამო უჭირს გაიგოს სრულიად საქართველომ,  
რომ ეს ამონათქვამი ყველასთვის მახლობელი, ადამი-  
ანურზე ადამიანური ჩივილია სისხლგამწარებული  
მოკვდავისა; რომ ეს საყვედურია ქვეყნის, საწუთროს  
მისამართით. ოღონდ მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს,  
ნუ მოვუშხამავთ წუთისოფელს და ყველა დავეტე-  
ვით ამ უკიდევანო მიწაზეო, გვამაღლებს ლექსის  
მორალი.

მეგრული ხალხური პოეზიის თვითმყოფადობა, დი-  
ახაც, რომ ღირსია პროფესიონალი მთარგმნელების  
ყურადღებისა და სამართლიანობის აღდგენასთან ერ-  
თად, ეს ყოველივე გადაუდებელი ეროვნული საქმეც  
არის ამავდროულად; ამის დასტურად გამოდგება  
ბოლშევიკების მიერ ოცდაშვიდი წლის ასაკში დახვ-  
რეტილი დანიელ ფიფიას, ჭეშმარიტად გენიალური  
ლექსი „ბორჯი“, რომელიც ქართულად დრო-ჟამს  
ნიშნავს და რომელში ჩაღრმავებაც ცოტათი სხვანა-  
ირად ჩავგახელებს სულში — ქართველობის ნასახი თუ  
ღვივის ჩვენს წიაღში, განზე გადაგვადებინებს ამბი-  
ციებს, ერთადერთობის ავადსახსენებელ ილუზიებს  
და გვამოქმედებს ისე, როგორც ამას ძარღვდაწყე-  
ტილი მამული გვიყოფინებს განწირულის ხმით:

**ბორჯი**

ბორჯი, ირფელე სი გობარუ,  
 უღირე, რენე დო მუმაალი,  
 სო რე ბორჯი სი ვაჟოფეჟ,  
 სო ვემიოხე სქანი ნალი?  
 მირსიოლუქ უმუხარცქო ,  
 ირო ართინერო მალი,  
 სი გიჩქ სო მი ჩილათე დო  
 სო მის უღუ ნაინალი.  
 სი რშუ თინა, მუთი ვაშუ,  
 მითინც ცა დო დიხა შქასუ,  
 სი უჯინედგ სარიკოს—  
 ბჟაშე დიხაშე მოხარცქასუ.  
 სი ვარენო გიჯინუნი  
 დიხაშე პირველგ დორთაფაშა,  
 სი გიჯინუ პირველგ სერშა,  
 პირველგ დლაში გოთანაშა.  
 სი მითინცუ პატის ვაცე,  
 სამართალი გიღუ თინუ,  
 ხვალე ართი — სქანიწკალა  
 ხანდა მითინც ვაუდინუ.  
 კოჩი მუში მოჯგირესუ  
 ჯა დო ქუას ოჯოთანს,  
 უბადოში ცქვაფა უჩქუ,  
 ჯგირს თხოზუ დო ოგორანს,  
 ირე კოჩგ ფირქენს მუ ორთუნნი  
 შხვა კოჩიში უჯგუმისგ,  
 ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა —  
 არძას არზენს მუმუშისგ.

**ღრო-შავი**

ბორჯი, შენ ერთს გაბარია,  
 აწმყო-წარსულ-მომავალი,  
 ბორჯი, სადღა არ ყოფილხარ  
 სად არ სუფევს შენი კვალი?!  
 მოსრიალეგ უსასრულოდ,  
 დღენიდაგ ფხიზლად მალი,  
 შენდა უწყი, ვინ სად შეცდა,  
 ვის სად უვის სამართალი.  
 ცარგვალსა და ხმელეთს შუა,  
 დგახარ ხსოვნის ნიშანსვეტად,  
 შენ გიხილავს მზისგან მიწის  
 საარაკო ჩამოწყვეტა.  
 ერთადერთი შენ უმზერდი  
 დედამიწის ფეხის ადგმას,  
 შენ უმზერდი პირველ ღამის  
 პირველი დღის სულში დანთქმას.  
 ბორჯი, ერთმა უწყი მხოლოდ,  
 უღირსს კარგი რად არ ჰქვია,  
 ამიტომაც ჯერეთ შენთან  
 გარჯა არვის დაკარგვია.  
 ვაგლახ, კაცი თავის მოყვასს,  
 ხანსიტყვით კლავს, ხანაც—ქვითა  
 აუგს მიწყვი განადიდებს  
 მართალს აშთობს განკიცხვითა.  
 ბევრს ჰგონია მისი ღვაწლი,  
 გადაწონის ნათელს მზისას,  
 ბორჯს არ უყვარს მოფერება,  
 ყველას უზღავს თავთავისას.

**ჭუტა ქარმატი**

**სქურეფე ოშენამს სერსი მუშითე  
 მჯგეშ ემექთარი, ჭუტა ქარმატი,  
 თხოშუშ დურნი დო თხოშუშ სხინათე  
 იქთენ უდოდგინ, ჭუტა ქარმატი.**

**ნე სერ დოდგითუ, ნე-თი დღაღერი,  
 ნაკო თფუტარის ნა უმფთქუმს შქვერი,  
 მითიქ ვარ ძირთმს არ დოჭკინდერი  
 ჩქენი სქურეფეს, ჭუტა ქარმატი.**

**სქურეფე ოშენამ სერსი სქანითენ,  
 მჯგეშ ემექთარი, ჭუტა ქარმატი,  
 ჩქვაშენ ეიფშერ, ჩქვაშენ მთიწოდერ  
 სი მუთუ ვარ განჭენ, ჭუტა ქარმატი.**

აი, როგორ არის გააზრებული წუთისოფელი ლაზურ შედეგში. პროტობეროელთათვის მართლაც წისქვილია ეს საწუთრო, რომელიც სხვისთვის ფქვავს და საკუთარი თავისთვის ყოველთვის ბოგანოა, დუხჭირი. დაგვეთანხმებით, ამისთანა ლექსებს მოკლებული ქართული ხალხური პოეზია სრულფასოვნად წარსდგება განა ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე?!

მეგრული ლექსების გადმოქართულებისას ხშირად ვცდილობ ორიგინალის არათუ ზომისა და რიტმის, არამედ რითმათა სისტემის შეძლებისდაგვარად შენარჩუნებასაც, რაც ზოგჯერ აძნელებს შინაარსის ადეკვატურ გადმოცემას, თუმცა უმთავრესი მიღწეულია — გარეშე თვალი მათ შორის სხვაობას ძნელად თუ შეამჩნევს; მოკლედ, დიდის ძალისხმევა გვმართებს ყველას, რათა საფუძველი ჩავუყაროთ სინთეზურ, ყოვლისმომცველ, ეროვნულ ანთოლოგიას, ლექსიკო-გრაფიას, ფსიქიკას.

მართა მწერლები და პოეტები ამ საშვილიშვილო საქმეს ვერ გაეწვდებიან. საჭიროა შეთანხმებული მოქმედება — ერთ ბირთვად უნდა შევიკრათ ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც, შემოქმედებითი ინტელიგენციაც, რათა ახლებურად გავიზრდოთ ქართველი მოზარდის, ზოგადად საქართველოს ხვალისდელი დღე; რათა ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური ჭამოს და დაწყებითისთვის თუ ვერა, დამამთავრებელი კლასებისთვის მაინც შემუშავდეს ერთიანი დედაქართულის პროგრამა, სადაც მეგრულ-სვანურ-ლაზურსაც სათანადო ყურადღება დაეთმობა, როგორც მშობლიური დედაენის მასწავლებელ უმრეტ წყაროებს.

დროა ჩვენმა ახალგაზრდობამ სრულყოფილად თუ ვერა, საყველპურად მაინც იცოდეს ექვმიუტანელი ჭეშმარიტება, რომ სვანურის, მეგრულ-ლაზურისა და ქართლურის საერთო ენა პროტობერულია; რომ ათასწლეულებს მიღმა ეს სამი ერთარსი კუთხე მსგავსი სინტაქსითა და სიტყვებით მეტყველებდა; რომ მართალია, ჟამთა სიავემ შეძლო ერთიანი ენის განტოტვა, დაშორიშორება, მარამ ისიც ხომ გვსმენია, მდინარის გასხლტომილი ტოტები ოდესმე როგორ შეიყრებიან ხოლმე, რათა უფრო ენერგიულად გაუტონ ამბოხებული ზღვისკენ?! დროა იცოდნენ ქართველმა ასულებმა და ჭაბუკებმა, რომ „ლაქუცი“ კოლხური წარმოშობისაა, ვინაიდან „ლაკ“ ჭანურში ძალს ნიშნავს, „ლაკვი“ მეგრულში — ლეკვს; აქედან გამომდინარე — „ლაქუცი“ — „ლაკისმიერ“, ძალისმიერ საქციელს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფრიად გავრცელებული სიტყვა იყო „რუსეთუმე“, რომელიც რუსული ორიენტაციის, რუსოფილ ადამიანს გამოხატავდა ირონიულად. ეს სიტყვაც მეგრული წარმომავლობისაა, რადგან მხოლოდ მეგრულში მოგვეპოვება გრამატიკული ფორმა — „ლორონთუმე“ — ღმერთმანი, „შურაუმე“ — სულის მადლმა, და მათი მისგავსებით — „რუსეთუმე“, ანუ რუსეთს გეფიცები.

მეგრულის გაუთვალისწინებლად ვერაფრით აიხსნება დაბა „წყნეთის“ სახელი, რადგან „წყნეთი“ სხვა არაფერია თუ არა მუხრანი. მეგრულში მუხაა ჭყონი. ჭყონდიდი, ჭყონდიდელი, დიდმუხას, დიდ-მუხელს ნიშნავს. შესაბამისად თანდათან ტრანსფორმაციით მივიღეთ ჭყანიეთი, წყანიეთი და წყნეთი.

სულ მეგრული წარმოშობისაა აჭარა-გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში არსებული ტოპონიმური ერთეულები: **ჯისნჯირი** — ციხისძირი, **ჯუშაათი** — ძმეთი, **ოჭილაური** — საჭილაიო, **ჭყვიში**, **ჭყვიშიაური**, **ჭანეთი**, **გუბაზოული**, **კინტრიში**, **ონჭიკეთი**, **ონჯოსეთი**, **ოჯინჯი**, **ონტიფარი**, **ტყობენია** — სამალვისი, **ჩხოუში** — საძროხისი, **ჯარგვალი** — ძელური, **ოჭივარი**, **თრაგვე**, **ოკრიბა**, **მუხური**, **ჯიმიტარო**, **ხოჯალია**, **ოსუნელე**, **ოყვალეთი**, **ოფინეთი**, **ოფურეში**, **თოფურიათი**, **იმნათი**, **ჭანჭათი**, **ჩოჩხათი**, **ჯონჯუათი**, **ოცხანა**, **ონჯალეთი**, **ოკარე** — საყვავე, **სუჭითა**, **ჭვათირო**, **წყალტუბო** — თბილწყარო, **ჯამბანა** — ბულოეთი, **საზანო**, **მორბევეთი** და ა.შ. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ ფორმათაგან დამახასიათებელია **სერობა** — ვახშობა, **ორჭოფი** — ორის დამჭერი, ორს შუა მოყოფანე, იჩითი, **ბადიში** — მამადიდი, **კინთი** — ძროხის ცურის თითი, **ბურდო** — ჩირგვი, **დერგი** — თიხის ქილა, **ბიგა** — ორკაპა ჯოხი, **თანაქა** — თუნუქის ფირფიტა, **ქართა** — ბაკი, **ბოგა** — მცირე ხიდი, **ბორკილი** — ბორკი მეგრულში ფეხს ნიშნავს, კაშკაში — **კაკაჩისგან** მომდინარეობს, მთვარის ძალით გაჩახახებულის ტოლფასია; **ონსომელი** — ჩხომი თევზია მეგრულში, **ჯაჭვი** — ძეწკვი, **მარყუვი**, **გიდელი**, **ისინდი**, **მახინჯი**; **ლაყუნი** — რაც ყურისთვის განკუთვნილს ეფარდება; **მარულა**, **მოლაღური** — მელღვია, **მარჩხი**, **ჩაღა**, **ოჯინჯალე**, **ურდული**, **საჯალური** — ხარის შესაბორკად განკუთვნილი და კიდევ ვინ მოსთვლის.

ახლა ეს სიტყვები ისე შეიწოვა, ისე შეისისხლბორცა ზოგადეროვნულმა ფსიქიკამ, რომ მისი მეგრული წარმოშობა აზრადაც არავის მოუვა; რა, გავმდიდრდით ყველა ენობრივი თვალსაზრისით, თუ გავდარიბდით, დავჩაჩანაკდით?! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ვსწავლობთ გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, თურქულს, სპარსულს, წარმოიდგინეთ, თვით ესპერანტოსაც კი და ჩვენი სისხლბორცი ძირების — მეგრულ-სვანურის შეთვისება გვეთავაზრება, ურომლისოდ სრულყოფილად ვეღარაფრით ვიქართველებთ, ვინაიდან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართველობა ყველაფრის ერთიანობას, ანუ მათემატიკის ენაზე ქართლელს პლუს კახელი, პლუს იმერელი, პლუს გურული, პლუს მეგრელი, პლუს სვანი, მოკლედ, უკლებლივ ყველას ჯამს გულისხმობს; ასე რომ, ჩვენ, დიხანაც, გვმართებს ცოტათი გაქართლელება, ცოტათი გაკახელება, ცოტათი გაგურულება, ცოტათი გამეგრელება, ცოტათი გასვანება, ანუ ცოტათი გაყოველკუთხეობა, გაიმერ-ამერლობა, რათა სრულფასოვან ქართველებად ვიქცეთ. ასე რომ, ვფიქრობ, უკმეხობაში არ ჩამომერთმევა მოკრძალებული განაცხადი: **ქართული ხალხური პოეზიის თუნდაც შედარებით სრული ანთოლოგიის გამოცემა კვლავაც საშური საქმეა და მისი წარმოსახვა მეგრულ-ლაზურ-სვანური ნიმუშების**

**შეუჯერებლად ნებაყოფლობითი თვითგანადგინების ტოლფასია-მეთქი.**

ახლა საკუთრივ იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს თავად მეგრული პოეზია და რა საუნჯე-განძით აპირებს იგი ზოგადქართული სულიერების ოკეანის აღვსებას. მეგრული პოეზიის მკვლევარები მუხათა საუფლოს კოლხურ ჭირნახულს პრეისტორიულ წარსულში გადაისვრიან ხოლმე და რაღაც საკრალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ. მაგალითისათვის: **ბუა დიდა რე ჩქამი, თუთა — მუბა ჩქამი, ხვინა-ხვინა მურიცხეფი — და დო ჯიმა ჩქამით**, როცა მედიტაციობს მეგრელი ჭყორი, აქ უსათუოდ ვარსკვლავთმრიცხველის თუ მოგვის სამყაროთმცოდნეობის შეხეფებს ალაჟვარდებენ; მეტიც შესაქმის ნოტარიულ დოკუმენტად წარმოსახვენ ამ ოთხსტროფულს, როგორც ეს ზოგ ეზოტერიკს სწადია იოანე ზოსიმეს „ქებაით“ გაბრუნებულს. ფილოსოფიურს მიაკერებენ ხოლმე მსჯელობისას პოეტს, როცა საგნის არსს, დროის თუ მატერიის რაობაზე გააფხანტალებს თავს, რაც წმინდა სისხლის გულუბრყვილობაა. თავად „ბორჯი“ კი, მეგრული პოეზიის მწვერვალი რომაა, მასალის კლასიფიკაციისას სისულელეა ფილოსოფიური აზროვნების კატეგორიაში მოვაქციოთ და ამ სიმალლიდან ვაშენოთ მერმე ჭუჭა ქოხმახები თუ ისლით ნახური ჯარგვლები. ყოველივე, რაც პოეტის ერთგვარი დაფიქრებაა სამყაროს აგებულებაზე, ფილოსოფოსობას სულაც არ ნიშნავს. სად ფილოსოფია და სად — პოეზია. შეუთავსებელი ცნებებია ჰეგელის სწავლებით. ასევე სასაცილოდ მეჩვენება ფრანზ: **ბარათაშვილის ფილოსოფიური ღირიკათ**. რაოდენ შეურაცხმყოფელია ეს სიტყვა, ამ მართლაც აბსოლუტური ჰეგელიანობის წვდომის მდომელი მეცნიერებისა! რა ესაქმება ფილოსოფიას იმ მიწიერებასთან, როცა ნაპოლეონს სამარე ევიწროება თუ სული ბოროტი მოხმობილია პოეტის წინამძღვრად? ან ობოლი სულის საბრალობა როგორ მიესადაგება ფილოსოფიურ განზომილებებს, რომელიც სულის არსებობაშია შეეჭვებული საერთოდ?! ამაზე მეტი ინფანტილიზმი გაგონილა? მაშინ რა ქნან „დუინური ელეგიების“ ავტორმა? გოეთემ? დანტემ? მოვლენისადმი ფიქრიანი მიდგომები სულაც არ ნიშნავს ფილოსოფიურ აზროვნებას. ცხოვრების რაობაზე დაფიქრება დამახასიათებელი შენაკადია ხელოვნების ნებისმიერი ქანრისთვის, მაგრამ ძნელია მათგან ფილოსოფოსთა ნატურის გამოძერწვა. სამყაროს, ადამიანის არსის თაობაზე, ვერც ჩვენი გუშინდელი მელექსენი იუბნებენ „გილგამეშის“ ეპოსის შემოქმედზე მეტადრე. უმჯობესია პოეტებმა მუხათა საუფლოს მივხედოთ, პლატონთა ყბაში ხელმეორედ ჩავარდნა თუ არ მოგვწადინებია. ნუ აღვმატებით რწმენის ხარისხით რომის პაპს, და გავაგრძელოთ მსჯელობა იმ მიმართულებით, რომ მოშიარესთვის სულაც არ არის აუცილებელი ფილოსოფიური გაფხორილობა, **აქაოდა, შემომხედეთ, რათდენ**

**ჩაფიქრულვარ სამყაროსიკულ მჭვრეტელობა-შით**. ამის შესახებ თქმულა მწუხარე სახის რაინდის საუფლოდან მთელის სარკაზმით, მეტიც — რამდენადაც პოეტურია შემოქმედი, იმდენად განწრეტილი ზედმეტი ფილომანიური კეკლუცობებისაგან.

— **სომ ხედავთ, რა ბიჭიცა ვარ, მთელი თავით აღგემატებით, ვინაიდან საგანთა ბუნებას მეტადრე განვჭვრეტ!**

— **არა მე უფრო დიდი მოასტრონომო პოეტი ვარ, ურანიას განხრით!**

— **გეკადრებათ, მე გენეტიკურ სლართებში ნაპრომიალვარ ფრიად, დაფნები ჩქარა!**

იჭინთება პირველიც, მეორეცა და მესამეც, მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ პოეტი უმთავრესად პოეზიით ფასდება, როგორც ამას ჩინებულად ახერხებს ღვთაებრივი ჰომეროსი: არც ზედმეტი მოყბედობით გაბეზრებს თავს და აღარც გამიზნული მდუმარებით გიწვრილმანებს სულს. მოუღლეელი ქარავანივით ზიუტად მიემართება ქვიშისტოლა სახეების უდაბნოეთში და ხასიათების საპალნეებით დაჯოგრილი აქლემებით მიემართება უკვდავებისაკენ. ეს იშვიათი გამონათებაა. **არა განსწავლელობის მტკიცება**, (ამტკიცებს, ის, რომელმაც არაფერი იცის), **არამედ ხასიათების და სიტუაციათა დაურევება პოეტური ხერხების მართლზომიერი გამოყენებით**. ფორმულასავით გამომდის. **პოეტისთვის ღექსის-საცხოვრისის ძირითადი საშენი მასალა სიტყვაა, რითმისა და რიტმის აქსექსუარებით და არავითარ შემთხვევაში კათედრალებიდან საკუთარი უმწებობის მენტორული წარმოჩენა**.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მეგრულ ხალხურ პოეზიას, უამრავი მშვენიერი რუ და ბინული წამოკამკამდება ლირიკის სახით, რაც ძირითადად შეყვარებულის წავვრით თუ სიშორით შეჭირვებული სულის კივილია. ეს არ არის მისტიკური სასოწარკვეთა, არამედ თვალამღვრეული დაღონებაა, ოდესმე რომ ამოირწყება ქუსლში ჩარჩენილი ეკალივით. **თუ, ნანა, პოუ ნანათ**, ასდევნებია კოლხის სულიერებას განუყრელ რეფრენად, ივარქნილი მამულეთის ექო და სადაც უნდა რანდავდეს პოეტი სტრიქონს, უზენაესის, სამშობლოს, დედის თუ სატრფოს სახიერების მოსახელთებლად დამიზნებულს, ყველგან **პოუ ნანად** აელანდება, **პოუ ნანად** აეგზიანება დაწდევებული მელანქოლიის უტყუარ დასტურად. მიუხედავად ყველაფრისა წინდებულ წიგნს „**პოუ ნანას**“ ნაცვლად მაინც „**ოქროს საწმისს**“ (კირიბიშს) დავარქმევ სახელად — კოლხური სამოქალაქო რევალიებისა თუ საკრალური ცოდნის შემნახავ სალაროს, ბიბლიას, ვედებს, ყურანს.

ამ ლექსებს ვერც ჩასტუმკებს უწოდებ, ვეღარც — რობაიებს, ტანკებსა და ხაიკუებს, თუმცა აზრისა და მოცულობის იშვიათი ტევადობით ენათესავენა კიდევ მათ. შირის ნახევარი სრულიად საკმარისია ამ უმაგალითო ჯადო-მომნუსხველობისათვის.

გაიელვებს ციციანთელასავით, იგივე მარწკინაიას მსგავსად, აიყოლიებს თანატოლებს ამაღლას და ვარსკ-  
ვლავიან ცას შეუნათესავენს დედასაქართველოსკენ წამოდინებული კოლხური სინამდვილის ბინდისპირულს.

\*\*\*

მა წვალეზას ვორექუნნი,  
თიშა გური მის აჩინე,  
თიცალი რე ჩქიმი გური,  
ითამ ყბურს მიშაჯინე.

\*\*\*

აია რე, ბაია რე,  
ბაიაშე წორი თანათა რე,  
ქირსე რე დო კალანდა რე,  
წაკურთხია — დიდი დლა რე.

\*\*\*

მესიშე ჰვემა ორქო რენ დო  
ივანობაშე — ვარჩხილია,  
კვირკეშე ჰვემა დულა რენ დო  
არგუსოში — დაჩხირია.

\*\*\*

ქოსხაპე ძლაბე, დოფიგურე,  
თეცალე სხაპუა სო დიგურე,  
აშო ქიმიხვარჩალე, ვარა,  
ეგებ გვალო დოგიღურე.

\*\*\*

საყვარელი მიწორდასია, ნანა,  
ჩქიმე თის ოკო დინორდასია, ნანა,  
კუჩხის ოკო მიბონდასია, ნანა,  
ხურხის ოკო მიჯუნდასია, ნანა.

\*\*\*

სქანე დო ჩქიმი წოროფასუ,  
აშენტირე დიდი გვალა,  
ი გვალაშა გინილინე,  
უკულე მუ ბქიმინა ვარა.

\*\*\*

ცირა მუჭო ოსვისინა  
ეგებ გმურო ვარწანდე,  
იშენე ქიგორლუაფუდა  
სოდგა მიოკვანწანდე.

\*\*\*

გოლას ქუა მიკოძუნი,  
ზენიშე გიორგინათალი,  
ძლაბის თოლი ელაძუნი,  
ბოშიშე გოდინათალი.

\*\*\*

მე რომ გასაჭირში ვარ,  
იმას ვინლა მიუხვდება  
ისეთია ჩემი გული,  
ვითომ კერიას უმზერდე.

\*\*\*

აიაა, ბაიაა,  
ბაიას სწორზე აღდგომაა,  
ქრისტეშობა და კალანდაა,  
წყალკურთხევა დიდი დლეა.

\*\*\*

მაისის წვიმა ოქროა და  
იენისისა — ვერცხლი,  
ივლისის წვიმა მდულარეა  
და აგვისტოსი — ცეცხლი.

\*\*\*

იცეკვე გოგოვ და იკუნტრუშე,  
ამისთანა ცეკვა საიდან ისწავლე,  
აქეთ მოგოგმანდი, თვარა,  
იქნებ სულაც მოგიკვდე.

\*\*\*

შეყვარებული მიყვარდესო, ნანა,  
ჩემს ოჯახში უნდა ტრიალებდესო, ნანა,  
ფეხებს უნდა მბანდესო, ნანა  
ყელს უნდა მიკოცნიდესო, ნანა.

\*\*\*

შენსა და ჩემს სიყვარულში  
ჩაეტევა დიდი გორა,  
იმა გორაკს გადაივლი  
მერე რა (ჭირი) ვქნა თორემ.

\*\*\*

გოგო, როგორ ინაზები,  
იქნებ სულაც არ გწამდე,  
მაინც თავზე შემოგეველე,  
სითკენ წალერწამწამდე.

\*\*\*

მთაზე ქვა რომ აკოსია,  
ბარში ჩასაგორებელი,  
გოგო თვალს რომ აგრიანებს,  
ყმაწვილკაცის დასაღუბი.

\*\*\*

ვაი, შური, საყვარელი,  
მუ კოჩი რე შაყარელი,  
აკას ფერი ვეგნოძუნი,  
ჩქიმე ცოროფილე ვაშარენი.

\*\*\*

გური შეწუხებულე მათუ,  
შური აკოკორობილი,  
ნიტე ართო ქოპუანი,  
მა დო ჩქიმი ცოროფილი.

\*\*\*

ცაცხუს ჯინს ვითვოხექე,  
ბორია მიქაქალუანს,  
ცოროფილიშე ნარაგადა,  
გურცუ მიცხვანტალუანს.

\*\*\*

ოჩხომესი ჩხომი ბჭოფი,  
ოქუალეს დაჭაჭია,  
ბოშეფს ქუენურცხონაფუნა,  
საარშიყო ფაჭაჭია

\*\*\*

სქან ცოროფა მილუანს,  
ცუდეს ვამორინუას,  
სითუ მიგოცოთანსუ დო  
მათი მუმოდინუანს.

\*\*\*

მა დო ჩქიმი მაჭუალი,  
წორო ვორდით ამჭუანი,  
ასეთ ვაფშუ სოდე დობდვი,  
ნამ ხვარჩინე დო ნამ ჩუანი.

\*\*\*

ჭიქე ორქო ქოპუას,  
ჯიბეს ქელმოკვაკუას,  
მუშ მამალას მიმეშორი,  
ნიტე შურო ვაპუას.

\*\*\*

ტანი მშვენიერი გილუ,  
ულა გიჩქუ სი სქვერიში,  
ჭირი ქობლოლამუდასუ  
სქანი ჩელა კისერიში.

\*\*\*

მახა, მა სქანოთ კირიბი ვორდა,  
ირი გაჭირებაში გალუაფარი,  
მახა, მა სქანოთ სანთელი ვორდა,  
ხატიშე წოხოლე ონდლულაფარი.

\*\*\*

ვაი, სულე, საყვარელო,  
რა ხალხია შეკრებლილი,  
ფერ ერთსაც აღარ ადევს  
რომ არა ჩანს ჩემი სატრფო

\*\*\*

გული შეწუხებული მაქეს,  
სული — ამომდინარი,  
ნეტავ ერთად გვამყოფა  
მე და ჩემი შეყვარებული.

\*\*\*

ცაცხვის ძირას ვზივარ (და)  
მიქიქინებს ნიავი,  
შეყვარებულის ნაამბობი  
კაკალ გულში მოუსვენრობს.

\*\*\*

სათევზაოში თევზი დავიჭირე,  
ჯილეებში კიბორჩხალა,  
ბიჭებს გადაუვარცხნიათ,  
სააშიკო ქოჩრები.

\*\*\*

შენი სიყვარული დამივლის  
შინ არაფრით მაჩერებს,  
შენც დაგლუპავს (იცოდე) და  
მეც დამაქვესკენლებს

\*\*\*

მე და ჩემი დამნაცრავი  
ერთად ვიყავით ამ დილით,  
ახლაც არ მახსოვს სად დავდგი  
რომელი ჩოგანი და რომელი ქვაბი.

\*\*\*

პატარა ოქრო მქნა  
ჯიბეში ჩამასკუპნა,  
რა მალისად მომშორდი,  
ნეტავი სულ არ მამყოფა.

\*\*\*

ტანი მშვენიერი გაქეს  
სიარული იცი შენ შველისა,  
ჭირი შემომყროდეს  
შენი თეთრონი ყელისა.

\*\*\*

მახა, მე შენთვის კრავი ვიყო  
ყოველი გასაჭირის შესაწირი,  
მახა, მე შენთვის სანთელი ვიყო,  
ხატის წინარე დასაღვეთი

\*\*\*

თიზმა გიციინუდას,  
მა სი მუზმა მონგარე,  
თქვან გურ დაქეჭებდას  
მუსხით ჩქიმი მონკარე.

\*\*\*

იმდენი გეცინოს  
მე შენ რამდენიც მათირე,  
თქვენი გული ამჩატებულიყოს,  
რამდენადაც ჩემი მძიმეა.

\*\*\*

სინჩხე მათუ, ჩხურუ მათუ,  
ლუმა ვადომრულუათუ,  
მუშენია, ბკითხენტუ და  
გური გიშამეუნუათუ.

\*\*\*

მესიცხება, მამცივნებს,  
წუხელ არ მიძინია,  
რატომო თუკი მკითხავთ  
გული გადამიყოლებია.

\*\*\*

ვო, ბჟა, ვო, თუთა,  
ვო, ჩქიმი თამურია,  
წყარი რჩაო, ღვინი რჩაო,  
წყარიშგ მოლე დოირჩაო,  
ვო, ბჟა, ვო, თუთა.

\*\*\*

ჰო, მზევე, ჰო, მთვარევე,  
ჰოი, ჩემო თამურია,  
წყალი გასვა, ღვინო გასვა,  
წლების გაღმა გაგიშალო ლოგინი?!  
ჰო, მზევე, ჰო, მთვარევე.

ხედავთ, ოთხსტრიქონიანობა დაირღვა. ეს კანონიკური ახირებულობა თქვენი მონა-მორჩილისეულია, თორემ ზოგი მათგანი სამ-ოთხ ტაეპში ტკეპნის მიწას, ერთსა და იმავეს ღიღინებს გაფუჭებულ ფირფიტასავით. ჩვენ მიგვინიჭებია კონცენტრირებული მიზანსწრაფულობა. თავად სტრიქონის ოდენობა ლექსში გულუბრყვილობაა ახირებულ მათემატიკურ შეზღუდვებს დაეუქვემდებაროთ. სონეტის არტახები გასაგებია პოეტური ჭურჭლის მნიშვნელობით. იგივე ითქმის ტრიოლეტებზე, კანცონებზე, სხვა კანონიკურ საღეჭო ფორმებზე, მაგრამ მეგრული ხალხური პოეზია ჯერ ხომ პირველყოფილი მშვენიერებით იფშვნეტს თვალებს, თვითნაბადი ბრწყინვალეობით თავმომწონეობს ოსტატის წინაშე, რომელსაც სულ მალე პიგმალიონის სხეულის სამშვენიისად გადაადნობს შემოქმედი იგი. და თუ ამ კუთხით კვლავაც გავაგრძელებთ კვლევადიებებს მეგრული ფოლკლორის კონტურების დასადგენად, ერთობ მოზრდილი ულუფა შემოგვეგებება სულის საღაღობოდ და სათრეველად.

\*\*\*

ვოჯანუქ ჩქიმგ ჯარგვალს,  
კარგ კილერო, უმინჯურო,  
ქუმორთ ჟირი მაჭირხოლქგ,  
ღურჭულესუ მხიარულო.  
ქიგმაშინგ ცოროფილქგ,  
გურქ მიმაჭუ უგემურო,  
ცუდეს თეშგ მილემგარქგ,  
მუჭო ჩქგჩქი უძუძურო.  
დობლური და დომინგარი,  
გომიტახი საფულე,  
სქანი ჭიჭე კუჩხეფითუ,  
დიხა ქიმნოჭაპულე.

\*\*\*

ვწევარ ჩემს ძელურში,  
კარდახშული, უპატრონო  
მოფრინდა ორი მერცხალი,  
იჭიკჭიკეს მხიარულად.  
გამახსენდა შეყვარებული,  
გული მომეწვა უსიამოდ  
სახლში ისე ვსტირივარ,  
როგორც ჩვილი უძუძური.  
თოკი მოვკვდე დამიტირე,  
გამითხარე სამარე,  
შენი პაწა ფეხებით,  
მიწა დამატკეპნე (ზედ).

\*\*\*

სერი რე დო ჩე გოლას,  
ამარგ გურქუ გეკოლას,  
ჩქიმო თუთა ვათუთენს,  
ორთუმელმა მეხოლას,  
ცოროფილცუ ქუგურე,  
ღუდმა მუთუნ ველოლას.

\*\*\*

ღამეა და თეთრ მთაზე  
აგერ, გული ამოვარდეს,  
ჩემთვის მთვარე არ მთვარობს,  
სასთუმალთან მეახლოს.  
შეყვარებულს ვამსგავსე,  
თავს არაფერი აუხიროს.

\*\*\*

ვარდისუ დო ჭუჭყელესუ,  
წორო ნოღვედესუ ბინა,  
ვარდის ჯუნა ქოხვადუდდა,  
ჭუჭყელესუ — მიკოჯინა?  
ჟირიხოლო მაფალუ რე  
განგებაში ენარჩქინა,  
მუშე ნაგორა მუს ცუნსენი,  
ბედნიერი ორე თინა.

\*\*\*

ვარდსა და ჭინჭარს  
რთად ჰქონოდათ ბინა,  
ვარდს ალერსი თუ ხვდებოდა  
ჭინჭარს — შემოხედვაც არა?!  
ორივე მოყვავილეა  
განგებისგან დანაბადი,  
თავისი გამორჩეული რომ მიჰყავს  
ბედნიერებაა, დიახაც.

\*\*\*

ირი ქიანა დომილებუ,  
ზესქვიშე სქუა — მართვეშენი,  
ბოში დუდი მუს მორწონსუ,  
ჩე ქილა დო ღართიშენი,  
თინათ შხვასუ უჩუქებუ,  
მუში შურის მარდიშენი.

\*\*\*

ყოველი ქვეყანა მომივლია,  
შაშვის შვილი — მართვეს გამო,  
ბიჭო თავი რისთვის მოგაქვს  
თეთრ მასრის და ჩოხის გამო,  
ისიც სხვას რომ უჩუქნია,  
თავისი სულის სამადლოდ.

\*\*\*

აშო ბოში, ცალაია,  
სი ჩქიმე ოჟღვარტალაია,  
სქანე მენდულცუ მუშო მოკო,  
ქარვასლა დო სარაია,  
სი სქანე ნაბადე მალეჯუმე,  
მა მალვენუ დარაია,  
ვართე ზოთონჯი მეცილებნა,  
ვართე კვირკეში ჩხანაია.

\*\*\*

აქეთ, ბიჭო, შფოთისთავო,  
შენ ჩემო ტანშხვართო,  
შენს მოიმედეს რისთვის მინდა  
ქარვასლა და ბოხმახი,  
შენ შენი ნაბადი წამოიყოლე,  
მე მექნება დარაია,  
არც ზამთარი დაგვაკლებს რამეს,  
არალრც ივლისის ხვატი.

\*\*\*

ვოისარაიდა, ვარალო,  
სი მართალო სარალო,  
ჩქიმი დუდი ქიმერჩას,  
ლურიშე მიოსვარალო.  
სი დობჭვი დო სი დობხალი,  
სი რე მომიკიონტე,  
ირკოჩე თესუ მირაგადე:  
თე ცოროფა მიოტე.  
მარა ენა ვემმატებე,  
შური მიდგუ დიოდე,  
მალას ქომიძირუდას,  
ხასლას ელმაფიორდე.

\*\*\*

ვოისარადა ვარალო,  
შენ ნამდვილად საბრალოვ,  
ჩემი თავი გაღირსა  
ძილის მისათლელად.  
შენ დამწვი და შენ დამდაგე,  
შენ დამასხი თავს რეტი,  
ყველა ამას მეუბნება  
ეს სიყვარული დააგდე.  
მაგრამ ამას ვერ ვენსნები,  
სული მიდგას სანამდის,,  
(ნეტავ) მალე მენახოს  
გვერდით დაფოფინებდე.

ვეონებ კმარა კრიალოსნის მარცვლა. სანამ ჩვენს წამლები სტრიქონებისაკენ გადავეშვათ. თითებს ქარვის სიყვითლე მისძალებია, შედარებით გულ-

\*\*\*

ჩქიმი ცოდა უღუდასუ,  
მიდგაშე დაჩხირე მა ბჭუნსენი,  
ნანა, მუში მანწარა რე,  
გიცორსუ დო ვარცუნსენი,  
ხოლო უფრაშე თინა ორე,  
ელუქუ დო ვამურსენი.  
გვალო დუდიშ ოკვილარი,  
კისერს ნტყოლუნს ხამუსენი —

\*\*\*

ჩემი ცოდვა ჰქონოდეს,  
ვისი ცეცხლიც მე მდაგავს,  
დედა, რაოდენ მწარეა,  
გიყვარდეს და აღარ გყავდეს,  
კიდევ უარესი ის არის,  
რომ ელი და აღარ მოდის,  
სულაც თავის მოსაკლავი,  
ყელში დანას რომ დაფლავს.—

შხვამ ცუბურს რე მიკოსქვილი,  
მოჭვაცალო ვალუნსგნი,  
კანკალეშა ტუს იხვატუნს,  
თოფურ ხვადუდ ნამუსგნი,  
არკვანს ძალით უკვანწუნს,  
მუშოთ იჩილამურსგნი.

\*\*\*

მუჟამს იხი შერენსგ დო  
ზღვა დო გვალას აკათუნი,  
მეხი კირდეს ონდლულუნს  
დო ზღვას კართე აკართუნი.  
მუჟამს კონკა დიხას წაწუ,  
რობუს ნოცორგ აკარდუნი,  
მუჟამს ქუა ზღვას ენოდუ,  
შონური დო ლაკადური.  
მუჟამს სქუა ეირჩქინდუ დო  
ლიმუაშოთ ვაგარდუნი,  
მუჟამს ჟინცა ჟინცა ვარე,  
თუთას მურიცხგ ვაქარგუნი,  
მუჟამს თოლფეგ ჩილამურიმ  
ძიძიათ მახარგუნი,  
მუჟამს დიდაქ ვამანთხორ დო  
მუჟამს მუმაქ ვამარგუნი,  
სი სო რგორა მა თე დროსგ,  
ვარა ხუჯგ მუთე ვამართუნი,  
ხუცგ თიმწკუმა მისქვამენქო,  
მუჟამს რინაქ გამათუნი?!

\*\*\*

ირფელგ მოსალოდნელი რე  
კოც ღურაშა მოხვადას,  
მარა ოკო ვაშქურნას დო  
ქომოლური დოხვადას,  
ცხენგ თოხარიკგ ქორცუნსგ დო  
სადარგ რდას დო ნოლა რდას,  
თუდო რობუ ეთგობდას,  
ოლონს ჟიშე ბოგა რდას,  
ჩხორო ღურუ რძირძონდას,  
ოლონს თელა გოხვარდას,  
ყროფილი ქორცუნსუ დო  
შარა ჩალამ-თორსა რდას,  
დუცუ ჭკუა ქორდასგ დო  
თუმაშენი ქორსა რდას.

\*\*\*

მუჟამიშა უჩა ბედი,  
მა თაშგ გილამცუნანქუნი,  
უკულგ რენო მაკეთენქგნ,  
ხესი ქეშგოლინუქუნი.  
მუს გიჩირთი ქომიზოჯი,  
მუს რე გილმონდურუქუნი,  
ჭკვერშე ხვადუ პატიება,  
მეჩირთასი ცურუქუნი.

სხვის კერას ხარ მიჯაჭვული,  
კრუხივით რომ ქოთქოთებს,  
შიგადაშიგ ტუჩებს იკენეტს,  
თაფლი ხვდებოდა რომელსაც,  
აკვანს ძალით მიმოარწევს,  
თავისთვის იცრემლება.

\*\*\*

როცა ქარი გიჟმაჟობს და  
ზღვას და კლდეებს შეერევა,  
მეხი კლდეებს აღნობს  
და ზღვას კალთები ეკეცება,  
როცა კენწერო მიწამდე დახრილა,  
უფსკრულს პირი ა ამოქოლება,  
როცა ლოდი ზღვაში აგდია,  
სვანეთისა და მთიანეთის,  
როცა შვილი გიჩნდება და  
ომისათვის აღარ გეზრდება,  
როცა ზეცა ზეცა არ არის  
მთვარეს ვარსკლავი არ ქარგავს,  
როცა თვალები ცრემლის  
მძივებისგან იტვირთება.  
როცა დედა ვერ დავმარხე,  
როცა მამა ვერ ვიგლოვე,  
შენ სად გეძებო მე ასეთ დროს,  
ან მხარი როგორ არ ამექცევა,  
მხარს მაშინლა დამიმშვენებ,  
როცა ყოფნამ მომიტავა?!

\*\*\*

ყველაფერი მოსალოდნელია  
კაცს სიკვდილამდე შეემთხვეს,  
მაგრამ უნდა არ შეშინდეს  
და ვაჟკაცურად დახვდეს.  
ცხენი თოხარიკი იყოს და  
გინდ საღარი იყოს, გინდა ნოლა,  
ქვემოთ უფსკრული გეფინოს,  
ოლონდაც ზემოდან ხიდი გედგას.  
ცხრა სიკვდილი გძიძგინდეს,  
ოლონდაც სიცოცხლე გწყალობდეს,  
თუკი შეყვარებული გაგაჩნია,  
გზა გნებავს ტალახიანი გედოს,  
თავში ჭკუა იყოს და  
თმისა მხრივ მელოტი იყოს.

\*\*\*

როდემდინა შავო ბედო,  
ასრერიგად მატარებ,  
შემდეგაა ამაშენებ  
ხელში როს ჩაგადნები.  
ბრძანე, იქნებ ვერ მიგიხვდი,  
ნეტავ რაღას მემდური,  
ჭკვიანისგან ხვდება პატიება  
რომ შეეშალოს უცოდინარს.

აკა მუთუნ ჯგირ ქომუჩი,  
უსამართო ვარეჭუდა,  
ქომუჩი დო მიდამილი,  
ჯგირო ვემიბხვარენქუნდა.  
მიმაჩამალგ, მიდმაღალარგ  
ეგებ შხვა დო შხვა რეჭუდა,  
ჟირიხლოქ დომილური,  
ჩქიმო აკა ვარეჭუდა.

ერთი რაიმე კარგი მომეცი,  
უსამართლო რომ არ იყო,  
მომეცი და კვლავ წამართვი,  
კარგად თუ ვერ მოვიხმარე.  
მომნიჭებელ, წამრთმეველი  
იქნებ სხვადასხვა იყო,  
ორივე ნუ მომიკვდებით  
ჩემთვის ერთიც რომ არ იყო.

\*\*\*

ნათქველგ რე ყორანი ყორანს  
თოლს დღას ველუღანსია,  
ჯოდორგ ჯოდორიშგ ტყებისუ  
ვახვატუნსუ დღასია.  
ხუც ქიმეჩანს ჯიმა ჯიმას  
და ქელუდორთ დასია,  
მარა ჩქიმო მითინ ვარე,  
ქიბშქვიდუდე წყარსია.  
ართგ ძვალგ მიშაბძგ უბედური,  
ბრალგ ვოულუ შხვასია,  
თისგთ გეიშამღანდანი,  
გომჩურუნდი ზღვასია.

\*\*\*

თქმულა: ყორანი ყორანს  
თვალს არასდროს ამოთხრისო,  
ძალდი ძალდის ტყავს  
აღარასდროს დაგლეჯსო,  
მხარს მისცემსო ძმა ძმას,  
და ამოუდგება დასო,  
მაგრამ ჩემთვის არავინაა,  
რომ ვიხრჩობოდე წყალში.  
ერთი ძვალი მაქვს უბედური  
ბრალი არა აქვს სხვას,  
იმასაც რომ ამომაცლიდნენ,  
გადავცურავდი ზღვას.

ჭამა მაღაში მოღის. შევჩერდეთ თუ განვაგრძოთ სვლა მეგრული ხალხური პოეზიის სიანკარის-  
კენ? ორიოდე შტრიხიც დაგვრჩა წარმოსაჩენი და იმედია, თვინიერი, უკეთ, გულისხმიერი მკითხველი,  
ამასაც მოგვიტევეს. გვიხსენებია ამ ლექსებისათვის დამახასიათებელი მოტორული საზომი შაირია, მაგრამ  
თავად შაირობას, კაფიაობას ერთ-ერთი წამყვანი ძალა ასაზრდოებს სხეულის სხარტულობის წარმოსაჩე-  
ნად — ენამოსწრებულობა შეწყვილებია პოეტურ აღმაფრენას, სიტყვისგების ფენომენს. რითმებით კენჭა-  
ობა და ბწყარებით ფარიკაობა ანაპერწყლებს ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს:

**მაყარე**

— დუდმაყარე გოხოლუქ,  
საბაია ბარღეფული,  
ხვალე მობრთინგ ვაიჩქუდას,  
ართო ვორეთ არყებული.

**მაყარი**

— მეწინავე მაყარი ვარ  
საბაია ბარღებელი,  
ნუ გგონია მარტო მოველ,  
ერთიანად გეახელით.

**მენძელი**

— ვითი ხოჯი დოიცილით დო  
ხოლო ვარე ბაღებული.  
არძა ართათ მუს მიშით,  
დუდგ რცოფუნა არღებული.

**მასპინძელი**

— ათი ხარი დავკალი და  
კიდევ არაა კმარებული,  
ერთიანად რომ მესტუმრეთ,  
თავაგდებული ბრძანებულხართ.

აღბათ, მისახვედრებელია, საუბარი საითკენაც მიმყავს. იტყვიან ხოლმე: ფოლკლორიო, ხალხური პოე-  
ზიაო, იმას კი ვივიწყებთ, რომ ამ კრებითობის, ამ ამორფული ინდივიდუალობის შემმუსვრელი გაურკვევ-  
ლობის მიღმა, კაშკაშებენ ვარსკვლავებივით რეალური პიროვნებანი, რომელთაც მერე და მერე წუთისოფ-  
ლის მსახვრალი ხელი დიდის მონღომებით მოაყრის ხოლმე დავიწყების ხენემ ქვიშა-ხერ- გილებს. კაკა ჟვანია  
ისეთივე საღსალამათი პიროვნებაა მეგრული პოეზიისათვის, როგორც — იაკობ აკობია, ლადი სალაყია,  
დიდი დანიელ ფიფია, თუ სულაც ახლახან აღმოცენებული მათი შთამომავლობა. ავტორობის წინასწარ  
დავიწყებისთვის განწირულ სტრიქონებს გულმოდგინებით დაჰფოფინებენ ისინი და წამითაც არ ეპუები-  
ან ბორჯალთა მომაკვდინებელ ჩაქუჩებს სამზეოზე ამოტივტივების ჟამს. ეს ხალხი ძალზე ცოტაა,  
სხვადასხვა ხელწერის, სხვადასხვა ტემპერამენტის თუ პოეტური ბიოგრაფიის:

**მურთაზ ჩახავა** ღვთიურ გზას გაჰყვა, ეპისკოპოსია, იოანე-იონად წოდებული, მაგრამ უფაქიზესი ლირი-  
კით იმთავითვე მოხიბლა პოეზიის მოყვარული ათასობით გული. ხალხური წილიდან ამონაზარდია მისი

სიმღერა, შაირის დიაპაზონის და მინც კონტრაპუნქტივით ცვლადი დოდან დომდე.

**შუკო ჯიქია** პროფესიონალი პოეტი. რომანის ავტორი. სიტყვის ძარღვიან მაჯისცემას დადარაჯებული, საკუთარი კუთხე-კუნჭულის მეციხოვნე და, ალბათ, შეუდარებელიც სხარტულებით, კაფიებთ, ფუნაგორიებითა თუ ფერწერული მიმართებით სტრიქონ-სტრიქონ. ჩვენც გავშაირებთ ვართ ერთიმეორეს სიჭარმაგის წლებში, რომელსაც სანახევროდ მინც იხილავთ „ოქროს საწმისის“ წინდებულ გამოცემაში. აქ დამატებით შეიძლება გაცხადდეს, რომ „შუკო ჯიქია თავისი პოეტური პლასტიკით დანიელ ფიფიას პირდაპირი ჩამომავალია, ამ მართლაცდა თვითნაბადი პოეტის შეუდარებელი პოპულიზატორი და თავდაც იშვიათად გამოგვიძერწავს ხოლმე ოქროსხმულ სტრიქონებს.

**ლაშა გახარია** წერილის დასაწყისში დაბეჭდილი „ხოჯორიას“ ავტორის, კაპიტონის, ვაჟია, პოეზიის მადლსა და სიჯიუტეს დაჭიდებული მოთმინებით. ცაბათთან მარკინალი იაკობივით გააქვს წუთისოფელი და მინც კმაყოფილია, ნეტარი, ვინაიდან დარწმუნებულია: ვერაფრით შემოვიდოდა ჩვენში დუ ფუ, ბო ძი უი, ხე ჯი ჯანი, ჰაფეზი, პუშკინი, ლონგფელო, თუ სხვანი და სხვანი, რომ არა მთარგმნელობითი პრაქტიკა; ლექსის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე ფრიად უმადური შრომაა ათადან და ბაბადან მოყოლებული (თვალსაჩინოების მიზნით ამას ქვემოთ ერთ-ერთი ჩემული ლექსის, „მშვილდ-ისრის“, თარგმანით გავიამკარავებთ უფრო ხელშესახებად), აქსიომაა: არსებობს დიდი და პატარა ენის ბაჯალლო პოეტი და მათ შორის სასწორის პინის მერყობას სრულებით ვერ დაეჭობაგება მილიარდზე მეტი ჩინეთი თუ მილიონზე ნაკლები სამეგრელო; მართლაც, საცოდაობაა გენიოსებს შორის საზღვრის დადგენა მათი ლიტერატურული მემკვიდრეობით. გენია ყველგან გენიაა. უდაბნოშიც ძალუძს მას ძალუმად იხეთქოს მიკროოაზისის შესაქმნელად. და ცოტაა განა ყოველივე გრანდიოზული ხრიოკი ქვიშის დაოკების გზაზე?

ლაშა გახარია ტელეფონიდან მიკითხავს ხოლმე სულისშემძვრელ სტრიქონებს. ამას წინათ პოეზიის საღამო გამართა უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში, ჩვენი პოეტური ნათლობის კათედრიდან, მაგრამ ვირწმუნე, ძუძუენაზე მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, რომ არა ზოგადეროვნული მწერლობის შიში: **შეხედეთ, ქართული ენის მოღალატე! ქართული ენის მტერი!** ეს განცდა თითქმის ყველა დამწყებ თუ დაბეხრეკებულ პოეტს

თრგუნავს ჩვენი კუთხიდან, მხოლოდ თქვენს მონა-მორჩილს გადაულახავს იგი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებულს; იმის რწმენით, რომ ჩინელისთვის, არაბისთვის თუ ბრიტანელისთვის უმნიშვნელოა რომელი კუთხის კილოკავით იფერციავებს მისთვის სათარგმნელი მასალა: ქართლურით, კახურით, ფშავ-ხევსურულით, სვან-ურით თუ სულაც — მეგრულით; მთავარია, რომ ეს პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე „ქართულის“, დიახ, „ქართულის“ იმიჯით გავა, როგორც ეს აქამდე მოხდენილა ჩვენი ფოლკლორული ანსამბლების ჯადოქრობით. მსოფლიო მაყურებლისთვის განურჩეველია „ლილეოს“, „ოდოიას“, „მრავალქამიერის“, „ხასანბეგურას“, თუ „კრიმანჭულის“ სიტყვიერი ბაზისი. მისთვის თავად უანკარესი დედაქართულიც დახურულია. ერთადერთი პოლიფონიის შეუდარებელი ჰარმონიულობით მონუსხულა და პარალელს თუ ვავლებთ დასახელებულ ფენომენთან, აქ ოდენ ადგილი შეეცვლება თავად პოეტურობის მადლს, თავად სიტყვის გენიის თავისებურებებს, რომელიც მათემატიკური სიზუსტით გადადის ერთი ენიდან მეორეში ჰომეროსის ჰეგზამეტრული აზროვნების შესატყვისად. ამიტომაც მიმაჩნია პოეზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს თავად პოეტურობას, ხორცის ამოტანას გულიდან; ეს უმთავრესია ლექსისთვის, ვინაიდან გნებავთ უიშვიათესი რიტმისა და რითმის ჯეჯიმები, ბრდღვნად უვარგისი ჩიტის ბადალია თარგმნისას. ესეც რომ არა, გასათვალისწინებელია ბალადათა საშვილიშვილო ტრადიცია და ვაჟას განუმეორებელი პალიტრა: ეპიკური მასალის შეწინებვა ლირიზმთან. ამდენი იმისთვისაც გვისაუბრია პოეტ ლაშა გახარია ინდივიდუალურ სულთაფენაზე, რომ კარგა ხანია იგი ეპიკურ პოემას ეჭიდება, თანაც — მეგრულით, ესოდენ ჯვარცმულით და თავგადაკლულით ზოგადეროვნული ცნობიერების დასამკვიდრებლად. რამდენჯერმე შევხმინებთ ტელეფონით. სასურველი ნიმუშების მოპოვებას ვცდილობ. იმედია, სანთელ-საკმეველი თავის გზას ეწევა; და კიდევ ჩემს ხელთ არსებული **ფრიდონ კანკიას, თენგიზ ფეტვლაფას და გვანჯი სიჭინავას** სტრიქონები. აჰა, პოეტური სამშოს ხუთეული სამეგრელოდან, გიგანტი კოლხეთის ნაწყვეტი შურობუმუდან, რომელსაც ბალავრობის უპრეცედენტო ფუნქცია უკისრია უკვდავი საქართველოს მშენებლობის გზაზე, თუმცა უმჯობესია თავად ავტორებს დავუგდოთ ყური:

**მურთაზ ჩახავა**

\*\*\*

დიისერგ უსერეთ,  
ცა გიორე ონგარგ დღას,  
ქარგ იმბარს დო ფურცელეფს,  
ევრე-ავრე ოფართხანს.

გოვალგ თოლონჭეს,  
ცაქ გიხირიტ საბჟალეს,  
შქურნაფილგ ტორონჯეფქ  
გვალა გეგნიტკარჩალეს.

სო იდი დო სო ფურიინი,  
სო იდი დო სო ფურიინი,  
ქარწყექ მუჟო დობღურიინი,  
ნიტე ღურელგ ქოპუნინი.

გურქ ეკომცუ ქუმუცალო,  
თოლეფქ ემაფშე ვალუას,  
მუ გურზუ დო მუ მუცადუ  
ჩხანაშე გითოფალუას.

\*\*\*

დალამდა ულამოდ  
ცა დანათის გლოვის ჟამს,  
ქარი ქროლავს და ფოთლებს  
აქეთ-იქით მიმოყრის.

გაიელვა თვალსაწიერზე,  
ცა გაირღვა სამზეოში,  
დამფრთხალმა მტრედებმა,  
მთაზე გადაიტკრიალეს.

სად წახველ და სად გაფრინდი,  
სად წახველ და სად გაფრინდი,  
ხედავ რარიგად მოგიკვდი,  
ნეტავ მართლაც მკვდარი ვიყო.

გული დაიფშვნა ქუმელივით,  
თვალი ამევსო ელ-ქეჩით,  
რა გაუძლებს და რა მოუცდის,  
დარის გამოფოთლებას.

**ზრიღონ კანკია**

ქიჩი აკა მარგალურო,  
ვარექო მარგალი?!  
უჩხონჩხე დო უგურექ  
სოლე კილესარგალი!

ფურტინითუ გაკეთესო,  
ვარექო მანგარი!  
ქიჩი აკა მარგალურო,  
ვარექო მარგალი?!  
ვარექო მარგალი?!  
ვარექო მარგალი?!

ისაუბრე მეგრულად  
აღარა ხარ მეგრელი,  
უჯიგრო და უგულო  
მოთრეულხარ საიდან?!

ფურთხითა ხარ გაჩენილი,  
აღარა ხარ მაგარი!  
თქვი რაიმე მეგრულად,  
აღარა ხარ მეგრელი!

**ლაშა ბახარია**

ოდაბადე

ჟა-ოქმარეს ზესქვე გილახე,  
ჟა-ონჯუას — მელალური,  
სქანგ ოსქვებურქ ვამათქუნი,  
კოჩქ თაშე მუჟო ალაბღური?!  
ვართ მასქურო ეშმოლგ შურქუ,  
ქიგნოირქუე თუმასგნი:  
სქანგ უჯგუშო მის უჩქ, ცაშა  
მუ მეულუ კუმასგნი...

სამუოგლო

რტო-დილაზე შაშვი ზის,  
რტო-სალამოზე — მოლალური,  
შენი საკადრისი რომ ვერ ვთქვი,  
კაცი ასრერიგად როგორ მოკვდი?!  
არც მასქურად ამომხდა სული,  
გადაგიქროლო თმაზე,  
შენზე უკეთ ვინდა უწყის  
რანი მიაქვს ზეცად კვამლს...

ნარღიშგ ყას გილაჟონგქ  
პირსელიში მუმულჯგუა,  
გინაჟია სამარგალოს —  
ჯგირობუას უკუჩხუა.  
ირკოჩიში მენძელი რექ,  
გონჯლორუ სუმარუა,  
ნჭყოლირგ გურიშგ ლეცერი რექ  
ღურუს ცურუს უვარუა.

სქანგ წყურგილეფგ ვამკოროცხ,  
ჩხორო რე, ვარ... ვითოჩხორო,  
გურშე მუთი მორფუნცუნი —  
თის მეგუხექ ქვითორგ ჩხომო.  
ანწგ ვარენო ქომკითხენქ და  
ქიგლულგ, ქიგლებლანთირუქ..  
ოში ქიანა მიბლი, მარა  
ნამთინიშა ვამთირუქ.

რუმე სერიშგ ლანდღვე თოლც  
თუთაქ სინთე ქალაჭვალგ,  
ჭველეფქ ნირსი გეგნირცხონეს,  
მურიცხეფი იჭვარჭვალგ,  
ჭილამგ ნეძიქ გამკოლგ დო  
ჟურუმ ქუას გიკაჭალგ,  
აურე ხობწყარგ მოშინთანც,  
ეურე მაფერგ მიკვაჭალგ.

სოფელც კამაცალო ლურცგ  
ელვოჯინექ აკანგ ცას,  
წიწინაფილგ ჩაფლა ლულის  
ბერწულგ ათაკარკაცანც.  
თუთარჩელა მუნმოქუნცუ,  
თოლგ მეთხოზგ ნაკვაცას;  
ღია, მუ რე თე ბუნება —  
ირფელცგ მუჭო დაკვანწანს?!

ლანჯეფი დო თხუმუეფი  
ოჯალეშით გონაბადე,  
მალას მაჭარგ გობორდიშანც —  
ბრელგ ბორულიშგ მორაგადე,  
გედგ შქირენი, თე ტაბაკი  
ჯგირგ დო სქვამით მორაბადე;  
გაკოკურცხითგ ჯიმალეფი,  
დომხვამითი ოდაბადე!

ნადვლის რტოზე დავანებულხარ  
ნათლიმამის მამალივით,  
განაკივლები სამეგრელოს —  
საკეთეს მეკვლეობ.  
ყველასი მასპინძელი ხარ,  
გეხამუშება სტუმრობა,  
დაჭრილი გულის მალამო ხარ,  
სიკვდილს სუროს უკუაყრი.

შენი წყაროები არ დამითვლია,  
ცხრა არის თუ ცხრამეტი,  
გულიდან რაც აღმოსკდება —  
იმას ვეკვრი ქვირით-თევზად.  
აწი თუკი მომიკითხავ,  
დავალ და დავეთრევი,  
ასი ქვეყანა მოვლიე,  
ერთზეც არ გამიცვლიხარ.

მრუმე ლამის მღვრიე თვალს  
მთვარემ შუქი ჩაწველა,  
თქმელამ ნისლი გადივარცხნა,  
ციმციმებენ მთიები,  
ჩამოვარდა კაკალი  
და სიბ ქვაზე გაკროლდა,  
აქეთ ქშუის ხობწყალი,  
იქით როკავს მაფერი.

სოფელი თვლემს კამასავით,  
ზეაეხედავ ცის თავანს,  
ლეღვებს გადამწიფებულთ  
ბროწეული შესცინის.  
თუთარჩელა მახურავს და  
თვალი მისდევს დანაკვესს,  
ნეტავ რაა ეს ბუნება —  
ვით დააწყობს ყოვლიარს?!

თელები და მურყანები  
ოჯალეშით დანაბდულა,  
დააბოდებს მალე მაჭარს —  
და ბევრ შტერულს ირატრატებს.  
წამოდექი შიმშილო და  
ტაბლა გაავსე პირთამდე,  
გაიღვიძეთ ძმობილებო,  
დამილოცეთ საბადისი.

თენა რღუო ჩქიმე სიზმარი —  
თოლც ალმაფაფუდუნი,  
ტყაშე მათაში ნირსი თუმა  
ანთას ფათი ფართხუნდუნი,  
ოჩოკოჩიმე ჩილამური  
ირფელც უჩათ ლაფუნდუნი,  
დიაჩქიმშიშე წირწინუა  
სოფელც აკმოკათუნდუნი?!

ბალანობას ლაკვანხირემც  
ართინცე ქიმვოჩინჩხოლანდი,  
ნოცეცხელი გოცენდგ ნი —  
თიზმა ფარას იფხონანდი,  
უკულე ბზოჯენდგ დიდ დადია —  
ორქო-ვარჩხილს გიფხომანდი  
დო თეჯგუა ჭყოლოფაშენგ,  
ლორონთგ, მარდის გიჯლონანდი...

მარა ირფელც ტყურა ცოფედ —  
ზღვაშე გინორღვაფილც ქვიშა,  
მუთუნც ვაგნორზებუედუ  
უგამაგაშე ჭარკონტიშა..  
ათაშე შქირენგ-ცუმენულქუ  
დუდგ ქიმიბლი შქაბორჯიშა,  
ჯიშტის გინოჭარუედგ —  
ჩხე ყებურიშე ნაბორდიშა!

აფხას მუთი გერჭარუნი,  
თინა ცოფე კოჩიმე ბედი;  
სკანგ დაჩხირსი ვაკარზანც  
შხვაშე კვეცი დო შხვაშე აბედი.  
ულუს ათვადვარკალუქი  
ალმარჩქილე მეჭეჭეთი,  
ამდლარგ დღაშა ჩქიმე მურიცხის  
ვამკოლაფუ აკა ჭვეთი.

მარა იშენგ გურგ მიძახუ,  
შური ხოლო წუმე ჯლონც,  
ჩქიმე ოხვამურგ ჯვეშე ლაგვანი  
ათუყურშუ ბირჯღალგ ჭყონც.  
ბირგულც ჭყანა აშარზუნნი,  
დუნჯარებუ ოჩო კოც,  
აგაფას ეკვოსქუქ დო  
წუმე ბედი მემიჯლონც.

ეგი იყო ჩემი ზმანა  
თვალში რომ მიცრიატებდა,  
ტყაშ მათათა ნისლ-დალალი  
რომ მხლართავდა ათასკეცად,  
ოჩოკოჩის ცრემლის ღვარი  
შავად თხვრიდა ყოველივეს,  
დედაჩემის შეკვივლება  
თავს უყრიდა დიდ-პატარას.

ბავშვობისას მუგუზლებით  
ერთურთს შევუჩინებდნი,  
ნაპერწკლები რაც ცვიოდა  
ვინატრიდი ფულს იმოდენს,  
მერე ვიყავ დიდ-თავადი —  
ოქრო-ვერცხლში ვბანაობდი  
და ამგვარი წყალობისთვის  
ვუმაღლოდი მაღალ უფალს.

თუმც ყოფილა სულ ტყუილი —  
ზღვაში გადაყრილი ქვიშა,  
თურმე ვერა განაძლება  
უთავბოლო ბორიაყებს  
ასე მშიერ-მწყურვალემ  
თავი მოვიტანე შუალამემდე,  
თურმე ჯიშტზე წერილყო  
ცხელ კერიის ნაბოდვარი.

მხარზე რაიც გაწერია,  
ის ყოფილა კაცის ბედი,  
შენს ცეცხლს ვერაფრით დააგზნებს  
სხვისი კვესი და აბედი.  
ულელს ველოდიალები,  
ჩამესმება ალქაჯური,  
დღევანდლამდე ჩამს ვარსკვლავს  
წვეთიც აღარ დაკლებია..

მაგრამ მაინც გული მერჩის  
სულიც კიდევ წინამძღვრობს,  
ჩემი სალოცავი ძველი ქვევრი  
შეყუჟვია გაბარჯულ მუხას  
მუხლში ძალი რომ აგზნია,  
შეშურებია ოჩოკოჩის,  
კავს ვარ გამოკვანძული და  
ბედს წინარე ვმეგზურობ.

გოლა ფანდურც ქიგუბარდლე  
 „ოლოია“ ქიგვობირი,  
 შორს მალაღურქ ქიმიოთვალღ,  
 გობიბრონდი, შურგ მიფხირი.  
 ჯვეშე ორკოლი ქიფხვამილე,  
 ქინვოლაფი ხერკეს ღვინი,  
 ღურელეფცი შურგ ქუშინე,  
 თელღ ღო ღურელღ ქიგიბშინი.

გუშინ ფანდური ვაჟღარუნე,  
 „ოლოია“ დავამღერე,  
 შორიდან მოლაღურმა დაიქვითინა,  
 ვავშეშდი და სული გავკმინდე.  
 ძველი კოკა ავიტაცე,  
 ჩამოვღებე ხაპით ღვინო,  
 მკვდრების სული მოვიხსენე,  
 ცოცხალი და მკვდარი გავიხსენე.

**ზორჰი სიჭინავა**

**თხუმე**

**თხმელა**

ჯიმაცალო საიმენდო,  
 საჯოროფო თხუმე,  
 ვამთასღქ, ვამირგღქ,  
 სქანით ქუმოირთუმე.  
 ჩქინო ვარე თავადიში  
 მოინალე ჭყონი.  
 სი ორექ ქყორეფწკუმა  
 მართალი ღო ბონი.  
 არძა ჩქიმი გაჭირება  
 სქანდა მიკომპონღ,  
 სქანღ იმენდით ფთასუნუქღ ღო  
 სქანღ იმენდით ფხონღ.  
 ჩქიმი შური ქოთომცალო,  
 სქანღ ეს გილამქონღ.  
 თხუმუშე ღანდა,  
 თხუმუშე ბოგა,  
 თხუმუშე დიშქა,  
 თხუმუშე ოდა,  
 თხუმუშე ქვინჯე,  
 თხუმუშე კუბო...  
 სი ორექღ ჩქიმი მინჯე,  
 დიხაშე ჟი ღო  
 დიხაშე თუღო.  
 ჯიმაცალო საიმენდო  
 საჯოროფო თხუმე,  
 ვამთასღქ, ვამირგღქ,  
 სქანით ქუმოირთუმე.

ძმასავით საიმედოვ,  
 სასიყარულო თხმელავ,  
 არ მითესიხარ, არ მიმარგლიხარ,  
 შენითვე მოსულხარ.  
 ჩვენთვის არაა თავადის  
 მომსამსახურე მუხა,  
 შენა ხარ მუხასთან  
 მართალი და სწორი.  
 ყველა ჩემი გასაჭირი  
 შენთვის ამიყუდებია,  
 შენი იმედით ვთესავ და  
 შენი იმედით ვხნავ.  
 ჩემი სული ქათამივით,  
 შენს ქანდარაზე ზის.  
 თხმელის ღობე,  
 თხმელის ბოგირი,  
 თხმელის შეშა,  
 თხმელის ოდა,  
 თხმელის როდინი,  
 თხმელის კუბო...  
 შენა ხარ ჩემი პატრონი  
 მიწის ზევით და  
 მიწის ქვევით  
 ძმასავით საიმედოვ,  
 სავარელო თხმელავ,  
 არ დამითესიხარ, არ მითოხნიხარ,  
 შენითვე მოსულხარ.

**თინგი ვიტელავა**

**ფანდური**

**ფანდური**

ვო, ფანდური, ფანდური,  
 სქანღ ტანღ ნამღ ტყას ჩანღუნი,  
 მახოხია ჯაშქვიღღ,  
 კისერს გითოიფშანღუნი.

ჰე, ფანდურო, ფანდურო,  
 შენი ტანი რომელ ტყეში ხარობდა  
 ხემხრჩობელა მცოცავი  
 ყელს რომ ამომივსებდა.

ვო, ფანდური, ფანდური,  
 სქანღ ტანღ ნამღ ტყას ჩანღუნი,  
 ნამღ ბორია გიქინძუნღღ,  
 კაბას ეკოღანღუნი.

ჰე, ფანდურო, ფანდურო,  
 შენი ტანი რომელ ტყეში ხარობდა  
 რომელი ქარი გწეწავდა,  
 კაბას რომ აგხდიდა.

ეჭეჭეი, ფანდური,  
ტყა ხომ ქორთხილანდუნი,  
ამდლა ჩქიმგ ხე გითხობხვასუ,  
უკვდებაში მანგური.

ეჭეჭეი, ფანდურო,  
ტყე ხომ გმეურვეობდა,  
დღეს ჩემი ხელი გეხვევა  
უკვდავების მაგვარი.

სქანგ გოლვაფრო ფანდური,  
გიცორს ხინტურ-ხანტური,  
საქორთუოს ქიგნაქუნი,  
სქანგ ჭუეფიშგ შქართუნი.

შენ შემოგველე ფანდურო,  
გიყვარს მიეთ-მოეთი,  
საქართველოს გადააფარე,  
შენი ტკივილების საბანი.

**უპო ჯიქია**

**კუჩხბ**

**ბელობა**

ლუმა გიმასისმარგ:  
შალკო ჯიქიას ცუდეს,  
შეფა ქორდგ ქონწყუმილგ დო  
მოინალეფი ცუნდეს.

წუხელის დამესიზმრა  
შალიკო ჯიქიას სახლში,  
სეფრა იყო გაშლილი  
და მწღეები ჰყავდათ.

ფართას რდგ არძა კარი,  
არძა გინალ-მინალგ,  
მუდგარენს ელუდეს დო  
მეჭყადილგ რდგ ნინალგ.

ფართოდ იყო ყველა კარი,  
ყველა გასასვლელ-შესასვლელი,  
რალაცას ელოდნენ და  
შემწყდარიყო მომსახურება.

მინგ ლობერზე გინმიჯინედ  
დო მინგ შარას ქიგლარდგ,  
ხოთო ქიფჩინგ, ლულუნგ ქიფჩინგ,  
თურმე გერდგნ გიგლა რდგ.

ვინ ლობიდან იმზირებოდა  
და ვინ გზაზე იდგა,  
ხოთო ვიცანი, ლულუნი ვიცანი,  
თურმე რომ იდგა გიგლა ყოფილიყო.

თუდოლეშე იჯინედეს,  
თეურეშე ელუდეს,  
ბუხუტი დო ამერანგ  
ართიანს ელურდეს.

თავქვემორე იმზირებოდნენ  
იქიდან მოელოდნენ,  
ბუხუტი და ამირანი  
ერთმანეთს ამოსდგომოდნენ.

უცფას შეფას მიდგარენეფქ  
გეტახეს ლაჭალგ,  
მუკვოჯინინგ — არგუნამო  
კიმოქ გეგნიკვანჭალგ.

უეცრად სეფაში ვილაცებმა  
ატეხეს კამათი,  
რომ მივხედე — ნაჯახიანად  
კიმო გამოკვანჭალდა.

შალიკოშგ კარშე ჭიჭე თუდო  
ქორშუნანდა, ოსქი რდგ,  
ეთეიშა ქიმერთუნი  
კიმოქ ხოლო გოსქიდგ.

შალიკოს ჭიშკრის უცოტა ქვემოთ,  
თუკი გახსოვთ სალორე იყო,  
იქობამდის რომ მივიდა,  
კიმოც კიდევ გაშეშდა.

მაშქურინ დო მუდგა რდუნი  
ქეიშმაკურცხინ თეფერს,  
ვიშო ვეგებუნაფუთუ,  
სისმარქ ვაგმათებეს

შემეშინდა და რაც იყო  
გამომეღვიძა ამ დროს,  
იქით აღარ გავყოლილვართ,  
სიზმარი ვერ გავლიეთ.

დო ნაძირეფ სისმარგ რდგნი,  
მარდგ მეუჯღუნი ლორონთს,  
კინი ქიგნუოჯინ ჩქიმი განს დო  
არძა გეგნობკოროცხი.

და ნანახი სიზმარი რომ იყო  
მადლი შევწირე უფალს,  
კვლავ გადავხედე ჩემს მხარეს  
და ყველა გადავთვალე.

უკულე ფირქეფქ მიდამიღ დო მიმაჭვევ ართო გურქუ, ბრელს ეფშა აფე მალაზა დო ენებს ბრელი ურკუ.

მერე ფიქრებმა წამიღეს და დამეთუთქა ერთობ გული, ბევრს საესე აქვს ნალია და ამათ ბევრი უკლიათ.

ირკოც მეჩასგ დო ვარა, ვართგ მითინშო ვარდას, ათე ფიქრეფს ვორდინ თეში ქუგმოთანდღ ფართას...

ყველას მისცემოდეს, ანდა, ნურც ვინმესთვის იქნება, ამ ფიქრებში რომ ვიყავი თავზე ფართოდ დამათენდა.

გოთანდღ დო გოთანა რე, ამდლა რე კუჩხა, ღორონთი, მითინს ვემიარკა მუში თია ფუჩხა!

გათენდა და დილა არის, დღეს ბედობის დღეა, ღმერთო, არვის მოაკლო მისთვის კუთვნილი ლუკმა!

უჩა სისმარგ ჩეთ ეფუნსგ, არძას ჩეთგ გეუჟონი, ცაშა მუმული ქიგმუხუნე, ხასლას დაღული ქელუჯონი!

შავი სიზმარი თეთრად ცხადდება, ყველას თეთრად აუხდინე, ქანდარაზე მამალი დაუმკვიდრე, გვერდით დედალი დაუვანე!

აი, მეგრული პოეზიის არე-მიდამოს მიახლოებითი სურათი.

სიყვარული, სატრფიალო მოტივები აქ წამყვანი თემაა, მთავარი ძარღვი, თუმცა საყოფაცხოვრებო ინტონაციები კვლავაც ტოლისდამდები ფენომენია! ალევორიული მიმართებით, ქვეყნის ბედუკულმართობას მეტყველებენ ჩელა, ქედდაკორძებული ხარები თუ კამეჩები; მაფშალია კვლავაც უღელქვეშ გმინავს, იმ უღელს, სხვისთვის მთონხელ და სხვისთვის გამმორედებელ სესიას წითლად რომ გადაუღებავენ; კოლექტივის მუხუდოს ძველებურად იციცქნება ინგირთან ჩაცუცქული კურდღელი, ნიადაგ რომ უარობს, თუმცა აქა-იქ საჯაროდ დაიღრიალებს კიდეც ყასიდად; მეგრელი მესიტყვე ქვეყნის მაჯისძვერასაა მიწყვი მიყურადებული, ზარების დამრისხებელია უკეთესი მერმისისათვის, თუმცა სოციალური ფონი პოეზიის მასულდგმულებელ ლიბოდ მოშლილია ესთეტიკის მკვლევარ მეტრებთან, არისტოტელესთან, ჰორაციუსთან, ჰეგელთან.

რიტმის ერთსახოვნობის ფერხულში მდიდარია მეგრული ლექსის რითმის არსენალი.

„ვარდა თიშა, — ელაზღვარდალიშა“;

ანდა მისთვის — წასაშხვართებლისთვის;

„მუჟამს მოულგ საბა გონსუ — ქესხასუ თუ საბატონსუ“;

როდის მოეგები საბა, გონს კვირას თუ შაბათს;

„ქუაკათი — ჯა ბხორხი დო ქუა ბკვათი“;

შევერიე — ხე ვხერხე და ქვა ვჭერი;

„დოპუპტორი ხეთ ომბალე, ხეთეხოლო ქეთვომბალე“;

დავპუტე ხელით ომბალო, ხელად წავაყირავე;

„მუჭო ქოგუქგ კოს ილია, სი იშგ მიკოქოსილია“.

როგორ ჰგავხარ კაცს ილიავ, შე მართლა გასაქრობო.

„— ჭიჭე ცირა, მაჭირხოლი, ხინკი მუშენ ვახინკოლი? — დოფხინკოლინგ დომიჭვეს, ვაფხინკოლინგ — მომინჭეს“;

— პატარა გოგოვ, მერცხალო, ფიჩხი რისთვის არ დამატვირე? — რომ დავამტვირე, დამიწვეს, რომ არ დავამტვირე, დამცხეს;

„სი მახუტი, ნანა, სქუა, დო მა თაქი გიღურჭულა, ქარწყქ თურქი მუჭო მიხვენჯგვ, მუმასქანიშგ ნაბურჭულა“.

ჩამეკონე, ნანა, შვილო და მე აქვე გიგალობებ, ხედავ, თურქი რარიგ კოჭლობს მამაშენის დანაწალდი.

შორს გაგვექცა საუბარი. მეგრული პოეზია, დიხაც, ხელდაუქარებელი ჰუმუსია ახალ გენიათათვის. ასე რომ, ყველაფრის გათვალისწინებით უფლებამოსილად მივიჩნე თავი მოკრძალებით წარმომედგინა ლექსების საკმაოდ მოზრდილი კრებული, რომელიც საბოლოო იერსახით ავტორის მიდასვების მერმე წარმოჩინდება მთელი სისავსით; მანამდე კი წვეთ-წვეთობით თუ ნაკად-ნაკად ჯიუტი შეუპოვრობით მღოვრდება იგი სულის ხმანების კვალობაზე და კიდევ — ერთიც...

პოეტი, რომელიც სამებრელოში  
საქართველოს ვერ ხედავს  
ანუ ვეზუვმა ენა ამოიღა

**„იმნაირი მარტია და იმნაირი ამინდი... ძაღლიშვილი ვიყო, თუ ვიცოდე რა მინდა.“** — ჩივის გაუხარელი დროებით ძარღვებამოვლილი პოეტი ტერენტი გრანელის გახსენებაზე და, ვფიქრობ, 26 მაისისთვის, საქართველოს განთავისუფლების უაღრესესი, მობუზული თარიღისთვის გათვლილ, „ლიტერატურულ საქართველოში“ განუკითხავად ხელგამოვიღე „პოეტურ“ პუბლიკაციას ბატონ მურმან ლებანიძისას, შეუძლებელია უკეთესი უვერტიჟურა მიუსადაგო, გამაოგნებლად თავზარდამცემს, დიხაც, ისეთი რეტისდამსხმელს სწორედ, თავის დროზე ვაჟა-ფშაველას რომ შეძრავს აკაკის შემოძახილი: **„ენას გიწუნებ ფშაველო“** -ო.

სად მარგალიტების მთესვლის გენია და სად გური ოტობაიას უბადრუკი სუფევა?! მით უფრო, როცა ყვედრება-განჩინების ადრესატი პიროვნება კი არა, შენი კუთხე-საძვალეთია, მაგრამ თავზარი მაინც თავზარია — უთვალავჯერ უსამართლოდ ნაჯიჯნ სამეგრელოს აწ კაკალ გულში ლახვარიც ჩასობია და ეჯავგუშე რამდენიც გინდა გაფესვილი ორლესულის ამოძრობას!

მგოსანი მურმან ლებანიძე, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება ხელმწიფის ნავში ჩაჯდომას გაურბოდა; ტრუბადური, რომელიც სიგიჟემდე ეთაჟანება მაღალ სვანეთს — **„ხალდეს ქალებში ჯიხვების აფრენას“**; მეჰანგე, რომელიც თრთოლვით შესცქერის იმერეთის **„უფლის ცრემლის ყავრიდან დაბადებს“** და კარზე ბოქლომდადებულ რაჭას ურჩენია; მელექსე, რომელიც შეჰხარის დედულეთს, რომლის **„პატარა სეობიდან, პატარა ნაკადული, პატარა წისქვილის ლაჯებში გამოძვრება“**; პოეტი, რომელიც ელოცება თუშებს, **„ტანად დიდებს, სიტყვაძვირებს და გულით მდიდრებს“**; მოშიარე, ვინაც ეხობება ქართლს, ამაშუკეთის წიაღიდან ამოზრდილი ფიალახმლიანი დედით სრულიად საქართველოსისა; მომღერალი, რომელიც ებაბანება კახეთის **„შაგად მოშიშვლებულ მუხებს“** და მის **„ძილში აბოდებულ გეება ქვევრებს“**, ხორუმებით მომართულა საქართველოს მარადიული სიფხიზლის სიმფონიისთვის, **„აჭარა და გურიის ბრძოლებით მოპოვებული“** გადასახედიდან; ლამის საქართველოს თითოეულ კუთხე-კუნჭულს წვდება კოლორიტული ჩანგის პოლიფონიით, ის კი არა — შორეთსაც, სადაც **„ტურასავით ჩაყუნცული ქოხქეპით, ჭრულ არყის ხეზე ბიჭს გოგო მიუყუდება და კრიახებს გარმონიკა“**; ლამის შეუძვრეს სულში უფროს ძმას:

**„პოი, რუსეთო! გირეგია უთუოდ რგალი!  
ხალხო უბრალოფ, ხალხო გამძლეფ! ამტანო ხალხო!  
მაინტერესებს, კიდევ ერთხელ მოგაგლო თვალი,  
რასა იქმ?! როგორ მიგდის საქმე? მოვსულვარ გნახო“.**

იბაგუნებს მკერდზე მუშტს, სამეგრელოსთვის, მეგრელისთვის ორადორჯერ გაიმეტებს ტკბილ-მწარე კინკილა სტრიქონს — სავარცხელ-სამართებელს, ალერს-წყრომას, — ვეზუვმა ენა ამოიღა:

1971 წელი:

**„ქართლ-კახეთად, იმერეთად,  
სამეგრელოდ, გურიად,  
ვისაც ჩვენი გაყოფა...  
და გათიშვა სწყურია,  
ან ჭკვიანი მტერი არის,  
ან უგნური მოყვარე,  
ამიტომაც, სადაც წავწვდი,  
ერთიანად მოვთხარე.  
მიყვარს — მტკვარი,  
მიყვარს — ქსანი,  
ტესური და ენგური!“**

მიყვარს — „ლილე“  
 მიყვარს — „ლალე“,  
 მიყვარს — „ჩელა“ მეგრული...  
 მაგრამ ყველას პირჩეცნია  
 ერთ დიდ მუშტად შეკრული,  
 რა თქმა უნდა, საქართველო —  
 ვიყოთ მისი ერთგული...“

1999 წელი:

„გით დედა-მტკვართან ჭოროხს  
 და ენგურს,  
 რიონს და ტეხურს, იორს  
 და არაგვს,  
 აგრეთვე ენას, — ქართულთან  
 მეგრულს,  
 ხმა ამოიღოს, უფლება არ აქვს...  
 თქვენ დუშმანს სიტყვა  
 უქციეთ საქმედ,  
 თქვენ სხვა აღძრით თქვენს  
 მარტივ გლეხში:  
 ვაი სირცხვილო, რუსთველი  
 თარგმნეთ, —  
 მიჯღარკ-მოჯღარკეთ  
 ქართული ლექსი“.

ხედავთ, როგორი დებრესია განუცდია პოეტის სულს ამ 28 წელიწადში?! თუკი სიჭარბეში საქართველოს კუთხეებზე გამთიშველ „ჭკვიან მტერს“ და „უგნურ მოყვარეს“ მოთხრის, ამოძირკვავს ერთიანად, ახლა თავად ერთ-ერთ კუთხეს მოსდგომია: ჩაცემულია ხანჯალი კაკალ გულში! დიახ, კაკალ გულში, ვინაიდან ჯერ საწერ მაგიდასთან შეგროვდება ეს მარაზმული სამსალა, მრავალგზის გაიფერება და გაირანდება, ალბათ. შემდგომ კომპიუტერზე აიკრიფება, ჩასწორ-ჩამოსწორდება მორიელივით დალლავნილი. მერმე მრავალ უგრძობებელ ხელს თუ დახუჭულ თვალს გამოივლის „ლიტერატურულ საქართველოში“ და ასე, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, კაკალ გულში სატევრად გაეხირება ეგზეკუციების წყებათაგან ძლივს სულმოთქმულ სამეგრელოს — ვეზუმა ენა ამოიდგა! ბედი უნდა, სამუდამოდ ჩაეწერო კუთხის მეხსიერებაში!

ბრალდებაცაა და ბრალდებაც: უფლება არ აქვს ქართულთან მეგრულმა ხმა ამოიღოსო, ხმა აღიმაღლოსო, ანუ მეორე სახელმწიფო ენა შექმნასო, გახლიჩოს საქართველო ორ სახელმწიფოდო! ხომ არის ყოველივე გულსალბუნი სამშობლოს ერთიანობისთვის ჯვარცმული სამეგრელოსთვის?! მაგრამ მორიგ ბრალდებასთან ყოველივე ნაკმაზია:

თქვენ მტერს სიტყვა საქმედ უქციეთო, თქვენ სხვა — მოღალატე, ქვეყნის დამამხობელი აღძრით თქვენს მარტივ გლეხშიო. გამოდის, რომ ორგული ხარ, გამცემი, მტერზე საძაგელი, შარბათში შხამს რომ უწვევებ ძმას, ნიადაგ მიწას აცლი ფეხქვეშ, დღედაღამ მისი დამხობის ცდაში ხარ, იგივე კაენი — აბელისთვის და აქედან გამომდინარე, მოსათხრელი, ჩასაქოლი, გასანადგურებელი. აი, ათწლეულობით მდუმარე ვეზუვის ავულკანების ქვეტექსტი! საბუთად კი მეგრელოფობ პოეტს არძინბას მოსყიდული შანავების თუ ერგას წელსმიღმა ჟვანიების მეგრულად ნათარგმნი „ვეფხის ტყაოსანი“ მოუშველებია, როგორც მეორე სახელმწიფოებრიობის ფარული განაცხადის თითიდან გამოწოვილი „სამხილი მასალა“ და საქართველოს დამამხობელი ფენომენის „გამოაშკარაებასაც“ წინ აღარაფერი დაუდგება.

პოეტი ათწლეულობით თურმე შემთხვევით არ იკმენდა ხმას, შემთხვევით არ უხუჭავდა თვალს და არ უხმობდა ყურთამენას ცოტნეებს თუ ქუჩებს, გუბანებს თუ ჭყონდიდელთ, აიეტებსა თუ ფარტაზებს, იოანე მარუშიძეს ბოლოს და ბოლოს — ერთიანი საქართველოს შემოქმედს, შემდულაბებელს.

მეგრელები, აიეტ მეფის დროსაც ჯღურტულებდნენ თავიანთ კილოზე და სულხან-საბას პერიოდშიც, იმ დიდი მწიგნობარი ორბელიანისა, რომელსაც თურმე თვინიერ ქართულისა ვერცერთი ენა მოიწურთნა, თუმცა პოლიგლოტობითაც რომ საჩინებულებო, ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან სახელმწიფო მისიით მიმავალს, კახური ანეკდოტისა არ იყოს, გამოადგებოდა რო?!

ადგილობრივ მოსახლეობას საყველბურო მეგრულით რომ ვერ გამოესაუბრება, გაძარცვავენ, დააყჩაღებენ, როგორც „უტხოელს“, და ბუნებრივია, რეაქციაც არ დააყოვნებს: „ჯღურტული — მეგრელთა მრუდი ლაპარაკი“-ო, დასჯის მთელ კუთხეს სამი-ოთხი ყაბალახიანი აბრაგისგან ვნებული „ქართლის ელჩი“.

დიდხანს ვეძებე „მან“-ზე მეგრელების ასავალ-დასავალი, მაგრამ ქართული სიტყვის მებალავრე ეთნიკურ დონეზეც კი არ დაგვაფიქსირებს „სიტყვის კონაში“ — „ჟღერტულით“ მოგვისტუმრებს! აურაცხელი ენის მწყემსს ცოდნოდა ორი ღერი მეგრული, რომლის ქვითკირითაა აშენებული ღვთაებრივი დედაენის მრავალზე მრავალი სიტყვა, ხომ ჩინებულად მოიზღუდავდა თავს და ჩვენც გადაგვარჩენდა ტრავმატიკურ სიტუაციას!

მეგრელები ილიას დროსაც ჟღერტულებდნენ თავიანთ კილოზე, ცაიშის სიახლოვეს, გნებავთ ზუგდიდ-ქალაქში, მაგრამ იონა მეუნარგიას თუ რაფიელ ერისთავის მუნციპალური სამსახურის მოხელე თავად-აზნაურობის გარდა, ვეჭვობ ვინმე შეპასუხებოდა საქართველოს უგვირგვინო მეფეს, არათუ თავანკარა, თუნდაც „მიჯდარაკულ-მოჯდარაკული“ ქართულით, თუმცა გენიოსის საშვილიშვილო სიტყვა სადავს აიწყვეტს:

— სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო, — დაიუკვდავებს თავს კუთხის მიუკერძოებელ ფსიქიკაში.

მთელი საუკუნე ატომური ენერგიით იმუშავა და მუშაობს ეს ლაკონური ფრაზა. მოამზინა და ამზინებს ისტორიული უკუღმართობით ჩაწყვარამებული მეგრელის გულის კუნძაპეტ არეებს და მიუხედავად რუსეთის ცარიზმის გიგანტური მანქანის იმპერიული ხრიკებისა, ვეღარაფრით შეძლებს ამ სხივის ჩაქრობას, ვეღარაფრით ახერხებს მეგრელი „მარტივი გლეხის“ სულის ჩამობნელებას თვითიზოლაციისთვის თუ თვითლიკვიდაციისთვის. პოდა, დედაქალაქის ტოლფარდოვნად მოლაპარაკე სადადიანოს პირობებში, უფალ პოეტს გენიათაგან განსხვავებით სმენა ღალატობს: სამეგრელოში ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს საქართველო. აქვე ინტერეს მოკლებული არ არის, თუ „ქართულთან მეგრულის ხმის არ ამოღების“ სინდრომი რანაირ ზეგავლენას მოახდენს თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ლაზზე, რომლებიც ეს-ეს არის ჩვილივით შედგომიან ეროვნული თვითშეგნების გზას, საუკუნის წინანდელი მეგრელებით ენას ვერ ატრიალებენ ქართულად და მხოლოდ სამეგრელოს კატალიზატორობით შეგვიძლია ზოგადეროვნულს, ზოგადქართულს ვაზიაროთ დროთა ვითარებაში, საითკენაც ქვეშეცნეულად ილტვიან ისინი; შიგადაშიგ პერიოდისასაც გამოსცემენ „სქანი ნენა — ოგნი“-ს — იგივე დედა-ენას, ლათინური შრიფტით და მეგრელისთვის ხელმისაწვდომი ლაზურით. რა, მსტოვარი გვაკლია თუ ჯამუში?! ხომ დაუდებენ მათ წინ სათანადო სამსახურები პოეტის მკრეხელურ სიტყვებს: შეხედეთ, მეგრელებს არ ინდობენ ქართველები და ლაზებს ტიკი-ტომარად ვინ ჩაგაგდებთო. როცა მეგრელები, სამეგრელო მოთხრილია, ლაზისთვის ხომ მთლად მუნჯობაა მისჯილი მესამე ათასწლეულის აბსტრაქტულ საქართველოშიო.

ბედი არ გინდა? ვეზუვი ენას ამოიდგამს — მო-

ძებნის პოეტი საქართველოს გადარჩენის ფორმულას — **„აგრეთვე ენას, — ქართულთან მეგრულს, — ხმის ამოღების უფლება არ აქვს!“**

სათავეს კი უფრო ადრე დაუდებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ვიდრე ამას გუშინწინ ქუჯი და ფარნაოზი მოიმოქმედებენ, ინდოევროპულ ნიაღვრამდე, მეხუთე, მეოთხე ათასწლეულში, მაგრამ ამისი აღიარების გვეშინია, ძლივძლივობით საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3 000 წლის იუბილის გადახდას ვჯერდებით, იმის შიშით, არიქა, კოლხეთის პრიმატის დაწინაურებით, თვით საქართველოს პრიორიტეტი არ დაგვეჩრდილოსო და იყენებენ კიდევ მოხერხებულად ჩვენს უნიათობას მეზობელი ერები, როცა აბორიგენებს დამპყრობლად გვაცხადებენ ჩამოთესილინი. ამისთანა უმეცრება გაგონილა? როგორ შეიძლება შვილიშვილმა პეპერაზე უარი თქვას, ან კენწერომ — ფესვებსა და მდინარის შესართავმა — სათავეზე? რაღა იქნება იტალიის არსებობა, რომანულ მემკვიდრეობაზე ზურგშექცევივით? ქართული კი, კოლხურის მეშვეობით, რომს, რომულუსის ქვეყანას, ენეასის სამწყსოს, პაპად შეჰფერის ხნოვანების მიხედვით. გავატანოთ, ბატონებო, წყალს და მეწყერს ჩვენი წარმართული საუნჯეები, ავადმყოფური გონებაშეზღუდულობით?! დაჯერდეთ მოციქულს?! ჩვენ ხომ გამოუსწორებელი ფანტიაშვილები მოვევლინეთ გმირი წინაპრების ნაამაგარს!

ზღვის ცნება სამშობლოს სიმბოლოს მოიაზრებს თავისთავში, რომელიც ათასი შენაკადით მძლავრობს, ათასი ხილული თუ მიწისქვეშა დინებით აღივსება. მერე თავის სტიქიაში აბუყბუყებს, აბორგებს ენგურების და ჭოროხთა, რიონების და ტეხურათა, არაგვებისა და იორთა, ალაზნების და მტკვართა განსხვავებულ მსწრაფველობებს, წყალწყვეტს, ჰიდროშემადგენლობებს და მღელვარება-დაწდევებით ჩამონაკეთება ზოგადეროვნულში.

აქ ჩამოთვლილ თუ სხვა მდინარეთაგან ყველას გააჩნია მორალური უფლება განაცხადოს: „ზღვა ჩემიაო,“ როგორც რიგითი მოკვდავი დაიქმება ხოლმე სამშობლოს სიყვარულს, მაგრამ არც ერთ მათგანს ეპატიება დაიყრანტალოს: „ზღვა — ეს მე ვარო!“ ზღვა ყველასია, თითოეულის მეცადინეობით თუ მუშაკობით შექმნილი; მართალია, განსხვავებულია მათი წვლილი ამ პონტოთმშენებლობაში, თუმცა ყველაზე დომინანტურსაც კი არა აქვს, როგორც იურიდიული, ისე ზნეობრივი უფლება „ხმა აღიმადლოს“: მე ვილაპარაკებ ნიადაგ და შენ გაილურსეო. ამისი პრეროგატივა ერთადერთი — ზღვას მინიჭებია, ისიც მაშინ, როცა მისკენ მსწრაფველ მდინარეს სხვა წყალსატევისკენ მიმართულებას შეუტკვიან. ჩვენი მაგალითი კი უნიკუმია: მთელი შინაგანი ფასეულობებით მიილტვი, ისწრაფვი დედასამშობლოსკენ, დედაქართულისკენ, სიტყვათმპყრობელი მანქანა კი შლაგბაუმებით ჩაგიკეტავს გზასავალს, ამაოდ აწყდები ყრუ კედლებს. გეუბნება: ნურც ჩემში შემოხვალ და ნულარც იღვართქაფებო! ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე საკუთარი მეობა,

ზოგადად იქეციო! არ არის საჭირო საქართველოს ერთიანობისთვის დამღუპველი მეორე ენა, უარყავი შენი მეგრული ზოგადეროვნული სასარგებლოდო! ეს სათქმელი, ბოლოს და ბოლოს უნდა თქმულიყო! ჩვენც მრავლად ვიმტრევეთ თავს მისი უმტკივნეულო გადაჭრისათვის, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

როგორ, საკუთარ თავში ვტბევედებით, ჩვენ, მეგრელები, სამეგრელო, მთელის, ზღვის, საქართველოს საზიანოდ, ოდეს მის „დუშმანს სიტყვას საქმედ გავუქცევთ“, თუ სახელმწიფო მანქანა ძალად ქმნის სამეგრელოს პრობლემას დედაქართულში მისი შემონაკადების მიზანმიმართული შეფერხებით?! თუკი ჩონგურის რომელიღაც სიმი გამწყდარა, მნიშვნელობა არა აქვს პირველია თუ მეოთხე, დარღვეულია ინსტრუმენტის მთლიანობა, ხელყოფილია მისი ბუნებითი პოლიფონიურობა, და უკვე ჩონგური არა ხარ. ასე რომ, ახალი ფსიქოლოგიური ტრავმებისთვის ნუ შევადრწუნებთ სრულიად საქართველოს ვეზუვის მარაზმული ამომთქნარებით.

საქართველო, ქართველი, ზღვა, ჩონგურის დარად ათადან და ბაბადან მოყოლებული კრებსით განზომილებად განიხილებოდა ჩვენში, ანუ ცოტა ქართულად, ცოტა კახელად, ცოტა იმერლად, ცოტა გურულად, ცოტა მეგრულად — მოკლედ, სხვადასხვა ეთნიკური ნაკადით შეჯერებულ განუყოფელ სხეულად და გაუგებარია, რისთვის არ უნდა ამოედებოდეს ხმა მეგრულს, სამეგრელოს — მდინარეს, ქართულს, საქართველოს — ზღვის, ერთ-ერთი შემქნელთაგანის დონეზე?!

აქ ნაწილსა და მთელს შორის ტოლობის დასმა უმეცარი ბრალდებაა. როგორ შეიძლება ცალკეული განსაკუთრებულს გავუთანაბროთ, როცა პირიქითაა საქმე, კონკრეტული სისხლხორცეულად მიელტვის ზოგადის სრულყოფილებას, მისი გამბასრავი და შემკონავი ძალაა?!

როგორ შეიძლება საძირე დაუპირისპირდეს ნამყენ ვარჯს? აქ, დრო-ჟამისგან გამოჯანდაკებული შტამბიდან ამოხეთქავს ხოლმე ყრუ რტო, აშრილდებდა თავს ზემოთ, ცათა წილ ომანხანად გატყორცნილი და-ძმა ტოტების უკვდავებით მთვრალი, გაბრუებული; იგი ფესვების სიახლოვიდან თვალცრემლიანი ეფერება მისივე წილიდან გაზღვავებული შიმალების ძლევაოსილებას, ჩვენს შემთხვევაში — სახელმწიფოებრიობას, და დედაქართულთან, დედასაქართველოსთან ამგვარი მიმართების მეგრულს, სამეგრელოს, **„თქვენ დუშმანს სიტყვა საქმედ უქციეთო“**, ყამასავით გაუტარო კაკალ გულში, ან უგრძობელი უნდა იყო, მამაპაპური სისხლ-ძარღვებისგან ატროფირებული, ან სალოსი ვინმე, ნებსით თუ უნებლიედ მტრის წისქვილის ღარში წყლის მიმშვები ძალუმად; ან კიდევ აქამდე საძულველი მენიხიბობა-აფროსნობის გამო ზურგშექცეული ერის ყურადღების მოხვეჭის მდომელი სამეგრელოს დანაშაულებრივი ამოთხრით:

შემომხედეთ, როგორი მეციხოვნე ვარ?! ხომ აღმოგიჩინეთ ვერავი მტერი, „ვეფხის ტყაოსნის“ მთარგმნე-

ლი მეგრელების, სამეგრელოს სახითო; თქვენ, ისედაც ვიცი არ ამიხირდებით ერთიანი საქართველოსთვის გულდამწვარს, — ეუბნება ვეზუვი პოეტი ქარაგმულად დანარჩენ საქართველოს, — მეგრელებს კი თუნდაც კისერი უტეხიათ, იყფონ, რამდენიც უნდათო, — იბღვირება!

აი, „ვაი სირცხვილოს“ ზუსტი მისამართი! მამებთან შვილებს იშვიათად შეშლიათ! მათი კონსერვატიზმი დაიძლევა ბოლოს და ბოლოს პროგრესულით. ამას თერგდალეულების ბობოქარი ეპოქაც ადასტურებს: ქართული ენა დიდი ილიას გაწაღებული გზით წარმართა, ხალხურ სადინარში მჭეფარე, სალონურის და მაღალფარდოვანის ნაც-ვლად. ეს ისტორიული მომენტი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

დაახლოებით იგივე სიტუაციაა ამჟერადაც, ოღონდ სხვა პრიზმით, სხვა ასპექტით:

ჩვენ, თვალნათელი საქართველოს, მავანთაგან ლამის გერებად შერაცხული შვილები — მეგრელები, თავს ვიკლავთ ერთიანი საქართველოსთვის, გამუდმებით ოფლს ვიდენტ კბილთაგან მისი გაუბზარავი მთლიანობისთვის, თავად ვუსწორდებით ხოლმე რუსთველის თუ გალაკტიონის მთარგმნელებს, □თუმცა საუკუნის დამდეგს მეგრულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნა, გარკვეულ დადებით როლს შეასრულებს შოთას თავანკარა ქართულის „მარტივ გლეხში“ გასათავისებლად, როგორც შინაარსობრივი, ისე — საკუთრივ ქართულის შესწავლის თვალსაზრისით, ვინაიდან ბილინგვური დამოკიდებულებით გაცნობიერდება „მარტივ გლეხში“ გენიალური პოემა). ყველაფერს ვაკეთებთ თვითნაბად დანიელ ფიფიათა თუ სხვათა პოეტური მემკვიდრეობის, იგივე ფოლკლორის, სრულიად საქართველოს ერთიან ფსიქიკაში დასაწდევებლად; ხმალამოლებული ვიბრძვით მონოლითური ენისთვის, სახელმწიფოსთვის, მაგრამ როდესაც მეგრულს, ლაზურს, სვანურს ზოგადქართულში შეუფერხებელი შემონაკადების თაობაზე საკითხი წამოიჭრება, მყისვე ყრუ კედლები აღიმართება ხოლმე. საუბარი ეხება ენის ლექსიკურ მარაგს და არა მის გრამატიზაციას. დღეს საქართველოში არსებული დიალექტიკური ლექსიკის მისაღებ ერთეულთა სალიტერატურო ქართულთან შესინთეზებით ჩვენი სიტყვიერების ასთოთხმეტიათასიდან, სულ ცოტა მილიონამდე გაზრდაა შესაძლებელი და, დიახაც, სწორედ აქედან, ამ მომენტიდან, ჩაეყრება საფუძველი ეგოისტური ხელისკვრებით დანაწევრებული ჩვენი კუთხეების ვერბალურ დაახლოებას, უფრო ფართო და ტევადი ზოგადეროვნული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. ასეა ბუნებაშიც: ცალმხრივი რეაქცია, ცალმხრივი შეერთება-შერწყმა არ არსებობს. სინთეზის დროს ხომ ცაბაოთის სასწორით მიმდინარეობს ფასეულობათა გონიერი გაცვლა-გამოცვლა, ახალი განზომილების შექმნა ორი ან მეტი ერთეულიდან საუკეთესო თვისებების ამოკრეფა-შედუღაბებით?! ასეთია ცხოვრების დიალექტიკა ნებისმიერ სფეროში.

ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონი ჩვენი შესხედულებით მოიაზრება, როგორც ვეზუვი-

პოეტის ამომთქნარებისთვის ნიადაგის გამომცლებელი პატროფილია; ნებისმიერი შინაგანი უთანხმოების მომწესრიგებელი ნაწილსა და მთელს შორის; როგორც რამდენადმე მოფოლხვებულ საქართველოსთვის მონოლითურ სხეულად შემკრავი რეფორმა ორიათასის მიწურულს, სამიათასის კარიბჭესთან. ამისი უგულვებელყოფა, იგნორირება გვარნაცვალის გარდა, რომელ ჭკუათმოფოფელ ქართველს მოაფიქრდება? მაგალითისთვის, ზოგადეროვნულ სიტყვებს: „სამშობლო“, „მამული“, არც მეტი, არც — ნაკლები, უბრალო სინონიმებად ჩაუმწკრივდება: სვანური „ლარდა“, ლაზური „დობადონა“, მეგრული „ოდობადე“, „შურობუმუ“, „ობადიში“, და ორსიტყვიანი ქართული მსწრაფლ შვიდსიტყვიანად გადაიქცევა.

ბიბლიაში ერთი დაკარგული ცხვრის გამო ფარას მიატოვებენ ხოლმე, ჩვენ კი აურაცხელი განთესილი ქართული სიტყვის დაბინავებას მოვიტხოვოთ ზოგადეროვნულ ლექსიკონში, რომელიც ჩვენი სულიერი შედუღაბების საწინდარია ორიათასის დასალიერს და სამიათასის კარიბჭესთან!

ყოფილიყო ილია, ამ პრობლემას მეტი სითამამით მოევლებოდა, მაგრამ მომავლის იმედით სულდგმულობს ერი! ყოველივე ამის შემდეგ, ბრძანეთ, ღვთის გულისთვის, შეიძლება როყოოდ შესძახო სამეგრელოს, მეგრულს: დუშმანთათვის, სიტყვის საქმედ მქცევლნი ხართო?! ამგვარი მკრეხელობის გამო სამორინებში ძლეული კი არა, დიდგორიდან მოშარავანდედებულიც კი შეიძლება გაიკიცხოს ბიბლიური მეცხრე ცნების უმართებულო ამოქარქაშებისათვის! ახლა ზოგადეროვნული, ქართველურ სიტყვათა განმარტებითი, სინთეზური ლექსიკონი რომ გვქონდეს ხელთ, დავის საგანი დროსა და სივრცეში გაქრება. ასეთი სურათი დაიხატება „სამშობლოს“-თან:

**„სამშობლო“** — მამული, ლარდა, დობადონა, ოდობადე, შურობუმუ.

1. ქვეყანა, მხარე, სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქედაც ის გვევლინება“...

**„ქან“**-თან ამგვარი სიტუაცია შეიქმნება:

**„ქალიშვილი“** — გოგო, დინა, კულანი, ძღაბი, ცირა, ოსურსქუა.

1. ადამიანის შვილი მდებარებითი სქესისა, — ასული. 2. ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი, — ქალწული“.

რაც შეეხება პოეტის გვარის ძირს „ლებანი“, სინთეზური აზროვნების პირობებში შეიძენს სრულყოფილ შინაარსს, ვინაიდან ჯერჯერობით მხოლოდ საბასებურად აიხსნება იგი: „ლებანი“ — ნიგვზის გულის ნახევარი“ — იგივე ცალი, ორმოცდაათი პროცენტი მათემატიკურად. არ არის სახარბიელო „ერთ დიდ მუშტად შეკრული“ სამშობლოს მოწადინე პოეტისთვის, მით უფრო „ცალ“ მსაზღვრელად თუ მოეგმება, ვთქვათ და სააზროვნო აპარატს კაცისას, მაგრამ ყველასთვის სასიკეთოდ მისი გვარის ეტიმოლოგია სხვანაირად აელვარდება დასახელებული აბსტრაქტული ლექსიკონით; სადაც „ლება“ ლელვად წარმოჩინდება მოთხრილი ენით, იგივე ბობოქრობა, და-

უდგრომლობა, ასე რომ ახასიათებს მისი შემოქმედების ჭარმაგულ პერიოდს, ქედუხრელს, ჭიქა არყის სამართლიანად დამამსახურებელს საქართველოს ნებისმიერი კუთხეში სამეგრელოსთან ერთად; რომ „გასწევდა და პურს უწვდიდნენ ჩანგსა და თარში, ხალხის ღვინოსა სვამდა, ხალხის შვილი ხალხადვე დარჩენილი.“

აი, ამ საუნჯეთა წარუშლელი ხსომიერების გამო არ ავყვები ზოგზოგის ფეხისხმას, რადგანაც სრულიად საქართველოს ინტერესების საჭიროებიდან, ვისურვებდი მსცოვანი პოეტის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომას, სულიერ გაჭაბუკებას და აქვე წერილს ვამთავრებ ერთ-ერთი მეგრული ლექსით პოეტურ თარგმანთან ერთად. ორიგინალს დედუღეთში აქა-იქ მღერიან, თარგმანი კი უთვალავჯერ დაბეჭდილა ჩვენი ჟარნალ-გაზეთების ფურცლებზე. პირველი — ჩონგურზე ცერის ათამაშებას გაუჩენია, მეორე — რუდუნებით გადმოქართულებას, გახედნვას სამშობლოს თემშარაზე სათოხარაკაოდ, და როგორია „მიჯლარკულ-მოჯლარკული“ სხეულიდან ზოგადქართულში გადმოსული ფორმა-შინაარსი — ქვეგამხედვარე, გამბზარავი, ქვეყნის დამამხოველ გრძნობათა აღმძვრელი „მარტივ გლეხში“ თუ მრავალტანჯული დედსაქართველოს აღზევებისთვის, მისი გალავნების ურყევობისთვის ნიადაგ მომართული, გულისხმიერი მკითხველისთვის მიგვინდია განსასჯელად:

**P. S.**

კი, ბატონ თამაზ წივწივაძის „ძვირფასი თანამემამულეებისადმი“ გულშიამწვდომი მიმართვა „ლიტერატურული საქართველოს“ მორიგ ნომერში, ერთგვარ შვებას მოჰგვრის სრულიად საქართველოს, და მასთან ერთად, ცხადია, გათარანებულ სამეგრელოსაც, მაგრამ კვირიდან კვირამდე — ჩვენი კუთხისთვის ლამის ამ ბიბლიურ საუკუნეში, ხომ ჰქონდა საშუალება პოეტს მსგავსი ნაბიჯი გადაედგა? რა, რომელი ტელეკომპანია, ტელეარხი, მას-მედიის საშუალებანი დაუჭერდა მალამო-სიტყვას:

— ჩემო თვალნათელნო, ლექსი კონკრეტულ ადამიანებს ეძღვნებოდა და არა — მთელს კუთხეს; თუმცა, როგორც სანდო წყაროებიდან ირკვევა, ეს აფორიაქებული კვირა, ყველა ოპონენტის ერთად მოსტუმრების საბაბით მდუმარებს თურმე.

მართალია, ბატონი თამაზ წივწივაძე ნაწილობრივ განმუხტავს სიტუაციას, როდესაც განზოგადოებულ ბრალდებას უკიდურესობამდე შეავიწროვებს რედაქციის მიერ უგულვებელყოფილი ლექსის სათაურის რეანიმაციით, მაგრამ „ხმის ამოდებისა“ და „ხმის აღმალღების“ დაცაცხანებას, როგორც ჩანს, არაფერი ეშველება.

რა ვქნათ, პირის დაღების გვეშინოდეს და მელოდიის დონეზე ვილიდინოთ გულში: „ჩეღა“, „სისსა ტურა“, „კუჩხი ბედნიერი“ თუ „ოდოია?“ მე ზემოთ

**ქა-შევილი დო ქა-საგანი**

ქა-შევილი დო ქა-საგანი,  
ვაგმრათ თკო გასაქანი,  
ბაბუში რდუ, ასე ჩქიმე რე,  
უკულ შესეფქუ ვასხაბანი.  
ქა-შევილი დო ქა-საგანი,  
ვაგმრათ თკო გასაქანი,  
ჩქი მიქ მუჩეს საქორთუო,  
ეშმაკიში გაზაკვადი!  
ქა-შევილი დო ქა-საგანი,  
ვაგმრათ თკო გასაქანი,  
თე ქიანაში უოჭიშეს,  
ჯიმა რდასგნ — ქიგიოჭიშე!  
ქა-შევილი დო ქა-საგანი,  
ვაგმრათ თკო გასაქანი!

1978 წ.

**მუვილი-ისარს**

ჰა, მუვილი დო ჰა, ისარი,  
ლარი დაწყედეს ლამის არი,  
ბაბის იყო, დღეს ჩუბია,  
როგორც შევილი მამის არი!  
ჰა, მუვილი დო ჰა, ისარი,  
ლარი დაწყედეს ლამის არი,  
ჩვენ ვინ მოგვცა ვასაწირი,  
საქართველო საფიცარი!  
ჰა, მუვილი დო ჰა, ისარი,  
ლარი დაწყედეს ლამის არი,  
ორგულია? ძმაც რომ იყოს,  
ქორწილის დღეს მიუსწარი!  
ჰა, მუვილი დო ჰა, ისარი,  
ლარი დაწყედეს ლამის არი,

1991 წ.

მივუთითე სინთეზური საქართველოს აშენების გზებზე ენათმეცნიერული პოზიციიდანაც, რომლის უებარი საშუალება „ქართველურ ენათა განმარტებითი სინთეზური ლექსიკონის“ გამოცემა — ქართველურ ენათა ყოველი ფონემის სალიტერატურო სიტყვის სინონიმად განთავსება.

რაც შეეხება სამაისო პუბლიკაციაში გაფანტულ სხვა მოტივებს „ქილიკომანის“ პროფილით, შედარებით უღრუბლო დღეს განიხირობება მეტის გამოწვლილვით.“

**„საქართველო“, №22, 1999 წ;**  
**„მესამე ნაპირი“, №30, 1999 წ.**

არის ჰმების უმბროკმების დრო,  
მბრამ ღმება ჰმების სროლის ჟამიც

დიღხანს მარიღებს თავს ბატონი მურმან ლებანიძე. არც მე ვაკვდები სიტყვაკაზმულ პაემანებს. მოგვიანებით დაბეჭდავს პასუხს, ყველა თავდამსხმელს ერთად მოისტუმრებს. რამდენადმე ანგარიშგასაწვევი ოპონაცია მხოლოდ ჩემს მიმართა და კიდევ — ბატონი ინდიკო კვეკვეს კირისადმი. თავად ინებეთ:

ბასუხად ოპონენტებს,  
რომლებიც ჰმას (თუ ჰმებს, ბ.ო.) ისპრინან

**(„გეფხის ტყაოსანი“ — „წკირი და ჯგიჯგითია“ არ არის!!! ფრაგმენტები)**

„... გური ოტობაია — მშენიერად უღერს, რაც თქვენს გემოვნებაზე მეტყველებს, — ბევრად სჯობს ფეტულაფას... გიპადლით წიგნს და გულთბილ წარწერას... ენერგიული და თავისუბურია თქვენი პროზა, ოღონდ მე თქვენ ქართველი მწერალი მეგონეთ

და ყოველმხრივ მეტისმეტად მეგრული მწერალი ყოფილხართ... რაიც სამორინეებს ესება, რისი სსენება გაზუთში გინებუბათ, — ამას მიშველაძის გასაგონად ვამბობ, — იქ ძირითადში, მამაცი კაცები დადიან, გრაფოპანები ვერ ბედავენ სამორინეში შესვლას...“

„რაც შეეხება პათეტიკურ კითხვას — „რა გუყოთ მეგრულ ენას“? — დაგვამყოფილდეთ მისი სვედრით, თუ საქართველო და ქართველობა გგწადია, შინასასაუბრო მისი საბატით და საყვარული ფუნქციით, ვაგითართ იგი შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც ამას ინდიკო კვეკვესკირი და გური ოტობაია სწადიან თავიანთი ეტიმოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული ძიებებით. ოღონდ, — ზოგ-ზოგის გასაგონად, როგორც ზემოთ ითქვა, — ცოტა უფრო ზრდილობიანად — მურმან ლებანიძემ თქვენზე უკეთ იცის თავისი გვარის ეტიმოლოგია, თუ დაინტერესდა, არც თქვენი გვარებისა შეეშლება!“

ბატონი მურმანის წერილიდან ჩვენ ამ ორად ორ ფრაგმენტს დავსჯერდით, ვინაიდან მასალის სრული გადმობეჭდვა შორს წავგვიყვანდა. და კიდევ ერთსაც დავამატებთ პოეტის ადრეული წიგნიდან:

**ცოტნეს — ბამყიდველს**

„— ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში? — იქ, ჩვენს ტაბლასთან, ანაზდად გკითხეს, ფუჰ! აგვერიე კამეჩი ლომში და... ჩვენს საძმოში ჩაგრიცხეთ იმ დღეს.

კაცად გიცნეთ და გაგნათლეთ ტომში, გატყეხე პური, ასწიე ჭიქაც. მართალი იყო ერთი სპა ორში. შენ — კუდს იქნევდი აქაც და იქაც.

**სველი გაქვს ლანჩა სიგლახის ტბორში, –  
აწ შენი გზები სხვაგვარად მიდის:  
იუდას ვერცხლი მოგართვეს სონჩით.  
შუა ჩაგვიდის მდინარე – მოვრჩით,  
ჩატეხილია ბურჯები სიდის!“**

ცხადია, ვერ გამაჩუმებს პოეტის გაუმართლებელი თავის მართლებანი, თუნდაც ნათელში იყოს. ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი და ასევე დროშიც თანაბარი გვეთქმის, ვინაიდან მწერლობისთვის არ არსებობს დავიწყებული წარსული, უხილავი მომავალი თუ ბეცი დღევანდლობა; მწერლობა სამივე დროს ერთარსში აღულაბებს აზრის ნათელს და ცნობიერების ზედაშეს. იქიდან, იმ სამგანზომილებიანი კრონოსიდან, ესიტყვება ცაბაოთს, ერს თუ საკუთარ სინდისს და აქ კავშირი ურღვევია ყველა პარამეტრით.

დიდი აკაკიც ენობრივი ზოგადეროვნული ჩარჩოების მოდარაგვია და ერთ- დროულად კომპენსაციებსაც არ იშურებს მაღალი რანგის ხელოვანის წინაშე:

საბაპი წერეთელი

**ენას გიწუნებ ფშაველო,  
მგოსანო მაღალ მთისაო,  
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..  
მკითხველიც იმას მკისაო!  
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,  
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა:  
შენ დამხატე ის მხარე  
ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.  
და რაც არ გადმოგიცია  
მის შეგნებაზე ენითა,  
მე თვითონ მივხვდი ყველაფერს,  
შენთანვე აღმაფრენითა.  
ვიცი, რომ ფშაველის სოფელი  
წმინდაა, მაღალ მთისაო,  
ენა – მეტყველი სიპართლის,  
გულ-მკერდი – ფოლადისო.  
წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,  
სადღეისოდ სჭრის კალამი...  
გადაეც ბარის მგოსნისგან  
მთიელებს ძმური სალაპი.**

თანადროულ ვითარებას ვაჟა ჩინებულად პასუხობს და ვგონებ ეს პასუხი ქრესტომატიულია ნებისმიერი ენობრივი პოზიციისთვის შინ თუ გარეთ:

ვაჟა-ფშაველა

**დაზვიანებული პასუხი აკაკის**

„ენას გიწუნებ ფშაველო,  
მგოსანო მაღალ მთისაო,  
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,  
მკითხველიც იმას მკისაო“.

**ბევრი ვიფიქრე ძალიან,  
თუ რა პასუხი გააქცა  
შენთვის, მსცოვანო პოეტო;  
დღეცა ვფიქრობდი, დაშეცა-  
როს დავაპირე სიტყვის თქმა,  
უცებ თავზარი დაშეცა:**

სიტყვა, მოსული სათქმელად,  
 ენიდან მომწყდა, გაშექცა.  
 დავლონებულვარ ძალიან,  
 თითქოს სახლ-კარი დამექცა.  
 რაო? რა დემერთი გამიწყრა  
 მარგალიტების მფლობელსა,  
 რომ თავის უშნო ენითა  
 ვერას ვაგონებ მშობელსა?!  
 ბულბულინათვის გალობა  
 დაუწუნია რომელსა?  
 მარგალიტების მფლობელი  
 ენასა ხმარობს ღონედა;  
 და როცა მარგალიტს სთესავს  
 ან თუ ააგებს ყორედა,  
 მაინც ის არი, რაც არი,  
 ჭორები მოაშორეთა!  
 იქნებ მე, ჩემმა ენამა,  
 სამშობლო დავაღონეთა?  
 ფრთები შეგკვეცეთ ოცნებას,  
 დავამხეთ, დავამთნეთა?  
 უფარვისობის მიწეზე  
 ფშავლობა არის სწორედა.  
 მოძღვნილი არის მთის მიერ,  
 ჩამოტანილი ქარისა,  
 რატომ არ ჰგუობს, არ ვიცო,  
 ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!  
 აქაც ხომ ქართველები ვართ,  
 ყვაფილი აქაც ჰყვაფისა.  
 ნატად ჰყავ, სალოცავ ნატად,  
 მთიელთ სამშობლო თავისა.  
 და ენა მთისა სიმტკიცით  
 მსგავსია კლდისა სალისა;  
 იქნებ აკლია, არ ვიცო,  
 ამ ლომს სინაზე ქალისა?  
 ამისთვის დასაგმობია  
 და წასადები წყალისა?!  
 კაცი შეტყველი, მგრძობელი,  
 ცხოვლად ამხელი თვალისა,  
 ამგვარის ამბის მოწამე,  
 შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა.  
 მაინც წინ მივაღ, მაინცა,  
 არ მეშინია შარისა.  
 გულს მისვენია ნატადა  
 ენა მთისა და ბარისა.  
 მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,  
 თუა ქართულის გვარისა.  
 მოთაყვანე ვარ ყოვლისა  
 იმათ ტკბილის და მწარისა.  
 სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,  
 დამსშობი მზის და მთვარისა,  
 სამშობლოს დამამსობელი  
 და გამომჯრელი კარისა...  
 სჯობს, რომ იმაზე ვიტყვით,  
 მუდამ მთქმელი ვარ ამისა...  
 ნუ შეგაშინებსთ, არ გაგნებსთ  
 მთიდან ყვირილი ხარისა.

მოგვიანებით გავეცნობი ეთერ თათარაიძის პოეზიისადმი მიძღვნილ მუშრმან ლეზანაძისეულ ლექსს. აქაც სადავი სიტუაციაა. ამ ჩინებული მესიტყვის სტრიქონიც ლიტერატურული გარანდების შემთხვევაში ხელალებით ჰ კარგავს თავის მომხიბვლელობას, თავის ზღაპრულ ელფერს და პროზაულობის უნიათო ორლობეში ენარცხება თავ-კისერ-ფეხიანა:

მუშრმან ლეზანაძე

ეთერ თათარაიძეს

თათარაიძის  
 პატარა ქალო,  
 შენ შენი გული  
 პოეზიის ცეცხლს მიეც უშრეტს,  
 თავდაფიწყებით  
 შენ შენსას ჰგალობ –  
 ისარე, შეილო,  
 ესახელე ჩვენს ბედერულ თუშეთს!  
 ჩიტუნას ჰგავხარ  
 პაწაწუნას, რომელიც სჭყვივის  
 და გაჩქარებით  
 ათასნაირ ტკბილ ხმას გამოსცემს:  
 ტირილ-წუხილთან  
 სისარულიც შენს ხმაში სჭყვივის,  
 გაოცებულხარ –  
 გაოცება შენი მათცებს.  
 შენ არ გეწყინოს,  
 არ თქვა: რჩევა ადვილად ითქმის!  
 მე შენ ერთს გკადრებ  
 არას გეტყვი მრავალსართულად:  
 შიგდაშიგ, შეილო,  
 ეგ ყვაავილი თუშური სიტყვის!  
 სთქვი უფრო ნათლად,  
 ცოტა უფრო მთავარ-ქართულად!  
 სსვა რა გირჩიო?  
 გახარებას ლექსით გგპირდები –  
 „ჩემ დედო“ უთხარ  
 დედას მთავარს,  
 ვინაც შეგიგრძნო!  
 ხომ მოგვეწონა  
 დაქსიავილი შენგნით ჩითები?!  
 ხომ მოგეფერა  
 საქართველო როგორც შეიძლო?!  
 თავდაფიწყებით  
 შენ შენსას ჰგალობ...  
 მადლი შენს გამჩენს,  
 შენს გამომცემ ქორბუდა თუშეთს!  
 თათარაიძის  
 პატარა ქალო,  
 გვირილას შენსას  
 ბერიკაცი იმედით უჭყრეტს!

თუმცა ჩვენი ეთერა თავისნათქვამაა და არ მოიშლის ლექსების ამოკვნესებას თუშურად, აღარ მოიშლის პოეტობასა, ვინაიდან, საკმარისია მან ლიტერატურული სტილის არტახებში გამოატა- როს სტრიქონები, რომ მერმე ვერასდროს განაწრფელოს საჯეჯიმო ძაფები გაუხუნარის ფერჭვირვალეებით:

ცას მთვარის ნაღ აკრავს,  
თვალ რომ არვინ დახკრავს,  
კერაის პირ ფიქრნასეგ  
ღართ ხმელ ფალაგთ ჩახკრავს.  
უცბად მოსისინებულ  
სით ხეთ მხარს გახკრავს...  
ცას მთვარის ნაღ აკრავს,  
თვალს ვერავინ დახკრავს.

გვეცოტავება? სხვა ინებეთ:

ჩემკინ მოსასვლელ შენ გზას  
ნარი-დ ეკალ ახვიაგ,  
შენკინ მოსასვლელ ჩემ გზას  
სამოს აცვი თალხიან...  
ჩემ გზასაც თალხ გახცვეთი,  
შენიმ გზას კეძენ ჩახშიან.

მარტო ფორმა „ნარი-დ“ რად ღირს, ეს ხომ ენის ზეიმია, გამოაცლის ქართულ პოეზიას ეთერ თათარაიძის ჭვირვალეზას და იგი დაემსგავსება ბუხარს, რომელსაც გვარიანად გათარანებული მუგუზალი გამოარიდეს. კიდევ ხომ არ ამოგვებერტყა გული ერთგზისა?

სიყოთლად მაქე ქარ-წვიმის  
მიწ-მოწეწილ კარავ,  
თავზე მადგას უთენებ  
ღამე მრუმი-დ წკვარამ,  
დღეებ მიმდის ვარშიან  
ჩემდ სილაღის მჩქმალავ.

ჰოდა, რა ქნას ეთერ-ღაიმა, როცა:

აღარ მოგაქე იების  
ცვარმონაბკურ კონებ,  
აღარ აქვის სადარდელს  
გასასვლელა ფონებ,  
შენ გულ გამოგყინვია  
მე გულ მქცევი თონედ.

მანც რა განძიადია „გასასვლელა ფონებ?!“  
მოკლედ, ველარ თავსდება ერთმანეთში პოეტი მგოსანი და პოეტი ვეზირი.  
კიდევ რანაირად მეტადრე „მთავარ-ქართულად?“ ასე?

აღარ მოგაქეს იების  
ცვარნაბკურები კონები,  
აღარ ეტყობა სადარდელს  
გადასასვლელი ფონები,  
შენ გული გამოგყინვია,  
ჩემში — გიზგიზებს თონები.

პოეზიის საიდუმლო კი სულ სხვაგან არის, ჩემთავმკვდარნო, დიახაც, იქ, რომელიც ეწირება აკაკი წერეთლის, თუ მურმან ლებანიძის ლექსისადმი პატრიოტულ დამოკიდებულებებს. არადა, ჰეგელი ცხადლივ მიანიშნებს „ესთეტიკაში“, რომ პოეზია განთავისუფლებული უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური უღლისგან. მთელი საიდუმლოც ცნობიერების ნაკადთანაა, ვინაიდან ერთადერთი პოეზია ექვემდებარება ქვემეცნეულ შინაგან ხმას და აქ ზედნაშენი ფასეულობა, ნასწავლი გამოცდილება უმაქნისია.

მყავს მე ერთი უხერხული ოპონენტი-თანამოკალმე, მაგრამ იმ დალოცვილს, საკუთარ პოეზიაში რომც არაფერი განეხორციელებინა, გალაკტიონის ბეწო ლექსის თარგმანითაც იუკვდავებდა:

**გალაკტიონ ტაბიკი**

ჰაგლეტის ქნარით

**ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,  
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!  
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,  
დამაშვრალი სული, გული, მონასტერში მოასვენე!  
მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! — ის ცის უარყოფელია,  
წადი...წადი მონასტერში! მონასტერში, ოფელია!..**

ჟათე ქიანა, ჟათე რინა, გვალო პოტიკე ჟოფენია,  
მეუ.. მეუ... მონასტერშა, მონასტერშა, ოფელია!  
უბედობა ხატის ქეჩი, გურც დაჩხირი დუბარბანჯე,  
შულადირი შურგ დო გური მონასტერსუ ქემასვანჯე!  
ცამგვარიაშგ მორაგადე მუშო გოკო სოფელია...  
მეუ... მეუ... მონასტერშა, მონასტერშა, ოფელია!..

ენდეთ ჩემს გემოვნებას და გამოცდილებას. ამ შემთხვევაში გალაკტიონს 20-25 პროცენტით აღემატება ჩვენი ოპონენტის თარგმანი: მოუხეშავია ქართულ ვარიანტში „დრტვინვის“, „შორს შორს მიწა, შორს შორს მიწა“, თარგმანი გაცილებით მოქნილია და ელასტიკური, თანაც ლექსი 99 პროცენტით მისდევს დედანს. მაგრამ ამისთანა პროცესებს სრულიად სამართლიანად გმობს ბატონი მურმან ლებანიძე, ვინაიდან მეგრული ლექსის აღზევებაში იგი ხედავს საქართველოს დაქუცმაცების საფრთხეს და ქვეყნის მონოლითურობის სადარაჯოზე მდგომს, როცა სამშობლოს მთლიანებას საფრთხე ემუქრება, პოეტური აღმადრენები არაფერში ეპიტნავენ. მოკლედ, როგორც კი პატროფილური დამოკიდებულება იჩენს პოეზიაში თავს, ლექსსაც გავწირავთ და ველარც ქვეყნის ერთსხეულებას მივალწევთ. არადა, ჩინელისათვის სულ ერთია საიდან გადააჩინელებს ოფელიას, ქართულიდან თუ მეგრულიდან.

მსგავს სიტუაციაში მეც მურმან ლებანიძის პოზიცია დამიკავებია და თანაც — წარბის შეუხრელად, მაგრამ წუთისოფელი გულმავიწყა თურმე:

**უშაკაცი მსაჯულის მანტიით**

(ამონარიდი ბელეტრისტული მატეიანედან „სუფევა“, ტ. I. გვ. 462-463.  
„ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“, თბ., 2007 წ.)

„...რაც შეეხება ნარიმან იაშაღაშვილის „ტორონჯს“, ეს მართლაც მრავალი ეჭვის აღმძვრელი უნიკალური შემთხვევაა. დაფიქვრო, რომანებისა და პიესების ავტორი ნართ კოლხარი, იმდენად გულუბრიყვილოა, რომ საჩოთირო საქციელს ჭკუა ვერ დაატანოს?! ან ვინ მიუბოძა მას უფლება, გნებავთ — იურიდიული, გნებავთ — მორალური, ჯერ კიდევ დაურეგისტრირებული გაზეთი მისთვის აბსოლუტურად უცნობი საზოგადოების ყრილობას მიეძღვნას! დაფუშვათ, როგორც თვითონ ასაბუთებს, კეთილისმყოფელობამ მოამოქმედებინა ყოველივე, მაგრამ სომ უნდა მაუწყო პატრონს, ვინემ ჩემი სახელით საჯაროდ გამომაჭენებდე?! როგორც ჩანს, უფალი კოლეგა მაცდუნებელ პოპულარობას დახარბდა და ლოქოს დაჭერაში გაუწაფავ ბონდოიაზე (ანკესზე ჭიაყლის ნაცვლად პურის ნამცეცი წამოუყვამს) ყბედობას გადაგვაცოლა.

დაგკონკრეტდები: ადრეც უჩუქნია ჩემთვის ნართ კოლხარს მითხრობების მომცრო კრებული — საინტერესო პასაჟებით, მსუბუქი იუმორით შეკონილი ორენოვანი წიგნი, მაგრამ აშკარა მაფალუისტური ნიშნით ცხებული: პროგრესულია ის, რაც მთელისკენ ისწრაფის და არა — ბირიქით. როცა ჩვენ მეგრულიდან ქართულად ვთარგმნით, მამულს ერთ თაველად შეგკონავთ ხოლმე, მაგრამ თუ უკუშექცევადია ეს პროცესი, ვამუნრუჭებთ სინთეზური საქართველოს შექმნას. ვგულისხმობ პროზაული ნაწარმოების მეგრულ ენაზე შეთხზვის ტენდენციას. ჰა და ჰა, პოეზია მოსათმენია სადღაც, მკლოდიის, სიმღერის დედაა. ლექსს თავისი უბადლო კანონები ახლავს, თავისი მეტრიკა და ინტონაციები, განუყოფელი პოეტური სახეები, მინანქრული

სისადაგე (რითაც განთქმულია საერთოდ მეგრული პოეზია), მშვენიერების ავტონომია, დამოუკიდებელ სხეულებრიობას რომ ანიჭებს, და ამგვარად — არსებობის იურიდიულ უფლებასაც, მაგრამ ისეთი რა გაგვიჭირდება, ორღობის საყვედურით ლაყაფი დედაქართულზე ვერ გავმართოთ?! აქ ტოს-კანური და პროვანსული გამოცდილების მოშველიება არაფრად წაგვადგება. ნუთუ სამაგალითოდ ვერ იკმარებს ვაჟას შემოქმედებითი გენია: აკაკის დაწუნებულ კილოზე მარგალიტების მთეს-გელი მგოსანი, შეუდარებლად ანკარაზე ანკარა სალიტერატურო ქართულით რომ ქმნის შვლის ნუკრის, ბუნრეკი წიფლის, მაღალი მთების სულისშემკრეველ ტრაგედიებს?!

ჩემი მიზანი სულაც არ არის ნართ კოლხარის გაკილვა ან გულის დაწყვეტა. მიგუთითებ უბრალოდ, რომ მისთვისაც და ერისთვისაც აჯობებს თავისი პროზა ქართულ სიმებზე ააჟღეროს, სოლო მეგრულ ზღაპრებს თუ გვითარგმნის ბრეგაძეებისა და ჩხენკელების სხივმოსილებით, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ან მოსათქმნია განა კერიის „ბოტებს“ შორის „გეფხისტყა-ოსნის“ მეგრულად თარგმნაში გამართული გაცხოველებული ჯიბრი?! საჭირო ყოფილიყო ვერა-ვინ დამასწრებდა ამ საქმეს! ის კი არა საკუთარი პოეზიაც მოვბოჭე, (აქა-იქ რომ იმღერება კიდევ), საერთო საქმის სასარგებლოდ. აბა, დაუფუგინდე, ვინ უმართავს ხელს შანაგას ვაითარგმანის სოლიდურ ტირაჟიან საუცსოთ გამოცემას? არაფრით დამიჯერებთ, თვით საქართველოს დაუ-ძინებელი მტერი, ვლადისლავ არძინბა!

„გეფხისტყაოსანს“ რუსთველზე უკეთესად ვერაფერს დაწერს, ვერც ცხონებული კაკა ჟვანია და ველარც — უორდროში, ნუცუბიძე თუ თქვენი მონა-მორჩილი გური ოტობაია! მეგრელებისათვის კი იმაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს, ორიგინალში რომ ძალგვიძის ამ მართლაც და უკვდავი ქმნილების ადეკვატური აღქმა?!

მასსოგს, ერთსეულ, გამომცემლობა „სამშობ ღოს“ დერეფანში გაზეთ „ტორონჯს“ მისსენებს ნართ კოლხარი და წარმოდგინეთ, თანამშრომლობასაც კი შემომთავაზებს. მე თავაზიანად მოუცდელიობას მოვიმიზნებ, რაც თანამოსაუბრეს არ ეჭაშნიკება და უფრო ღირსეულად წარ-მომიჩენს თავს:

— გინესის წიგნში ვარ შეტანილიო, — გამენდობა.

გავითცებ, როგორ-მეთქი?

— როგორ და 78 საათში (მომიტევოს ადრესატმა, დროს თუ ზუსტად ვერ ვასახელებ), რომანი დაგწერეთ.

თვალებს დავჭყყეტ:

— მწერალი თუ გეთქმის, შენ, ძმობილო! მე საწყალი, ათი წელიწადია ჩემს „სიცოცხლე-მისჯილს“ გეჯაჯგურები და ჯერაც ვერ გამიმართავს რიგიანად-მეთქი.

ბეგრი რომ არ გავაგრძელოთ, ნართ კოლხარის სტანანოგური ტემპით წერა რა ჩემი სადარ-დებელია, მისი ნამოქმედარის გამო ტალახს რომ არ მესროდნენ.“

წაეკითხა ოჯახსშენებულს, ნაკლებად მოიქნევდა ხარისას ჩემი ტოტებისაკენ, მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე ამოწურვას მოითხოვს და მომიტევებს მკითხველის ისედაც დამაშვრალი თვინიერება.

ახლაც, სადაც არის, შემოვევლე სულხან-საბას ძვლებს, რომელიც მეგრულს ფრინველთა ჟღერ ტულს უწოდებს საფრანგეთისკენ საქართველოს გადასარჩენად მიმავალი და ჭანებისგან გაქურ დული;

ახლაც, სადაც არის, შემოვევლე ლებანიძის ჯერაც ნელ-თბილ სხეულს, რომელიც მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსიო, შემოგვძახებს სახელმწიფოს მთლიანობას მოდარაჟე ვეზირის პოზიციიდან. ერთიცა და მეორეც ამ შემთხვევაში პალადინის, პატრიოტის გადასახედიდან განიხი-ლავენ პოეზიას და არაფერში არგიათ საქვეყნო საქმეებიდან განთესილი სტრიქონი. მაგრამ რა ქნას თავად პოეზიამ?!

სამოცდაათიანი წლები მასსენდება.

ხიდისთავი.

კალანდაძეების იდილიური ოჯახი ჩოხატაურის რაიონში და იქ გატარებული 72 საათი. ქალბატონ ანას ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქცია სიუჟეტს ამზადებს და როგორც პრაქტიკანტი მეც იქ მოვხვდები გადამღებ ჯგუფთან ერთად. ეს პერიოდი მურმანი ჩემთვის პოეტური ალქიმიის მეტრია, მეტიც, ქურუმნი. მივსეირნობთ გუბაზოულის პირას, ვბანაობთ, ვთევ-ზაობთ, აქა-იქ ლირიკის პრობლემებს გადავწვდებით. ჩემს რამდენიმე ლექსსაც გაუსინჯავს მაჯას ბატონი მურმანი. პირუთვნელია.

დუენდე აკლიაო, მეტყვის. თარგმანს ჰგავს სად-ღაცო, დაუნდობელია. იმ წუთას მამალი ინდაუ-რივით აფხორილი, მოგვიანებით ვავიციანობიერებ მგოსნის რჩევებს და საერთოდ გავანადგურებ ნაწვ-ლებს ლექსებს. აი, სწორედ ამ მომენტიდან მივეპარები მეგრული პოეზიის აკრძალულ ხილს, უკეთ დახურულ თემას — შიშით, რიდიო: არიქა, ქვეყნის დამამხობელი და მოლაღატე არ მიწოდონ-მეთქი, და როგორც გზადგზა იხილავთ, თავი ჭირსა არ დამალავს; ვერ შეიწყნარებს ერთმანეთს ლექსისადმი ორგვარი დამოკიდებულება: საკუთრივ პოეზია და პატრი-ოტიზმი. აი, ყველაფრის ანი და ჰოე.



### ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის აღმოჩენა

ენის წარმოშობის საკითხი ადამიანს ოდითგანვე აინტერესებდა. მის შესახებ, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, მრავალი თეორია ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, ენის წარმოქმნის თაობაზე ერთ კონკრეტულ თეორიაზე ენათმეცნიერება დღემდე ვერ შეთანხმებულან. ეს იმიტომ, რომ ვეღარცერთი თეორია უზრუნველყოფს საკუთარი ჭეშმარიტების დასაბუთებას.

აღნიშნულმა მდგომარეობამ, უკანასკნელ პერიოდში, ენის წარმოშობის საკითხისადმი ინტერესის შენელებაც კი გამოიწვია. 1888 წელს პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოება ასეთ განცხადებასაც კი გააკეთებს: არ იღებს მოხსენებებს, რომლებიც ენის წარმოშობას შეეხება. ენათმეცნიერებაში სადღეისოდ დამკვიდრებულია ამისთანა შესყდულებანი:

1. თანამედროვე მეტყველებაში თავდაპირველი კვალიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომაც შეუძლებელია მისი აღდგენა;

2. შეუძლებელია ენის ლექსიკის (სიტყვობრივი მარაგის) ჩვენს თვალწინ, როგორც ჯარისკაცებისა ადღუმზე (განდრისი), ჩამოტარება და დათვალიერება, მისი მათემატიკურად გამოანგარიშება;

3. ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული და წარმოადგენს შემთხვევითსა და ნებისმიერს, უფრო მეტიც, საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირ აღნიშნავენ, რომ „ის პერიოდი, როდესაც ხდებოდა ენის წარმოშობა, ჩვენთვის საშუალოდ დაკარგულია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წამოვაცენოთ ჰიპოთეზები მეტყველებისა და ენის წარმოშობის მიზეზებისა თუ პირობების შესახებ“.

აღნიშნულ და სხვა ანალოგიურ შესყდულებათა უსაფუძვლობას ამტკიცებს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფილოლოგიის კათედრის პროფესორის, ბატონ მაქანტი ქაძაშვილის ნაშრომი „ენის წარმოშობის საიდუმლოება.“


მხოლოდ მნიშვნელობის მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონის შვიდტომეულს მალე მიიღებს ჩვენი მკითხველი. საყურადღებოა ისიც, რომ ბ-ნი მ. ქაძაშვილი ენის წარმოშობის საიდუმლოების ამონ-

სწამდე მიიყვანა ქართველურ ენათაგან ერთ-ერთი ფენომენის, მეგრული ენის სიტყვათწარმოპოვლობის გამოკვლევამ და ამ ენის სალექსიკონო მასალაზე გაწეულმა პრაგმატიკული მუშაობამ. სწავთა შორის, უპრიანია აღინიშნოს შედეგები: მეგრული ლექსიკონი, რომელიც ტიტანური ძალისხმევით მზადდება, სრული ფორმით გამოცემის შემთხვევაში, ლამის სამასტომეულს გადააჭარბებს. მაშინტი ძაძაძიას კვლევა-ძიების თბიქტური შეფასება გვაბედვინებს განვაცხადოთ: „ლაზარე აღდგინებულია!“

კვირაძალია. ორნი გესტუმრებით ძაძაძიებს ბინდისპირზე — ისტორიკოსი, ეზოტერიკოსი და ამაგდროულად ბიზნესმენი თორნიკე შამათაგა, რომელიც სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობს და თქვენი მონამორჩილი. გაინარებენ მასპინძლები. ბატონი მაშინტი ურთულესი ოპერაციის მიუხედავად ომპინანად გამოიყურება. აქვს კაცს სამყაროსიეული მიზანი და არაფრად დაგიდევს კოლეგების გამოხდომებს. ცნობილი ჭეშმარიტებაა: კაცობრიულ აღმოჩენებს უმეტესწილად დილეტანტები ახდენენ ხოლმე. ბატონ თორნიკეს ბევრი რამ სმენია თურმე ბატონი მაშინტი ძაძაძიას ფენომენზე, ისიც ერთი პერიოდი ზდუ-ს თანამშრომელი იყო ლამის წელიწადი და ახლა ხარბად მიუგდებს ყურს.

— მეგრული ენის სიტყვიერი მარაგი მართლაც რომ დაუჯერებელია. ინგლისელებმა მილიონ ოთხასაიათასიანი ლექსიკონი შექმნეს და ეს დიდ მიღწევად მიიჩნევა თანამედროვე მსოფლიოში. მეგრული ენის ელასტიკურობა გაცეებას იწვევს ჩემში. რამდენიმე ათეული წელიწადია ამ სასწაულს ვუტრიალე. აქვთ ქალიშვილიც ცირა ძაძაძია დოქტორი გახდა უკვე, მთელი ოჯახით ვიკვლევთ მის ბუნებას და ელემენტარული საქმეები ხელიდან ვაგვირბის. ძლივს დაგაბინავეთ ჭირნახული. შეშა ჯერ კიდევ არ დაბიზადებია, არადა, ზამთარი კარზე მოგვადგა. მეგრული ენის ფენომენი გინესის წიგნშია შესატანი. მისი ძირითადი სიძლიერე ზმანაა. უკვე დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მეგრული ენის ლექსიკა დაახლოებით 20 000 000 (ოც მილიონს!) აჭარბებს. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს **2** ბგერა. მეგრულ ზმნას მსაზღვრელი არ სჭირდება უმეტესწილად. მაგალითისათვის „გეგნოცოც“ არ მოითხოვს დამატებით განმარტებას, „ტანშორჩილი კაცი გადასკუბდა.“ ყოველივემ მე და ჩემს ქალიშვილს — ცირა ძაძაძიას, ვგაფიქრებინა, რომ იგი ბუნების ენაა, თავდაპირველი.

„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოპოვლობა“ შეიდტომეულია. მასში განთავსებულია მილიონ ორასი ათასი სიტყვა! თითქოსდა დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი. შეიდტომეულს ბეჭდავს გამოცემლობა „ინოვაცია“. სპონსორი გახლავთ აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია. დღესდღეობით ხუთი წიგნია დასტამბული, რომლებზედაც ძვირფასი ნადავლივით უდევს დამაშვრალი მარჯვენა გაუტესელი ბუნების კაცს ადამიანურ შესძლებლობათა უტყუარ დასტურად და ხაბარდა, ბატონებო!



გამანტი ქაქამია

**მარგალური ულუ ზღვა რე,  
მა ფორექუ თე ზღვაშ მინჯე,  
ხვალე მადუ განჩურალი,  
მიდგაქ მუდგა ვეგერდგინჯე.**  
ავტორი

ენის წარმოშობის საიდუმლოება

**საერთო დასკვნები**

მეტყველებისა და ენის წარმოშობის საფუძვლები სიტყვათწარმომავლობაში იძებნება.

სიტყვათწარმომავლობაში მისი ფონეტიკური თავდასაბამი იკითხება.

სიტყვათწარმომავლობის ფონეტიკურ თავდასაბამს ბუნებაში მოცემული ბგერები წარმოადგენენ.

ბგერების გაღება დამახასიათებელია მოძრავი მატერიისათვის, ამ მოძრაობის გზაზე შემხვედრ წინააღმდეგობასთან კავშირში.

ბგერა არის მატერიათა ურთიერთდაჯახებისას წარმოშობილი ხმა, გადატანილი ამავედროულად წარმოშობილი ჰაერის ნაწილაკთა ტალღების განსაზღვრული რხევითი მოძრაობით, რაც შეიგრძნობა სმენით.

ბუნებაში მოცემული ბგერებისათვის, სამეტყველო ბგერებთან ერთად, დამახასიათებელია ნივთიერი წარმომავლობა. ამის მიხედვით, ისინი ფიზიკურ (მექანიკურ) ბგერებს წარმოადგენენ.

სამეტყველო ბგერებს, ბუნებაში მოცემული სხვა ბგერებისაგან განსხვავებით, ახასიათებთ წარმომავლობა. ისინი დამუშავებული ბგერებია და წარმოადგენენ ხანგრძლივი ადამიანური მოღვაწეობის შედეგს, გამიზნულს გარკვეული დანიშნულებით, რაც განსაზღვრავს მის სოციალურ მხარეს, სოციალურ ფასეულობას.

სამეტყველო ბგერები წარმოადგენენ ბუნებაში მოცემული აუარება დაუნაწევრებელი ბგერათკომპლექსიდან ადამიანის მიერ, მათდამი ხმაბაძვის საფუძველზე გამომარცვლულ ფონეტიკურ (ბგერით) ერთეულებს; მოკლედ, ფონემებს, რომლებიც ისტორიულად, გარკვეული ცნებებით ანუ მნიშვნელობებით არიან დეტერმინებულნი (განსაზღვრულნი).

ადამიანურ მეტყველებას სიტყვებით წინ უძღვოდა მეტყველების ერთგვარი ჩანასახოვანი ფორმა, რომლის დროსაც ადამიანები, ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვით ეხმიანებოდნენ ბუნებისავე სახეებს — საგნებსა და მოვლენებს, და მათ შესახებ ერთმანეთსაც გარკვეულ ინფორმაციებს აწოდებდნენ. პრაქტიკულად, ეს იყო მეტყველების ბუნების საგნებისათვის და მოვლენებისათვის



დამახასიათებელი ძირითადი ბგერათკომპლექსებით, ანუ შორისდებულებით (მაგალითად, „ჩხრჩრ ჩხრჩრ“-ით გამოიხატებოდა წყლის ჩხარჩხარი, „ჯღრჯღ ჯღრჯღ“-ით ფრინველის ჯღავჯღავი და ა.შ.) შორისდებულებთან წარმოქმნელ ფუნქციას ასრულებდა სონორების რიგი.

მეტყველების ამ დონისათვის დამახასიათებელი იყო ვიზუალური, და არა კონცეპტუალური აზროვნება. ამიტომაც, მას შეიძლება მეტყველება არც კი ეწოდოს. უფრო ეს იყო ადამიანური მეტყველებისათვის მოსამზადებელი პერიოდი, მისი წინარე ისტორია ანუ პრეისტორია.

მეტყველების განვითარება, რაც აზროვნების განვითარებასთან იყო დაკავშირებული, აუცილებლობით მოითხოვდა, ადამიანებს ერთმანეთისათვის ეჩვენებინათ ბუნების საგნები, მოვლენები და მათ შესახებ გაეზიარებინათ ინფორმაციები, როცა ეს საგნები და მოვლენები მოცემულ მომენტში უშუალოდ მათ თვალწინ არ იყო. ეს მოითხოვდა ბუნების საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ბგერების წარმოქმნას გარკვეული ჩვენებით — მიმთითებლური ტონალობით, ანუ მახვილოვნებით.

თავის მხრივ, ბუნების საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვანი ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების წარმოქმნა, მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე, მოითხოვდა სახმოსნო, შემდგომში, სამეტყველო ორგანოების დაძაბვას ანუ ემვაზიას, რამაც განაპირობა ამგვარი ბგერების დანაწევრებუ-

ლად (გამომარცვლულად) წარმოთქმა, მათთანვე უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერის წარმოჩენით (თანხლებით).

ამდგავარად, გამომარცვლულ თანხმოვან ბგერებთან და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებთან, როგორც ფონეტიკურ (ბგერით) ერთეულებთან წარმოჩენილმა ემფატიკურმა ნახევრადხმოვანმა ბგერამ, მისმიერი ჩვენებით — მიმითებლური ტონალობით ანუ მახვილით, უზრუნველყო აღნიშნული ბგერების დეტერმინირება (განსაზღვრულობა) ბუნების შესაბამის სახეთა ანუ საგანთა და მოვლენათა შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელობებით).

ამ დროისათვის ადამიანი უკვე წარმოთქვამდა, მაგალითად, ბგერათერთობას „ჯლ(რჯლ)“ ნაცვლად აღრინდელი „ჯლრრ-ჯლრრ“-სი (შორის დებული).

ასე წარმოსდგა უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერა. ბუნებაში მოცემული აუარება ბგერიდან ერთეული თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვანბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამომწვევებელ ანუ გამომარცვლელ ბგერად, მათთანვე ბუნების შესაბამის სახეთა (საგანთა და მოვლენათა) შესახებ შესაბამისი ცნებების (მნიშვნელობების) წარმოჩენა-დადასტურებით.

ბგერისავე ჩვენებით მიმითებლური ტონალობით ანუ მახვილით მოაჭრა ზედმეტი კული, ადამიანმა დაგმო მონოტონური, — მაშასადამე, უფუნქციო ხმოვან-ბგერები და უზრუნველყო მათგან გარკვეული (ოღონდ, ზოგადი ანუ საერთო ხასიათის) მცნებებით (მნიშვნელობებით) დეტერმინებული (განსაზღვრული) ერთეული ხმოვანი ბგერების გამომარცვლა, მათთანვე ბგერისმიერი მახვილის წარმოჩენით.

ასე მოევიდნა ადამიანურ მეტყველებას უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერა, როგორც ყოველ სამეტყველო ბგერის წარმოქმნელი დედაბგერა, ანუ დიდობგერა, მასთანვე მარცვალწარმოქმნელი ბგერა და დასტურ-ბგერა.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება იყო ერთმარცვლოვანი (მონოსილაბური), მაშასადამე, ერთცნებიანი ანუ ერთვალენტოვანი (მონოვალენტოვანი) თანხმოვანური (უფრო ზუსტად, ნახევრადხმოვანური). მეტყველება ანუ მეტყველება ერთეული თანხმოვანი ბგერებით, თანხმოვანბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით, ან ამათი ჯგუფებით, მათთანვე ნახევრად ხმოვანი (გ დასტურ-ბგერის თანხლებით მეტყველების ამ დონეზე მარცვალწარმოქმნელ ფუნქციას) ბგერასთან ერთად, ასრულებდნენ სონორი ბგერებიც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება, პრაქტიკულად იყო მეტყველება ბუნებაში მოცემული ბგერებით, ანუ ბუნების სახეთა, საგანთა და მოვლენათა მიერ გაღებულ ბგერებით, მათდამი ხმის მიბაძვის საფუძველზე, მოკლედ, ეს იყო მეტყველება ბუნების ენაზე.

მაშასადამე, თავდაპირველად ადამიანები ერთ ენაზე — ბუნების ენაზე მეტყველებდნენ. ეს მოიცავდა მეტყველებისა და ენის წარმოშობა-განვითარების პირველ დიდ საფეხურს.

თავდაპირველი თანხმოვანური მეტყველების პირობებში ერთეული თანხმოვანი ბგერები და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები, როგორც ფონეტიკური (ბგერითი) ერთეულები, ან კიდევ, მათი ჯგუფები (განაერთები) გვევლინებოდნენ ბუნების სახეთა ანუ საგანთა და მოვლენათა შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელობებით) დეტერმინებულ (განსაზღვრულ) თანხმოვანურ სიტყვებად.

ამ დროისათვის ხმოვანი ბგერები ჯერ კიდევ ცალკე გამოიყენებოდნენ. მეტყველების განვითარება, რაც აზროვნების განვითარებითა და ცნებების მომრავლებით იყო განპირობებული, აუცილებლობით მოითხოვდა ბუნების სახეთა (საგანთა და მოვლენათა) შესახებ კონკრეტული ცნებებით (მნიშვნელობებით) დეტერმინებული (განსაზღვრული), სიტყვებთან, იგივე იდეამატარებულ ერთეულ თანხმოვნებთან, ან მათ ჯგუფთან, როგორც გაორმაგებულ ან ორძირიან სიტყვებთან, ზოგადი ანუ საერთო ხასიათის ცნებების (მნიშვნელობების) წარმოდგენი, — იგივე, ბუნების საგანთა და მოვლენათა სივრცესა და დროში განმსაზღვრელი (ა, ე, ი, უ) ან კიდევ, ცნებების დამადასტურებელი (ო) ხმოვანი ბგერების მოხმობას, ანუ ორივე სახის ცნების თავმოყრა-შეხამებას.

ეს პრაქტიკულად წარმოადგენდა ძირეულ თანხმოვანურ სიტყვათა აფიქსაციის, პრეფიქსაციის, სუფიქსაციის და ინფიქსაციის (როცა საქმე თანხმოვანთა ჯგუფს შეეხებოდა), მაშასადამე, მორფემიზაციის ანუ მორფოლოგიზაციის, იგივე გრამატიზაციის პროცესს, რაც ამავე დროს თანხმოვანურიდან ხმოვანურ მეტყველებაზე გადასვლას ნიშნავს.

ამასთან ეს იყო ერთმარცვლოვანი (მონოსილაბური), მაშასადამე, ერთცნებიანი ანუ ერთვალენტოვანი (მონოვალენტოვანი) მეტყველებიდან მრავალმარცვლოვან (პოლისილაბურ), ე. ი. მრავალცნებიანი ანუ მრავალვალენტოვან (პოლივალენტოვან) მეტყველებაზე გადასვლა.

ეს პროცესი მოიცავს მეტყველებისა და ენის განვითარების მეორე დიდ საფეხურს.

თანხმოვანურიდან ხმოვანურ მეტყველებაზე გადასვლა განაპირობა ბგერის განსაკუთრებულმა უნარმა — სწრაფვამ უ, ი, ო, ე, ა, (ამ თანამიმდევრობით) ხმოვანი ბგერებისაკენ, რაც სხვადასხვა ხმოვან ბგერებად მის გადასვლა-განხმოვანებაში, ანუ გასრულხმოვანებაში გამოიხატება.

ამ უნარის მეოხებით, ბგერა, თანხმოვანურ სიტყვებთან სიტყვითწარმოების კანონზომიერებათა საფუძველზე მოხმობილ ხმოვან ბგერებს თანდათანობით უთმობს საკუთარ ადგილს და ტოვებს არენას, მაგრამ იგი აბსოლუტურად როდი ქრება, არა-

მედ განსხვავდება მარცვლის მახვილის სახით იმავე ხმოვან ბგერებში, რომელთაც ადგილი დაუთმო, რითაც გახაზავს მარცვალში დეტერმინებულ (განსაზღვრულ) კონკრეტულ ცნებას თუ მნიშვნელობას, ესე იგი ადასტურებს ამ უკანასკნელის ჭეშმარიტებას.

ამასთან **გ** ბგერის გარდასახვა, საჭიროებისდა მიხედვით, ხდება როგორც არასრული გახმოვანებულების უფუნქციო ემფატიკურ ნახევრადხმოვან ბგერებად, ასევე სრულიად გახმოვანებულ ფუნქციამატარებელ ხმოვან ბგერებად და ზესრული გახმოვანების ბგერებადაც, რაც შესაბამისად: სუსტი, საშუალო და ძლიერი მახვილის მეოხებით გამოიხატებიან.

ამდენად, მახვილის სიძლიერე განსაზღვრავს ხმოვანთა გახმოვანების ხარისხს.

რაც შეეხება უმახვილო ბგერათშეერთებებს, მათთან ბგერა წარმოჩინდება მხოლოდ ნაცვეთის სახით, როგორც გარდამავალი ბგერა.

იმ საფუძველზე, რომ არ არსებობს ენა მახვილის გარეშე, აგრეთვე ემფატიკური ხმოვანების გარეშე, სიტყვის ბგერათშეერთებები კი — გარდამავალი ბგერის გარეშე, ხოლო მახვილიც, ემფატიკური ხმოვანებიც და გარდამავალი ბგერებიც სხვა არაფერია თუ არადა **გ** დასტურ-ბგერის გამოვლინებანი ფონეტიკურ ერთეულში, (იქნება იგი მარცვალი, სიტყვა თუ წინადადება), **გ** ბგერა, მიუხედავად იმისა, გვევლინება თუ არა იგი ამჟამად მოცემული კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერით შემადგენლობაში, წარმოგვიდგება როგორც ადამიანური მეტყველების თანაზიარი კუთვნილება, მისი დაბადებიდანვე.

თანმედროვე ენების მიმართ ბგერის ისტორიულად თანაზიარობაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტებიც: **გ** ბგერა დღემდე სახეზეა იმ ენებში, რომელთაც შემონახული აქვთ თავდაპირველი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური სიტყვები. ასეთებს, ქართველური (იბერიული) ენებიდან წარმოადგენენ მეგრული, ჭანური და სვანური ენები, აგრეთვე საკუთრივ ქართული ენის მესხური და ჯავახური კილოები. წარმოთქმის ადგილის მიხედვით, **გ** ბგერის ანალოგებია სომხურის ხ, თურქულის **ḡ** და რუსულის **Г** ბგერები. ბგერის გამოვლინებაა მაგარი ნიშნების, **ḡ** ‘არსებობა რუსულში, აგრეთვე თანხმოვნები ანუ დიფთონგები მრავალ ენაში; **გ** ბგერა როგორც უთავდაპირველესი ემფატიკური ნახევრადხმოვანი ბგერა, უხვად იფრქვევა ნებისმიერი ეროვნების ახალდაბადებული ბავშვის ბაგეთაგან, ფილტვებიდან ჰაერის ნაკადის პირველი ამოჭირხვნა-ატირებისთანავე; **გ** ბგერა გაისმის, ჩვეულებრივ, **გ** ბგერასთან ერთად, კენესის დროს, ადამიანის, ასევე სხვა ცხოველების პირიდან. **გ** ბგერისათვის დამახასიათებელია ლავირების უნარი, — სრულყოფილ ხმოვან ბგერებამდე გახმოვანების, და პირიქით, სრულყოფილი ხმოვანებიდან არასრულ ხმოვანებამდე შემცირების ანუ რედუქცი-

რების წყალობა ის, რომ შესაძლებელია ხმოვანი ბგერების ნარნარად წარმოთქმა, რითაც, თავის მხრე, არის განპირობებული ის, რომ ადამიანები დედამიწაზე, მიუხედავად მათი ეროვნებისა, თითქმის ერთნაირად ტირიან, იცინიან და მღერაან.

თავდაპირველად თანხმოვნური მეტყველების არსებობის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ამჟამად, ჩვენს პლანეტაზე, აფიქსირებული ანუ გრამატიზებული, ესე იგი, სრულიად ან თითქმის სრულად გახმოვანებულ ენებს შორის არსებობენ არასრულყოფილი ფუნქციის ხმოვნებით გახმოვანებული ენები (მაგ. არაბული) და თვით ძირისეული ენები, რომელთათვისაც უცხოა აფიქსები (მაგ. ჩინური, ვიეტნამური ენები) თავდაპირველ თანხმოვნურ მეტყველებაზე მიუთითებენ სიტყვები: **npcm** — თითი, **cpr** მუხა — სერბულში, **dkr** — მგელი — ჩეხურში და ა.შ. თავდაპირველი თანხმოვნური მეტყველების კვალზე, მის გამოძახილზე მეტყველებს ძველად მხოლოდ თანხმოვნებით წერა ბერძნულში, ქართულსა და სხვა ენებში.

საფუძველმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული შეხედულებანი იმის შესახებ, რომ თანამედროვე მეტყველებაში ადრინდელის ნასახიც კი არ არის დარჩენილი და ამიტომ შეუძლებელია მისი აღდგენა; რომ ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაერთაა მოტივირებული და წარმოადგენს შემთხვევითსა და ნებისმიერს; რომ შეუძლებელია ენის ლექსიკის ჩვენს თვალწინ, როგორც ჯარისკაცებისა აღლუმზე (ვანდრიესი) ჩამოტარება და დათვალიერება, მისი მათემატიკურად გამოანგარიშება.

ზემოთაღნიშნული და სხვა დასკვნები საკვებით ნათლად დასტურდება გამოკვლევის ობიექტის — მეგრული ენის მონაცემებით, აგრეთვე ამ მონაცემების დანარჩენი ქართველური ენების, საერთო ქართული და რიგი სხვა ენების შესაბამის მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

თანამედროვე მეგრულში, ჩვეულებრივ ხმოვნურ სიტყვებთან ერთად დღემდე, თანაბარი უფლებით იხმარება 500-ზე მეტი თანხმოვნური სიტყვა, რომლებთანაც, როგორც წესი, წარმოდგენილია **გ** ბგერა, როგორც მარცვალწარმომქმნელი და დასტურ-ბგერა. იგი აქ ყველგან წარმოაჩენს მნიშვნელობას: „არის“ (მაგ. გგ ჰგავს, მსგავსია, მსგავსი არის; კ რკოა, რკო არის; ჰგრკგ მჰკნარია, მჰკნარი არის ან კიდევ ჰკნობადი, ჰკნობადი არის; ჯღგრჯღ ჯღავანა, ჯღავანა არის და ა.შ. (შდრ: ცეცხლი! მგელი!)

თანამედროვე მეგრულის აღნიშნულ 500-მდე თანხმოვნურ (იგივე ძირისეულ) სიტყვაზე, რომლებიც არც მხოლოდ ზმნებს და არც მხოლოდ სახელებს, არამედ, ერთდროულად ზმნებსაც და სახელებსაც წარმოადგენენ, არის დამყარებული (აგებული) ამ ენის მთელი ლექსიკური ფონდის დაახლოებით 33 პროცენტი, მათ შორის, ზმნური ლექსიკური ფონდის დაახლოებით მესამედი.

ამ ფონდების დანარჩენი ნაწილებიც აგებულია ოდინდელ ანალოგიურ თანხმონურ ძირებზე, რომლებიც სადღეისოდ გახმონანებულია (ხმონებით აფიქსაციის მეოხებით), და ცალკე თანხმონური სიტყვების სახით უკვე აღარ გვხვდებიან, ამასთან, არის ასეთებად მათი დაყვანის პოტენციური შესაძლებლობა.

თავის მხრივ, მეგრულის ლექსიკა, მისი წინასწარი გაანგარიშებით, დაახლოებით 3,52 მილიონ ლექსიკურ ერთეულს, მათ შორის ზმნური ნაწილი (ზმნები და სახელზმნები) 3,49 მილიონ ლექსიკურ ერთეულს დაითვლის.

ანალიზით დასტურდება, რომ მეგრული ლექსიკის საკუთრივ ზმნური ნაწილი (დაახლ. 3,49 მლნ. ლექსიკ. ერთ.), რომელიც ამ ენის მთლიანი ლექსიკის დაახლოებით 99,1 პროცენტს შეადგენს, დამყარებულია სულ რაღაც 1500-მდე თანხმონურ ძირზე ანუ ძირისეულ თანხმონურ სიტყვაზე და მიღებულია ამათი აფიქსაციის, პრეფიქსაციის, სუფიქსაციისა და ინფიქსაციის, აგრეთვე ზმნისწინებით მათი ვაფორმების გზით.

აღნიშნული სიტყვათსაწარმოებელი საშუალებებით კი, მეგრული ენა ძალზე მდიდარია.

კერძოდ, აქ ზმნური თანხმონური ძირების (როცა ისინი თანხმონანთა ჯგუფებისაგან შედგებიან) ინფიქსებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია 3 ან 4 ხმოვანი, ხშირად ხუთივე ხმოვანიც (მაგალითად წყლის ჩხარჩხარის გამომხატველი თანხმონური ძირისაგან „ჩხეჩხე“ მიღებულია ხმოვანი მარტივი ფუძეები: ჩხარჩხარ, ჩხერჩხერ, ჩხირჩხირ, ჩხორჩხორ, ჩხურჩხურ) ამასთან მეგრულში სუფიქსების რაოდენობა, სხვადასხვა ზმნებთან 4, 8, 32, 64 ერთეულს და მეტსაც კი ადგენს, ხოლო ზმნისწინების საერთო რაოდენობა 83 ერთეულს აღწევს. შემდეგ ამისა, მაგალითად, იგივე წყლის ჩხარჩხარის გამომხატველ თანხმონურ ძირზე „ჩხ რჩხ რ“ დამყარებულია 19 ათასამდე ლექსიკური ერთეული.

**ამდენად, ენის ლექსიკის სიმდიდრის განმსაზღვრელია სიტყვათსაწარმოებელ საშუალებათა სიუხვე.**

ენის ლექსიკის სიმდიდრეს განაპირობებს აგრეთვე ძირისეული სიტყვათა სიუხვე, რითაც მეგრული ენა ძალზე მდიდარია.

იგი განსაკუთრებით მდიდარია სინონიმური ზმნებით, რასაც განაპირობებს შემდეგი: მეგრულში მრავლად არის წარმოდგენილი განსაზღვრებები, შედარებები, ეპითეტები, ხატოვანი სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ (ძირითადად) ხმამიბაძვითია. ისინი კი (უფრო ზუსტად მათი ფუძეები) აქ გამოყენებულია ზმნური ლექსიკური ერთეულების (ზმნებისა და სახელზმნების) ფუძეებად. ამის შედეგად, მაგალითად, საგნის მოძრაობის გამომხატველ ზმნას (კერძოდ, სახელზმნას) „ულა“ (სვლა, სიარული) ერთადერთი ზმნისწინის „გვენო“-(გადა-) ექებნება 3200-მდე სი-

ნონიმური ზმნა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად ხმამიბაძვითია.

ყველა ზმნისწინის გამოყენებით კი მეგრულში საგნის მოძრაობის გამომხატველი ზმნების რაოდენობა 3,2 მილიონამდე ლექსიკურ ერთეულს დაითვლის, რომელთა დაახლოებით 99 პროცენტი (მათი თანხმონური ძირების მიხედვით) აშკარად ხმამიბაძვითია.

ამდენად, საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოსდა ხმამიბაძვით სიტყვები ენის ლექსიკის მცირედსა და პერიფერიულ ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის საკითხის გამორკვევისას მას მხედველობაში არც კი უნდა ვიღებდეთ.

ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ ენაში სამეტყველო ბგერების აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად ხმამიბაძვითი თანხმონანი ბგერებია, და ხმამიბაძვითობა იკითხება სხვა დანარჩენ ბგერებშიც, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ენის წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს შორის პრიორიტეტი **ხმამიბაძვით თეორიას განეკუთვნება**, რაც ცხადია, არ გამორიცხავს სხვა თეორიების შესაბამის მნიშვნელობასაც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველების წარმოშობის პირობებში, სხვადასხვა ადამიანები, მათი სხვადასხვა ჯგუფები, სასმენი და სახმოსნო (შემდგომში — სამეტყველო) ორგანოების რამდენადმე განსხვავებულად განვითარების გამო, ბუნების თვით ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის მიერ გაღებულ ბგერებს რამდენადმე განსხვავებულად აღიქვამდნენ და გამოხატავდნენ.

ამასთან, საგანთა და მოვლენათა სახელდებისათვის ისინი გარდა ხმამიბისა, მათს სხვადასხვა ნიშანთვისებასაც იყენებდნენ (აქედან: „გუგული“ ქართ., „კუკუშუკა“ რუს., „კუკუკ“ გერმ., „კუკულო“ იტალ., და ასე შემდეგ, მაგრამ: „ზოზულია“ უკრ., „ხოტოტოგისუ“ იაპ., „დუძიუან“ ჩინ. და სხვ.)

**ამდენად, ორმა ძირითადმა პირობამ:**

**1. ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ ბუნების საგანთა და მოვლენათაგან გაღებულ ბგერების რამდენადმე განსხვავებულად აღქმა-გამოხატვამ და ხმამიბაძვით სიტყვებად მათმა გამოყენებამ და**

**2. გარდა ხმამიბაძვისა, ბუნების საგანთა და მოვლენათა სახელდებამ მათი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (რაც შედარებით გვიანდელი ფაქტია), განსაზღვრა სხვადასხვა ენის, მათ შორის მონათესავესი წარმოშობა.**

ენათა დამადასტურებელ უტყუარ საბუთს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს სიტყვათა (შესატყვისობათა) ძირების მსგავსება, ზოგადად — ბგერათშესატყვისობათა მსგავსება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგრამატიკო საშუალებათა მსგავსებასაც.

თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველე-

ბისათვის დამახასიათებელი თანხმობის სიტყვები, რომლებიც პრაქტიკულად ერთეულ თანხმობან ბგერებს, ან თანხმობან ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს, ან კიდევ, ამათ ჯგუფებს წარმოადგენდნენ, ნახევარხმოვანი **გ** დასტურ-ბგერის თანხლებით, აშკარად მტარებლობენ კონკრეტულ ცნებებს (მნიშვნელობებს) ბუნების შესაბამის საგანთა და მოვლენათა შესახებ, მაგრამ თანხმობის სიტყვებიდან მტყველებზე გადასვლის პირობებში, როდესაც **გ** დასტურ-ბგერა არენიდან გასულია და გარდასახულია ხმოვნებში მარცვლის მახვილის სახით — ხმოვნურ სიტყვებში წარმოდგენილი ერთეული თანხმობები და თანხმობან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები თავიანთი ბუნებრივი საფუძვლიდან დაშორებულნი ხდებიან და აშკარად ვერ ავლენენ საკუთარ მოტივირებულობას (კონკრეტული ცნებებით ანუ მნიშვნელობებით აღჭურვილობას, იგივე დეტერმინირებულობას ანუ განსაზღვრულობას) და გვევლინებიან პირობით ნიშანთა სისტემის სახით. ამ ნიშნების პირობითობის ხარისხი იზრდება მტყველებისა და ენის განვითარების ზედაზედი საფეხურების მიხედვით. **ადამიანურ საფუძველზე კარგავენ მტყველება და ენა ბუნებრივ ხასიათს და ხდებიან ხელოვნური, რასაც თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს დამწერლობა, სალიტერატურო ენის შემოღება.**

ამდენად, ის ფაქტი, რომ თანამედროვე მტყველებაც და ენაც წარმოგვიდგება, როგორც პირობით ნიშანთა სისტემა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პირველყოფილ ადამიანებს, თავის დროზე, და ვთქვათ, რომ ალაპარაკებულებიყვნენ, თანაც სხვადასხვა ენაზე, და საამისოდ გამოეყენებინათ ბგერები და მათგან შედგენილი სიტყვები, პირობით ნიშანთა სისტემის სახით.

**ადამიანური მტყველებისა და ენის წარმოშობა ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ საფუძველს — ბუნებაში არსებული მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვას.** მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამეტყველო ბგერები მნიშვნელოვნად გარდაქმნილი ბგერებია, სადაც უნდა ფიგურირებდნენ ისინი სიტყვაში, სავსებით შესაძლებელია ავლენენ იმ კონკრეტულ ფუნქციას, რაც მათ ფონემოწარმოქმნითა პროცესმა დასაბამიდანვე დააკისრა.

**სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მტყველება ყოფილიყო აფიქსირებული ანუ გრამატიზებული ხმოვნური მტყველება და ამ უკანასკნელად მომდინარეობდეს სხვადასხვა ენაში მათი დეგრადაციის (დეაფიქსაციის, დემორფოლოგიზაციის) პროცესი და ეს, ე.ი. განვითარების უკუპროცესი ემუქრებოდეს ყველა ენას დედამიწაზე, საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში**

**არსებული მოსაზრება გ ბგერის მეორეულობის, კერძოდ, მისი ი ან უ (ზოგჯერ თ) ხმოვანი ბგერებისაგან მათი შექცირების ან რედუქციის გზით წარმოშობის შესახებ.**

იმ საფუძველზე, რომ თანამედროვე გრამატიზებული ენების ლექსიკა ძირითადად ემყარება თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მტყველებისათვის დამახასიათებელ თანხმობურ (იგივე ძირისეულ) სიტყვებს (მრავალ ენაში ისინი უკვე გახმოვანებულია), რომლებიც პრაქტიკულად ხმაბაძვით ბგერებსა და ბგერათკომპლექსებს წარმოადგენენ და მოტივირებულნი არიან ფონეტიკური თავდასაბამიდანვე, ამასთან, მათი რაოდენობა ენებში, ჩვეულებრივ სულ რაღაც რამოდენიმე ასეულს შეადგენენ, მოცემული კონკრეტული ენის სიტყვით წარმომავლობის გამოკვევა ძირითადში სწორედ ამგვარი სიტყვების წარმომავლობის გამოკვლევით (რაც მათი მოტივირებულობის გამოკვლევას გულისხმობს) უზრუნველყოფა, მათთან ერთად, საგრამატიკო საშუალებების (აფიქსების, ზმნისწინების და სხვ.) წარმომავლობის გამოკვლევის პირობებში.

ამგვარად გამოკვლეული ენის შესწავლა კი, მის არმცოდნეს, შეეძლება ექსტერნული წესით — სულ რაღაც რამდენიმე კვირის ან თვის მანძილზე.

გარკვეული გაგებით საფუძველსმოკლებულია ენათმეცნიერებაში არსებული შეხედულებანი ე.წ. „უნივერსალური გენეტიკური ლინგვისტიკური პროგრამის“, „უნივერსალური გრამატიკის“ და სხვა სახის უნივერსალიზების შესახებ.

ასეთი წარმოდგენები ილუზიური ხასიათისაა და განპირობებულია შესაბამისი მატერიალური საფუძველით. ეს საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ერთადერთი უნივერსალური რეალობა — სამყარო, ანუ არსებობს სამყარო თავისი უნივერსალური რეალობებით.

ის ფაქტი, რომ ყოველი კონკრეტული ენა წარმოადგენს სამყაროს უნივერსალურ მოდელს, ანუ უნივერსალური სამყაროს მოდელირების კონკრეტულ ცდას, განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპოლოგიის ენების გასაოცარ მსგავსებას, მათივე უდიდესი განსხვავებულობის პირობებში.

ეს ფაქტი, თავის მხრივ, ასაფუძვლიანებს ილუზორულ წარმოდგენას უნივერსალური გრამატიკის (ადამიანის გონებაში წინასწარ დაპროგრამებული ერთგვარი ფენომენის) შესახებ.

ნებისმიერი ეროვნულობის ბავშვს უცხო ენებთან შედარებით მშობლიური ენის შესწავლა გაცილებით ეოლეება არა მის ტვინში ე.წ. „გენეტიკური ლინგვისტიკური პროგრამის“ წინასწარ წარმოდგენის (იგივე, მისი ტვინის, „როგორც „წინასწარ დაწერილი დაფის“) მეოხებით (როგორც ამას ენათმეცნიერებაში ზოგჯერ მიიჩნევენ), არამედ სასმენი და სამეტყველო ორგანოების, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საარტიკუ-

ლაციო ბაზისის ისტორიულად შესაბამისი (მშობლიურისათვის დამახასიათებელი) განვითარების საფუძველზე. ენის, როგორც სხვა ენებთან ან დიალექტებთან მიმართებაში დამოკიდებული ერთეულის კრიტერიუმად უნდა მიჩნეულ იქნას ურთიერთგაგებინების დონე.

ამ საფუძველზე, მაგალითად, მეგრულ-ჭანურში, თანამედროვე ვითარების მიხედვით, მეგრული და ჭანური (რომლებიც ადრე დიალექტები იყვნენ) ცალ-ცალკე ენებად წარმოსდგებიან.

კაცობრიობის ენათა დასაბამიერ ენას ანუ ფუძე-ენას (იგივე დასაბამისეულ ენას) წარმოადგენს ბუნების ენა, ესე იგი ბუნების ენამ მისცა დასაბამი ნებისმიერ ენას დედამიწაზე.

ამ საფუძველზე, **თანამედროვე მონათესავე ენებს შორის დასაბამიერ ენას ანუ ფუძე-ენას წარმოადგენს ის ენა, რომელიც ყველაზე ახლოს არის ბუნების ენასთან. მაგალითად, ქართველურ ენებს შორის ასეთად გვევლინება მეგრული (მთლიანობაში: მეგრულ-ჭანური, იგივე მეგრულ-ლაზური, კოლხური, ანუ ზანური) ენა.**

ენაში დაუნჯებულა ადამიანთა საზოგადოების განვითარების, უწინარეს ყოვლისა, მისი გონებრივი განვითარების მთელი ისტორია, რაც ამავე დროს, უნივერსალური სამყაროს მოდელირების სიზუსტეს, ანუ სამყაროს რეალობათა შეცნობის დონეს გამოხატავს და პრაქტიკულად ენის ლექსიკის სიმდიდრეში რეალიზდება. ნებისმიერი ენის სიტყვათწარმომავლობის შესწავლას გამოკვლევას, როგორც წესი, მივყავართ არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ენის, არამედ, საერთოდ ენის წარმოშობის შესწავლამდე, მისი საიდუმლოების ამოხსნამდე. სხვადასხვა, ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების სიტყვათწარმომავლობის გამოკვლევა იქნება საწინდარი გარანტი იმისა, რომ, თუ არა მთელი სიზუსტით, მიახლოებით მაინც აღდგენილიქნას თავდაპირველი ანუ პირველყოფილი მეტყველება და ენა, მათი მოდელი. ენის წარმოშობის საიდუმლოება სიტყვათწარმომავლობაში ინახება, ამიტომაც სიტყვათწარმომავლობის, როგორც ენათმეცნიერების ცალკე კონკრეტული დარგის ჩამოყალიბება, დროის მოთხოვნით ნაკარნახევი აუცილებლობაა.

\*\*\*

„წინამდებარე ნაშრომში (იგულისხმება მ. ძაძაძის „მეგრული დიალექტი“, თბ. 1991 წ., წიგნი II, გ.ო.) წარმოდგენილი საგნის მოქმედების გამომხატველი 5 ძირითადი ზმნის: „გევნოროთგ“ — (გადავიდა), „რაგადანც“ — (ლაპარაკობს), „გოლახგ“ — (გალახა, ცემა), „გეშუ“ — (დაღია) და „ოჭკუმუ“ — (შეჭამა) რიგში, შესაბამისად გვაქვს: 2806, 247, 106, 68 და 247 ხატოვანი ზმნა, მათი საერთო ჯამი კი 3454 ერთეულს შეადგენს“.

თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ ყველაზე

მცირეწევრიან მისდარს „დაღია“, თანაც ერთადერთი ზმნისწინის გამოყენებით:

**„გებაზუ“** — სიამოვნებით და ზორბად დალევას გამოხატავს;

**„გაგურგუ“** — დიდი ნაკადით სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

**„გაგურჯუ“, „ქალეგურჯინუ“** — დიდი ოდენობით და სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

**„გაუქაფუ“** — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;

**„გაუქუქუ“** — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;

**„გელურწუ“** — შედარებით ნაკლები ნაკადის მიდენით, მაგრამ დიდი ოდენობით სითხის სიამოვნებით დალევას ნიშნავს;

**„გელურჯუ“** — დიდი ოდენობით სითხის მიძალებით დალევას გამოხატავს;

**„გელუმპუ“** — ლოპნით დიდძალი სითხის დალევას გამოხატავს;

**„გებაპუ“** — რამდენადმე მიკროძალებით ან კიდევ მცირედის და მცირე ნაკადით ე.ი. ყლუპებით დალევას გამოხატავს;

**„გერაფც“** — რამდენადმე გიჟურად, ე.ი. ჩქარა, ერთობ დიდი ოდენობით სითხის დალევას გამოხატავს;

**„გერთქაფუ“** — ძალზე დიდი ოდენობის სითხის უცბად, რამდენადმე უშნოდ, გარკვეული სულსწრაფობით, ღორულად დალევას (ამოთქვლეფას, გ.ო.) გამოხატავს;

**„გერუწუ“** — ბოლომდე, ჭურჭლის სავსებით დაცლამდე დალევას გამოხატავს;

**„გესაზგ“** — დაახლოებით წრუპვით, მაგრამ სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

**„გეტირკც“** — ერთობ ჩქარა (სულსწრაფობით, გ.ო.) და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გეტკაბუ“** — ძალზე ბლომად და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;

**„გესვასუ“** — წყნარა და მოწიწებით დალევას, ნაზად დალევას გამოხატავს;

**„გეტურკუ“** — სულსწრაფობით, ხარბად დალევას ნიშნავს;

**„გეტუცუ“** — ხარბად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გეფაზუ“** — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

**„გექანყ“** — გემრიელად, სიამოვნებით დალევას გამოხატავს;

**„გექაფუ“** — სწრაფად და ქაფვივით დალევას გამოხატავს;

**„გექინგ“** — სწრაფად და ხარბად დალევას გამოხატავს;

**„გექურუ“** — ბლომად და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;

**„გექურჩუ“** — დიდი ნაკადის მიშვებით დალევას გამოხატავს;

**„გელვაბუ“** — დინჯად, მაგრამ სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაღვაფი“** — დაახლოებით იგივეს გამოხატავს;  
**„გაღინჩი“** — ხარბად და ბლომად, თანაც რამდენადმე მედიდურად დალევას გამოხატავს;

**„გაღუფი“** — დიდი ნაკადის მიშვებით და მიძალეებით ბლომად დალევას გამოხატავს;

**„გაფიბუ“** — წყნარად, ან კიდევ რამდენადმე უშნოდ და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაფინტი“** — ძალზე სწრაფად დალევას გამოხატავს („ყინტი“ — ყლაპვა);

**„გაფურწი“** — ნაკლები ნაკადის მიშვებით, მაგრამ საკმაოდ ბლომად და ბოლომდე დალევას (ყლურწვას, გ.ო.) გამოხატავს;

**„გაფაბუ“** — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას ნიშნავს;

**„გაფარუ“** — ხარბად და ბოლომდე დალევას ნიშნავს;

**„გაფარუწი“** — ბოლომდე ამოწურვას ნიშნავს;

**„გაფასქირუ“** — ამოაშრო, ბოლომდე, წვეთის დაუტოვებლად დალევას ნიშნავს.

**„გაფაშუ“** — რამდენადმე სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაფაშუ“** — ბოლომდე დალია;

**„გაფაწურუ“** — ამოწურუბა, წრუბვით ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაფაშუ“** — რამდენადმე უშნოდ, ხარბად დალევას გამოხატავს;

**„გაფაწარწკანტი“** — „ამოაწიკწიკა“, პირწმინდად, ე.ი. სავსებით, მთლიანად დალევას გამოხატავს;

**„გაფახუბუ“** — ამოხვრიბა.

**„გაფაჯიქი“** — „ამოწმინდა“, ბოლომდე, მთლიანად დალევას ნიშნავს;

**„გაფი“** — დალია.

**„გაფიბუ“** — პატარის მიერ დალევას, ან კიდევ მცირედის დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — ძლივს-ძლივობით, ან ცოტ-ცოტათი დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბუ“** — მცირედის და რამდენადმე უშნოდ დალევას გამოხატავს;

**„გაფიბარზი“** — პატარის მიერ საკმაოდ ბევრის დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — არც ისე სიამოვნებით და მცირედის დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — პატარის მიერ მცირედის დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — კოხტად, კოპწიანობით (პეწიანად, გ.ო.) დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაფიბიბი“** — ბოლომდე და მცირედი ყლუბებით დალევას გამოხატავს;

**„გაწიკუბუ“** — ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაწიკუწი“** — შეწრუბა;

**„გაწიკაბუ“** — ბოლომდე და ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;

**„გაწიკაბი“** — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაწიკაბუ“** — ბოლომდე და რამდენადმე ხარბად დალევას გამოხატავს;

**„გაწიკუბუ“** — ხვრებით დალევას ნიშნავს („ხვრეპა“- ხუბუბა);

**„გაწიკუბუ“** — „ქელესხუხინი“ — სიამოვნებით და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაწიკარზი“** — ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაწიკარზი“** — ძალზე ბევრის, საკმაოდ ძნელის ვაჟკაცურად დალევას გამოხატავს;

**„გაწიკარზი“** — გვრგვინვით (თქრიალით) ჩაიძახა მუცლისაკენ;

**„გაწიკარზი“** — „ჩაისახლა“, ბლომად და ბოლომდე დალევას გამოხატავს;

**„გაწიკარზი“** — „შიგ ჩაისვა“, მთლიანად და ხარბად დალევას ნიშნავს;

**„გაწიკარზი“** — ჩხრილით ჩასხმით ბოლომდე დალევას გამოხატავს.

აქ ჩამოთვლილ ხატოვან ზმნებს კიდევ მრავალი დაეწვეილება და ეს გასაკვირი არ არის.

ცხადია, ბატონი მამანტი (კოლეგა ასულ ცირას თუ სხვათა დახმარებით), ვერ ამოწურავს მეგრული ზმნის თუნდაც ერთი ზმნისწინით წარმოებულ ფორმებს „დალევის, სმის“ თვალსაზრისით.

ასევე აღსანიშნავია, რომ აქ მოხმობილ მრავალ ზმნას გააჩნია მეორადი მნიშვნელობა, ანუ სინონიმური გაგება: მაგ. „გეშუ“ — ახსოვს; „გეფახუ“ — დაფიფილა. ისინი აქა-იქ სამბუნებოვანიცაა — „გეპაპუ“ — დაფიფინებით ზის და პაპად იქცა.

„მეგრულის ზმნისსართები, და კერძოდ, ზმნისწინები შეიძლება შევადაროთ უღრან ტყეს, სადაც ყოველი ხის, ყოველი მცენარის კარგად ნაცნობობის პირობებშიც, გზის გაგნება ერთობ ძნელია;

მეგრული ზმნები შეიძლება შევადაროთ ოკეანეს, რომლის გადაცურვასაც მაგელანის სიმამაცე სჭირდება.

ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ და სავსებით ნათლად ადასტურებს ქართული ენისა და ქართული ზმნის შესახებ დიდი ილიას მიერ თავის დროზე ნათქვამ ბრძნულ სიტყვებს: **„ჩვენ ენას ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრიან“; „ზნა სული და გულია მეტყველებისა... ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუგა ჩვენს ენას“.**

## სტუმრები ციდან — კაცობრიობის გამოცანა



კაცობრიობის ისტორიაში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ, მსოფლიოში პირველი კოსმონავტის, იური გაგარინის კოსმოსის სივრცეში გაფრენამ, ახალი ერის დადგომას შეუწყო ხელი. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებით, რაკეტებით, ზონდებითა და პლანეტაშორის ავტომატური სადგურების მეშვეობით, ატმოსფეროს გარეთ გატანილი ტელესკოპები და სხვა იარაღები მნათობთა და მრავალციური სხეულის დაკვირვება-შესწავლას უწყობს ხელს. კოსმოსის ახლო სივრცეში თვით ადამიანი შეიჭრა, ადამიანმა მთვარეზეც კი დაადგა ფეხი. კოსმონავტებს და საკუთრივ ავტომატურ აპარატებს მთვარის ქანის ნიმუშები ჩამოაქვთ დედამიწაზე.

ყველა პლანეტა თავიანთი თანამგზავრებით: მზე, კომეტები, მეტეორები, ასტეროიდები და შეუიარაღებელი თვალითა და ტელესკოპებით ხილვადი (თუ უხილავი, გ.ო.) ქმნის ერთ გიგანტურ სისტემას, რომელსაც გალაქტიკას უწოდებენ. ხოლო გალაქტიკათა უფრო გრანდიოზული ჯამია თავად კოსმოსი — სამგანზომილებიანი: მატერიის, სივრცისა და დროის ერთიანობა,

რომელსაც ყველგან მყოფი და ყველაფერში მსუფვევი უფალი ჩვენი, ექვს დღე-ღამეში შექმნის საკუთარ ხატად და სახედ მიჩნეული ადამიანის მეთაურობით.

პლანეტაშორის სივრცეში უხვად მოიპოვება მცირე და ნამცეცა მყარი სხეულები — კოსმოსური მტვრის ნაწილაკები, რომლებიც დიდი სიჩქარით მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით, დედამიწამდეც კი აღწევენ. მათ შორის არის კომეტები, მეტეორიტები, ბოლიდები. კომეტები მცირე მასისა და არაწესიერი ნისლოვანი ფორმის წარმონაქმნებია. კომეტის მთავარი მასა თავშია მოქცეული. კომეტების ბირთვის დაშლის შედეგია მეტეორიტები.


1908 წ. ციმბირში, მდინარე ტუნგუსკას ახლოს, დიდი ზომის ბოლიდი აფეთქდა, რომლის ტალღამ 30 კმ. რადიუსის არეში ხეები წააქცია. ეს შემთხვევა შეიძლება მიეწეროს დედამიწასთან მცირე კომეტის ბირთვის შეხებას. 1947 წლის თებერვალში შორეულ აღმოსავლეთში, ზღვისპირეთის მხარეში, სიხოტეალინის მთის კალთებზე, მეტეორიტები დიდი რაოდენობით ჩამოცვივდა. ნამსხვრევების საერთო მასა ათეული ტონით აღირიცხებოდა. ამ სურათზე ასახული ე. წ.



„კოსმოსური ნიგოზი“ ნაპოვნია სამეგრელოს მაღალ მთიანეთში, კირქვის მთის მწვერვალზე, ერთადერთი ეგზემპლარი, წონით 456 გრ. მსოფლიო კოლექციაში მეტეორები მთვარიდან 30 ცალამდეა ნაპოვნი, იმდენივე — მარსის პლანეტიდან. შეიძლება ეს „ციური სხეული“, რომელიც აქ არის აღმოჩენილი, ერთ-ერთი მათგანია. დღესდღეობით მთლიანად დედამიწაზე ნაპოვნია სხვა და სხვა ტიპის 25 ათასამდე მეტეორიტი. მათ შორის მრავალი მეტეორიტი ინახება ობსერვატორიებში, ასტროფიზიკის აკადემიაში, კოსმოსური საზოგადოების ფონდებში. ზოგიერთი მათგანი ინდივიდუალური აღმოჩენა და საკუთრებაა, რომლებიც პირად კოლექციებშია დაცული. მეტეორიტების ცნობილი კოლექციონრებიდან გამორჩეულია ფრანგი მილიარდერი, რომელიც ფლობს ურანის საბადოებს აფრიკაში. რუსეთის ქალაქ კრასნოიარსკში შექმნილია მუზეუმი, სადაც დაახლოებით 500 კგ-მდე სხვადასხვა „ციური სხეულია“ თავმოყრილი. ისინი ცნობილია „ტუნგუსკის“ კომეტის სახელწოდებით. რაც უფრო მატულობს კაცობრიობის

ცოდნა და გამოცდილება, რაც უფრო ზუსტი და განვითარებული მეთოდ-საშუალებები გამოიყენება ბუნების შემეცნებისათვის, მით უფრო მეტ საიდუმლოებას ამოიცნობს ადამიანი, მით უფრო აფართოებს შეცნობილი სივრცის საზღვრებს. სამყარო უსასრულოა სივრცესა და დროში, უსასრულოა მათში მოვლენათა ნაირნაირობა და უსასრულოა მათი კვლევისა და შემეცნების პროცესიც. „ციური სხეულები“ ასტრონომიული თანხა ფასობს, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომელთა ღირებულება უმნიშვნელოა. ცნობილი სიხოტეალინის რკინის მეტეორიტის 1 გრამის ფასი 10 ცენტია. არსებობენ მეტეორიტები, რომელთა ღირებულება უქვირფასეს მეტალზე ძვირია, ხოლო მეტეორიტის 1 გრამი მთვარიდან და მარსიდან ათეული ათასი დოლარი ღირს.

პუბლიკაცია მოამზადა  
**ხვინა მესხიაძე,**  
 ქ. ზუგდიდი.



**ლაშა ჯიქია**

**ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი**

**ცაიშის არქეოლოგიური გათხრები**

— ბატონო, ლაშა, ჩემთვის სასამოვნო იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის შესვენდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივთან და იქ გაუღებულ ინფორმაცია, რომ პართო განის გათხრებში აღმოჩენილი ერთი ექსპონატი მთელს ღუგურს გადაწონის. დამანისელი „HOMO GEORGIKUS“-ით ჩვენ კავკასია პირველი ადამიანის აკვნად გამოვაცხადეთ. ამ თვალსაზრისით რა მნიშვნელობისაა ცაიშის არქეოლოგიური გათხრები?

— აღსანიშნავია, რომ მართლაც საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან განებზრებულეები ვართ არაერთი უნიკალური აღმოჩენით. როგორც თქვენ შენიშნავთ: დმანისის, ვანის, საირხის, ითხვისის, თრიალეთის, შულავერის და ა.შ. არქეოლოგიურ მონაპოვრებზე ბოლო სამი წელიწადია მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. მათ შორის, ერთ-ერთი ფლაგმანია ცაიშის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ქრისტემდე VIII-VII ს. სრულიად უნიკალური არტეფაქტები (ხელოვნების ნიმუშები, რედ.) მოიპოვა, კერძოდ — გამოვლინდა მასალები, რომლებიც ასახავენ საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის პირველ ნაბიჯებს. ანუ მაშინდელი დასავლური ქართული ტომების, კოლხების უშუალო კავშირს ეგეოსურ ცივილიზაციასთან.

— ამ ასპექტით საინტერესოა ბატონ რისმაგვორდუნიანის გამოკვლევა მედიტერიანულ სამყაროზე. სიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით გამ-

თვლენილია კოლხურ-ბერძნული ცივილიზაციების სერიოზული კონტაქტები.

— ნიშანდობლივია, რომ კუნძულ სამოსზე აღმოჩნდა ბავშვჩახუტებული მხედარი ქალის ქანდაკება. მსგავსი ტიპის სკულპტურა მოპოვებულია აგრეთვე კონტინენტურ საბერძნეთში, რომელიც ძვ. წ. აღ. VII ს. თარიღდება. იგი ცაიშის სამაროვანის №1 სამარხში მოპოვებული მასალების სინქრონულია. კუნძულ სამოსზე ამ იდოლის (ქანდაკების, რედ.) აღმოჩენისთანავე გამოითქვა ვარაუდი, რომ იგი ეკუთვნის კოლხურ სამყაროს. შემდომში ეს მოსაზრება ამერიკელმა მეცნიერმა მარი ვოიაცისმაც დაადასტურა. ცაიშის გათხრებში ამ ქანდაკების მსგავსი 8 ეგზემპლარი გამოვლინდა (იხ. გვ. 16.) აღსანიშნავია აგრეთვე ბრინჯაოს ბალთები, აბზინდები, რომელთა მსგავსი საბერძნეთშიცაა ნაპოვნი. აქ იკვეთება უმთავრესი რამ: კოლხური სამყარო და ეგეოსური ცივილიზაცია ამ პერიოდისათვის ერთმანეთს იცნობს. ანტიკურ წყაროებში დაცული ცნობები კოლხეთში მიცვალბულის მეორადი დაკრძალვის შესახებ ცაიშის გათხრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. კერძოდ, ანტიკოს მწერალთა ცნობებით, კოლხები ადამიანებს პირდაპირ მიწაში კი არ მარხავდნენ, არამედ ჭერ ხეზე კიდებდნენ ხარის ტყავში შეხვეულს; როდესაც ძვალი და ხორცი ერთმანეთს განეშორებოდა, ძვლებს აპრიალბდნენ, მის გარკვეულ ნაწილს სპეციალურად გამართულ საკულტო მოედანზე კრემაციას ჩაუტარებდნენ და კიდურა ძვლებს აკლდამაში ჩააწყობდნენ.



— ჩინებული ფაქტია, მაგრამ ამ საკრალურ რიტუალს ახლავს ფრიად შორსმიმავალი ეზო-ტერიკა. კოლხებს ხეზე მხოლოდ შამაკაცის ნეშტი ჰქონდათ. ქალისას ქვევრში კრძალავდნენ. ამ ამაღლებით შამაკაცი ჰელიოს-დემეტოსიკენ აიწყოდა, იმნაირად, როგორც ფარაონების ცად ამაღლება ხდებოდა ტორნადობით, ანუ პირამიდის წვეროს გამობმული ქარბორბალებით.

— კოლხები მიწას და ცეცხლს მიიჩნევდნენ წმინდა სტიქიად. ამიტომაც ადამიანის პირდაპირ მიწაში მიბარება მკრეხელობად მიაჩნდათ. მისი ნეშტის გააბტიოსნება ამიტომაც ხდებოდა ცეცხლის მეშვეობით, ანუ მზის სიმბოლოთი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჩვენს მიერ აღმოჩენილი, დინამიკაში მოცემული სვასტიკიანი საკიდები. სვასტიკა შუმერულ-ეგვიპტური წარმოდგენით მზის სიმბოლოს ასახავდა. აგრეთვე მასში ხდებოდა სამყაროს ოთხი მხარის ინიციაცია. თავად მეფე აიეტიც ხომ ჰელიოსის შვილი გახლდათ.

— გათხრების ორგანიზაციულ მხარეზე რას გვეტყვიან?! ცაიში ხომ ეს ექსპედიცია ორ წელიწადში რიგით შეორა?

— ცაიში პირველად საძიებო-სადაზვერვო შულფი (თხრილი, რედ.) გავლებულ იქნა 2001 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მოვლინებული ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი რევაზ პაპუაშვილი. 2005 წელს უკვე დაიწყო კომპლექსური სამუშაოები ზუგდიდის რაიონის გამგეობისა და უმუშაოდ ბატონ ალექსანდრე ქობალიას შემწეობით. ექსპედიცია შედგებოდა 6 სპეციალისტისაგან. მათ ხალისით ეხმარებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. ცაიშის სამაროვნის №1 კოლექ-

ტიური ორმო-სამარხის შესწავლა ზუსტად 30 კალენდარულ დღეში დასრულდა. გათხრები ფინანსურად უზრუნველყო (5 000 ლარი) ზუგდიდის გამგეობამ. როგორც აღვნიშნეთ, ამ გათხრებმა უნიკალური ექსპონატები გამოავლინა, რამაც არსებითად განაპირობა ცაიში შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

— მაინც რა არქეოლოგიურ ფასეულობებზეა საუბარი?!

— სპეციალისტების მიერ ერთმანად აღიარებულია, რომ ცაიში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები ქართული კულტურული მემკვიდრეობის შედევრებია. მართლაც გასაოცარია კოლხი საზოგადოების დახვეწილი და გეომეტრიულად სრულყოფილი აზროვნება. გამოვყოფდი ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის სამკაულებს, რომლებზეც გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული, მათ შორის უნიკალურია სამკუთხედში ჩახახული წრე, სადაც დაცულია ამ სხეულების ზუსტი პარამეტრები. თავად ეს სიმბოლოები ხალხთა წარმოდგენაში სრულყოფილებას გამოხატავდა.

— მებადება აზრი, რომ კოლხეთი-შუმერი-ეგვიპტე ცივილიზაციის ერთიანი ჯაჭვის ორგანული რგოლებია.

— მეტსაც გეტყვი, მოპოვებული მასალები უდავოდ ადასტურებენ, რომ კოლხური სამყარო იზოლაციონიზმით არ არის შებოჭილი. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს გარე სამყაროსთან. კერძოდ, ჩვენს მიერ მოპოვებული ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი იწოდებოდა ცენტრალურ ამიერ-კავკასიურად. ცაიშის გათხრებმა დაადასტურა რომ ყოველივე წმინდა კოლხური ფენომენია. კონკრეტულად, მასზე გამოსახული ორნამენტები მხოლოდ კოლხურ მასალებზე



გვხვდება. გამომდინარე აქედან აშკარაა მათი იმპორტი მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ცაიშის სამაროვანის №2 სამარხი-აკლდამის შესწავლისას, რომელიც ქრისტემდე X-IX ს. თარიღდება, გამოვლენილია ეგვიპტური იმპორტის ნიმუშები — ცხოველსახოვანი ანთროპომორფული ქანდაკებები და ასევე სირია-პალესტინიდან შემოტანილი მინის ჩიტის მინიატურული სკულპტურები. აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეგვიპტესა და კოლხეთს შორის გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა ფინიკიელების შუამავლობით. ამდენად, მაშინდელ ცივილიზაციებს შორის ხელშესახები რგოლი იკვრება. ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებაც, თუ ვინ იყვნენ ეს ხალხები: უშმერები, ეგვიპტელები, კოლხები... ცაიშის სამარხში დაახლოებით 800-ამდე მიცვალებულია ჩასვენებული. ისინი წარმოადგენენ საზოგადოების საშუალო ფენას. უდავოდ ნათელია, რომ მათ დაგროვილი აქვთ გარკვეული სიმდიდრე, როგორცაა: ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებული სამკაულები. ბუნებრივია, დოვლათის შექმნა შეუძლებელი იყო სამეფო ორგანიზაციის გარეშე. მით უმეტეს, აქ წარმოდგენილი მასალების უმეტესობა წმინდა და ლოკალური ხასიათისაა და მეტად თვითმყოფად კულტურას ასახავს. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში ჰყავის ურარტული, ასურული კულტურები, და ამავე დროს ჩრდილოეთიდან ხდება კიმერიელებისა და სკვითების შემოტევა, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში მათი გავლენის არანაირი კვალი იძებნება. მისახვედრებელია, რომ მათ წინააღმდეგობას უწევს მეტად ორგანიზებული ძალა,

რომელიც შესაძლოა ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება იყო.

— **კოლხეთთან, საქართველოსთან დაკავშირებული ყველა ბილიკი ოქროს საწმისთან და ამირანის მითთან იყრის თავს, ანუ რკინის გამოდნობის და მონეტარულ სისტემის შექმნის საიდუმლოსთან. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე ცაიშის არქეოლოგიური მასალების მიხედვით?**

— ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა კერამიკის სასმისი, რომელიც ოქროს საწმისის იდენტურია, ცაიშის ძველი ხომ იმ პერიოდისაა, როდესაც რკინა ოქროზე უფრო ფასობს. და მართლაც, ჩანს, თუ როგორ ინტენსიურად აძვეებს ბრინჯაოს რკინა, შემდგომ — ფოლადი. და არსებობს მოსაზრება, რომ ბერძნების კოლხეთში შემოსვლის მთავარი მიზანი სწორედ რკინის მოპოვების საიდუმლოს გატანა იყო. როგორც ისტორიული, ლიტერატურული თუ არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ მათ ეს ჩინებულად მოახერხეს. ცაიშის ორივე სამაროვანი საინტერესოა სხვა ასპექტითაც, კერძოდ — ოსტეოლოგიური თვალსაზრისით. მისით თვალსაჩინოდ ხერხდება კოლხების ანთროპოლოგიური ჰაბიტუსი. მათი ძირითადი ნაწილი საშუალო სიმაღლისაა. სამარხში გვხვდება, როგორც ბავშვების, ასევე — მოზრდილების ჩონჩხები. მეტად საინტერესოა, რომ რამდენიმე თავის ქალაზე აღმოჩნდა აშკარა სამედიცინო ჩარევის კვალი. ბერძნული გადმოცემებით კოლხი მედეა ხომ მედიცინის ფუძემდებელია.

— **არის წყაროები, რომლის მიხედვით კოლხიტები აბატიონსებდნენ ფარაონთა ნეშტებს. მათ**



**მუმიფიცირების ჩინებულ სპეციალისტებად იხსენიებენ. ამასთან, ქართუშები, ქართის ტომის წინაპრები ახდენდნენ ფარაონების კორონაციას. მათგან მომდინარეობს „ქართუში“, როგორც სამეფო გვირგვინის სინონიმი.**


— ამისი სამხილი მასალა კოლხეთში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. შესაძლოა სხვა ექსპედიციებმა გამოავლინონ მსგავსი რამ, მაგრამ დღესდღეობით მოვლენებს ვერ გადაუფუჭრებთ და უმჯობესია არსებულზე ვისაუბროთ. ექსპედიციამ მოიპოვა საკრალური მნიშვნელობის სკულპტურული ქანდაკებები, ბრინჯაოს ვერძის, ხარის, ძაღლის და მითოლოგიურ სიუჟეტებზე გამოძერწილი ფიგურები. ძველი წარმოდგენით ხარი მთვარის წმინდა ცხოველად მიიჩნეოდა, რამეთუ მისი რქის მოყვანილობა ახალი მთვარის სიმბოლური ასახვა იყო. დღესაც მთის წინა სამეგრელოში თუთაშხას, ანუ მთვარის დღეს ხარის დაკვლა იკრძალება — ვაშინერს — არეგების. აქვე ერთ მეგრულ სენტენციაზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: **თუთა ახალი, დორონთი სი გუმასხარი**, — მთვარე ახალი, უფალო შენ გამახარე! ეს ხალხური გამოთქმა ნათლად მიუთითებს კოლხების რელიგიურ წარმოდგენასა და მითორიტულზე. ასევე ეთნოგრაფიულ ასპექტში საინტერესოა შემდგომი ფართიანი ფრაზა: **ჯვეშიშ ძვალი თოკ ვარკალანდას** — წინაპრის ძვალი უნდა კრიალებდეს. ცაიშის სამაროვანში აღმოჩენილი ოსტოლოგიური მასალა აშკარად მიუთითებს მის საგანგებო გაწმენდასა და პატივით ჩასვენებაზე.

— ერთი წუთით, საკრალური ხარის ამბავს მინდა მივუბრუნდეთ, კონკრეტულად კი იმას, რომ მთელი შუშერი, ეგვიპტე დიდი ფურის პირშოთა, ამასთან ჩემთვის გამათვინებელია აშკარად პროტოქართული ტომის — ბასკების დამოკიდებულება ხარისადმი, ღამის ხატად მიჩნეული ცხოველის ბარბაროსული დესფილირება — დაცაკვლა.

— კოლხურ სინამდვილეში მხოლოდ ხარის ქანდაკებები გვხვდება. მათ შორის ერთი ფურიც არ ფიქსირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამრობითი სქესის პრიორიტეტს, ხარი ხომ მთვარის წმინდა ცხოველია კოლხურში: **თუთა — მუშა ჩქიმი**. რაც შეეხება ფურის კულტს შუმერულ-ეგვიპტურსა თუ ესპანელების კორიდაზე, უეჭველად ინდო-ევროპელების გამარჯვების სიმბოლიკაა პროტოიბერიულ სივრცესთან.

— **საინტერესო საკითხი ჩამოაგდეთ. არის გერმანიაში ერთი თქვენი კოლეგა, ბატონი ჯონი აფაქიძე. ამას წინათ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა მისი ფრიად საინტერესო სტატია ტროას გათხრებზე. რამდენად ეხმიანება ცაიშის მასალები ილიონის პერიოდს?**

— სამწუხაროდ, ცაიშის გათხრების ფონზე ამ მიმართებით რაიმე კონკრეტული მოსაზრების გამოთქმა ძნელია, ვინაიდან ქრონოლოგიური სხვაობა საკმაოდ დიდია — 500-600 წელიწადი. თუმცა ეს მომენტი სულაც არ აკნინებს ცაიშის გათხრების მნიშვნელობას. ამ მასალებითაც მშვენივრად შეიძლება ოქრომრავალი კოლხეთის განჭვრეტა. მით უმეტეს, რომ აქ მოპოვებული ოქრომჭედლობის ნიმუშები



საქართველოში ერთ-ერთი უპირველესია, რომლის ეთნიკური ატრიბუცია ხერხდება. ჩვენი სამარხების მასალებით მყარად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: კოლხეთი ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფო წარმონაქმნია, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევენ ხეთები და ურარტულები. ამასთან კოლხური ოქრო, ვერცხლი, რკინა, ფოლადი ჯერაც უმეტოქა მის გეოპოლიტიკურ არეალში.

— **მარტვილის მუზეუმში, ცხონებულ გივი ელიაგასთან მისაუბრია კირებზე, ხვინჭა ქვებზე, რისი დამადასტურებელი მასალები დღესაც ინახება ჭყონდიდში. ძნელად დასაჯერებელია, იმ ექსპონატების ბატონი გივისეული დათარიღების მეთოდი — 80-70 ათასი წელი.**

— სამწუხაროდ შეიძლება გულდიად ითქვას, სამუზეუმო, არქეოლოგიური საქმიანობა საქართველოში ჯერაც არ არის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილი. ნაკლებია ლიტერატურა, ექსპონატების დესკრიპცია...

— **ბიბლიოგრაფია ლიტერატურულად.**

— დიხ. ამასთან ძალზე უმნიშვნელოა არქეოლოგიური მასალების რაიმე სახის ენციკლოპედიურ გამოცემაში თავმოყრა. მაგრამ შეინიშნება ცხოველი ინტერესი სახელმწიფოს მხრიდან, რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს ჩვენი გმირული წარსულის ამსახველი მასალების გამომზეურებას. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებაა, და ამ ფონზე, ბუნებრივია, მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა, წარმოჩენა, მათი პოპულარიზაცია გზამკვლევებით, გაცილებით ფართო

ხასიათს მიიღებს ახლო მომავალში. რაც შეეხება ცაიშის გათხრების მასალებს, ამჟამად მიმდინარეობს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის გამოცემა. მოგვიანებით იგი, ალბათ, ასახვას ჰპოვებს უფრო მონუმენტურ ნაშრომში. ჩვენ ზემოთ გაკვრით შევეხეთ ტროას პერიოდს, ბატონ ჯონი აფაქიძის ფენომენს. ის უცხოეთში მოღვაწე ნიჭიერი არქეოლოგია, მაგრამ როგორ უჩვეულოდაც მოგეჩვენოთ, არის ტენდენციები, როცა თვალსაჩინო სპეციალისტები აქეთ ჩამოდიან საქართველოში, იმ მიწა-წყალზე, სადაც კაცობრიობის შორეული წარსული მოუთმენლად ელის ახალ-ახალ აღმოჩენებს. უცხოელ სპეციალისტებში ეს ინტერესი დღითი დღე იზრდება. ამისი ბრწყინვალე ნიმუშია დმანისის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია.

— **ბატონო, ლაშა, უეჭველად დადგა დრო მთელს პლანეტაზე, როცა არქეოლოგიის განხილვა საკუთრივ არქეოლოგიით უკვე აშკარა კარნაკეტილობაა; როცა უამრავი საბუნებისმეტყველო დარგის შემთხვევლიება სხვანაირ რეგისტრში წარმოაჩენს კაცობრიობის გარდასულ პერიოდებს, როგორცაა: რადიოლოგია, ბიოსოციო-ეკოგარემოს დადგენა.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, სამყარო მთლიანია. არქეოლოგების მიერ მოპოვებული მასალებით სხვადასხვა სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ წამოაყენონ სპეციფიკური ინტერპრეტაციები, ეს იქნება პალეონტოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, მედიცინასა თუ სხვაგან. კომპიუტერის აღმოჩენამ დიდი



შესაძლებლობები შეუქმნა მეცნიერებს მჭიდრო კონტაქტებისათვის. ინტერნეტის მეშვეობით დღეს თავისუფლად შეიძლება პოლიტიკური საზღვრების გადალახვა ათასობით კოლომეტრით, ანუ მეცნიერება გვევლინება სრულიად კაცობრიობის და არა რომელიმე ქვეყნის მუზეუმის თუ კერძო კოლექციონერის საკუთრებად. ცაიშის გათხრებმა ჩვენ ნათლად დაგვანახა ეს პერსპექტივები. ამასთან ცაიშის გათხრებმა წამოაყენა წინაპირობა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება ფართოდ გაიშალოს კოლხეთში. დაგვემილია სოფელ რიყის ტერიტორიაზე ანტიკური ხანის ძეგლის გამოკვლევა, რომელიც წინასწარი ვარაუდით საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობის ელენისტურ პერიოდს მოიცავს, იმ სანატრელ ხანას, როცა სავაჭრო თუ კულტურული კავშირები ზენიტშია. ბერძნებს ამ დროს კოლხეთიდან გააქვთ ბზა, კანაფი, თაფლი, გემის საშენი მასალები. პრაქტიკები უამრავია: ნავარაუდევია საძიებო-სადაზვერვო ექსპედიცია მოეწყოს მთელი სამეგრელოს მასშტაბით, რამეთუ აუცილებელია შეიქმნას მათზე საინფორმაციო ბანკი. არ არის გამორიცხული კვლევა-ძიების არეალში მოექცეს სვანეთი, რადგანაც დაბლობისა და ბარის ტერიტორია მაინც მდინარეების წარმონაქმნი სივრცეა — იგივე მწვანე სამკუთხედი. ალბათ, უახლოეს ხანებში განახლდება ერგეტის დაკონსერვებული სამაროვნები, ამასთან გვაინტერესებს კოლხური ნამოსახლარების

შესწავლა, რომლებიც ინტენსიურადაა წარმოდგენილი დიხაგუძებზე. შემიძლია გამოვყო სოფელ ორულში პერტიებისა და წურწუმიების დიხაგუძები, სადაც აშკარაა რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ანტიკურ პერიოდამდე. ბოლოსთვის შემოვინახე ფრიად საინტერესო ფაქტი — ცაიშის სამაროვნის ზედა ტერასაზე მდინარემ ჩამორეცხა ფერდობი, სადაც გამოვლინდა ინტენსიური კულტურული ფენა. თამამი ვარაუდით შეიძლება იგი ნაქალაქარიც იყოს, ვინაიდან ცაიშში აღმოჩენილი მასალების სიმრავლე და ტექნოლოგია საქალაქო ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

**— გეთანხმები, ადრეულ პერიოდში ნებისმიერი დასახლება თბილ წყლებთან აღმოცენდებოდა ზოლმე — ტიბულისთან (დღევანდელი თბილისი), ტიბეტში, წყალტუბოში...**

— ცაიში ამისი ნათელი მაგალითია. თბილი გოგირდოვანი წყალი აიოლებდა ადრეული ეპოქის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. ამასთან იგი სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილასაა და ქმნის მეტალურგიის განვითარების წინაპირობას. ერთ რამეში მყარად ვარ დარწმუნებული, რომ ცაიშის ტერიტორია ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის კიდევ მრავალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ახლო მომავალში.

ბოლოდროინდელ ზუგდიდში არავინ იცვამდა მასზე მოხდენილად. სულ დასანიშნი ჭაბუკივით გამოწყებილი დაიარებოდა. ღია შეფერილობის პიჯაკები უყვარდა, მათ ტონალობას გემოვნებით მორგებული ჰალსტუხების მწყრივით. არადა, ეს გარდერობი ბარე 15-20 წლის წინათ შეეძინა. მუდამ ღიმილიანი დაიარებოდა, თუმცა საზრუნავი ღრუბელივით ეხვია თავზე.

მოჭარბებული მამაკაცური ღირსებებით შეემკო უფალს. ნამუსიანი ღვინო უყვარდა მეგობრების გარემოცვაში. უამრავი ხელოვანისათვის გაუმართავს ხელი. ახალბედა ლიტერატორებს მეურვეობდა. მათი დასტა არც თუ ისე ცოტა გახლდათ: ძმები კალანდიები — გენო, რენე, ზაურ; ნუგზარ ანთელავა — „ჩუნიო ბარაბანჩიკი“, ედემ კვირტია, ჩიქოვანები, ჩქვანავეები, შუკო ჯიქია. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ცინცხალ ნიჭს ეთაყვანებოდა. ერთხელაც ჩვენმა შუკომ ბაქოში პარტიულ სკოლაში წარგზავნილს ფრიად სამახსოვრო ფუნაგორია შეუთხზა. მთელმა ზუგდიდმა აიტაცა ეს სტრქონები:

**ბაქოშა ულ ოდიკინი,  
ხეშა ბიგა ქოდეკინი,  
ჯას გაუცორს ბრელ ფერაფა,  
გოჯინი დო გოთიკინი,  
კობუ რენდა გემკაცოთ დო  
მონდა რენდა ოთი კინი.**

ამ ჩასტუმკაში ზოგ ფალიკურ სიტყვას დასაშვები ვერბალური სინონიმებით აღვკაზმავთ, რამეთუ მრავალთათვის ისედაც მისახვედრებელია, რანაირ ხელჯოხზე დაძრავდა სიტყვას ჩვენი შუკო.

ჯოჯოხეთურ ოთხმოცდაათიან წლებში ოდიკი ნამდვილ მემკვიდრესავით პატრონობდა ვალოდია და ვერა კალანდიებს. პურის ფეკილით, შემით ამარაგებდა დეზინილი სამი ბელეტრისტის მშობლებს. პეტროვიჩს ყოველთვის მოეძეებოდა მისთვის შუშა არაყი, წინილი და შეუთამამდებოდნენ ხოლმე ცეცხლოვან სითხეს.


ედემ კვირტიას „კომბის“ შესაძენად დაჰყვება სენაკში; სხვებს ვილვეტის კოსტუმ-შარვალს უწალიჩებს; ვილაცას სამსახურში განამწყესებს, ვილაცას ქელებს თადარიგს უგვარებს.

უსახსრობის ჩვეული ყიამეთი ბოგინებს ჩემს გარშემოც. გაძვრა ფეხსაცმელს ლანჩა. გაიცრიცა პერანგის საყლო. ზუგდიდ-ვაჭრობის პარტკომია ოდიკი. კაბინეტში ავაკითხავ ხოლმე, როცა სადილის დრო მოახლოვდება. სასტუმრო „ოდიშში“ ცეცხოვრობ ფეშენებელურ ნომერში, მაგრამ დახვეწილად კედლები სავალალოდ საუზმე-სადილს არ ისხამს და გამაქვს თავი ასე.

ორ შაბათია. გამოვეჩითები ჩვეულებებისამებრ. იმედი აღშობაია და კიდევ რამდენიმე ზუგდიდელი დამხვდება იქ. წარმოუდგენს ჩემს თავს სადღეგრძელოს ეპითეტებით. „გვიმარას“ ავტორიაო, ამტყორცნის ცამდე. **„ჯიბუს მონტუ ჭიჭე ფარა“**, ამისი დაწერილიაო, ზეიმობს. წამოდგება. სეიფს მიაშურებს. საგულდაგულოდ შეხვეული რალაც შეკვრა გამოაქვს. „ალბათ, არაყ-ძებვეული“, გამიელვებს გონებაში. დადებს მაგიდის შუაგულში. მიხედვით, მანიშნებს თვალთ. შემოვაცლი თაბა ხეულს და კრილა ფეხსაცმლები გამოანათებს, პერანგები ჭრაჭუნა პარკებით.

— წადი სასტუმროში, მოირგე, კაცო და გამოგვიარე მერე თომა ლოლუას ციხისძიში. მურჯოხოდ, გაინძერი, არ დამხოცვინო ეს პატიოსანი ხალხი შიმშილით!

გაჭირვების ტალ-კვესია, დიახაც, და კიდევ — „მუ



რჯოხოდ“. ამ სიტყვას ყოველ ხუთ წინადადებაში ერთხელ მაინც აუცილებლად გამოურევს, რომელიც „რა გერქვა შენ“—ად ითარგმნება დედა-ქართულზე.

თბილისშიც უამრავი ამხანაგი ჰყავდა, მაგრამ გამორჩევით, ბატონ ალექსანდრე ასლანიშვილს ეთაყვანებოდა. მათთან ქესტეა გადაღამებას ამჯობინებდა სხვათა ბუმბულის ქვეშაგებს თუ ტაფამწვარს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის კვალობაზე პატიოსნად ემსახურებოდა რეგიონის ინფორმაციულ მამითადს. გამოუსწორებელი სიზარმაცით გამოირჩეოდა. თავის იშტაზე თუ არ იყო, კალამს ვერაფრით ააღებინებდით ხელში. არც წიგნებს აკლავდა თავს მაინცდამაინც. გაზეთები კი, იცოცხლეთ — დასტობით ელაგა მის სამუშაო მაგიდაზე კალმისტრით აჭრელებული.

— სამად-სამი ეგზემპლარი ჩამოდის გაყიდვაში, — იტყოდა სინანულით, — ერთს მე შევიძენ ხოლმე, მეორეს — ბატონი ვახტანგ კვარაცხელია და მესამე უპატრონოდ ხუნდება კვირიდან კვირამდე. დღეს არავის აინტერესებს შენი პროფესიონალიზმი. მთავარია სენსაცია, მთავარია ჭორი და ყვითელ-წითელი დარდუბადა. ამგვარი მენტალიტეტი ჩამოგვიყალიბდა. დღეს მედიის ხალხმა აიშვა. რას არ ჩმახვენ. ან სად არის ეტიკეტი, სრული განუკითხობაა. ლაფს გადმოგასხამენ გობებით, და სამართლიანად თუ შეეპასუხე, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაა.

შორიდან ესიყვარულებოდა ერთადერთ ქალიშვილს. ბედმა არ ინება მათი ოჯახის მთლიანობა. ათასში ერთხელ მოიკითხავდა ასულს. თავის დადრეკა უჭირდა თორემ უყვარდა, უყვარდა მთელი არსებით.

— ეგლა დამიტირებს ნამდვილი ცრემლით, — წამოსცდა სამიოდე წლის წინათ გამომცემლობა „სამშობლოს“ ბუფეტში პურობისას. ცამდე მართალი გამოდგა ჭაბუკივით აგზნებული ოდიკი. სულ სხვა იყო იმ დღეს მამას მონატრული გოგონას მარგალიტები.

# სანსაი

## ლაშა შელია



ოკინავას გოძიუ-რეიუ „კარატე-დო“-ს საერთაშორისო ფედერაცია დაფუძნდა 1979 წლის ივლისში, ინგლისის ქალაქ პულში პირველ საერთაშორისო პულის დროს. იმ ხანად სანსეი **მორიო შიგუანას** მოსწავლეთა რიცხვი უცხოეთში სწრაფად იზრდებოდა. **I. O. G. K. F.** ფორმირება მოხდა ბატონ კენა მინანგის მხარდაჭერითა და მონაწილეობით. (გოძიუ-რეიუს დამაარსებლის ჩოჯუნა მინანგის მეოთხე ვაჟიშვილი). ამ მიმდინარეობის ფორმირებას ზურგს უმაგრებდა არიჩი მინანგის — ჩოჯუნა მინანგის ოფიციალური მემკვიდრის ხელდასხმა, აგრეთვე სანსეი ჩოჯუნა მინანგის უფროსი მოსწავლეების თანადგომა, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მეცადინეობდნენ მასთან — კიეი ტამოიშე, შუშინა ფურუგენა, ჯიტსეი იოგი, შუიჩი არაგაკი და სეიჯი ნაკამოტო. ამასთან შეკრების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ სანსეი ხიგაონას უფროსი მოსწავლეები — ჯეიმს რუსო, ეტიენ გეტცი, ბეზიკი ლაუშბერი, ტერუი ჩინენი, რიუიჩი ონაგა, ხირომი სუჰუკი, პიტერ ხარმსი, ჯონ ლამბერტი, ჯეიმს ფლანიგენი და პერვეზ მაისტრი. **I. O. G. K. F.** ჩამოყალიბებული იყო ოკინავასეული გოძიუ რეიუ „კარატე-დო“-ს შენარჩუნებისა და პროპაგანდის მიზნით, რომელიც მთელს მსოფლიოს წარედგინა დიდი ოსტატის ჩოჯუნის მინანგის მიერ.



საორგანიზაციო შეკრებაზე გადაწყდა ყველა ქვეყანაში ეროვნული ასოციაციების შექმნა, რათა ფედერაცია გაძლიერებულიყო მთლიანობაში. ამასთან მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით ფედერაციაში შემავალ თითოეულ ქვეყანაში ჩატარდებოდა სავარჯიშო სემინარები, მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერების, აგრეთვე ტექნიკური დაოსტატების ამაღლების მიზნით, ვინც კი ოკინავასეულ გოძიუ რეიუს აირჩევდა აღმოსავლური ორთაბრძოლების იარაღად. დამტკიცდა ისიც, რომ ფედერაციაში შემავალ რომელიმე ქვეყანაში ორ წელიწადში



ერთხელ ჩატარდებოდა საერთაშორისო გაშუქუ (სემინარები). ფედერაციის პირველი გაშუქუ ჩატარდა 1979 წელს ინგლისის პატარა ქალაქ პულში. მეორე წარიმართა ქალაქ ნახაში ოკინავას კუნძულზე, დიდოსტატ ჩოჯუნა მიაგის სამშობლოში. ეს გახლდათ ხუთდღიანი სავარჯიშო სემინარები, რომელიც დასრულდა საერთაშორისო შეჯიბრებით კარატეში, რომლის მსგავსი ოკინავას არ ახსოვს. მისი არნახული წარმატების უმთავრესი მიზეზი გახლდათ ფედერაციის თითოეული წევრის თავადაკლული ძალისხმევა და აგრეთვე ქალაქ ნახას მცხოვრებლების გასაოცარი თანადგომა. მესამე საერთაშორისო გაშუქუ ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს. იმ ხანად მსოფლიო განიცდიდა მძიმე ეკონომიკურ დეპრესიას და ახალ ზელანდიაში 1987 წელს ჩატარებული მეოთხე გაშუქუ აღმოჩნდა უკანასკნელი. ამჟამად **I. O. G. K. F.** გაერთიანებულია 50 ქვეყანა. საქართველო ამ თანამეგობრობაში გაწევრიანებულია 2003 წელს. ამჟამად „კარატე-დო“-ს მთელს მსოფლიოში 200 000-ზე მეტი ადამიანი მისდევს XXI საუკუნეში კარატეს როლის გათვალისწინებით საზოგადოების ფრომირებაში, ახალგაზრდობის სულიერ-ფიზიკური წრთობის

შეუდარებელ სკოლად გვევლინება — იგი დაინტერესებულ პირებს ჩამოუყალიბებს ზოგადკაცობრიული ფასეულობების ესთეტიკურ და მორალურ პირინციპებს. ახალგაზრდულ ენერგიას მოაქცევს პიროვნებისათვის აუცილებელ კალაპოტში, ასწავლის ენერგიის დაოკების უნარს. ხანდაზმულებს შეჰმატებს ძალ-ღონეს, სუსტებს მისცემს შესაძლებლობას უმტკივნეულოდ დაიცვას თავი თავხედური შემოტევებისაგან. იგი სასარგებლოა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად ნაციონალური სხვადასხვაობისა. „კარატე-დო“ არ ცნობს ასაკსა და სქესს, ძლიერსა და სუსტს, მშვენიერსა და უკეთურს, იგი ყველას ანიჭებს სრულყოფილებას, ოღონდაც მოინდომე, ოღონდაც თავად მიანდე სული მისი უშედავათო წვრთნების პროცესს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია — აღზარდოს განათლებული, ტექნიკურად კარგად მომზადებული ინსტრუქტორები, რომლებიც შეძლებენ არა მხოლოდ ტექნიკური ტრადიციის გადაცემას, არამედ ახალგაზრდებს მიანიჭებენ აუცილებელ მორალურ ფასეულობებს, დაეხმარებიან მათ შეიძინონ ქედუხრელი სულისკვეთება, რომელიც ფაქტობრივად ყოველი ცხოვრებისეული წინაღობის გადალახვის უტყუარი გარანტიაა.



— ჩვენ რამდენიმე კვირა ვაკვირდებოდით კონტაქტური გოჯური კარატეს მეცადინეობებს ზუგდიდში. ისინი ახალდაბრუნებულები იყვნენ თურქეთიდან. ფრიად პრესტიჟული მედლები ჩამოიტანეს მშობლიურ ქალაქში. ანკარაში სამი დღე მიდიოდა მსოფლიო ჩემპიონატი კინგ-ბოქსში და წარმატებაც სრულიად მოულოდნელი იყო, მაგრამ უმჯობესია ამის თაობაზე თავად ზუგდიდის „კარატე-დო“-ს ხელმძღვანელმა, ბატონმა ლაშა შელიამ ისაუბროს.

— მიმდინარე წლის ექვს აგვისტოს საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში — კინგ-ბოქსში. ამ ტურნირში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები — სულ თორმეტი ქვეყანა. ცნობისთვის, როცა ტურნირში 7-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, მსოფლიო ჩემპიონატად მიიჩნევა. ნაკრების წევრები განვითარდნით სასტუმრო „ბასკოში“, რომელიც აღჭურვილია სპორტული ბაზებით — საცურაო აუზი, სპორტული დარბაზები და ასე შემდეგ. ტურნირი დაიწყო მომდევნო დღეს. ზუგდიდთან მონაწილეობა მიიღო კლუბ „პატრიოტის“ აღზრდილმა სამმა სპორტსმენმა — 12 წლის ჯახუ ჯინჯოლავამ, 13 წლის დემურ ქირიამ და 17 წლის სპარტაკ მამფორიამ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ჩემპიონატი მიჩნეულია ძალიან ტენდენციურ არენად. ამერიკასა და იაპონიაში გამარჯვება გაცილებით იოლია, ვინემ თურქეთში, ვინაიდან მსაჯების კორპუსი გასაოცრი მიკერძოებით გამოირჩევა და მწვრთნელებს კბილებით გვიჭერავს სული, რომ არ ავარდებოდა ტატამზე ყვების დასალეწად. დამერწმუნეთ, ჩემმა ბავშვებმა გადამარჩინეს ამ ჭირის ოფლის მომწურავ საქმეს, ღირსეულად გაართვეს თავი მათზე მონდობილ იმედებს და მოწინააღმდეგენი ფეხზე არავინ დააყენეს. ტენდენციური მწვრთნელები რას გააწყობდნენ. უკვე სუფთა ნოკაუტებს ვერაფერს უზამდნენ. გახსოვთ „ბაში-აჩუკიდან“, აწი გინდა შეიტანე და გინდა გამოიტანო. მე გოგლი-მოგლის ბეჭებს კი არ ვზრდი, არამედ — შარდენ-ჭირებს. კარატისტს თვალეში ეტყობა რა ჯურისაა. შესაძლოა მან თავიდან ვერც კი აუღლოს ალღო ამ თვალსაჩინო საომარ ხელოვნებას, მაგრამ მთვარზე მთავარი მაინც უდრეკელი სულია. მოშიშარი, გნებავთ ყველა კატას ფლობდეს, ერთხელ უცილობლად წაიფორხილებს და ეს წაფორხილება შეიძლება მომაკვდინებელი გამოდგეს. აკი ამბობს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი კონტაქტურ გოჯურ კარა ტეში, ბატონი სენსეი (მწვრთნელი) მორიო კიბუანა: **დიდგაროვანია თუ არა წარმოშობით ადამიანი, მას აქვს საბაბი სირცხვილისა, თუ სიცოცხლე ერთხელ მაინც არ შეუგდია სასწორზე. ლითონი ცეცხლით მოწმდება, ადამიანი კი რითაც ის ღაპარაკობს. ჯილდო დამსახურების გარეშე უსარგებლო საჩუქარია, რომელსაც უბედურება მოაქვს. შევარდენი შიმშილისაგან რომც კვდებოდეს პურის მარცვალს არ მიეკარება. თქროს მარცვალი ძალიან, ძვირფასია, მაგრამ თუ თვალში**





**დაიხსოვით ეს ბავშვი!**

ევროპის ჩემპიონი  
„კარატე-დო“-ში  
დათო წყაროზია



ჩაგივარდა, ეგრევე თვალთ დაგიბნელდება. შეუძლებელია გახდე ნამდვილი მეომარი თუ განათლებული არ ხარ. მეომარს პატივს სცემენ პირველ რიგში დახვეწილი მანერებისათვის, განსწავლულობა და საბრძოლო სელოვნება, ურმის ორ ბორბალს ჰგავს. თუ ერთ-ერთი აკლია, ურემი გადაყირავდება. არსებობს სხვაობა დაბნეულ გონებასა და გონებადაბნეულობას შორის, ამ ცვალებად სამყაროში სამურაიმ დისციპლინის გზაზე უნდა იაროს.

— ბატონო ლაშა, იმისთანა მშვენიერი ციტატა მოიშველიეთ ბატონ მორით ჰიგაუნას თქმული, რომ ლამის მიმაგიფყდეს თურქეთის ტურნირი. ამას მოგვიანებითაც მოგუბრუნდებით, მაგრამ ჯერ მთავარი თემა ამოვწურო. მაინც როგორ მოხდა თქვენი ბიჭების ასეთი წარმატება, რამ განაპირობა ყოველივე, პიროვნულმა მონაცემებმა თუ დაუღალავმა მეცადინეობამ?

— ბატონო, გური, ჩვენ სამი თვე ვემზადებოდით ამ ტურნესთვის. შეკრებაზე ვიყავით სქურში გასული, სადაც დღეში სამჯერ ვატარებდით 2-2 საათიან ვარჯიშებს. დაბოლოდნენ სუფთა ჰაერზე. მუშაობდნენ წყილებზე. გაგონილი გვქონდა, რომ აქაურობას ერთი ლეთისნიერი პატრონი გამოუჩნდა, ბატონ გურამ დადუანის სახით, მაგრამ ჩვენ ამისთანა ბედნიერებას ვერ ველირსეთ იმ დღეებში. გაგონილი გვქონდა, რომ ბატონი გურამი მარნეულის რაიონში კვარცეცხისაგან ამზადებს ტყვიანობაში ჟილეტებს, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ამისთანა ფუფუნება, ჩვენი ყაჩაღები კბილით იჭერენ ტყვიას. აგრეთვე სქურში ბიჭები ატარებდნენ ორთაბრძოლებს, სანამ ერთ-ერთი არ გაითიშებოდა. ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ჩემი მიდგომები საკმაოდ მკაცრია, მაგრამ მე ვახსენე, მეომარი კაცი უნდა იზრდებოდეს რეალური ასპარეზისათვის და არა — ტაშ-ფანდურასთვის. გვახსენდება ჩინებული ფილმები: „ძიუდოს გენია“, „კრასნაია ბარადა“, სადაც ტოსირო მიფუნე დაუნდობელია თავისი შეგიდებისადმი. ეს სპარტანული აღზრდა ქართულ ლიტერატურაშიც არის აღწერილი, „სიბრძნე სიცრუისაში“ ჯუმბერს მისი მასწავლებელი ფეხშიშველას დაარბენინებს ქვა-ლორღზე. ამნაირ მიდგომებთან შედარებით ჩემი სტილი თურქული კანფეტებია. რა თქმა უნდა, საქართველოში არსებობს კარტეს სხვა მიმართულებებიც, მაგრამ ჩვენი კონტაქტურია, ზუსტად ისეთი, როგორიც ცხოვრება. **ნახატე** ნიშნავს შიშველ მუშტს. ძველი ოსტატების თქმით, თუ ხელს გირტყამს ადამიანი, ის ხელი უნდა მოამტკრიო. თუ ფეხს გიქნევს, ის ფეხი უნდა მოამსხვრიო. უძველეს დროში ამ მეთოდებით ვარჯიშობდნენ ოსტატები. ისინი მახვილით აღჭურვილ მეფის ჯარისკაცებს — სამურაებს, შიშველი მუშტით ხვდებოდნენ და წარმოიდგინეთ ხშირ შემთხვევაში ჯაბნიდნენ კიდევ. საქ მე ის არის, რომ გლეხებს არ ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება. ამიტომაც დაწინაურდა ჩინეთსა და იაპონიაში, კერძოდ — კუნძულ ოკინავაზე,

ეს გასაოცარი საბრძოლო ხელოვნება. ჩვენმა ბიჭებმა თურქეთის ჩემპიონატში მართლაც რომ გვასახელეს: ოქრო — **ჯახუ ჯინჯოლაფა**, ვერცხლი — **დემურ ქირია** და ბრინჯაო — **სპარტაკ მამფორია**.

— **იყო საქართველოს დროშა, ჰიმნი, ან სხვა რამ ფულადი ჯილდო?!**

— დროშის აღმართვა და ჰიმნის დაკვრა ამისთანა რანგის ტურნირისათვის აუცილებელი პირობაა. რაც შეეხება ფულად ანაზღაურებას ამ მხრივ ხელმოცარულები ვართ. ალბათ, გვექნება საშუალება მეტი ყურადღება მივაქციოთ სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში კარატის განვითარების პერსპექტივებს, მაგრამ აქვე შემიძლია აღვნიშნო, რომ რეგიონის გუბერნატორის, ბატონ **ზაზა გორიზიას** ხელშეწყობითა და სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის (მმართველი **ჯიმურ შერთია**) გარეშე ამ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას საერთოდ ვერ მივიღებდით. რასაც აქ ხედავთ: გამლილი დარბაზი, სპორტული ინვენტარები, საშხაპე და მისთანანი, ჩვენი თავგადაკლული მონღომების შედეგია და არავითარი სხვისი დახმარება. გვეყოლოდა გვერდით ბატონი გურამ დაღუანისმაგვარი ხალხი, ვინ იცის, რეებს ჩავიდნდით. ეს მომავლის საქმეა. შეუძლებელია წარმატებამ გულშემატკივრები არ გაგვიჩინოს. მე კარატეს მართო სპორტულ მიზნებს როდი ვუჭევემდებარებ. ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ ჯოჯოხეთურ ორას წელიწადში. დავთმეთ არა მხოლოდ ფიზიკური და სულიერი წრთობა, რომელთა წყალობით გადავრჩით ათასწლეულების მანძილზე, არამედ ზედმეტმა წონამ ლამის ფეხზე მოსიარულე მძორებად გვაქცია. ჩემთვის კარგე უმთავრესად სულიერი და ფიზიკური წონასწორობაა. ამის თაობაზე ბევრი გვისაუბრია, და მიხარია, რომ ესოდენ ღრმად ხართ ჩახედული ადამიანის ანთროპოლოგიურ აღნაგობაში. აკი, თქვენზე თქმით პლანეტაზე პირველად ქართველ ქურუმებს გაუწონასწორებიათ „ჰომო საპიენსი“, როცა პოლიფონიური საგალობლებით აამღერს და ეს ჰარმონიულობა ცეკვაში წრიული მოძრაობებით დაამაგრეს გენეტიკურად.

— **ამბობენ, რომ ჩინეთის დიდი საქარავნო გზა, მხოლოდ აღებ-მიცემობას, ვაჭრობას როდი ემსახურებოდა. აქ უმთავრესი ფაქტორი გახლდათ ინფორმაციის მოპოვება. ჩინეთის „დიდი აბრეშუმის გზა“ მაგნიტივით იზიდავდა წინ შემოსევდრილ ეროვნულ ფასეულობებს, ამიტომაც არაფერია გასაკვირი, თუ თავად ჩინეთი გვეყვლინებოდეს ნებისმიერი კულტურის შეპყრებ სახელმწიფოდ. იქ ქართული ცეკვის ელემენტები საბრძოლო ხელოვნების ენით ამეტყველდა.**

— ეს ყველაფერი ეთნოგრაფების საქმეა, ალბათ. მე თავად კარატეს ჩამოყალიბებულ სკოლასთან მიხდება ურთიერთობა, რომელსაც გაჩანია თავისი ილეთების უნიკალური კომპლექტი. ამიტომაც გახლავთ „კარატე-დო“ გაცილებით





ტველი დანარჩენთან შედარებით. არა, ჩვენ ჩრდილს არავის ვაყენებთ, ერთი ავსებს მეორეს, მაგრამ „კარატე-დო“ ეს — სრულყოფილებაა.

— **უნიშნული მაქვს, აღსაზრდელებს თქვენ უცხოური ტერმინებით მიმართავთ ხოლმე. წარსულში ქართული და თავისუფალი ჭიდაობით გატაცებულს, სპორტის ნებისმიერი სახეობა გულთან მიმტანია. ამასთან მე უამრავი ფილმი მიხილავს ძიუდოსა და კარატეს ურთიერთმიმართებაზე. იქ, წარმოიდგინეთ, ძიუდო, როგორც თავდაცვის იარაღი, თრგუნავს კარატეს, ნინძას და კიდევ სხვა მიმართულებებს.**

— ეს, ალბათ, სამოციანი წლების იდეოლოგიის ნაყოფია, როცა ადამიანებს ზერეღე ჰუმანიზმს ჩრიდნენ ყანყრატოში. არადა, გაირკვა, რომ ცხოვრება გაცილებით სუსხიანია, ვიდრე ეს ფერადი სათვალეებიდან ჩანს. დღესდღეობით არ არსებობს საბრძოლო ხელოვნებაში უფრო დახვეწილი სპორტი, ვინემ — „კარატე-დო“. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ათწლეულში მან ზედმიწევნით აითვისა სხვა მიმდინარეობების არსებითი მოძრაობები, გააცოცხლა მივიწყებული ტრადიციები, გამოავლინა ფარული ნახაზები და მარტივად თუ ვიტყვით, შეაჯამა ყველა სკოლა. ამიტომაც ჩემთან მოსულებს ნუ გაუკვირდებათ, ბავშვებს ზედმეტი სიმკაცრით თუ ვეპყრობი. თავის მოტყუებისთვის ქართველს, საქართველოს ნამდვილად არ სცალია! განსაკუთრებით, როცა გარშემო ლამის საგანგებო ვითარებაა. მე დიდი სიამოვნებით ვწვრთნიდი რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს სწრაფი რეაგირების ბიჭებს, სრულიად უსასყიდლოდ, ვინაიდან ხიფათიან მოლიბუღ გზაზე გასული ადამიანი ადეკვატურად უნდა იყოს ფიზიკურ ფორმაში. წინააღმდეგ შემხვევაში შეიძლება უკუღმართად მოქმედი დანის წერა გაახდეს. ბუნება არ გაპატიებს მოჩვენებითობას! ბუნებას სათანადო რეაგირება უყვარს ნებისმიერ სიტუაციაში! წყალში ჩავარდნილს ოვაციები ვერ უშველის, ხელ-ფეხის გატოკებაა საჭირო, თორემ დაიხრჩობი. ასევეა კარატეშიც, რომელიც მკაცრი ბუნების ანალოგიაა, ასლი, სუსტი დამარცხებულია.

**დიდი ხანია ლაშა შელიას მწვრთნელურ სტილს ვაკვირდები. მთავარი არგუმენტი ამ სპორტში თურმე დგომა და მუცლის მდგომარეობაა. მუცელი გამოგდებული უნდა ჰქონდეს სპორტსმენს ასპარეზისას. ჩვენ ვიცით ბიოლოგიიდან ფილტვების როლი ადამიანის ფორმირების პროცესში; რომ იგი სამჯერ ნაკლებ ჟანგბადს მოიხმარს არასწორი სუნთქვის გამო; რომ ფილტვის აორტა საკსეა ნახშიროქსიდით და საჭიროსთან შედარებით შესაძლებელი ჟანგბადი მიეწოდება ტვინის უჯრედებს. არსებობს ამ ნაკლის გამოსწორების პროფილაქტიკა — კედელთან ფეხშიშველა დგომა, მთელი სხეულით მასზე მიწებება, ხელები გონიოს მდგომარეობაში და 3-5 წუთის განმავლობაში**



**დრმა ჩასუნთქვები ორგანიზმიდან ნახშიროჟანგის გამოსაძევებლად. ეს ყველაფერი კარატისტს გაუცნობიერებლად მიეწოდება ვარჯიშის დროს. მეორეც, ლაშა შელია დაუნდობელია შევირდებთან. დიმილის მომგვრელია მისი საგარჯიშო ლექსიკა, თუკი დათვის ტორებიც არ მიაყოლა საბუნდუნოდ აღსაზრდელს.**

— ხვალღიდან შენ ჩემთან არ ივლი ჭირიმე! უთხარით მშობლებს, რომ პანტომიმაზე გადაგიყვანონ, ან ჭადრაკის სექციაზე იარეთ ნონას კლუბში. კარატე ვაჟკაცების სპორტია და არა — ქეთილოების. შენ წყაროზია ვერასდროს გახდები. ბიჭო, ხომ ხედავ ჰექტარი არ გყოფნის ორთაბრძოლისას. ახლა შენს გამო ამ დარბაზს სტადიონად ვერ გადავაკეთებ. ან რომც იყოს მაგისი ნებართვები, ფულს საიდან მოგუყური თავს თქვენი გადამეკიდე?! წრე შეკარით ბიჭებო და ვნახოთ როდემდე გაექცევა მოწინააღმდეგეს. — კედელს აწყლებიან ეგრევე, — ეგ ჩინ-მედლები არ ჩამომიყარა კინალამ სტენდიდან?! ჰო-მეთქი, შეჰკარით წრე! ლახტი ხომ გითამაშიათ ბავშვობაში?! აზუზუნებენ ბიჭები ძაღლის ენასავით გადმოგდებულ ქამრებს და ისუსხება წვივები. აწი, მაინც სად გაექცევი ტატამს?! შენი სტიქია მუშტი კი არა ბამბაა, რომელიც არ ჩხრიალებს სავალალოდ. ვის ვანახო ბიჭო, შენი თავი, „ენგურჰესელ“ აღფეზ შელიას თუ ბატონ გურამ დაღუანს, ტყვიავაუმტარ ჟილეტებს რომ ამზადებს






საქართველოსათვის?! რაც ჩემპიონი გახდა, ჩვენი წყაროზიაც, თავს გავიდა.

მართალია, ევროპის ჩემპიონატში ჩემმა ბიჭებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს: დემურ ქირიამ რომელიც 45 კილოგრამს იწონის და 13 წლისაა, ჯახუ ჯინჯოლაემ, ეგი ოცდათხუთმეტი კილოგრამია, 12 წლის და ამ მორიალე დათო წყაროზიამ, ცხრა წლისაა და მამალი ინდაურის წონა — 27 კილო. მთელი კვირა გამიცდინა, კაცო! ხედავთ, როგორ გაზანტდა ერგეტელების ზაქივით. ბიჭო, გადააბი ერთმანეთს მოძრაობები! სამზე ნუ ჩერდები! ხომ ხედავ დალილია შენი მოწინააღმდეგე. შენ 27 კილოგრამი ხარ, ის სამჯერ მეტი, მაგრამ იმისგან კარატისტი ვერასდროს დადგება, გინდა კიდევ ოცი წელიადი იაროს აქ თავის მოსაწონებლად, აქაოდა, კარატისტი ვარო. მისცხე ბიჭო, მაგას, არ დაინდო! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა. ერთი ამგვარი შეტევა და კამეჩის ფუნასავით

დაედლიზება იატაკზე. **„კარატე-დო“-ს აღსაზრდელები „შიშველ იატაკზე“ მეცადინეობენ ჯერ-ჯერობით. ამას წინათ ევროპის ჩემპიონატიდან სამი ოქროს მედალით დაბრუნებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საპატიო ჯილდოები. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ: ზუგდიდის რაიონის გამგებელი, ბატონი**

**ალექსანდრე ქობალია, სამეგრელოს ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელი ლაშა დაშენია, განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი კორძაძე, ბიზნესმენი, ბავშვთა სარეაბილიტაციო კომპლექსის პროექტ-„აკაპარკის“ სულის-ჩამდგმელი, ქალბატონი მანანა მიქაეა, სახალხო ბანკის ზუგდი-**




დის ფილიალის მმართველი, ბატონი ჯიმშერ შერთზია, საჯჯ ართ სამართლის იურიდიული პირი, ილია ჭავჭავაძის სახელჯ თბის სახელმწიფო უნივერსი ტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნი- ერებათა დოქტორი, პროფ- ესორი გიორგი ფარულაგა და სხვები. მოწვეულმა სტუმრებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს თურქეთის მსოფლიო და თბი- ლისის ეგრობის ჩემპიონატებში გამარჯვებულებს 4 თქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედ- ლები. „კარატე-დო“-ს სკოლის ინსტრუქტორმა მადლობა მოუ- ხადა საპატიო სტუმრებს. მან განსაკუთრებული მადლიერე- ბით მოიხსენია სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის მესვეუ- რის, ბატონ ჯიმშერ შერთზიას თანადგომა. „რომ არა თქვენი უშურველი მხარდაჭერა, ჩვენ ამ ჯილდოებს ვერაფრით ჩამოვიტ- ანდით სამშობლოში, — აღნიშნა ლაშა შელიამ, — არ აღიმართე- ბოდა ოთხგზის ჩვენი მზეთუნახავი დროშა, არ შესრულდებოდა ოთხ- ჯერ ჩვენი საყვარელი ჰიმნი. იატ- აკამდე თავს გიხრით ამ ბედნი- ერების მონიჭებისათვის. ჩვენი ბავშვები შიშველ იატაკზე მეცა- დინებენ. ტატამი ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა, — მწარე სინანულით აღნიშნა მან. რეგიონის ნაციონ- ალური მოძრაობის თავმჯდო- მარემ, ბატონმა ლაშა დამენი- ამ პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა აღუთქვა მათ, — არა ძმაო, — დასძინა დიმილით, — შიშველ იატაკზე ვარჯიშით გამო- წრთობილი ბავშვები საშიშა ფუმ- ფუმულა ლეიბებზე გდებას მიჩვე- ული მსოფლიო კარატისტების- ათვის. იმათ ცოდვაში ვერ ჩავდგე- ბით, ამიტომაც ერთი ტატამი ჩემზე იყოს. მთლად ასიათასიანს ნუ მომ- თხოვთ, მაგრამ რაღაც შუალე- დურს უსათუოდ გამოგიძებნით. დავახოცინოთ, აბა, ამ ფოცხვე- რებს და ავაზებს სენდვიჩებით გამოსუქებული მსოფლიო?!



**რამდენიმე თვეა, რაც ბატონი ჯიმშერ შერთზია სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის მმართველია, მაგრამ მან უკვე მოახწრო არაერთი სასიკეთო საქმის მოგვარება, მათ შორის ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის. წლების წინათ სოფელ თირემეში ვაი-ქართველებმა კუბონებზე გაყიდეს ბაღის შენობა თავის ინვენტარიანად. 2003 წელს კი სოფლის გამ- გებლის, ბატონ გურამ ჯიჯელაგას ძალისხმევით, საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო. გაიხარეს მშობლებმა, პატა- რებმა. ბატონმა ჯიმშერმა, როცა გაიგო ჩვენი მდგომარეობა, ჩვეული დიდსულოვნება გამოიჩინა და სკამები და ღუმელი აჩუქა ბავშვებს. დამერთმა უმრავლეს ქვეყანას თქვენისთანა ადამიანები ბატონო, ჯიმშერ, რომლებიც მართო პირადულზე როდი ფიქრობენ, აქვთ უნარი სწვისი ტკივილი და სინარული საკუთარივით გაითავისონ. ქველმოქმედება, სიკეთე, მაგიური ძალისაა, გადაამდები. წმინდა გიორგი ვფარავდეთ ნიადაგ.**

**ნანა ხუშუა,**  
ზუგდიდის რ-ნის სოფ. ოირემეს  
საბავშვო ბაღის გამგე





**რეკლამა**

**პროექტი:**

**„გარდაბის რეკონსტრუქციის“  
სადადიანოს არქიტექტურული**

**მფარველი: „აკვა-პარკი“**

დიდი იაპონელი კინორეჟისორის, აკირა კუროსავას ფილმში „დოდესკადენი“ (ეს კინოლენტი ჩვენში რუსეთის მეშვეობით ასეთნაირი სახელწოდებით შემოვიდა: „**პოდ სტუკ ტრამაინის კოლიოს**“), ერთ-ერთი პერსონაჟის ვაჟი შვილს უცნაური ხილვები აქვს — სილატაკეში, სანაგვეში მოსროლილს ენით აღუწერელი ცთამბეჭენები წარმოესახება — კონგენიალურები არქიტექტურული თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას ქალბატონ მანანა მიქავას „აკვაპარკზეც“ (არქიტექტორი: **დავით ჯოლოფუა**), რომლის განხორციელება პროექტით მდინარე ჩხოუშის მარჯვენა ნაპირზე ნავარაუდევია. „აკვაპარკი“ საინტერესოა რამდენიმე კუთხით. ჯერ ერთი, იგი ზედმიწევნით პასუხობს არქიტექტურის თანამედროვე მოხონებს — ესტეტიკურად მიმზიდველია და შთამბეჭდავი. მეორე — პროექტი პრაგმატულია და ამავდროულად — მამულიშვილურიც — მიზნად ისახავს სადადიანოს მოზარდი თაობა ჯანმრთელი აღზარდოს, როგორც ფიზიკურად, ისე — სულიერად ... დაბოლოს, მთავარი, პროექტით გათვალისწინებულია ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მონაკვეთის




ჰიგიენური თუ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება. საუკუნის გარიჟრაჟზე ჩხოუშის დებეტი სრულფასოვნად აკმაყოფილებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას — წმენდა და ასუფთავებდა ქალაქის შემოგარენს. მაგრამ დროთა ვითარებაში გაიკაფა ტყეები და მდინარეც დაიწრიტა. ჩვენ ბევრჯერ წამოვჭერით უმდინარეოდ დარჩენილი ზუგდიდის პრობლემები. საამისოდ მოვიშველიეთ ენერგეტიკოსების წინადადებები: მის კალაპოტში მაგანის გადმოვლება არხით. მაგრამ წინადადება წინადადებად დარჩა. ახლა კი, აგერ, გამოჩნდა ზუგდიდ-ქალაქის დიდი ქომაგი, მისი მკვიდრი ქალბატონი მანანა მიქავა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მოთავისა და ნალიმასთან სამეგრელო-თურქეთის ომის გმირის — უტუ მიქავას ღირსეული შთამომავალი. პროექტ „აკვაპარკი“ ნავარაუდევია ბაზრის მიმდებარე მონაკვეთში მდინარე ჩხოუშის დონის ამალღება ერთი კილომეტრის მანძილზე. ეს ყველაფერი, ესთეტიკურ მიმზიდველობასთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობისაა ქალაქის ცენტრის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის. პროექტი „აკვაპარკი“ მოწონებულია მხარის გუბერნატორის, ბატონ ზაზა გოროზიას მიერ. ასევე დადებითად აფასებს მას ზუგდიდის მერი, ბატონი ალექსანდრე ქობალია. არსებობს სიტყვიერი შეპირებები მისი უექველი განხორციელების თაობაზე. პროექტი — „აკვაპარკი“ ძვირადღირებულია — 2.5 მილიონი აშშ დოლარი ჯდება. იგი უზრუნველყოფილია ფინანსურად. „აკვაპარკის“ კომპლექსი 5-სართულიანია.

**I** სართულზე განთავსდება ბავშვთა სამყარო;  
**II** — სართულზე მოზარდების უცხო ენათა შემსწავლელი წრეები, საბავშვო ბაგა-ბაღი;

**III** — სპორტდარბაზი, „მაკლონალდის“ სტილის კაფე-ბარი;  
**IV** სართულს დაიკავებს დედათა და შვილთა დარბაზი, სათამაშო კუთხე, ბიბლიოთეკა თავისი კომპიუტერული აღჭურვილობით;  
**V** სართულზე განლაგდება ბავშვთა დაბადების დღისადმი მიძღვნილი რიტუალების სახლი. „აკვაპარკის“ კომპლექსით ნავარაუდევია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სხვადასხვა დანიშნულების ბავშვთა საცურაო აუზები და ა.შ. იგი რამდენიმე ასეულ სამუშაო ადგილს შეჰმატებს რეგიონს და რაც გასახარია, სინათლით, სიცოცხლით აავსებს ზუგდიდ-ქალაქს. იმედია, მხარის ადმინისტრაცია, მერია გამოძებნიან დროს და საშუალებას აღთქმული სიტყვის გასანაღებლად. იმედია, აღნიშნული პროექტი არ დაემსგავსება აკირა კუროსავას „დოდესკადენის“ პერსონაჟი ბიჭუნას ჰაერში გამოკიდებულ ცათამბჯენს.





მოდელი  
სოფია ხარჩილავა



DESIGNER SOFIA KHARCHILAVA



**DESIGNER SOFIA KHARCHILAVA**  
**DESIGNER SOFIA KHARCHILAVA**  
**DESIGNER SOFIA KHARCHILAVA**



საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი  
სააკაშვილის „ფოსტალიონი“- ლედის,  
ქალბატონ სანდრა-ელისაბედ რულოვსის საარჩევნო ჩანთა  
სადადიანოს გულს ველარაფრით იტევს



„ჩემთვის მეშვიდე ენა მეგრულია,  
ხოლო „ჭოუნანა“ — პირველი“  
საქართველოს პირველი ლედი,  
ქალბატონი სანდრა-ელისაბედ რულოვსი



# საარჩევნო ქოლგების აღლუმი სამეგრელოში



პირბისი (ოქროს საფიხი)